ძალადობის აღმოფხვრა სკოლებში
სასწავლო პაკეტი

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

ძალადობის აღმოფხვრა სკოლებში
სასწავლო პაკეტი

კოორდინირება:
კრის გიტინსის „სწავლისათვის შესაფერისი ქცევის ცენტრი“,
გაერთიანებული სამეფო

მომზადებული და შემუშავებულია:
პიტერ გალვინის, კრის გიტინსის,
ოლივიე ისხერის და სტივენ მინტონის მიერ.
გამოყენებულია სახელმძღვანელოს —
„ძალადობის აღმოფხვრა სკოლებში – როგორ შევცვალოთ გარემო“ —
ავტორების ნაშრომი.

ევროპის საბჭოს პროგრამა
„ავაშენოთ ევროპა ბავშვებისათვის და ბავშვებთან ერთად“

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

წინამდებარე სახელმძღვანელოში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის ავტორებს და არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოზიციას.

საავტორო უფლებები ამ გამოცემაზე დაცულია. კომუნიკაციის დირექტორატის საჯარო ინფორმაციისა და პუბლიკაციების დეპარტამენტის (F-67075 Strasbourg Cedex ან publishing@coe.int) წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია გამოცემის რომელიმე ნაწილის თარგმნა, პუბლიკაცია ან გადაღება ნებისმიერი ფორმით და ნებისმიერი საშუალებით – იქნება ეს ელექტრონული (კომპაქტ-დისკი, ინტერნეტი და სხვ.) თუ მექანიკური, მათ შორის, ასლის გადაღება, ჩაწერა ან ინფორმაციის შენახვის თუ ძიების სისტემების გამოყენება.

ყდა და ილუსტრაციები: ლოტი კლევერი / © ევროპის საბჭო

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

© ევროპის საბჭო

unicef
unite for children

© თარგმანი, გაეროს ბავშვთა ფონდი.
თარგმანი განხორციელდა ევროპის საბჭოსთან შეთანხმებით და
თარგმანზე პასუხისმგებელია გაეროს ბავშვთა ფონდი

სარჩევი

I. წინასიტყვაობა 5

II. სახელმძღვანელო ფასილიტატორებისთვის 1

გ ზამკვლევი მომხმარებლისთვის 5

მეცადინეობა 1 *სემინარის პირადი დაგეგმვა და სკოლაში ძალადობასთან დაკავშირებით არსებული საკითხების შეფასება* 15

მეცადინეობა 2 *ფასილიტატორის გ ზამკვლევი: ტრენინგის მეთოდოლოგია – პირველი ნაწილი* 31

მეცადინეობა 3 *ფასილიტატორის გ ზამკვლევი: სასწავლო მეთოდოლოგია – მეორე ნაწილი* 39

მეცადინეობა 4 *დასაწყისი – ევროპული ხედვა იმ ფაქტორებისა, რომლებიც გავლენას ახდენს სკოლებში ძალადობა ზე/ქცევის გამოსწორება ზე* ..51

მეცადინეობა 5 *უფრო მეტის გაგება – სკოლის თვითშეფასების როლი ძალადობის თავიდან აცილებასა და მინიმუმამდე შემცირებაში* 73

მეცადინეობა 6 *უფრო მეტის გაგება – თვითშეფასების ფორმის განხილვა და გამოყენება* 87

მეცადინეობა 7 *უფრო მეტის გაგება – თვითშეფასების პროცედურის მოდიფიცირება ადგილობრივი პრიორიტეტების შესაბამისად* 101

მეცადინეობა 8 *პოლიტიკის შეთანხმება და განხორციელება – სკოლაში არაძალადობრივი ატმოსფეროს შექმნა საერთო-სასკოლო პოლიტიკის საშუალებით* 105

მეცადინეობა 9 *რა უნდა ისწავლებოდეს? სკოლის სასწავლო პროგრამის გამოყენება ძალადობის შემცირებისა და სწავლისათვის შესაფერისი ქცევის გამოსწორების მიზნით* 117

მეცადინეობა 10 *მოსწავლეების ჩართვა პროცესში - სკოლაში ძალადობის აღმოფხვრასა და ქცევის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული სტრატეგიების ჩამოყალიბება მოსწავლეების მონაწილეობით* 139

მეცადინეობა 11 *ბავშვების დაცვა – სკოლის უსაფრთხო გარემოდ გადაქცევა* 153

მეცადინეობა 12 *სკოლის თანამშრომლების დახმარება — თანამშრომელთათვის ძალადობის აღმოსაფხვრელად/ქცევის გასაუმჯობესებლად ტრენინგის შემუშავება* 171

მეცადინეობა 13 *მუშაობა მშობლებთან/მზრუნველებთან – პარტნიორობის ჩამოყალიბება და შენარჩუნება* 197

მეცადინეობა 14 *ადგილობრივი პარტნიორობის შექმნა – სტრატეგიები ეფექტიანი ურთიერთობებისთვის* 217

რესურსები ფასილიტატორებისთვის, მშობლებისა და მზრუნველებისთვის 237

III. ფასილიტატორის გზამკვლევი 1

თავი 1	*ტრენინგის მეთოდოლოგია*	7
თავი 2	*სწავლის სხვადასხვა სტილი*	11
თავი 3	*პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენება*	17
თავი 4	*ზრდასრული მოსწავლეების მოტივირება*	27
თავი 5	*ჯგუფური მუშაობის წარმატებით წარმართვა*	33
თავი 6	*ჯგუფების ორგანიზება*	41
თავი 7	*სასწავლო მეცადინეობისთვის მომზადება*	45
თავი 8	*სასწავლო რესურსები*	49
თავი 9	*ტრენინგის სხვადასხვა სტილი*	53
თავი 10	*ტრენინგის წარმართვის სხვადასხვა ტექნიკა*	59
თავი 11	*ტრენინგის დროს გამოსაყენებელი სხვა სასარგებლო რჩევები*	69
თავი 12	*ერთობლივი ტრენინგი – ორი ფასილიტატორის ერთად მუშაობა*	73
თავი 13	*კონფლიქტის და პრობლემების წინასწარ განჭვრეტა და მოგვარება*	77

I. წინასიტყვაობა

წინასიტყვაობა

სასწავლო პაკეტი „ძალადობის აღმოფხვრა სკოლებში“ (შემდგომში — „სასწავლო პაკეტი“) შემუშავდა ევროპის საბჭოს პროგრამის — „ავაშენოთ ევროპა ბავშვებისათვის და ბავშვებთან ერთად“ — ფარგლებში. მისი დანიშნულებაა სკოლებში ძალადობის აღმოფხვრისკენ მიმართულ მიდგომებში ფასილიტატორთა მომზადებით ხელი შეუწყოს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში ძალადობის თავიდან აცილებისკენ მიმართული არსებული პროგრამების განხორციელებას. სასწავლო პაკეტის მიზანია დახმარება გაუწიოს სკოლების უმაღლესი რგოლის თანამშრომლებს მათი პასუხისმგებლობის განხორციელებაში – შექმნან ჰარმონიული გარემო, სადაც არავინ ელის, ჩადის ან შეიწყნარებს ძალადობას.

„ავაშენოთ ევროპა ბავშვებისათვის და ბავშვებთან ერთად“ ევროპის საბჭოს მიერ წამოწყებული ფართო პროგრამაა, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვთა უფლებების დაცვას და მათი განხორციელების ხელშეწყობას, ასევე — ბავშვების დაცვას ყველანაირი ფორმის ძალადობისაგან. იგი ეხმარება პასუხისმგებელ პირებს ხელისუფლებაში და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, შეიმუშაონ და განახორციელონ სტრატეგიები სოციალურ, საკანონმდებლო და განათლების სფეროებში, რომლებიც გააუმჯობესებს ბავშვების ცხოვრებას და შექმნის გარემოს, სადაც არ იქნება ძალადობა და სადაც პატივს სცემენ ბავშვების უფლებებს.

სკოლებში ძალადობა, განსაკუთრებით კი ისეთი ძალადობა, რომელიც სერიოზულ დაზიანებებს იწვევს, შეიძლება ძალზე თვალსაჩინო იყო. მას ფართოდ აშუქებს მედია და მის მიმართ შეუწყნარებელია როგორც მთავრობა, ისე საზოგადოება, მრავალ ქვეყანაში კი მთავრობა მასთან ბრძოლას მნიშვნელოვან ადგილს უთმობს თავის პოლოტიკურ პროგრამაში. სკოლაში ძალადობის სხვა ფორმები, ანუ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა (ე.წ. „ბულინგი“), უფრო შეფარულია და არც ადვილია მათი გამოვლენა, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ძალადობა არანაკლებ საფრთხეს უქმნის როგორც მოსწავლეების, ისე მთლიანად სკოლის კეთილდღეობას.

სკოლა ვერ შეასრულებს თავის როლს და ვერ იქნება ის ადგილი, სადაც ბავშვები სწავლობენ და ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, თუკი ბავშვებს შეექმნებათ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის, დაშინებისა და დათრგუნვის საფრთხე, თუკი სკოლაში გამეფებული იქნება ძალადობრივი კლიმატი, შეილახება ბავშვთა უფლებები – მიიღონ განათლება და იყვნენ დაცული ძალადობისაგან. ეს უფლებები გარანტირებულია როგორც ადამიანის უფლებათა რეგიონული ინსტრუმენტებით, იგულისხმება ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და ევროპის სოციალური ქარტია, ისე საერთაშორისო დოკუმენტებით, მაგალითად, გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციით.

სასწავლო პაკეტის მიზნები და ამოცანები

სასწავლო პაკეტის ზოგადი მიზანია, რომ სკოლებსა და ბავშვებისთვის განკუთვნილ სხვა ადგილებში დამყარდეს ძალადობისგან თავისუფალი გარემო, ისინი გახდეს უფრო უსაფრთხო და ბავშვებისთვის შესაფერისი.

სასწავლო პაკეტის კონკრეტული მიზანია სწავლების ისეთი პროცესის შემოღება, რომელიც დაეხმარება სკოლებისა და ბავშვებისათვის განკუთვნილი სხვა დაწესებულებების მაღალი რგოლის თანამშრომლებს:

- შეიმუშაონ თვითშეფასების ინსტრუმენტი, რათა შეფასდეს ძალადობის ხარისხი და ხასიათი ცალკეულ სკოლებსა თუ სხვა დაწესებულებებში (იგულისხმება სპეციალური სკოლები, არასრულწლოვან დამნაშავეთა დაწესებულებები და სხვ.);
- თვითშეფასებაზე დაყრდნობით შეიმუშაონ და განახორციელონ სამოქმედო გეგმა;
- ძალადობას უპასუხონ ძალადობის ახალი შემთხვევების თავიდან აცილებით; ამგვარად განხორციელდება ცვლილებები, რაც დაადასტურებს სწავლების ეფექტურობას.

ამ მიზნის თუნდაც ნაწილობრივ მიღწევა მნიშვნელოვნად დაეხმარება სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მცდელობებს, მიმართულს სკოლაში ძალადობის (მოსწავლეებს, ასევე სკოლის პერსონალსა და მოსწავლეებს შორის) ჰარმონიული კლიმატით ჩანაცვლებისკენ, რაც ხელს უწყობს სწავლას და ახალგაზრდების მომზადებას როგორც ახლანდელი, ისე მომავალი ცხოვრებისეული პრობლემებისა და გამოწვევების გამკლავებაში.

მოკლედ სწავლების შესახებ

გარდა იმისა, რომ პედაგოგები უკეთესად გაათვითცნობიერებენ, თუ როგორ უნდა მოხდეს სკოლაში ძალადობის აღმოფხვრა, მათ ასევე ასწავლიან სწავლების ეფექტიან მეთოდოლოგიას. წინამდებარე სასწავლო პაკეტი ერთნაირად მნიშვნელოვანია დაწყებითი, საშუალო თუ სპეციალური სკოლების თანამშრომლებისათვის, მან აგრეთვე ბევრი სიახლე შეიძლება შესთავაზოს ახალგაზრდებს, სოციალურ მუშაკებსა და საზოგადოების სხვა დაინტერესებულ წარმომადგენლებს.

ევროპის საბჭოს სასწავლო პაკეტი შემუშავებულია სხვადასხვა ქვეყანაში სწავლების პროცესის წარმართვისათვის. იგი იყენებს შემდეგ ოთხ რესურსს:

1. სახელმძღვანელოში „ძალადობის აღმოფხვრა სკოლებში – როგორ შევცვალოთ გარემო“ (შემდგომში „სახელმძღვანელო“) მოცემულია ინფორმაცია და რიგი პრაქტიკული სავარჯიშოებისა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოხდეს ძალადობის დასაძლევად საერთო სასკოლო პროგრამის ორგანიზება. სახელმძღვანელოს გამოყენებაში მომზადებული ფასილიტატორები შეძლებენ მასალების შერჩევას საგანგებოდ მისადაგებული პროგრამისათვის, რათა დააკმაყოფილონ ამა თუ იმ სკოლის, რამდენიმე სკოლისა თუ სხვა დაწესებულებების მოსწავლეთა კონკრეტული საჭიროებები.

   სახელმძღვანელო ეხება ძალადობის აღმოფხვრის ყველა ასპექტს – ტაქტიკის შემუშავებას, თვითშეფასებას, მოქმედებათა დაგეგმვას, პერსონალის ტრენინგს, მოსწავლეთა ჩართვას, მონაწილეებთან და თემთან პარტნიორულ მუშაობას და ბავშვების დაცვას.

2. სახელმძღვანელო ფასილიტატორებისთვის მოიცავს სასწავლო მეცადინეობებს, თუ როგორ უნდა მოხდეს სკოლის უმაღლესი რგოლის თანამშრომელთა მომზადება სახელმძღვანელოს გამოყენებაში ძალადობის აღმოფხვრისადმი საერთო სასკოლო მიდგომის დასამკვიდრებლად. ფასილიტატორებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო შეეხება სახელმძღვანელოს „ძალადობის აღმოფხვრა სკოლებში – როგორ შევცვალოთ გარემო“ ყველა თავს, მასში მოცემულია დამატებითი მეცადინეობები მონაწილეთა და ადგილობრივი თემის ჩართვასთან დაკავშირებით. კერძოდ, აქ მოცემულია:

   - დეტალური მითითებები ფასილიტატორებისთვის, თუ როგორ უნდა მოხდეს მონაწილეთა სწავლება სასწავლო მოდულებისგან შემდგარი, სავარჯიშოებზე დაფუძნებული 14 მეცადინეობის გამოყენებით. თითოეული მეცადინეობა გრძელდება 2,5 სთ.;

- პროგრამა ოწერ ოინტ-ში მომზადებული სლაიდები თითოეული მეცადინეობის შესახებ ზოგადი ინფორმაციის მიწოდებაში დახმარების გასაწევად;
- ორი კომპაქტდისკი (ჩ-ღომ) სხვადასხვა ვიდეოკლიპით სავარჯიშოებზე დაფუძნებული სასწავლო მეცადინეობების საილუსტრაციოდ.

3. ფასილიტატორის გზამკვლევში აღწერილია სასწავლო მეთოდოლოგია და ტექნიკა, რომლებზე დაყრდნობითაც ფასილიტატორები შეძლებენ ტრენინგის ქმედითად ჩატარებას და სკოლის უმაღლესი რგოლის თანამშრომლებისთვის დახმარების გაწევას ძალადობის აღმოფხვრის სტრატეგიის განხორციელებაში. ეს გზამკვლევი შემუშავებულია, როგორც რესურსი ფასილიტატორებისათვის, რომლებსაც მუშაობის პროცესში შეიძლება დასჭირდეთ:
   - სასწავლო პაკეტის ძირითადი იდეების შეხსენება;
   - სასწავლო მეთოდოლოგიის შემდგომი ახსნა-განმარტება;
   - სასწავლო მეცადინეობის დაგეგმვაში დახმარების გაწევა;
   - ზოგადი ინფორმაცია;
   - რესურსებისა და დამატებითი ინფორმაციის „ლინკები“;
   - იდეები საკუთარი პროფესიული განვითარების დახვეწისათვის.
4. თვითშეფასების ინსტრუმენტი, რომელიც ზომავს სკოლებსა თუ დაწესებულებებში არსებული ძალადობის ხარისხს და ადგენს, თუ რამდენად კარგად არიან ისინი ორგანიზებული სასურველი გაუმჯობესების განსახორციელებლად. სკოლებში ძალადობის აღმოფხვრის კარგად შემუშავებული თვითშეფასების ინსტრუმენტის საფუძველზე უნდა მომზადდეს მიზნობრივი სამოქმედო გეგმა, რათა გაუმჯობესება პირველ რიგში შეეხოს განსაკუთრებით შემაშფოთებელ სფეროებს. სახელმძღვანელოში ფასილიტატორებისთვის მოცემულია დეტალური მეცადინეობები თვითშეფასების ინსტრუმენტის შემუშავებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით და ამისათვის გამოყენებულია ავტორების მიერ შექმნილი მოდელი. სკოლებს, რეგიონებსა და ქვეყნებს შეუძლიათ ან თავად შეიმუშაონ საკუთარი მოდელები, ან არჩიონ ინტერნეტში გამოქვეყნებული ავტორთა ვერსიის შეძენა.

სად შეიძლება რესურსების მოძიება

სახელმძღვანელო (ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებზე), სახელმძღვანელო ფასილიტატორებისთვის (ინგლისურ ენაზე) და ფასილიტატორის გზამკვლევი (ინგლისურ ენაზე) შეიძლება ჩამოიტვირთოს პროგრამის „ავაშენოთ ევროპა ბავშვებისათვის და ბავშვებთან ერთად“ ვებგვერდიდან: <www.coe.int/children>. ამობეჭდილი ვერსია ფასიანია და შესაძლებელია მისი შეკვეთა ევროპის საბჭოს გამოცემებიდან: <http://book.coe.int>. დოკუმენტების თარგმნის უფლება უფასოა, საჭიროა განაცხადის შეტანა შემდეგ მისამართზე: <publishing@coe.int>. ეს რესურსები შეიძლება ასევე დაარიგონ ტრენინგის წარმმართველმა ფასილიტატორებმა მეცადინეობების დროს.

საავტორო უფლებები კომპაქტდისკებზე არ არის დაცული და მათ დაარიგებენ ფასილიტატორები. შესაძლებელია, აგრეთვე, მათი მოპოვება ქვემოთ მოცემულ მისამართებზე.

მათ, ვინც არ მოისურვებს თვითშეფასების საკუთარი ინსტრუმენტის შემუშავებას, „სკოლებში ძალადობის აღმოფხვრის თვითშეფასების ევროპული ინსტრუმენტის“ (e-ViRIS) შესაძენად შეუძლიათ დაუკავშირდნენ სწავლისათვის შესაფერისი ქცევის ცენტრს (cgittins@btinternet.com ან <www.behaviour4learning.ac.uk/cflb>). არსებობს, აგრეთვე, მომსახურება ამ მოდელის კონკრეტულ პრიორიტეტებთან მისასადაგებლად.

სასწავლო პაკეტის ეფექტიანობა

სასწავლო პაკეტი გამოიცადა სემინარებზე გერმანიაში, გაერთიანებულ სამეფოსა და რუსეთის ფედერაციაში. ამ სემინარებს ესწრებოდნენ მონაწილეები 32 ქვეყნიდან. გამოცდის შედეგები ქვემოთ არის შეჯამებული:

- ტრენინგს მოჰყვა პოზიტიური გამოხმაურება. მონაწილეებმა ძალზე მაღალი შეფასება მისცეს როგორც თავად ტრენინგს, ისე მასალებს.
- ტრენინგის მასალები მრავალფეროვანია კულტურული თვალსაზრისით (ინკლუზიურია) და ამდენად კარგად უნდა იმუშაოს ყველა ქვეყანაში. ეს მასალები ყველა მონაწილემ შეაფასა, როგორც ძალზე შესატყვისს მათ ქვეყანაში არსებული სკოლებისა და სხვა დაწესებულებების საჭიროებებისა.
- ყველა მონაწილემ შეიმუშავა სამოქმედო გეგმა საკუთარ ქვეყანაში ტრენინგის მისასადაგებლად. ყველაზე წარმატებული სამოქმედო გეგმები აღმოჩნდა ის გეგმები, რომლებსაც მხარს უმაგრებდა შემდგომი მუშაობის გეგმა, წარმოდგენილი კვალიფიციური ფასილიტატორების მიერ.
- ტრენინგი უფრო ეფექტიანია, თუ იგი მიესადაგება თითოეულ ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას და სკოლების კულტურულ მოლოდინს. ის ყველაზე ქმედითია, როდესაც გამოიყენება უკვე მიმდინარე მოქმედების ხელშესაწყობად.

პროგრამა შემუშავებულია ფასილიტატორთა ტრენინგისათვის. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მისი გამოყენება სხვებს არ შეუძლიათ, უბრალოდ, ეს სხვები არ წარმოადგენენ ძირითად მიზნობრივ აუდიტორიას.

ტრენინგის საერთაშორისო გუნდი

პროფესიონალი ფასილიტატორების საერთაშორისო გუნდი იმუშავებს ძირითად გამავრცელებლებთან და ჩაატარებს ტრენინგის შემდგომ სამუშაოებს აღნიშნული გამავრცელებლებისთვის, დახმარებას გაუწევს მათ საკუთარ ქვეყნებში მუშაობისას. ეს უზრუნველყოფს ტრენინგის სასწავლო პროცესის ხუთივე ეტაპის (ფასილიტატორებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო, გვ. 7) დასრულებას, ტრენინგის გავრცელებას და ტრენინგის შედეგებს.

შესაძლებელია ტრენინგის მორგება თითოეული ქვეყნისა თუ რეგიონის საჭიროებებისათვის. სრულ პროგრამაში უნდა შევიდეს:

- შესაფერის ადგილას 6-დღიანი სემინარის მოწყობა;
- ტრენინგის შემდგომი სამდღიანი ვიზიტები გამავრცელებლებთან სამუშაოდ და მათთვის დახმარების გასაწევად ფასილიტატორებისთვის სკოლებში ძალადობის აღმოფხვრის სასწავლო სემინარის ჩატარებაში;
- დახმარება სკოლებში ძალადობის თვითშეფასების ინტერნეტ-ინსტრუმენტის შემუშავებასა და გაძღოლაში.

თუ დაინტერესდებით ევროპის საბჭოს სასწავლო პაკეტის გამოყენებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ პროგრამას „ავაშენოთ ევროპა ბავშვებისათვის და ბავშვებთან ერთად“ (children@coe.int).

II. სახელმძღვანელო ფასილიტატორებისთვის

სარჩევი

გზამკვლევი მომხმარებლისთვის 5

მეცადინეობა 1 სემინარის პირადი დაგეგმვა და სკოლაში ძალადობასთან დაკავშირებით არსებული საკითხების შეფასება..... 15

მეცადინეობა 2 ფასილიტატორის გზამკვლევი: ტრენინგის მეთოდოლოგია – პირველი ნაწილი.....31

მეცადინეობა 3 ფასილიტატორის გზამკვლევი: სასწავლო მეთოდოლოგია – მეორე ნაწილი.....39

მეცადინეობა 4 დასაწყისი – ევროპული ხედვა იმ ფაქტორებისა, რომლებიც გავლენას ახდენს სკოლებში ძალადობაზე/ქცევის გამოსწორებაზე ..51

მეცადინეობა 5 უფრო მეტის გაგება – სკოლის თვითშეფასების როლი ძალადობის თავიდან აცილებასა და მინიმუმამდე შემცირებაში 73

მეცადინეობა 6 უფრო მეტის გაგება – თვითშეფასების ფორმის განხილვა და გამოყენება 87

მეცადინეობა 7 უფრო მეტის გაგება – თვითშეფასების პროცედურის მოდიფიცირება ადგილობრივი პრიორიტეტების შესაბამისად.....101

მეცადინეობა 8 პოლიტიკის შეთანხმება და განხორციელება – სკოლაში არაძალადობრივი ატმოსფეროს შექმნა საერთო-სასკოლო პოლიტიკის საშუალებით 105

მეცადინეობა 9 რა უნდა ისწავლებოდეს? სკოლის სასწავლო პროგრამის გამოყენება ძალადობის შემცირებისა და სწავლისათვის შესაფერისი ქცევის გამოსწორების მიზნით 117

მეცადინეობა 10 მოსწავლეების ჩართვა პროცესში - სკოლაში ძალადობის აღმოფხვრასა და ქცევის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული სტრატეგიების ჩამოყალიბება მოსწავლეების მონაწილეობით 139

მეცადინეობა 11 ბავშვების დაცვა – სკოლის უსაფრთხო გარემოდ გადაქცევა 153

მეცადინეობა 12 სკოლის თანამშრომლების დახმარება — თანამშრომელთათვის ძალადობის აღმოსაფხვრელად/ქცევის გასაუმჯობესებლად ტრენინგის შემუშავება 171

მეცადინეობა 13 მუშაობა მშობლებთან/მზრუნველებთან – პარტნიორობის ჩამოყალიბება და შენარჩუნება.....197

მეცადინეობა 14 ადგილობრივი პარტნიორობის შექმნა – სტრატეგიები ეფექტიანი ურთიერთობებისთვის.....217

რესურსები ფასილიტატორებისთვის, მშობლებისა და მზრუნველებისთვის.....237

გზამკვლევი მომხმარებლისთვის

გზამკვლევი მომხმარებლისთვის

სახელმძღვანელო ფასილიტატორებისთვის და სახელმძღვანელო „ძალადობის აღმოფხვრა სკოლებში – როგორ შევცვალოთ გარემო“, რომელსაც ის ეფუძნება, სწავლის ხუთსაფეხურიან სისტემას იყენებს. როგორც კვლევა გვიჩვენებს, ამ სისტემის წყალობით შესაძლებელია რეალური შედეგების მიღწევა და ცვლილებების შეტანა სკოლაში.

სწავლის საფეხურებია:

1. ცოდნის მიღება – უნარების შესწავლა;
2. ნასწავლის მოდელირება – პროცესების და ტექნიკის გამეორება;
3. პრაქტიკა – პროცესისა და ტექნიკის განხორციელება რეალურად;
4. ინფორმაციის გაცვლა სხვებთან – დადგენა სხვებისგან, თუ რამდენად ეფექტურია პროცესები და ტექნიკა;
5. განხორციელება – პრაქტიკის დახვეწა და სწავლებაში ცვლილების დანერგვა.

ფასილიტატორებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოს მეშვეობით ფასილიტატორი ორი საფეხურის განხორციელებას შეძლებს, ზოგ შემთხვევაში კი მესამე საფეხურსაც (პრაქტიკა) გაივლის, თუ მეცადინეობას გაგრძელება მოჰყვება და მონაწილეები პრაქტიკაში განახორციელებენ იმას, რაც ისწავლეს.

ხუთი საფეხურის კარგად გავლა იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ფასილიტატორი პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებულ მიდგომას გამოიყენებს. ამ მიდგომას დეტალურად გაეცნობით ფასილიტატორის გზამკვლევში. აქვეა მოცემული ხუთსაფეხურიანი სასწავლო პროცესის აღწერაც.

წინადადებები 1-5 საფეხურის გასავლელად

ტრენინგი 14 მეცადინეობისგან შედგება. თითოეული მეცადინეობა 2 საათს გრძელდება. სასწავლო მასალა იმგვარად არის შედგენილი, რომ ფასილიტატორს შეუძლია გადააადგილოს გაკვეთილები ან დააჯგუფოს ისინი, თავად გადაწყვიტოს, რომელი მეცადინეობები შეარჩიოს. ამას გარდა, ვინაიდან თითოეული საქმიანობა დამოუკიდებელი ხასიათისაა, შესაძლებელია მათი გაერთიანება და მორგება სხვა სკოლებისა და მათი საჭიროებისთვის, ანდა სხვა სასწავლო სიტუაციებში გამოყენება.

ტრენინგის მასალები

ტრენინგის მასალები შევსებულია სხვა დამატებითი რესურსებით, რომლებზეც კეთდება მითითებები; ამრიგად, შესაძლებელია საქმიანობის განვრცობა, თუკი საჭირო გახდება ან თუ მონაწილეები სახელმძღვანელოს რომელიმე ასპექტის უფრო ღრმად შესწავლას მოინდომებენ.

სასწავლო პროცესში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია კომპიუტერულ ვიდეომასალებს და „თეთრ დაფას“ ინტერნეტში. სასარგებლო იქნება, აგრეთე, თუკი ტრენინგი ისეთ ადგილას ჩატარდება, სადაც ხელმისაწვდომია ინტერნეტი.

ტრენინგისთვის საჭირო რესურსები

სავარჯიშოებისთვის ფასილიტატორებს დასჭირდებათ:

- ოთახი, რომელშიც შესაძლებელი იქნება სკამების გადაადგილება ისე, რომ თუ სავარჯიშო მოითხოვს, მონაწილეებმა გადაჯგუფება მოახერხონ;
- კომპიუტერი და საპროექციო ეკრანი/დაფა და პროექტორი სლაიდების საჩვენებლად;
- სახელმძღვანელოს ასლები;
- ფაილები შესაბამისი სავარჯიშოებისთვის;
- ფასილიტატორის გზამკვლევის ბუკლეტები და ასლები მონაწილეებისთვის დასარიგებლად.

ზოგიერთი სავარჯიშოსთვის ფასილიტატორს დასჭირდება:

- დასაწებებელი სტიკერები;
- დივიდი პლეიერი, კომპიუტერი/პროექტორი (ხმოვანი);
- ინტერნეტ-კავშირი კომპიუტერი/პროექტორისთვის;
- დასაწებებელი ქაღალდი შენიშვნებისთვის;
- კამათელი (ერთი სავარჯიშოსთვის).

ფასილიტატორების ტრენინგი – სამოდელო სემინარი-პროგრამა

სემინარები იმგვარად შეიძლება დაიგეგმოს, რომ სხვადასხვა ქვეყნის/რეგიონის/სკოლისთვის გამოდგეს. ტრენინგი მოდულებისგან შედგება და მისი მორგება ნებისმიერ მოთხოვნასთან არის შესაძლებელი.

ქვემოთ მოცემული მოდელი გამოდგება იმის მაგალითად, თუ როგორ შეიძლება დაიგეგმოს სემინარი: ტრენინგი ხუთდღენახევარი მიმდინარეობს, თავისი შემდგომი საქმიანობებით, რათა მოხდეს ტრენინგის პროგრამის მისადაგება სკოლის თანამშრომლებისთვის რეგიონული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

სემინარის მასწავლებლებს „ტრენინგის წარმმართველი ფასილიტატორები“ ჰქვიათ.

ამ სამოდელო სემინარს ექვსი კომპონენტი აქვს:

1. სემინარის ძირითადი იდეების პრეზენტაცია:
    - ევროპის საბჭო და გადამკვეთი პროგრამა: „ავაშენოთ ევროპა ბავშვებისთვის და ბავშვებთან ერთად“;
    - ევროპის საბჭოს საქმიანობის მიმოხილვა: ძალადობის აღმოფხვრა სკოლაში, ტრენინგის პაკეტი (შემდგომ ტექსტში — „სასწავლო პაკეტი“);
    - სასწავლო პაკეტის „ძალადობის აღმოფხვრა სკოლაში“ გაცნობა.
1. 14 მეცადინეობა ტრენინგზე
    - პროგრამის ბირთვია 14 მეცადინეობა. მეცადინეობა ჯგუფებში დაახლოებით ორ საათს გრძელდება. მეცადინეობები ჩამოთვლილია წინამდებარე ფასილიტატორის სახელმძღვანელოს იმ ფურცელზე, რომელზეც სარჩევია მოცემული. ისინი შედგენილია სახელმძღვანელოს თავებისა და ფასილიტატორის გზამკვლევის ნაწილების მიხედვით.

2. ვიზიტები სკოლებში და სხვა შესაბამის დაწესებულებებში.
3. პლენარული მეცადინეობები
   - ინფორმაციის გაცვლა და დისკუსიები მეცადინეობების გარშემო;
   - მეცადინეობების დაგეგმვა და ჩატარება;
   - ჩატარებული ვიზიტების განხილვა და გამოცდილების გაცვლა.
4. კონსულტაციები ყოველი დღის ბოლოს:
   - ინდივიდუალური მონაწილეების შეხვედრა ტრენინგის წარმმართველ ფასილიტატორებთან და მათთან ერთად გარკვეული საკითხების განხილვა.
5. შეფასება:
   - ფასილიტატორები, რომლებიც სემინარს ესწრებიან, თავისი ცოდნის, უნარების და საკითხის არსის ცოდნის შეფასებას (თვიშეფასებას) იწყებენ; ამას მოჰყვება სემინარისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მომზადება. სემინარის ბოლოს ისინი ხელმეორედ აკეთებენ შეფასებას, რათა დაადგინონ, მოახერხეს თუ არა წინსვლა. ეს კეთდება იმ სამუშაო გეგმის შედგენამდე, რომელიც ძლიერი ასპექტების განმტკიცებას ემსახურება. ამის შემდეგ ისინი ატარებენ ტრენინგს შესაბამის სასწავლო გარემოში.
   - თავად სემინარის შეფასება ყოველდღიურად კეთდება, რათა ტრენინგის წარმმართველმა ფასილიტატორებმა შეძლონ წინსვლის შემოწმება და პროგრამის შეცვლა სემინარზე დამსწრე ფასილიტატორებისგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.
   - ფასილიტატორების მიერ გაკეთებული საბოლოო შეფასება გვეხმარება სემინარის შედეგების შესწავლაში და გვაძლევს ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა დაიხვეწოს სამომავლოდ ტრენინგის მეცადინეობები და პაკეტი.

სამოდელო სემინარის პროგრამა

პირველი დღე	
9.00 - 12.30	მხოლოდ ტრენინგის წარმმართველი ფასილიტატორები და ორგანიზატორები: სემინარის მეცადინეობების გამეორება.
12.30	ლანჩი ტრენინგის წარმმართველი ფასილიტატორებისა და ორგანიზატორებისთვის.
16.00 - 17.00	მონაწილეების აღრიცხვა და რეგისტრაცია
18.00 - 18.30	სემინარის ოფიციალური გახსნა: – მონაწილეების გაცნობა; – ე.წ. „მოთელვის“ სავარჯიშო.
18.30 - 19.00	ძირითადი იდეის წარმოდგენა: ევროპის საბჭოს პროგრამის „ავაშენოთ ევროპა ბავშვებისთვის და ბავშვებთან ერთად“ პრეზენტაცია.

18.30 - 19.00	ინფორმაცია სასწავლო პაკეტის შესახებ: – მასალებისა და სემინარის პროგრამის გაცნობა; – მთელი კვირის საქმეების დაგეგმვა; – საერთაშორისო/რეგიონული მასშტაბის შეხვედრის/ საღამოსა და ადგილობრივი ვიზიტების მომზადება.
19.30 - 20.30	სადილი (მონაწილეებს შესთავაზებენ, რომ ადგილები შეიცვალონ ყოველი კერძის შემდეგ, რათა რაც შეიძლება მეტი ადამიანი შეხვდეს ერთმანეთს).
21.00 - 22.00	ბარი ღიაა – ღია ფორუმი ორგანიზატორებსა და ტრენინგის წარმმართველ ფასილიტატორებთან შესახვედრად.

მეორე დღე	
08.00	საუზმე
09.00	პლენარული მეცადინეობა: – შესავალი; – „მოთელვის“ სავარჯიშო
09.30 - 10.30	ძირითადი იდეის — „ძალადობის აღმოფხვრა სკოლებში - როგორ შევცვალოთ გარემო“ — პრეზენტაცია: – სასწავლო პაკეტის მიმოხილვა; – სემინარები.
10.30 – 11.30	პლენარული მეცადინეობა: მეცადინეობა 1: პირადი გეგმის შედგენა სემინარისთვის და ძალადობის არსებული მდგომარეობის შეფასება (სამუშაო ჯგუფებში) რა დონეზეა ამჟამად თქვენი უნარი, როგორც ფასილიტატორისა? რის სწავლას მოელით სემინარზე? ძალადობასთან დაკავშირებული რომელი საკითხებია აქტუალური თქვენს ქვეყანაში/რეგიონში? გადაწყდა თუ არა რომელიმე საკითხი?
11.30 - 12.30	პლენარული მეცადინეობა: სამუშაო ჯგუფების მიერ დანახული პრობლემები და მათი გადაწყვეტა (პრეზენტაციები) შემდეგი კუთხით: – სწავლაზე ზემოქმედების ფაქტორები; – ჩარევის ეფექტურობა. თითოეული ჯგუფი აჯამებს თავის განხილვას ფასილიტატორის დახმარებით.
12.30	ლანჩი

14.00 - 16.00 *(შესაძლებელია ფინჯანი ჩაის ან ყავის დალევა)*	მეცადინეობა 2: ფასილიტატორის გზამკვლევი — ტრენინგის მეთოდოლგია. სამუშაო ჯგუფები: – სწავლების ხუთსაფეხურიანი სისტემა; – სწავლის მეთოდები; – კონფლიქტის მოგვარებაზე ორიენტირებული მიდგომა.
16.00 - 18.00	მეცადინეობა 3: ტრენინგის მეთოდოლგია სამუშაო ჯგუფები: – ეფექტიანი ჯგუფური მუშაობა; – ტრენინგის ფორმები; – კონფლიქტის მოგვარება.
18.00 - 18.15	სამუშაო დღის განხილვა და შეფასება.
19.00 - 22.00	საღამო - ვახშამი (მონაწილეები წარმოადგენენ თავიანთი ქვეყნების ეროვნულ სიმღერას, ცეკვას, საკვებს, სასმელს, კოსტიუმებს და ღირსშესანიშნავი ძეგლების ფოტოებს).

მესამე დღე	
08.00	საუზმე
09.00 – 11.00	მეცადინეობა 4: დაწყება – ევროპული ხედვა სკოლაში ძალადობისა და ქცევის ცვლილებაზე ზემოქმედების მომხდენ ფაქტორებთან დაკავშირებით. სამუშაო ჯგუფები.
11.00 – 12.30 *(შესაძლებელია ფინჯანი ჩაის ან ყავის დალევა)*	მეცადინეობა 5: უფრო მეტის გაგება – კარგად ორგანიზებული სკოლა და სკოლის თვითშეფასების ინსტრუმენტის როლი. პლენარული მეცადინეობა
12.30	ლანჩი
14.00 -16.00	მეცადინეობა 6: თვითშეფასების ინსტრუმენტის განხილვა და გამოყენება. სამუშაო ჯგუფები: – პრაქტიკაში გამოსაყენებელი თვითშეფასების ტექნიკა; – სამუშაო გეგმის ეფექტიანად დაგეგმვა და მონიტორინგის განხორციელება, აუდიტი.

16.15 – 17.15 *(შესაძლებელია ფინჯანი ჩაის ან ყავის დალევა)*	მეცადინეობა 7: თვითშეფასების მორგება ადგილობრივ პრიორიტეტებთან. სამუშაო ჯგუფები: – e-ViRiS თვითშეფასება და მისი გამოყენება; – თვითშეფასების ინსტრუმენტის გამოყენება სკოლაში.
17.15 – 17.30	სამუშაო დღის განხილვა და შეფასება.
17.45 – 19.45	ადგილობრივი ღირშესანიშნავი ძეგლების დათვალიერება.
20.00 - 21.00	სადილი
21.30 – 22.30	საღამო ბართან - ღია ფორუმი ტრენინგის წარმმართველ ფასილიტატორებთან და ორგანიზატორებთან შესახვედრად.

მეოთხე დღე	
08.00	საუზმე
09.00 - 11.00	მეცადინეობა 8: შეთანხმება პოლიტიკაზე და მისი გატარება – ძალადობისგან თავისუფალი კლიმატის შექმნა სკოლაში საშუალო სკოლებში ერთიანი პოლიტიკის გატარების გზით. სამუშაო ჯგუფები.
11.00 – 13.00 *(შესაძლებელია ფინჯანი ჩაის ან ყავის დალევა)*	მეცადინეობა 9: რა უნდა ისწავლებოდეს სკოლაში? გამოვიყენოთ სკოლის პროგრამა ძალადობის შემცირების ხელშესაწყობად და გამოვასწოროთ ქცევა, რომ მოსწავლეებმა უკეთ ისწავლონ. სამუშაო ჯგუფები.
13.00	ლანჩი
14.30 – 16.30	მეცადინეობა 10: ჩავრთოთ მოსწავლეები — შევიმუშაოთ სტრატეგია, რომელსაც მოსწავლეები გაატარებენ ძალდობის შესამცირებლად, და გამოვასწოროთ მოსწავლეთა ქცევა სკოლაში. სამუშაო ჯგუფები.
16.30 – 18.45	მეცადინეობა 11: ბავშვების დაცვა – უსაფრთხო გარემოს შექმნა სკოლაში. სამუშაო ჯგუფები

18.30 – 18.45	სამუშაო დღის განხილვა და შეფასება.
20.00	სადილი
21.00 – 22.30	ბარი – ღია ფორუმი, სადაც შესაძლებელია ტრენინგის წარმმართველი ფასილიტატორებისა და ორგანიზატორებისგან რჩევების მიღება.

მეხუთე დღე	
08.00	საუზმე
09.00	პლენარული მეცადინეობა. ანგარიშების წარმოდგენა ჯგუფებისგან – გამოცდილების გაზიარება და მოკლე შეჯამება.
09.30 - 11.30 *(11 სთ-ზე შესაძლებელია ფინჯანი ჩაის ან ყავის დალევა)*	მეცადინეობა 12: სკოლის მასწავლებელთა/თანამშრომელთა მხარდაჭერა – ძალადობის შემცირების/მოსწავლეთა ქცევის გამოსწორების სატრენინგო პროგრამის შემუშავება სკოლის მასწავლებლებისთვის/თანამშრომლებისთვის. სამუშაო ჯგუფები.
12.30	ლანჩის მომზადება თან წასაღებად.
12.30 – 16.30	მცირე ჯგუფი გამცილებლებთან ერთად მიდის ადგილობრივ სკოლაში. მიზანი: ყურადღების გამახვილება ამოცანის რეალურობის შესწავლაზე; იმის დადგენა, ტარდება თუ არა ძალადობის შემცირების სტრატეგია.
16.30 - 17.00	პლენარული მეცადინეობა. ვიზიტებისას მიღებული გამოცდილების გაზიარება სემინარის 1-12 მეცადინეობებთან დაკავშირებით და 13-14 მეცადინეობების მოსამზადებლად.
17.00 - 19.00	მეცადინეობა 13: მშობლებთან/მზრუნველებთან მუშაობა – თანამშრომლობის დამყარება და შენარჩუნება. მონაწილეების ჩართვა. სამუშაო ჯგუფები.
19.00 – 19.15	სამუშაო დღის განხილვა და შეფასება.

20.00	სადილი
21.00 - 22.30	ბარი – ღია ფორუმი, სადაც შესაძლებელია ტრენინგის წარმმართველი ფასილიტატორებისა და ორგანიზატორებისგან რჩევების მიღება.

მეექვსე დღე	
08.00	საუზმე
09.00 – 11.30	მეცადინეობა 14: ადგილობრივი თანამშრომლობის განვითარება — ქმედითი სტრატეგიის შექმნა თანამშრომლობის ქსელების გასააქტიურებლად.
09.00 – 11.30 *(11 სთ-ზე შესაძლებელია ფინჯანი ჩაის ან ყავის დალევა)*	პლენარული მეცადინეობა – მუშაობის გაფართოების დაგეგმვა და არსებული მხარდაჭერის გაძლიერება.
12.30	ლანჩი
14.00 – 16.00	მონაწილეები სამუშაო გეგმას ადგენენ საკუთარ ქვეყანაში ტრენინგების გასაგრძელებლად; შესაძლებელია კონსულტაციების მიღება ტრენინგის წარმმართველი ფასილიტატორებისგან.
16.00 – 17.00	ბოლო პლენარული მეცადინეობა: – სემინარის დასრულება; – ინფორმაციის გაცვლა და ანგარიშების მომზადება.
19.00	მასპინძლების მიერ ორგანიზებული ოფიციალური მიღება.
20.00	სადილი სემინარზე.

მეშვიდე დღე	
08.00	საუზმე; დამშვიდობება და გამგზავრება.

პირველი მეცადინეობა

სემინარის პირადი დაგეგმვა და სკოლაში ძალადობასთან დაკავშირებით არსებული საკითხების შეფასება

გეგმა ფასილიტატორებისთვის
(2 საათი)

ზოგადი ნაწილი

ეს მეცადინეობა იმართება სემინარის გახსნისას, მთავარი პრეზენტაციის შემდეგ. ფასილიტატორებს შესაძლებლობა მიეცემათ, შეაფასონ, თუ რამდენად კარგად ესმით საკითხის არსი და დაგეგმონ, თუ რისი შესწავლა აქვთ მიზნად. ფასილიტატორები ავსებენ თვითშეფასების ფორმას, რომელიც ეყრდნობა პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებულ მიდგომას. შემდეგ მათ შესაძლებლობა ექნებათ, გააკეთონ მოკლე პრეზენტაციები და ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება ძირითად საკითხებზე.

ტრენინგების თანამიმდევრობა	ხანგრძლივობა
თვითშეფასების ფორმის ზოგადი მიმოხილვა და მის შესავსებად საჭირო დრო	20 წუთი
სამუშაო ჯგუფის დისკუსია: ძირითადი საკითხები, რომლებიც სკოლაში გავრცელებულ ძალადობას ეხება; პრეზენტაციების მომზადება	40 წუთი
სამუშაო ჯგუფების მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციები	40 წუთი
შეჯამება ფასილიტატორების მიერ	20 წუთი

მეცადინეობის შედეგები

- ფასილიტატორის სახელმძღვანელოს არსში გარკვევა;
- პირადი კომპეტენციების ცოდნა;
- პირადად შესასწავლი საკითხების დაგეგმვა სემინარის მსვლელობისას;
- ძალადობასთან დაკავშირებული ზოგიერთი პრობლემის ანალიზი.

ტრენინგის თანამიმდევრობა

შესავალი (5 წუთი)

PowerPoint 1.1. – აუხსენით ფასილიტატორებს თვითშეფასების ფორმა: ეს არის მათი პირადი დოკუმენტი, რომელიც არ არის აუცილებელი სხვებსაც გაუზიარონ. იგი დაეხმარება მათ, მოემზადონ იმისათვის, რასაც სემინარის მსვლელობისას გაარკვევენ, ანუ რომ მეთოდოლოგია სასწავლო პაკეტის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია, რომ ის შეესაბამება ნებისმიერ ტრენინგის და რომ ფასილიტატორებს მისი გამოყენება შეუძლიათ ნებისმიერი სასწავლო კურსისა თუ ტრენინგის ჩატარებისას.

შესავალ მეცადინეობაზე განმარტებული იქნება თვითშეფასების პროცესი. მას შემდეგ, რაც მონაწილეები შეავსებენ თვითშეფასების თავდაპირველ ფორმას, ისინი ჩამოთვლიან მათი, როგორც ფასილიტატორების, ძლიერ მხარეებს, ასევე იმას, რისი გაუმჯობესებაც ყველაზე მეტად სურთ. შეფასების საბოლოო ფორმას მონაწილეები სემინარის დასასრულს შეავსებენ, ისინი ასევე შეიმუშავებენ შემდგომ სამოქმედო გეგმას.

სავარჯიშო 1.1 (15 წუთი)

სთხოვეთ ფასილიტატორებს, წაიკითხონ შესავალი და შეავსონ თავიანთი უნარების თვითშეფასების თავდაპირველი ფორმა.

დისკუსია (40 წუთი)

PowerPoint 1.2. თითოეულმა ჯგუფმა უნდა იმსჯელოს თემაზე: დღეს ქვეყნისა თუ რეგიონის წინაშე რა საკითხები დგას, რაც სკოლაში ძალადობას უკავშირდება? ამის შემდეგ ჯგუფებმა უნდა მოამზადონ პოსტერები, რათა მიღებული მონაცემები ორი საერთო სათაურის ქვეშ დააჯგუფონ:

- სწავლაზე ზემოქმედების ფაქტორები;
- ჩარევის ეფექტიანობა.

პლენარული მეცადინეობა (60 წუთი)

PowerPoint 1.3. პლენარული დისკუსიისთვის ჯგუფები უნდა გაერთიანდნენ. თითოეული ჯგუფი აკეთებს მოკლე პრეზენტაციას, რომელიც ეყრდნობა მათ მიერ მომზადებულ პოსტერს. ფასილიტატორი დისკუსიას იწყებს მთავარ საკითხებზე და მოკლე შეჯამებას აკეთებს თითოეული პრეზენტაციისა და დისკუსიის შემდეგ. ამ ეტაპზე ჩვენ ძირითადად პრობლემები გვაინტერესებს. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ საუბარი დაიწყება პრობლემის მოგვარებაზე ან ინიციატივებზე, ეს შემთხვევა გამოყენებული უნდა იქნეს და უნდა გაიმართოს დისკუსია.

სასარგებლო რჩევები ფასილიტატორს

ხაზი გაუსვით იმას, რომ თვითშეფასების ფორმა სტილით განსხვავდება იმ ჩვეულებრივი შეფასებისგან, რასაც სემინარებზე იყენებენ ხოლმე. შეკითხვას — „რატომ არ არის თქვენი მთლიანი ქულა ერთით ნაკლები მაინც?“ — შეიძლება განმარტება დასჭირდეს. ეს პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული მიდგომის ერთ-ერთი სტრატეგიაა, რომელიც ადამიანებს ეხმარება თავიანთი სიძლიერის ამოცნობაში — ეს პროგრამა სწორედ სიძლიერეზე და არა მხოლოდ სუსტი ასპექტების გამოსწორებაზე ამახვილებს ყურადღებას.

მოსალოდნელია, რომ პირველი დისკუსიის მსვლელობისას მრავალი საკითხი წამოიჭრას. უნდა დავეხმაროთ მონაწილეებს, რომ პრეზენტაციებში ყურადღება გაამახვილონ სწავლაზე ზემოქმედების საკითხზე და ჩარევის ეფექტურობაზე, რადგან ჩვენ ადრეულ ეტაპზევე გვინდა პრობლემის ერთობლივად განხილვა.

დასასრულ თქვენმა შემაჯამებელმა გამოსვლამ საერთო პრობლემები უნდა წარმოაჩინოს.

დამატებითი რესურსები

არ არის.

ფასილიტატორის უნარების თვითშეფასება და სამოქმედო გეგმა

სახელი, გვარი_____ თარიღი _____

მას შემდეგ, რაც პროგრამის მასალებს გაეცნობით, შეავსეთ თქვენი უნარების თავდაპირველი თვითშეფასების ფორმა. თქვენ არ მოგეთხოვებათ მისი სხვისთვის ჩვენება. ამ შედეგებს სემინარის მსვლელობისას გამოიყენებთ.

თვითშეფასების მიზანია თქვენი, როგორც ფასილიტატორის, სიძლიერის დადგენა. ამის გაკეთება მნიშვნელოვანია ისევე, როგორც იმის გააზრება, თუ რა დაგჭირდებათ ამ როლის შესასრულებლად. შეფასება წარმოაჩენს იმ სფეროებს, რომელთა გამოსწორებასაც შეძლებდით. ამას გარდა, ის დაგაფიქრებთ იმაზე, თუ რა მოეთხოვებათ ფასილიტატორებს ამ სასწავლო პაკეტის — „ძალადობის აღმოფხვრა სკოლებში“ – ფარგლებში.

კითხვები შედგენილია პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული მიდგომის საფუძველზე და ემყარება ქვემოთ მოტანილ ქცევის კოდექსსა და პროფესიულ სტანდარტებს ფასილიტატორთათვის.

ფასილიტატორთა ქცევის კოდექსი

ფასილიტატორისგან ყოველთვის მოელიან, რომ ის თავისი ქცევით მონაწილეების პატივისცემას და მადლიერებას დაიმსახურებს და მათ სწავლის საუკეთესო საშუალებასაც მისცემს. ქვემოთ ჩამოთვლილი სხვადასხვა მოლოდინი ფასილიტაციის საუკეთესო პრაქტიკას ასახავს. ეს დებულებები სავალდებულოა ფასილიტატორებისთვის.

მეცადინეობისთვის სათანადოდ მოემზადეთ, შეადგინეთ მისი გეგმა და მოიმარაგეთ ყველა საჭირო მასალა წინასწარ, ბოლო წუთში რომ არ მოგიხდეთ პრობლემების მოგვარება.

მეცადინეობაზე გამოცხადდით დროზე ადრე და დარწმუნდით, რომ სასწავლო ოთახი და მასალები მომზადებულია.

თბილად მიესალმეთ მონაწილეებს და სწავლისთვის სასიამოვნო, მშვიდი გარემო შექმენით.

დაიწყეთ მეცადინეობა დანიშნულ დროს.

- დარწმუნდით, რომ გესმით და მხედველობაში იღებთ მონაწილეების საჭიროებებს და მიუსადაგეთ მეცადინეობა მათ მოთხოვნილებებს;
- ჯგუფის ყველა მონაწილე ჩართეთ სწავლის პროცესში; ყველას თანაბარი პატივისცემით მოეპყარით და დააფასეთ მათი წვლილი მუშაობაში;
- მონაწილეები ხშირად შეაქეთ და წაახალისეთ, რათა მათ იგრძნონ საკუთარი თავის რწმენა და კმაყოფილი დარჩნენ სწავლით;
- გამოიყენეთ სწავლების სხვადასხვა ხერხი, რათა დააკმაყოფილოთ სხვადასხვა

გამოცდილებისა და ცოდნის მქონე მონაწილეთა საჭიროებები;

- მთელი ჯგუფისთვის შეათანხმეთ და განახორციელეთ ძირითადი ნორმები; თქვენ პირადად ყოველთვის შეასრულეთ ეს წესები;
- მშვიდად და მტკიცედ მოაგვარეთ არეულობა მეცადინეობაზე. როგორც კი კონფლიქტის ნიშნებს შეამჩნევთ, მაშინვე მიიღეთ ზომები და მოაგვარეთ საქმე. შეინარჩუნეთ სიმშვიდე და მოიქეცით თავაზიანად ნებისმიერ სიტუაციაში;
- ჩაეტიეთ მეცადინეობისთვის განკუთვნილ დროში, დაამთავრეთ გაკვეთილი ისე, რომ საკმარისი დრო დაგრჩეთ საშინაო დავალების ასახსნელად.

ფასილიტატორთა პროფესიული სტანდარტები

ესა თუ ის პროფესია ადგილს იმკვიდრებს და პატივისცემასაც იმსახურებს იმ შემთხვევაში, თუკი დარგის პროფესიონალები მაღალ სტანდარტებს აწესებენ და მათ მისაღწევად ერთმანეთს მხარშიც უდგანან. თუ ფასილიტატორები ამას ეფექტიანად გაართმევენ თავს, მათ შეეძლებათ იამაყონ თავიანთი მიღწევებით და მადლობაც დაიმსახურონ მონაწილეებისა და საზოგადოებისგანაც იმ გარჯისთვის, რასაც ბავშვების ცხოვრების გასაუმჯობესებლად ეწევიან.

ქვემოთ ჩამოთვლილია ის პიროვნული თვისებები და კომპეტენციები, რომლებიც „სკოლაში ძალადობის აღმოფხვრის“ ტრენინგის ფასილიტატორებს მოეთხოვებათ. ტრენინგი მიზნად ისახავს, რომ ფასილიტატორებს დახმარება გაეწიოთ ამ თვისებებისა და კომპეტენციების განვითარებასა და მათ გამოყენებაში, რათა ფასილიტატორებმა:

- თანაგრძნობა გამოიჩინონ მონაწილეებისა და მათი სკოლების საჭიროებებისადმი, ინტერესი გამოამჟღავნონ და შეშფოთება გამოხატონ მონაწილეების მდგომარეობის გამო; მათ ასევე უნდა ეტყობოდეთ, რომ დიდი სურვილი აქვთ, დაეხმარონ მონაწილეებს ძალადობასთან გასამკლავებლად მათი უნარების განმტკიცებაში;
- გამოიყენონ კომუნიკაციის უნარები და ყურადღებით მოუსმინონ, აქტიურად გამოიყენონ ვიზუალური და პრაქტიკული დამხმარე მასალები; ილაპარაკონ და წერონ ნათლად და ლაკონურად; გამოიყენონ სათანადო ჟესტიკულაცია, მიმიკა და გამოთქმები იმ მიზნით, რომ ენთუზიაზმი გააღვიძონ მონაწილეებში და გააააქტიურონ ისინი;
- ეფექტიანად გამოიყენონ ტრენინგის ხუთსაფეხურიანი მეთოდოლოგია აქტიური შესწავლისთვის, ნათელი და ლაკონური პრეზენტაციებით, წარმოსახვითი მოდელირების გამოყენებით, პრაქტიკული სავარჯიშოებით, ინფორმაციის გაცვლით; ფასილიტატორებმა უნდა დააჩქარონ სწავლების პროცესი;
- ფასილიტატორებს უნდა სჯეროდეთ, რომ კომპეტეტური არიან და კარგად ესმით საკითხის არსი;
- ფასილიტატორები იყენებენ პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებულ მიდგომას პროგრამის თეორიულ ნაწილში და მაშინაც, როცა მონაწილეებს პრობლემების გადაწყვეტაში ეხმარებიან;
- ფასილიტატორებისთვის სავალდებულო უნდა იყოს ქცევის კოდექსი და ისინი ქცევის პირად მაღალ სტანდარტებს უნდა აწესებდნენ, პატივისცემით უნდა ეპყრობოდნენ სხვებს და საპასუხოდ მონაწილეებისგანაც იმავეს უნდა იღებდნენ;
- ფასილიტატორებმა საფუძვლიანად უნდა დაგეგმონ მეცადინეობები ინდივიდუალური და ჯგუფური საჭიროებების გათვალისწინებით და ეფექტიანად მოახდინონ მათზე რეაგირება;
- ფასილიტატორებმა ისე უნდა ჩაატარონ მეცადინეობები, რომ სწავლამ კარგად ორგანიზებულ და მიზანდასახულ გარემოში მაქსიმალური სარგებლობა მოიტანოს და, ამავე დროს, გათვალისწინებულ იქნეს ის ფაქტი, რომ ინდივიდები სწავლის

სხვადასხვა მეთოდს აძლევენ უპირატესობას; ფასილიტატორებმა ხელი უნდა შეუწყონ მონაწილეებს, რომ მათ დამოუკიდებლად ისწავლონ;

- ფასილიტატორებმა უნდა გამოიყენონ ინკლუზიური ფასილიტაციის სტილი. მათ ყოველი მონაწილის საჭიროებას თანაბრად უნდა შეხედონ და პატივი სცენ კულტურულ, რელიგიურ, სოციალურ-ეკონომიკურ და გენდერულ მრავალფეროვნებას;
- ფასილიტატორებმა რეგულარულად უნდა განახორციელონ მონიტორინგი ჯგუფის მუშაობაზე იმ მიზნით, რომ შეამოწმონ, აუმჯობესებს თუ არა მონაწილეების საქმიანობას მეცადინეობები; ფასილიტატორებმა სისტემატურად უნდა შეაფასონ საკუთარი მუშაობა მონაწილეებისა და კოლეგებისგან მიღებულ შენიშვნებსა და ინფორმაციაზე დაყრდნობით, რათა გააუმჯობესონ და განამტკიცონ თავიანთი საქმიანობა.

არსებობს ერთი კითხვა, რომელიც უშუალოდ პროფესიული სტანდარტების ჩამონათვალიდან არ გამომდინარეობს, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, კერძოდ: „როგორ აფასებთ თქვენს უნარს, აღიაროთ, რომ არ შეგიძლიათ დახმარების გაწევა პრობლემის მოგვარებაში და შესთავაზოთ ადამიანებს, რომ მათ სხვა წყაროს მიმართონ დახმარებისთვის?“

მიუხედავად იმისა, რომ თქვენგან, როგორც ფასილიტატორისგან, ბევრს მოელიან და რომ უნდა ამჟღავნებდეთ პროფესიონალიზმის მაღალ სტანდარტებს, ყოველი ჩვენგანისთვის მნიშვნელოვანია საკუთარი შესაძლებლობების ზღვრის ცოდნა. არავინ მოელის, რომ თქვენ იდეალური ხართ და რომ ყველანაირი სირთულის დაძლევა შეგიძლიათ. თქვენ უბრალოდ ადამიანი ხართ და ძალას არ იშურებთ, რომ მაქსიმუმი გააკეთოთ.

ასე რომ, კითხვებზე პასუხის გაცემისას რეალისტური იყავით. ნუ იქნებით ზედმეტად მორიდებული. რაც უფრო ზუსტად შეაფასებთ თავს, მით უფრო მეტად შეგეძლებათ საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნება და იმის დადგენა, თუ განსაკუთრებით რომელი უნარების გაუმჯობესება გსურთ. ახლა თუ გააკეთებთ ამას და ყურადღებას თქვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ასპექტებზე გაამახვილებთ, სემინარიდან მაქსიმალურ სარგებელს მიიღებთ.

სემინარის დასასრულს

სემინარის დასრულების შემდეგ, ამ სასწავლო პაკეტის ფარგლებში მოცემულ მეორე კითხვარში, იმავე კითხვებზე მოგიწევთ პასუხის გაცემა.

შესაძლებლობა გექნებათ, თქვენი პასუხები მიღწევებთან შეადაროთ. ეს დაგეხმარებათ მიღწევების განმტკიცებაში და თქვენი, როგორც ფასილიტატორის, პროფესიული განვითარების შემდგომ დაგეგმვაში.

სემინარის დასასრულს თქვენ შეძლებთ დაადგინოთ, მიაღწიეთ თუ არა დასახულ მიზანს. ყოველი ნაწილის შემდეგ პასუხი უნდა გასცეთ კითხვას: „მიაღწიეთ თუ არა გაუმჯობესებას სემინარის დროს?“.

შემდეგ თქვენ შეგიძლიათ გადაწყვიტოთ სამუშაო გეგმის თანმიმდევრობა და ბოლო ფურცელზე აღნიშნოთ სამი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი.

ფასილიტატორის უნარების თავდაპირველი თვითშეფასება – სემინარის დაწყებამდე

გაეცით პასუხი შემდეგ კითხვებს (გამოიყენეთ სკალა 0-დან 10-მდე, სადაც 0 არის სრული უუნარობა, ხოლო 10 – ყველაზე მაღალი უნარი, რომლის დემონსტრირებაც შეგიძლიათ)

	ქულები 0 -10
1. როგორ აფასებთ:	
- თქვენი თანაგრძნობის უნარს მონაწილეებისადმი, რომლებსაც სურთ სკოლაში ძალადობის აღმოფხვრა?	
- უნარს, გამოხატოთ ინტერესი და შეშფოთება მონაწილეების საჭიროებებისადმი?	
- მზადყოფნას, დაეხმაროთ მონაწილეებს, რომ გაიუმჯობესონ უნარები ძალადობის აღმოსაფხვრელად?	
სულ	
„რატომ არ არის თქვენი მთლიანი ქულა ერთით ნაკლები მაინც?“	
რისი გაკეთება დაგჭირდებოდათ იმისთვის, რომ ერთი ქულა მოგემატებინათ ქულების მთლიანი რაოდენობისთვის? **მიღწეულია თუ არა ეს სემინარის დროს? დიახ/არა** (მოგვიანებით დაუბრუნდებით ამ შეკითხვას)	
2. როგორ აფასებთ თქვენს უნარს:	
- მოუსმინოთ ადამიანებს.	
- ესაუბროთ მსმენელებს მათთვის გასაგებ ენაზე.	
- გამოიყენოთ თვალსაჩინო მასალა ილუსტრაციისთვის.	
- გამოიყენოთ ჟესტიკულაცია და მიმიკა მონაწილეებში ენთუზიაზმის გასაღვიძებლად და მათ გასააქტიურებლად.	
- წეროთ გასაგებად და ლაკონურად	
სულ	
„რატომ არ არის თქვენი მთლიანი ქულა ერთით ნაკლები მაინც?“	
რისი გაკეთება დაგჭირდებოდათ იმისთვის, რომ ერთი ქულა მოგემატებინათ ქულების მთლიანი რაოდენობისთვის? **მიღწეულია თუ არა ეს სემინარის დროს? დიახ/არა**	
3. როგორ აფასებთ თქვენს უნარს:	
- წარმოადგინოთ ნათელი და ლაკონური პრეზენტაციები.	
- მოიტანოთ შესაბამისი მაგალითი ილუსტრაციისთვის.	

- შეარჩიოთ სათანადო პრაქტიკული სავარჯიშო მონაწილეების ცოდნის გასაღრმავებლად.	
- მიაწოდოთ მონაწილეებს ინფორმაცია, რომელიც სასარგებლო იქნება მათთვის.	
- მონაწილეებისგან მიიღოთ და გამოიყენოთ შენიშვნები და ინფორმაცია თქვენს მუშაობაზე.	
სულ	
„რატომ არ არის თქვენი მთლიანი ქულა ერთით ნაკლები მაინც?“	
რისი გაკეთება დაგჭირდებოდათ იმისთვის, რომ ერთი ქულა მოგემატებინათ ქულების მთლიანი რაოდენობისთვის? **მიღწეულია თუ არა ეს სემინარის დროს? დიახ/არა**	
4. როგორ აფასებთ თქვენს უნარს:	
- გაიაზროთ მთავარი შესასწავლი ასპექტები პროგრამაში „ძალადობის აღმოფხვრა სკოლებში“.	
„რატომ არ არის თქვენი მთლიანი ქულა ერთით ნაკლები მაინც?“	
რისი გაკეთება დაგჭირდებოდათ იმისთვის, რომ ერთი ქულა მოგემატებინათ ქულების მთლიანი რაოდენობისთვის? **მიღწეულია თუ არა ეს სემინარის დროს? დიახ/არა**	
5. როგორ აფასებთ თქვენს უნარს:	
- გამოიყენოთ პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული მიდგომა პროგრამის თეორიულ ნაწილში.	
- გამოიყენოთ პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული მიდგომა იმ მონაწილეებთან, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ პრობლემების მოსაგვარებლად.	
- აღიაროთ, რომ არ შეგიძლიათ დახმარების გაწევა და შესთავაზოთ დახმარების სხვა წყაროების გამოყენება.	
სულ	
„რატომ არ არის თქვენი მთლიანი ქულა ერთით ნაკლები მაინც?“	
რისი გაკეთება დაგჭირდებოდათ იმისთვის, რომ ერთი ქულა მოგემატებინათ ქულების მთლიანი რაოდენობისთვის? **მიღწეულია თუ არა ეს სემინარის დროს? დიახ/არა**	
6. როგორ აფასებთ თქვენს უნარს:	
- დაიცვათ ქცევის კოდექსი, რომელიც პროგრამის „ძალდობის აღმოფხვრა სკოლაში“ ფასილიტატორებისთვის არის განკუთვნილი.	

- დააწესოთ მაღალი პროფესიული სტანდარტები.	
- პატივისცემით მოეპყროთ სხვებს.	
სულ	
„რატომ არ არის თქვენი მთლიანი ქულა ერთით ნაკლები მაინც?“	
რისი გაკეთება დაგჭირდებოდათ იმისთვის, რომ ერთი ქულა მოგემატებინათ ქულების მთლიანი რაოდენობისთვის? **მიღწეულია თუ არა ეს სემინარის დროს? დიახ/არა**	
7. როგორ აფასებთ თქვენს უნარს:	
- დეტალურად დაგეგმოთ მეცადინეობები.	
- გაითვალისწინოთ მონაწილეთა საჭიროებები დაგეგმვის დროს.	
სულ	
„რატომ არ არის თქვენი მთლიანი ქულა ერთით ნაკლები მაინც?“	
რისი გაკეთება დაგჭირდებოდათ იმისთვის, რომ ერთი ქულა მოგემატებინათ ქულების მთლიანი რაოდენობისთვის? **მიღწეულია თუ არა ეს სემინარის დროს? დიახ/არა**	
8. როგორ აფასებთ თქვენს უნარს, მონაწილეებს მაქსიმალურად გადასცეთ ცოდნა შემდეგი საშუალებებით:	
- სემინარის ორგანიზება.	
- ყურადღების შენარჩუნება მეცადინეობის მიზანზე.	
- მონაწილეების წაქეზება იმისთვის, რომ დამოუკიდებელად ისწავლონ.	
სულ	
„რატომ არ არის თქვენი მთლიანი ქულა ერთით ნაკლები მაინც?“	
რისი გაკეთება დაგჭირდებოდათ იმისთვის, რომ ერთი ქულა მოგემატებინათ ქულების მთლიანი რაოდენობისთვის? **მიღწეულია თუ არა ეს სემინარის დროს? დიახ/არა**	
9. როგორ აფასებთ თქვენს უნარს, მონაწილეებს მაქსიმალურად გადასცეთ ცოდნა შემდეგი საშუალებებით:	
- ინკლუზიური ფასილიტაციის სტილის გამოყენება.	
- თითოეული მონაწილის საჭიროებების თანაბრად გათვალისწინება.	
- კულტურული, რელიგიური, სოციალურ-ეკონომიკური და გენდერული მრავალფეროვნების პატივისცემა.	

სულ	
„რატომ არ არის თქვენი მთლიანი ქულა ერთით ნაკლები მაინც?“	
რისი გაკეთება დაგჭირდებოდათ იმისთვის, რომ ერთი ქულა მოგემატებინათ ქულების მთლიანი რაოდენობისთვის? **მიღწეულია თუ არა ეს სემინარის დროს? დიახ/არა**	
10. როგორ აფასებთ თქვენს უნარს:	
- მონიტორინგი განახორციელოთ მეცადინეობებზე და შეაფასოთ ჯგუფის პროგრესი.	
- შეაფასოთ თქვენი საკუთარი მუშაობა.	
- გააუმჯობესოთ თქვენი მუშაობა ძლიერი ასპექტების განმტკიცების გზით.	
- გააუმჯობესოთ თქვენი მუშაობა სუსტი ასპექტების გამოსწორების გზით.	
სულ	
„რატომ არ არის თქვენი მთლიანი ქულა ერთით ნაკლები მაინც?“	
რისი გაკეთება დაგჭირდებოდათ იმისთვის, რომ ერთი ქულა მოგემატებინათ ქულების მთლიანი რაოდენობისთვის? **მიღწეულია თუ არა ეს სემინარის დროს? დიახ/არა**	

ტრენინგის განმავლობაში განვითარების მიზნები

თვალი გადაავლეთ თქვენს პასუხებს და დაფიქრდით, რა არის:

- თქვენი, როგორც ფასილიტატორის, სამი ძლიერი ასპექტი?

1.

2

3.

- სამი ასპექტი, რისი გამოსწორებაც ყველაზე საჭიროა?

1.

2.

3.

შეინახეთ შეფასების ფორმა სემინარის მსვლელობისას. თქვენ ის დაგჭირდებათ სემინარის დასასრულს პირადი შეფასების ფორმის შესავსებად. თქვენ შეადარებთ ტრენინგამდე და ტრენინგის შემდეგ გაკეთებულ შეფასებებს და საშუალება მოგეცემათ, განსაზღვროთ, თუ რას მიაღწიეთ.

ფასილიტატორის უნარების თვითშეფასება სემინარის დასრულების შემდეგ და სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება

გაეცით პასუხი შემდეგ კითხვებს (სკალა 0-დან 10-მდე, სადაც 0 არის სრული უუნარობა, ხოლო 10 – ყველაზე მაღალი უნარი, რომლის დემონსტრირებაც შეგიძლიათ)

	ქულები 0 -10
1. როგორ აფასებთ თქვენს	
- თანაგრძნობას მონაწილეების საჭიროებებისადმი?	
- უნარს, გამოხატოთ ინტერესი და შეშფოთება მონაწილეთა საჭიროებების მიმართ?	
- მზადყოფნას, დაეხმაროთ მონაწილეებს მათი უნარების გაუმჯობესებაში ძალადობის აღმოფხვრის მიზნით?	
სულ	
შეიცვალა თუ არა თქვენი უნარები ამ სფეროში ტრენინგის მიმდინარეობისას? თუ დიახ, როგორ?	
რას გააკეთებთ ახლა თქვენი შეფასების ერთი ქულით ასაწევად?	
2. როგორ აფასებთ თქვენს უნარს:	
- მოუსმინოთ ადამიანებს.	
- ესაუბროთ მსმენელებს მათთვის გასაგებ ენაზე და გასაგებად გადასცეთ აზრები.	
- გამოიყენოთ თვალსაჩინო მასალა ილუსტრაციისთვის.	
- გამოიყენოთ ჟესტიკულაცია და მიმიკა მონაწილეებში ენთუზიაზმის გასაღვიძებლად და მათ გასააქტიურებლად.	
- წეროთ გასაგებად და ლაკონურად.	
სულ	
შეიცვალა თუ არა თქვენი უნარები ამ სფეროში ტრენინგის მიმდინარეობისას? თუ დიახ, როგორ?	
რას გააკეთებთ ახლა თქვენი შეფასების ერთი ქულით ასაწევად?	
3. როგორ აფასებთ თქვენს უნარს:	
- წარმოადგინოთ ნათელი და ლაკონური პრეზენტაციები.	
- მოიტანოთ კარგი მაგალითები საილუსტრაციოდ.	
- შეარჩიოთ სათანადო პრაქტიკული სავარჯიშო მონაწილეების თეორიული სწავლის განსამტკიცებლად.	

- მიაწოდოთ მონაწილეებს სასარგებლო ინფორმაცია.	
- მონაწილეებისგან მიიღოთ და გამოიყენოთ შენიშვნები და ინფორმაცია თქვენს მუშაობაზე.	
სულ	
შეიცვალა თუ არა თქვენი უნარები ამ სფეროში ტრენინგის მიმდინარეობისას? თუ დიახ, როგორ?	
რას გააკეთებთ ახლა თქვენი შეფასების ერთი ქულით ასაწევად?	
4. როგორ აფასებთ თქვენს უნარს	
- გაიაზროთ მთავარი შესასწავლი ასპექტები პროგრამაში „ძალადობის აღმოფხვრა სკოლებში“.	
შეიცვალა თუ არა თქვენი უნარები ამ სფეროში ტრენინგის მიმდინარეობისას? თუ დიახ, როგორ?	
რას გააკეთებთ ახლა თქვენი შეფასების ერთი ქულით ასაწევად?	
5. როგორ აფასებთ თქვენს უნარს:	
- გამოიყენოთ პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული მიდგომა პროგრამის თეორიულ ნაწილში.	
- გამოიყენოთ პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული მიდგომა იმ მონაწილეებთან, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ პრობლემების მოსაგვარებლად.	
- აღიაროთ, რომ არ შეგიძლიათ დახმარების გაწევა და შესთავაზოთ დახმარების სხვა წყაროების გამოყენება.	
სულ	
შეიცვალა თუ არა თქვენი უნარები ამ სფეროში ტრენინგის მიმდინარეობისას? თუ დიახ, როგორ?	
რას გააკეთებთ ახლა თქვენი შეფასების ერთი ქულით ასაწევად?	
6. როგორ შეაფასებთ თქვენს უნარს	
- დაიცვათ ქცევის კოდექსი, რომელიც პროგრამის „ძალდობის აღმოფხვრა სკოლაში“ ფასილიტატორებისთვის არის განკუთვნილი.	
- დააწესოთ მაღალი პროფესიული სტანდარტები.	
- პატივისცემით მოეპყროთ სხვებს.	

სულ	
შეიცვალა თუ არა თქვენი უნარები ამ სფეროში ტრენინგის მიმდინარეობისას? თუ დიახ, როგორ?	
რას გააკეთებთ ახლა თქვენი შეფასების ერთი ქულით ასაწევად?	
7. როგორ აფასებთ თქვენს უნარს:	
- დეტალურად დაგეგმოთ მეცადინეობები.	
- გაითვალისწინოთ მონაწილეთა საჭიროებები თქვენი მუშაობის დაგეგმვისას.	
სულ	
შეიცვალა თუ არა თქვენი უნარები ამ სფეროში ტრენინგის მიმდინარეობისას? თუ დიახ, როგორ?	
რას გააკეთებთ ახლა თქვენი შეფასების ერთი ქულით ასაწევად?	
8. როგორ აფასებთ თქვენს უნარს, მონაწილეებს მაქსიმალურად გადასცეთ ცოდნა შემდეგი საშუალებებით:	
- სემინარის ორგანიზება.	
- ყურადღების შენარჩუნება მეცადინეობის მიზანზე.	
- სწავლის სხვადასხვა სტილის გათვალისწინება.	
- მონაწილეების წაქეზება, რომ მათ დამოუკიდებლად ისწავლონ.	
სულ	
შეიცვალა თუ არა თქვენი უნარები ამ სფეროში ტრენინგის მიმდინარეობისას? თუ დიახ, როგორ?	
რას გააკეთებთ ახლა თქვენი შეფასების ერთი ქულით ასაწევად?	
9. როგორ აფასებთ თქვენს უნარს, მონაწილეებს მაქსიმალურად გადასცეთ ცოდნა შემდეგი საშუალებებით:	
- ინკლუზიური ფასილიტაციის სტილის გამოყენება.	
- თითოეული მონაწილის საჭიროებების თანაბრად გათვალისწინება.	
- კულტურული, რელიგიური, სოციალურ-ეკონომიკური და გენდერული მრავალფეროვნების პატივისცემა.	
სულ	

შეიცვალა თუ არა თქვენი უნარები ამ სფეროში ტრენინგის მიმდინარეობისას? თუ დიახ, როგორ?	
რას გააკეთებთ ახლა თქვენი შეფასების ერთი ქულით ასაწევად?	
10. როგორ აფასებთ თქვენს უნარს:	
- მონიტორინგი განახორციელოთ მეცადინეობებზე და შეაფასოთ ჯგუფის პროგრესი.	
- შეაფასოთ თქვენი მუშაობა.	
- გააუმჯობესოთ თქვენი მუშაობა ძლიერი ასპექტების განმტკიცების გზით.	
- გააუმჯობესოთ თქვენი მუშაობა სუსტი ასპექტების გამოსწორების გზით.	
სულ	
შეიცვალა თუ არა თქვენი უნარები ამ სფეროში ტრენინგის მიმდინარეობისას? თუ დიახ, როგორ?	
რას გააკეთებთ ახლა თქვენი შეფასების ერთი ქულით ასაწევად?	

სამოქმედო გეგმა

გადახედეთ თქვენს პასუხებს:
დაასახელეთ სამი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი, რაც გაუმჯობესდა სემინარის „ძალადობის აღმოფხვრა სკოლაში“ დროს:

1.

2.

3.

რომელი სამი რამ უნდა გააუმჯობესოთ, რომ განამტკიცოთ თქვენი მიღწევები? რას გააკეთებთ პირველ რიგში თითოეული ამ მიზნის მისაღწევად?

მიზანი 1.

რას გავაკეთებ პირველ რიგში?

მიზანი 2.

რას გავაკეთებ პირველ რგში?

მიზანი 3.

რას გავაკეთებ პირველ რიგში?

მე-2 მეცადინეობა

ფასილიტატორის გზამკვლევი: ტრენინგის მეთოდოლოგია – პირველი ნაწილი

- *ხუთსაფეხურიანი სასწავლო პროცესი*
- *სწავლის სხვადასხვა სტილი*
- *პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენება*

ზოგადი ნაწილი

ეს მეცადინეობა ეხება პროგრამის განხორციელების პროცესში გამოყენებულ მეთოდოლოგიას. აქ გავეცნობით ხუთსაფეხურიან სასწავლო პროცესს, სწავლის სხვადასხვა სტილსა და პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებულ მიდგომას.

ტრენინგის თანამიმდევრობა	ხანგრძლივობა
„მოთელვის“ სავარჯიშო	5 წუთი
ხუთსაფეხურიანი სასწავლო პროცესი –პრეზენტაცია	20 წუთი
სწავლის სხვადასხვა სტილი	35 წუთი
პრობლემას მოგვარებაზე ორიენტირებული მიდგომა –პრეზენტაცია და სამი სავარჯიშო (დაახლ. 10 წუთი)	60 წუთი

აუხსენით ფასილიტატორებს, რომ ეს მეთოდოლოგია პროგრამის უმნიშვნელოვანესი ნაწილია — ის გამოდგება ნებისმიერი სახის ტრენინგისთვის და მისი გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი სასწავლო კურსისა და ტრენინგისთვის, რომლებსაც ფასილიტატორები ჩაატარებენ.

მეცადინეობის შედეგები

- ხუთსაფეხურიანი სასწავლო პროცესის ცოდნა და გაგება;
- უნარები ტრენინგის ქმედითი მეთოდების გამოყენებისთვის სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად;
- სწავლის სხვადასხვა სტილის ცოდნა და პრეზენტაციების გაკეთებისას მრავალფეროვნების აუცილებლობა;
- პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენების უნარი.

ტრენინგის თანამიმდევრობა

„მოთელვის“ სავარჯიშო (5 წუთი)

PowerPoint 2.1. იმუშავეთ წყვილებად; სთხოვეთ ფასილიტატორებს, დახუჭონ თვალები და გაიხსენონ კოლეჯში ან უნივერსიტეტში სწავლის დრო. მათ უნდა სცადონ და გაიხსენონ ისეთი რამ პირველი სემინარიდან ან ლექციიდან, რაც ყველაზე მეტად დაამახსოვრდათ. შემდეგ გაახილონ თვალები და უთხრან პარტნიორს, რაც გაახსენდათ.

იკითხეთ, რამდენს ახსოვს:

- ადამიანი, რომელიც მაშინ გაიცნეს
- შენობა
- მასწავლებელი
- რაიმე შემთხვევა
- სადილზე/ლანჩზე მირთმეული კერძი
- რაიმე, რაც ისწავლეს

თქვენ ნახავთ, რომ უმრავლესობას ახსოვს ხალხი, რომელიც გაიცნო, ადგილები და თავს გადამხდარი შემთხვევები, მაგრამ ცოტას თუ ახსოვს, თუ უშუალოდ რა ისწავლეს.

ხუთსაფეხურიანი სასწავლო პროცესი (20 წუთი)

პრეზენტაცია

პრეზენტაციისას გამოყენებულია PowerPoint-ის სლაიდები.

PowerPoint 2.2 და 2.3. – ხშირად ფასილიტატორები კონცენტრირებული არიან თავიანთ მუშაობაზე და არა იმაზე, თუ რას სწავლობენ მონაწილეები.

- სწავლება არის პროდუქცია
- სწავლა არის შედეგი
- ძალადობის აღმოსაფხვრელად დასახული ჩვენი მიზნები სწავლის შედეგებია.

ამიტომ უნდა გამოვიყენოთ ტრენინგის ის მეთოდოლოგია, რომელიც ყურადღებას ამახვილებს სწავლაზე და არა მხოლოდ სწავლებაზე.

PowerPoint 2.4. – მაიკლ ფულანმა შეისწავლა მასწავლებელთა ტრენინგები, მაგრამ რაც მან დაადგინა, ერთნაირად ეხება ტრენინგის სხვა სახეებსაც. ჩვენ ისეთი ტრენინგი გვჭირდება, რომელიც ადამიანების საჭიროებებს გამოეხმაურება და შეცვლის მათ ქცევას.

PowerPoint 2.5. – ამიტომაც არის, რომ „სკოლაში ძალადობის აღმფხვრის“ ტრენინგის პროგრამა ხუთ საფეხურს მოიცავს.

საჭიროა აქტიურად ვისწავლოთ, რათა სწავლის შედეგებს მივაღწიოთ.

PowerPoint 2.6. – ლექციების კითხვა არ არის ეფექტიანი! თქვენ თუ 5%-ს ისწავლით იქიდან, რასაც მე გასწავლით, და მერე სხვა ფასილიტატორებს გადასცემთ, ისინი 5%-ს შეისწავლიან თქვენ მიერ შესწავლილიდან. ეს კი, მთლიანობაში, რასაც მე გასწავლით, იმის 1%-ზე ნაკლებია.

PowerPoint 2.7-2.12. – ჩვენ სწავლის ხუთსაფეხურიან პროცესს გამოვიყენებთ, ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ხუთივე საფეხური გავიაროთ. გავიაროთ და განვმარტოთ საფეხურები. თითოეული შემთხვევისთვის მოცემულია მაგალითი, თუ როგორ გამოიყენება პროცესი ფასილიტატორის შემთხვევაში, რომელიც ამ სემინარს ესწრება და აქ სწავლობს, და სკოლის თანამშრომლების შემთხვევაში, რომლებსაც პროგრამის ძირითადი, ცენტრალური ნაწილი ეხებათ.

სწავლის სხვადასხვა სტილი (35 წუთი)

პრეზენტაცია (15 წუთი)

PowerPoint 2.13. – სთხოვეთ ფასილიტატორებს, წაიკითხონ ფასილიტატორის გზამკვლევის მე-2 ნაწილი, რომელიც სწავლის ორ განსხვავებულ მეთოდს აღწერს.

მიაქციეთ ყურადღება, რომ კოლბის სწავლის ციკლი ხუთსაფეხურიან მეთოდოლოგიას ეხება, რაზეც ზემოთ ვსაუბრობდით. ორივე მეთოდი ხაზს უსვამს იმაზე დაფიქრების მნიშვნელობას, თუ რა ისწავლეთ და როგორ გაატაროთ პრაქტიკაში ის, რაც ისწავლეთ.

სწავლის რომელიმე სტილისთვის უპირატესობის მინიჭება უფროსებში უფრო მეტად გვხვდება, ვიდრე ბავშვებში. ასე რომ, აუცილებელია, რომ ფასილიტატორებმა მონაწილეებთან მუშაობისას გამოიყენონ რიგი განსხვავებული სავარჯიშოებისა, რათა ყველა მონაწილემ სწავლის სასურველი სტილი აირჩიოს.

სავარჯიშო – რომელი ტიპის მოსწავლე ხართ? (10 წუთი)

გამოიყენეთ 2.1 სავარჯიშოს ფურცელი, რათა დაეხმაროთ ფასილიტატორებს იმის დადგენაში, თუ როგორ სწავლობენ უკეთ. აუხსენით მათ, რომ ადამიანების უმრავლესობა სწავლის ერთ სტილს აძლევს უპირატესობას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სხვა სტილი სრულიად უნდა გამოვრიცხოთ.

სთხოვეთ ფასილიტატორებს, შეადარონ თავიანთ ჯგუფებში გაკეთებული შენიშვნები და ნახონ, რას მიანიჭეს უპირატესობა ცალკეულ ჯგუფებში.

თუ ისინი თანამშრომელთა ჯგუფიდან არიან, რომლებიც სკოლაში გასავლელი ტრენინგის პროგრამით სწავლობენ, რა უნდა გააკეთოს ჯგუფის ფასილიტატორმა იმისათვის, რომ თანამშრომლებმა იმ მეთოდით ისწავლონ, რასაც ისინი უპირატესობას ანიჭებენ?

სავარჯიშო – ინფორმაციის მიწოდება სწავლის რაიმე სტილის გამოუყენებლად (10 წუთი)

გამოიძახეთ თითო წევრი თითოეული ჯგუფიდან. უთხარით, რომ შეტყობინება ისე უნდა გადასცენ ჯგუფის სხვა წევრებს, რომ არ დაელაპარაკონ მათ. შეტყობინებაში წერია: „შეშინებული ბავშვები არ სწავლობენ“. ის ჯგუფი, რომელიც პირველი დაბრუნდება შეტყობინებით, გამარჯვებულია. სთხოვეთ ჯგუფის წევრებს, დაფიქრდნენ იმაზე, თუ რატომ იქნება ადვილი ამ დავალების შესრულება მათთვის, ვინც ვიზუალურად სწავლობს. აღნიშნეთ ისიც, რომ სწავლის ეს აქტიური ფორმა გასართობიც იყო შეტყობინების გადაცემისას, ის პრაქტიკასაც მოიცავს და გამოხმაურების სახით ინფორმაციისა და შენიშვნების მიღებასაც.

პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული მიდგომები (60 წუთი)

პრეზენტაცია (10 წუთი)

PowerPoint 2.14 – ეს მეცადინეობა მთლიანად ეყრდნობა PowerPoint-ის სლაიდებს. მიუთითეთ ჯგუფს ფასილიტატორის გზამკვლევის მე-3 ნაწილზე.

PowerPoint 2.15. – პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული მიდგომა ეყრდნობა „პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებულ მოკლე თერაპიას“, რომელიც ამერიკელმა ფსიქოლოგმა სტივ დე შაზერმა გამოიგონა.

PowerPoint 2.16. – 2.19. – ეს მიდგომა ყურადღებას ამახვილებს პრობლემის მოგვარებაზე და არა პრობლემაზე. ამ დროს გამოიყენება შეკითხვები.

სავარჯიშო – „ჯადოსნური“ შეკითხვა (15 წუთი)

PowerPoint 2.21. – 2.23 – ჯადოსნური შეკითხვა გვეხმარება იმის მოფიქრებაში, თუ რა გვინდა სინამდვილეში რომ მოხდეს და როგორ მივაღწიოთ ცვლილებას.

მოკლედ იმსჯელეთ ჯადოსნური შეკითხვის სარგებლობაზე იმ ჯგუფთან, რომელიც ძალადობის პრობლემების წინაშე დგას სკოლაში, ან იმ მოსწავლესთან, რომელიც ხშირად ექვემდებარება ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ძალადობას.

სავარჯიშო – სკალის შედგენა (20 წუთი)

PowerPoint 2.24 – სთხოვეთ ფასილიტატორებს, იმუშაონ სხვა პარტნიორთან ისე, რომ ყოველმა მათგანმა განსხვავებული პრობლემა განიხილოს.

სავარჯიშო – პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენება (10 წუთი)

PowerPoint 2.25 – სთხოვეთ ფასილიტატორებს, გადახედონ პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებულ სხვა მეთოდებს, რომლებიც ჩამოთვლილია ფასილიტატორის გზამკვლევის 3.3 ნაწილში.

PowerPoint 2.26. – წააქეზეთ მონაწილეები იმისთვის, რომ ახლა სხვა პარტნიორთან იმუშაონ და დაფიქრდნენ, თუ როგორ გამოიყენონ სამი აღწერილი პრობლემის მოსაგვარებლად პოზიტიური გზით მოგვარებაზე ორიენტირებული მიდგომა.

პლენარული მეცადინეობა (5 წუთი)

დაადგინეს თუ არა ფასილიტატორებმა, რომ პრობლემის მოგვარებზე ორიენტირებული მიდგომა სასარგებლოა? სთხოვეთ მონაწილეებს, თითოეული მაგიდის გარშემო იმსჯელონ თავიანთ ჯგუფებში, თუ რა შეისწავლეს ამ მეცადინეობაზე. სთხოვეთ ყოველ ჯგუფს, დაასახელონ ერთი რამ, რაც ყველასათვის სასარგებლო აღმოჩნდა.

სასარგებლო რჩევები ფასილიტატორს

თქვენ შეგიძლიათ შესთავაზოთ ფასილიტატორებს, რომ მათ გამოიყენონ ქცევის სწავლების მეთოდი „დამიჭირე“, რათა უკეთ გაიგონ ჩვენი ფასილიტაციის მეთოდოლოგიის ხუთსაფეხურიანი სისტემა. აუხსენით, რომ მასწავლებლებს ამ ტექნიკის გამოყენება დადებითი ქცევის სტიმულირებისთვის შეუძლიათ: მაგალითად, მასწავლებელი აცხადებს, რომ ის აპირებს სცადოს, შეძლებს თუ არა „დაიჭიროს“ რომელიმე მოსწავლე, რომელიც მთელი დღის განმავლობაში კარგად/დადებითად იქცევა — მაგალითად, თანგრძნობას გამოხატავს სხვის მიმართ. ამ შემთხვევაში სთხოვეთ ჯგუფის წევრებს, სცადონ, თუ შეძლებენ თქვენი ან სხვა წევრების „დაჭერას“ მოდელირების გამოყენების, ვარჯიშის ან მეცადინეობაზე გამოხმაურების სახით შენიშვნების გამოთქმის გზით – თქვენ შეგიძლიათ ეს საქმიანობა გააგრძელოთ ხუთივე დღე ან მას ამ ხუთდღიანი სწავლების დროის გარკვეული ნაწილი დაუთმოთ. მონაწილეებს შეუძლიათ ქულების დაგროვება.

თქვენ შეგიძლიათ ვიზუალური, სმენითი და კინესთეტიკური სწავლების მეთოდების მოდელირება სავარჯიშოების საშუალებით.

მზად იყავით იმისათვის, რომ დროის გარკვეული ნაწილი პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებულ მიდგომას დაუთმოთ. გახსოვდეთ, რომ ფასილიტატორთა უმრავლესობას ძალზე აწუხებს ის ძალადობა, რაც სკოლაში ხდება, და ასეთივე პრობლემებით შეწუხებულ თანამშრომლებს უტარებს ტრენინგს. მეცადინეობებზე მონაწილეებმა შეიძლება ბევრი ილაპარაკონ ძალადობაზე, იმაზე, თუ რა ძნელია მოსწავლეების ქცევის შეცვლა და ა.შ. პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული საუბარი ხელს შეუწყობდა ამ სირთულეების დაძლევას.

დამატებითი რესურსები

არ არის საჭირო.

რომელი ტიპის მოსწავლე ხართ?
საკონტროლო კითხვარი ფასილიტატორებისთვის

აირჩიეთ, რას გააკეთებდით ან იტყოდით პირველ რიგში

სიტუაცია	ვიზუალური	სმენითი	კინესთეტიკური/ფიზიკური/ შეგრძნებაზე დამყარებული
ახალი აპარატის ამუშავება	წაიკითხავთ ინსტრუქციას	მოუსმენთ ახსნა-განმარტებას	აამუშავებთ
მოგზაურობისას გზის გაგნება	დახედავთ რუკას	მოუსმენთ მიმართულებების ოპერატორს	იმოქმედებთ თქვენი ინტუიციით და შეიძლება გამოიყენოთ კომპასი
ახალი კერძის მომზადება	დაიცავთ რეცეპტის წესებს	დაურეკავთ მეგობარს რჩევისთვის	იმოქმედებთ თქვენი ინტუიციით, თან გემოს გაუსინჯავთ მომზადების დროს
ვიღაცისთვის რაღაცის სწავლება	დაუწერთ მითითებებს	ზეპირად აუხსნით	აჩვენებთ და გააკეთებინებთ
თქვენ იტყოდით...	გასაგებია, რასაც გულისხმობ	მესმის, რასაც ამბობ	ვიცი, რასაც გრძნობ
თქვენ იტყოდით...	მაჩვენე	მითხარი	მე ვცდი
თქვენ იტყოდით...	ნახე, როგორ ვაკეთებ	მომისმინე, აგიხსნი	მიდი, შენ თვითონ
წუნიანი საქონელი	დაწერთ წერილს	დარეკავთ	გაგზავნით ან წაიღებთ უკან მაღაზიაში
თავისუფალი დრო	მუზეუმები და გალერეები	მუსიკა, საუბარი	სპორტი ან ტრენაჟორები
საჩუქრის ყიდვა	წიგნები	მუსიკა	ინსტრუმენტები ან სხვა წვრილმანი
საყიდლები	დაათვალიერებთ და წარმოიდგენთ	გამყიდველებთან მოილაპარაკებთ	მოიზომეთ, შეამოწმეთ
დასასვენებლად წასვლა	ბუკლეტებს დაათვალიერებთ	რჩევებს მიიღებთ	წარმოიდგინეთ
ახალი მანქანის შერჩევა	წაიკითხავთ მონაცემებს	მოილაპარაკებთ მეგობართან	გაატარებთ მანქანას და შეამოწმებთ

შეამოწმეთ, შეგიძლიათ თუ არა გადაწყვიტოთ, რას ანიჭებთ უპირატესობას თანმიმდევრობით და რამდენად გირჩევნიათ ერთი სტილი მეორეს.

შეადარეთ თქვენი შედეგები თქვენი ჯგუფის შედეგებს და ნახეთ, თუ შეგიძლიათ შეთანხმდეთ ერთ რომელიმე სტილზე ან სხვადასხვა სტილის კომბინაციაზე თქვენი ჯგუფისათვის.

მე-3 მეცადინეობა

ფასილიტატორის გზამკვლევი: სასწავლო მეთოდოლოგია – მეორე ნაწილი

სარჩევი

- *ეფექტიანი ჯგუფური მუშაობა*
- *სწავლის სხვადასხვა სტილი*
- *კონფლიქტური სიტუაციების მოგვარება*

გეგმა ფასილიტატორებისთვის
(2 საათი)

ზოგადი ნაწილი

ამ მეცადინეობით სრულდება ფასილიტატორის გზამკვლევში (რომელიც შექმნილია, როგორც ფასილიტატორებისთვის სასწავლო პროგრამების შემუშავებისა და მეცადინეობის ჩატარების დროს სწრაფი დამხმარე საშუალება) აღწერილი მეთოდების შესავალი. მე-2 მეცადინეობისგან განსხვავებით, ის უფრო მეტად ეყრდნობა პრაქტიკულ მაგალითებს და მეთოდოლოგიის ნაცვლად გვაცნობს ქმედით პრაქტიკულ მეთოდებს. ჩვენ არა გვაქვს შესაძლებლობა, მთლიანად განვიხილოთ გზამკვლევი, მაგრამ მოკლედ შევისწავლით სამ მნიშვნელოვან სფეროს. ესენია:

- ეფექტიანი ჯგუფური მუშაობა
- სწავლის (ლიდერობის) სხვადასხვა სტილი
- ალტერნატიული ან დამატებითი სავარჯიშოები კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებისათვის

საერთო ჯამში მოცემული მეცადინეობა მოიცავს სამი საათის ოდენობის მასალას. მას შემდეგ, რაც ჯგუფი ჩამოყალიბდება, თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, ამ ეტაპზე შესთავაზოთ თუ არა კონფლიქტების მოგვარების სავარჯიშოების გაკეთება სხვა სასწავლო მეთოდების ნაცვლად. ეს სამუშაო სურვილისამებრ შეგიძლიათ ჩართოთ მე-11 მეცადინეობაში.

გამოცდილ ფასილიტატორებს, რომლებსაც უკვე აქვთ ჯგუფებში აქტიური მუშაობის პრაქტიკა, ეძლევათ რეკომენდაცია, ჩაატარონ კონფლიქტების მოგვარების სავარჯიშოები ნაცვლად სხვა ტიპის მეცადინეობებისა. კონლიქტების მოგვარება განხილულია მე-11 მეცადინეობაში და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ეს არის უნარი, რომელიც აუცილებელია როგორც ძალადობის შემცირების, ასევე იმ პრობლემების მართვის თვალსაზრისით, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ტრენინგის დროს.

ტრენინგის თანმიმდევრობა	ხანგრძლივობა
სასწავლო ხერხები – შესავალი	5 წუთი
მუშაობა ჯგუფებთან და როგორ სწავლობენ მოზრდილი ადამიანები – მიმოხილვა და სავარჯიშოები 3.1. და 3.2	1 საათი და 20 წუთი
ფაკულტატური დამატებითი სავარჯიშო 3.3	ფაკულტატური 20 წუთი
სწავლის (ლიდერობის) სხვადასხვა სტილი – პრეზენტაცია, სავარჯიშო 3.4 და პლენარული მეცადინეობა	35 წუთი
ფაკულტატური დამატებითი სავარჯიშო 3.3 – აქტიური მოსმენა	ფაკულტატური 20 წუთი
ფაკულტატური ალტერნატიული სავარჯიშო 3.6 – კონფლიქტების მოგვარება	ალტერნატიული 40 წუთი

მეცადინეობის შედეგები

- ცოდნის ათვისება და ჯგუფების ერთობლივი მუშაობისა და სწავლების ხელშეწყობის უნარების გამომუშავება.
- ფასილიტაციისა და ლიდერობის სტილის შესწავლა და გამოყენება მოცემული გარემოებისა და ჯგუფის შესაბამისად.
- დამატებითი სამუშაო – ცოდნა და უნარები კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებისათვის.

ტრენინგის თანმიმდევრობა

სასწავლო ხერხები

შესავალი (5 წუთი)

PowerPoint 3.1 – დაიწყეთ გაუმჯობესების ციკლის შესახებ შეხსენებით. იმისათვის, რომ შესრულდეს ყველა ეტაპი, უნდა ჩატარდეს აქტიური სწავლება ცვლილების მიზნით – ფასილიტატორის როლი მდგომარეობს იმაში, რომ მიაღწიოს ცვლილებას ბავშვებისათვის. ამის მიღწევა შეუძლებელია სათანადო ხელმძღვანელობის გარეშე. ლიდერი არის ინჟინერი, რომელიც უძღვება ციკლს და ინარჩუნებს მის სვლას. პროგრესი არ იქნება მიღწეული ერთობლივი ჯგუფური მუშაობის გარეშე.

ჯგუფური მუშაობა

მიმოხილვა – წარმატებული ჯგუფური მუშაობა (10 წუთი)

PowerPoint 3.2 – ძალადობის აღმოფხვრა არის ურთიერთთანამშრომლობაზე აგებული პროცესი და ყველა ეტაპზე აუცილებელია, რომ ჯგუფებმა ერთად ჰარმონიულად იმუშაონ. კარგმა ფასილიტატორმა უნდა იცოდეს, თუ როგორ მოახდინოს ჯგუფების მოტივაცია და სკოლის პერსონალთან მუშაობის დროს უნდა შეაფასოს უფროსების მიერ ცოდნის ათვისების თავისებურებები და ის, თუ როგორ განსხვავდება მათი სწავლის პროცესი ბავშვების სწავლის პროცესისაგან.

გადახედეთ ფასილიტატორის გზამკვლევის მე-5 თავის შინაარსს და სთხოვეთ ფასილიტატორებს, გაეცნონ მას.

სავარჯიშო 3.1 – წარმატებული ჯგუფური მუშაობის ფაქტორები (25 წუთი)

იმუშავეთ ერთ მაგიდასთან გაერთიანებულ ჯგუფებში და დაურიგეთ თითოეულ ჯგუფს „ცხრა აგურის“ ბარათები. სულ არის თორმეტი ბარათი და რამდენიმე ცარიელი ბარათი, რომლებიც მათ შეუძლიათ გამოიყენონ, რომ დაამატონ ის დამატებითი ფაქტორები, რომლებიც, მათი აზრით, მნიშვნელოვანია. სთხოვეთ მათ, რომ დაალაგონ ცხრა ბარათი რომბისებურად ისე, რომ:

- ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყოს ყველაზე ზემოთ.
- შემდეგ მომდევნო ორი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი.
- შემდეგ მომდევნო სამი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი.

- შემდეგ მომდევნო ორი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი.
- ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტორი იყოს ძირში.

ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი



ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი

ამის შემდეგ სთხოვეთ ყველას, რომ ადგნენ ფეხზე და ჯგუფურად გაემართონ რიგრიგობით თითოეული ჯგუფის ბარათების სანახავად და განსახილველად, ამასთან, თითოეული ჯგუფის წევრმა უნდა ახსნას მათ მიერ არჩეული განლაგება.

შეთანხმდით იმაზე, რომ არ არსებობს სწორი ან არასწორი განლაგება. ამ სავარჯიშოს მიზანია ის, რომ უბიძგოს ყველას, ყურადღებით დაფიქრდნენ იმ ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ ჯგუფურ მუშაობაზე. გარემოებებიდან გამომდინარე ეს ფაქტორები განსხვავებული იქნება.

დისკუსია – როგორ სწავლობენ მოზრდილი ადამიანები? (20 წუთი)

PowerPoint 3.2 – მიუთითეთ ფასილიტატორებს, რომ იხილონ გზამკვლევის 4.1 და 4.2 თავები და სთხოვეთ, რომ ცარიელი ბარათების მეშვეობით დაამატონ რაიმე სხვა ფაქტორები მათ მიერ ცხრა ბარათისგან შედგენილ სიას.

დაურიგეთ თითოეულ ჯგუფს წებო და A4 ზომის ფურცელი, რათა მათ გააკეთონ შენიშვნების გვერდი, რომელსაც დაამატებენ თავიანთ გზამკვლევს (დღის ბოლოს შეიძლება ასლების გადაღება).

ჩაატარეთ ღია დისკუსია, რათა შეადაროთ ჯგუფების მიერ მიღებული შედეგები.

სავარჯიშო 3.2 – „აზრების წვიმა“ და „აგურის კედელი“ (20 წუთი)

PowerPoint 3.4 – აქ არ არის გათვალისწინებული სავარჯიშოს გვერდი, საკმარისია სლაიდი. იხილეთ გზამკვლევის მე-10 და მე-11 თავები. აქ გათვალისწინებულია რამდენიმე დამატებითი პრაქტიკული მეთოდი ფასილიტატორებისთვის, რაც ხელს შეუწყობს ჯგუფებს აქტიურ სწავლასა და ეფექტიან პრაქტიკულ მუშაობაში. აღნიშნეთ, რომ ჩვენ უკვე მოვახდინეთ რამდენიმე სასწავლო ხერხის მოდელირება, მაგალითად, გამოვიყენეთ „მოთელვის“ სავარჯიშოები და მეცადინეობა „დრო წრეში“.

სთხოვეთ ჯგუფებს, ოთხ ნაწილად დაყონ A4 ფურცელი და დაწერონ რაც შეიძლება მეტი სასარგებლო სასწავლო მეთოდი – თითო ნაწილზე ერთი. ამას ეწოდება „აზრების წვიმა“ (10.2.2.). ამის შემდეგ ყველამ უნდა გადაინაცვლოს მაგიდასთან, სადაც ყველას შეეძლება დაინახოს და დაამატოს თავისი იდეები „აგურის კედელს“ (10.3.1). ყველამ უნდა წაიკითხოს, რაც უკვე დაწერეს სხვა ჯგუფებმა. იქ, სადაც მათი აზრები ემთხვევა, დაადეთ იდეა არსებულ აგურს. ახალი იდეა უნდა მიემატოს კედელს.

უნდა აღნიშნოთ, რომ ეს არის ძალიან კარგი სავარჯიშო, როდესაც გსურთ, რომ ჯგუფებს შორის მოხდეს აზრთა გაცვლა-გამოცვლა ისე, რომ ერთმანეთს არ წაუკითხონ ჩამონათვალი.

ამის შემდეგ ყველამ უნდა შეხედოს „კედელს“, რომ ნახონ თავიანთი იდეები. შეეკითხეთ, რატომ გამოვიყენეთ ეს ხერხი ამ სავარჯიშოსათვის. რა შედეგი მოგვცა ამან? ახლა რა შეგვიძლია გავაკეთოთ, რომ გამოვიყენოთ ის იდეები, რომლებიც დაგროვდა?

პრეზენტაცია – ჯგუფური სავარჯიშოები (5 წუთი)

PowerPoint 3.5, 3.6 და 3.7 - მიუთითეთ ფასილიტატორებს, რომ იხილონ გზამკვლევის თავები 6, 7, 8 და 10.

მიმართეთ ე.წ „ტემპის განსაზღვრის“ მეთოდს და სწრაფად გააცანით ფასილიტატორებს აღნიშნული თავები. აუხსენით, რომ მიზანი არის მხოლოდ ის, რომ მათ იცოდნენ, რომელ ადგილებს მიმართონ, როდესაც სჭირდებათ წყარო ტრენინგის იდეებისათვის.

ფაკულტატური დამატებითი სავარჯიშო 3.3 (ფაკულტატური 20 წუთი)

PowerPoint 3.8 — აქ არ არის გათვალისწინებული სავარჯიშოს გვერდი, საკმარისია სლაიდი.

ამ სავარჯიშოს სჭირდება დაახლოებით 20 წუთი და ის უნდა გამოიყენოთ, თუ ფიქრობთ, რომ ჯგუფისთვის სასარგებლო იქნებოდა მეტი დროის დათმობა პრაქტიკული ჯგუფური მუშაობისათვის.

სწავლის/ლიდერობის სხვადასხვა სტილი

პრეზენტაცია და დისკუსია – სწავლის სტილი (10 წუთი)

მიუთითეთ ჯგუფს ფასილიტატორის გზამკვლევის მე-9 თავზე. იმისათვის, რომ მიიპყროთ ყველას ყურადღება, უყვირეთ მათ და მიმართეთ იძულებით ფორმას.

სთხოვეთ, რომ შეხედონ სწავლის სხვადასხვა სტილის ჩამონათვალს და ამოიცნონ, რომელი სტილი გამოიყენეთ თქვენ ახლა. იყო თუ არა ის შესაფერისი? გაახსენეთ, რომ ცოტა ხნის წინ, ბოლო სავარჯიშოს დროს, მე-6, მე-7 და მე-8 თავების გადასახედად თქვენ გამოიყენეთ ტემპის განსაზღვრის მეთოდი და აუხსენით, თუ რატომ აირჩიეთ ეს სტილი.

PowerPoint 3.9 – გაეცანით სხვადასხვა ფორმებს და სთხოვეთ ფასილიტატორებს, რომ სათითაოდ წაიკითხონ მათ შესახებ სახელმძღვანელოს 4.2 ნაწილში. თითოეული სტილის გაცნობისას შეეკითხეთ მათ: „შეგიძლიათ მოიყვანოთ მაგალითი, სადაც თქვენ ეს სასწავლო სტილი წარმატებით გამოიყენეთ ტრენინგის ჩატარებისას ან სამსახურში?“

სავარჯიშო 3.4 – სწავლის (ლიდერობის) სხვადასხვა სტილი (20 წუთი)

დააჯგუფეთ ფასილიტატორები ოთხკაციან ჯგუფებად. სთხოვეთ, გაიხსენონ შემთხვევა, როდესაც თავად მათ ან ვინმე სხვამ სწორად გამოიყენა სწავლის ერთ-ერთი სტილი. სთხოვეთ, მოკლედ დაწერონ მომხდარის შესახებ. მანამ, სანამ ისინი ჩანაწერებს აკეთებენ, გაათავისუფლეთ ადგილი იატაკის ერთ რიგში. დადეთ ფურცელი წარწერით „იძულებითი“ ერთ ბოლოში, ხოლო საპირისპირო მხარეს/ბოლოში დადეთ ფურცელი წარწერით „დამრიგებლობითი“. სხვა ფურცლები განათავსეთ მათ შორის, იატაკზე.

სთხოვეთ ოთხკაციან ჯგუფებს, ფეხზე დამდგარმა იმუშაონ და რიგრიგობით მოუყვნენ თავიანთი ამბავი ჯგუფის დანარჩენ სამ წევრს, რომლებმაც მერე უნდა გადაინაცვლონ „რიგის“ იმ ადგილას, რომელიც, მათი აზრით, წარმოადგენს ამბავში გადმოცემულ დომინანტ ფორმას. ისინი განმარტავენ, თუ რატომ აირჩიეს ესა თუ ის პოზიცია და, როდესაც დისკუსიის შედეგად გამოტანილი იქნება დასკვნა, ისინი გადადიან შემდეგ ისტორიაზე. ამ სავარჯიშოს შედეგად ხდება სწავლის სხვადასხვა სტილის ანალიზი და გარჩევა (და ეს გასართობიცაა!).

თუ დრო დარჩა, მათ შეუძლიათ გაიმეორონ სავარჯიშო ისეთი მაგალითების გახსენებით, როდესაც მათ შეუსაბამო სტილს მიმართეს.

პლენარული დისკუსია (5 წუთი)

შეთანხმდით, რომ არ არსებობს „კარგი“ ან „ცუდი“ სტილი; მათ ყველას თავისი დანიშნულება აქვთ. მაგრამ იმისათვის, რომ სწავლა შედეგიანი იყოს, პედაგოგებმა უნდა გამოიყენონ სწავლების ისეთი სტილი, რომელიც ყველაზე მეტად შეეფერება მოცემულ

სიტუაციას. კარგი ფასილიტატორები სხვადასხვა სტილს იყენებენ.

დამატებითი ან ალტერნატიული ფაკულტატური სავარჯიშოები

სავარჯიშო 3.5 – აქტიური მოსმენა (20 წუთი)

სთხოვეთ ფასილიტატორებს, რომ თითოეულმა მათგანმა რამდენიმე წუთში გაიხსენოს ისეთი რამ, რაც მას შეემთხვა სამსახურში ბოლო პერიოდში და რამაც სიამოვნება მიანიჭა.

შეეკითხეთ ფასილიტატორებს, თუ როგორ შეაფასეს თავიანთი მოსმენის უნარი თავდაპირველ თვითშეფასებაში. ეს არის ამ უნარებში გავარშიჯების შესაძლებლობა.

დაყავით ფასილიტატორები სამკაციან ჯგუფებად და სთხოვეთ, ადგნენ ფეხზე და იპოვონ ადგილი ოთახში, სადაც მათ შეუძლიათ ისაუბრონ ამ სავარჯიშოს შესასრულებლად (სავარჯიშოს მსვლელობისას ფეხზე ადგომა ახდენს სწავლების სტიმულირებას და ახალი ენერგიით ავსებს ჯგუფს).

PowerPoint 3.10 – შეახსენეთ მათ თანმიმდევრობა და შემდეგ სთხოვეთ, დაიწყონ.

PowerPoint 3.11 – აუხსენით, რომ აქტიური მოსმენა მოიცავს იმის ჩვენებას, რომ შენ გესმის შინაარსი. თვალებში ყურების, თავის დაქნევის, სახის მიმიკის გამოყენების და გამამხნევებელი კომენტარების გაკეთების გარდა, არსებობს ორი სასარგებლო ხერხი:

- შინაარსის კომენტირება, მაგალითად, ასეთი გამონათქვამით: „ანუ თქვენ ამბობთ, რომ მოახერხეთ ყველა თქვენი კოლეგის დათანხმება?“
- ემოციის კონსტატაცია, მაგალითად, ასე: „თქვენ ალბათ ნასიამოვნები დარჩით“.

მიეცით ჯგუფებს რამდენიმე წუთი, რომ გამოცადონ ეს ორი ხერხი პირველ მოსაუბრეზე.

შეთანხმდით ჯგუფთან, რომ მნიშვნელოვანია, რომ ფასილიტატორებმა ყურადღებით უსმინონ და გამოიმუშაონ აქტიური მოსმენის უნარი, რათა აჩვენონ, რომ მათ მოისმინეს და გაიგეს. ეს არ ნიშნავს ყოველთვის დათანხმებას ნათქვამზე, არამედ თქმის უფლების აღიარებას.

სავარჯიშო 3.6 – კონფლიქტების მოგვარება (40 წუთი)

PowerPoint 3.12 და 3.13 - აქ არ არის გათვალისწინებული სავარჯიშოს გვერდი, საკმარისია სლაიდი.

PowerPoint 3.14 – სთხოვეთ ფასილიტატორებს, გაიხსენონ შემთხვევა, როდესაც მათ გადაჭრეს კონფლიქტი – მათსა და სხვა ადამიანს შორის ან ორ ადამიანს შორის – და გააკეთონ მოკლე ჩანაწერები. დაყავით ისინი სამკაციან ჯგუფებად – თითო ადამიანი A, B ან C აღნიშვნით. აუხსენით, რომ ეს სავარჯიშო სასარგებლოა ფასილიტატორის, როგორც დამრიგებლის (ინსტრუქტორის), თვისებების გამომუშავებისათვის.

PowerPoint 3.14 – A აღწერს სიტუაციას, როდესაც მას მოუწია კონფლიქტის მოგვარება. B ივარჯიშებს დამრიგებლობით უნარებში კითხვების დასმით და იმით, რომ დაეხმარება ადამიანს დაფიქრდეს იმაზე, რა მოხდა და რა ისწავლა აქედან. C დააკვირდება B-ს (ინსტრუქტორს) და გააკეთებს კომენტარებს მის „დამრიგებლობით“ უნარებზე. დაკვირვების დროს C ჩაინიშნავს შენიშვნებს შენიშვნების ფორმაში. შემდეგ ისინი გაცვლიან როლებს ისე, რომ სამივეს ჰქონდეს შესაძლებლობა, ივარჯიშოს ყველა უნარში. (5 წუთი, რომ A-მ აღწეროს სიტუაცია და მიიღოს შენიშვნები B-სგან; 5 წუთი C-ს მიერ B-სთვის შენიშვნების გასაკეთებლად).

დისკუსია: რა ისწავლეს პედაგოგებმა კონფლიქტების მოგვარების შესახებ? როგორ იქცევა კარგი ინსტრუქტორი?

დამატებითი რესურსები

„ცხრა აგურის“ ბარათები (რამდენიმე დასტა).

ბარათები სწავლის სხვადასხვა სტილის შესასწავლად.

სავარჯიშო 3.1: წარმატებული ჯგუფური მუშაობის განმსაზღვრელი ფაქტორები

იმუშავეთ ჯგუფებთან მაგიდის გარშემო „ცხრა აგურის" ბარათებით. სულ არის თორმეტი და რამდენიმე ცარიელი ბარათი, რომლებიც შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენი აზრით მნიშვნელოვანი დამატებითი ფაქტორების დასამატებლად.

დაალაგეთ ცხრა ბარათი რომბის ფორმით ისე, რომ:

- ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყოს ყველაზე ზემოთ.
- შემდეგ მომდევნო ორი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი.
- შემდეგ მომდევნო სამი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი.
- შემდეგ მომდევნო ორი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი.
- ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტორი იყოს ძირში.

ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი



ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი

ამის შემდეგ ადექით ფეხზე და თქვენს ჯგუფთან ერთად წადით სხვა ჯგუფის ბარათების განლაგების სანახავად და გასარჩევად, ამასთან, სთხოვეთ ჯგუფის წევრს, რომ ახსნას მათ მიერ არჩეული განლაგება. გააკეთეთ იგივე თქვენი ბარათებით.

შეგიძლიათ შეთანხმდეთ იმაზე, რომ არ არსებობს სწორი ან არასწორი განლაგება. ამ სავარჯიშოს მიზანია, დაგეხმაროთ, ყურადღებით დაფიქრდეთ იმ ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენს ჯგუფურ მუშაობაზე. გარემოებებიდან გამომდინარე ეს ფაქტორები განსხვავებული იქნება.

დისკუსიის დასრულების შემდეგ იხილეთ ფასილიტატორის გზამკვლევის 4.1 და 4.2 ნაწილები. თქვენ გთხოვენ, მოიფიქროთ, არის თუ არა კიდევ ისეთი ბარათები, რომელთა დამატებაც თქვენ გსურთ.

სურვილისამებრ შეგიძლიათ თქვენი დისკუსიის შედეგები ჩანაწერის სახით გააკეთოთ. ამისათვის ბარათები უნდა დააწებოთ A4 ფურცელზე და გადაიღოთ ასლი, რომელსაც ჩააკრავთ თქვენს გზამკვლევში.

სავარჯიშო 3.4: სწავლის (ლიდერობის) სხვადასხვა სტილი

იმუშავეთ ოთხკაციან ჯგუფებში (შესაძლებელია სამკაციან ჯგუფებშიც, თუ თქვენს მეცადინეობაზე დამსწრეთა რაოდენობა კენტია).

გაიხსენეთ შემთხვევა, როდესაც თქვენ ან სხვამ სწავლის (ლიდერობის) ერთ-ერთი სტილი სწორად გამოიყენა. მოკლედ დაწერეთ მომხდარის შესახებ.

ახლა ადექით ფეხზე თქვენს ოთხკაციან ჯგუფში. რიგრიგობით მოუყევით თქვენი ისტორია ჯგუფის დანარჩენ სამ წევრს.

თქვენმა ფასილიტატორმა იატაკზე ერთ რიგში დაალაგა ბარათები, რომლებზეც აღნიშნულია სწავლების სხვადასხვა სტილი:

- იძულებითი — „გააკეთე, რასაც გეუბნები!“
- ავტორიტარული — „გამომყევი!“
- მზრუნველი — „პირველ ადგილზე ადამიანები დგანან!“
- დემოკრატიული — „რას ფიქრობ შენი?“
- ტემპის განმსაზღვრელი — „გააკეთე ისე, როგორც მე ვაკეთებ და გააკეთე ეს ახლა!“
- დამრიგებლობითი — „მოსინჯე ეს!“

როდესაც დაასრულებთ თითოეული ისტორიის მოსმენას, დალაპარაკების გარეშე ჯგუფის სხვა წევრები დაიკავებენ ადგილს იატაკზე გაწყობილი ბარათების რიგში იმ ბარათთან, რომელიც, მათი აზრით, წარმოადგენს ისტორიაში გადმოცემულ დომინანტ სტილს.

ახლა იმსჯელეთ იმაზე, თუ რატომ დაიკავეს მსმენელებმა ესა თუ ის ადგილი. როდესაც დისკუსიის შედეგად გამოტანილი იქნება დასკვნა, გადაინაცვლეთ შემდეგ ისტორიაზე. ამ სავარჯიშოს შედეგად ხდება სწავლების სხვადასხვა სტილის ანალიზი და განხილვა (და ის გასართობიცაა!).

თუ დრო დაგრჩათ, შეგიძლიათ გაიმეოროთ სავარჯიშო ისეთი მაგალითების მოფიქრებით, რომლებიც იყო თქვენს პრაქტიკაში, როდესაც ესა თუ ის ფორმა შეუსაბამოდ იყო გამოყენებული.

შენიშვნა: არ არსებობს „კარგი“ ან „ცუდი“ ფორმა; მათ ყველას თავისი დანიშნულება აქვთ. მაგრამ იმისათვის, რომ მუშაობა შედეგიანი იყოს, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ის ფორმა, რომელიც შესაფერისია მოცემულ სიტუაციაში. კარგი ფასილიტატორები იყენებენ სწავლების სხვადასხვა სტილს.

ამ სავარჯიშოსათვის იმუშავეთ სამკაციან ჯგუფებში და გაინაწილეთ როლები.

რამდენიმე წუთში გაიხსენეთ ისეთი რამ, რაც ბოლო პერიოდში ასწავლეთ სხვას და რამაც სიამოვნება მოგანიჭათ. ამის შემდეგ ფეხზე ადექით და მოყევით ამის შესახებ.

ჯგუფის ერთმა წევრმა რამდენიმე წუთის განმავლობაში უნდა უამბოს დანარჩენ ორს იმის შესახებ, თუ რა ასწავლეს, როდის მოხდა ეს და რატომ, რა გააკეთეს მათ, რატომ ესიამოვნათ ეს.

სანამ ისინი საუბრობენ, დანარჩენი ორი უსმენს, მაგრამ ისინი ჩუმად უნდა იყვნენ და არ შეხედონ მოსაუბრეს.

ერთი წუთის შემდეგ ჰკითხეთ მოსაუბრეს, თუ რა გრძნობა ჰქონდა მას, როდესაც ელაპარაკებოდა ადამიანს, რომელიც მას არ უყურებდა.

ამის შემდეგ მეორე ადამიანმა თქვენს ჯგუფში უნდა ილაპარაკოს თავისი გამოცდილების შესახებ. ახლა ორ მსმენელს შეუძლია შეხედოს მოსაუბრეს, თავი დაუქნიოს და გაუღიმოს, მაგრამ არაფერი თქვას.

ერთი წუთის საუბრის შემდეგ სთხოვეთ მესამე პირს, გაიმეოროს სავარჯიშო. ამჯერად მსმენელებს შეუძლიათ შეხედონ მოსაუბრეს, თავი დაუქნიონ, გაუღიმონ და თქვან ისეთი რამ, რომ აჩვენონ, რომ უსმენენ, მაგალითად: „კი!“ ან „სწორია!“. მათ არ უნდა შეაწყვეტინონ ან ჩაურთონ თავიანთი აზრები. მათი მიზანია, დაეხმარონ მოსაუბრეს საუბარში იმის ჩვენებით, რომ მათ ესმით მისი. როდესაც მოსაუბრე დაასრულებს საუბარს, შეუძლიათ დაუსვან შეკითხვები.

როდესაც მესამე მოსაუბრე დაასრულებს საუბარს, გამართეთ მცირე დისკუსია მოსმენის შესახებ. როგორ შეგვიძლია გავიგოთ, რომ ვიღაც გვისმენს? როგორ შეგვიძლია გავიგოთ, რომ მათ გაიგეს, რაც ვთქვით?

აქტიური მოსმენა მოიცავს ასევე იმის დემონსტრირებას, რომ თქვენ გაიგეთ საუბრის შინაარსი. შეხედვის, თავის დაქნევის, სახის გამომეტყველების და გამამხნევებელი კომენტარების გაკეთების გარდა, არსებობს ორი სასარგებლო ხერხი:

- შინაარსის კომენტირება: „ე.ი. თქვენ ამბობთ, რომ მათ ძლიერი მოტივაცია ჰქონდათ, რომ ესწავლათ“;
- ემოციის კონსტატაცია, მაგალითად, ასეთი გამონათქვამით: „ე.ი. თქვენ ნასიამოვნები დარჩით“.

თუ დრო დაგრჩათ, შეგიძლიათ იმსჯელოთ ბავშვებისთვის მოსმენის საკითხზე. მაგალითად, რამდენად განსხვავებული შეიძლება იყოს ეს უფროსებისთვის მოსმენასთან შედარებით? როგორ ვამყარებთ კონტაქტს თვალებით? როგორ დავრწმუნდეთ, რომ გავიგეთ? როგორ ავარჩიოთ სიტყვები იმის დასადასტურებლად, რომ გავიგეთ?

რესურსების გვერდი 3.1: „ცხრა აგურის" ბარათები - თითო დასტა ყოველი ჯგუფისათვის – შემდეგ დაიჭრას და ჩაიდოს კონვერტში.

სწავლის მსურველი საზოგადოების ჩამოყალიბებ	ურთიერთობების დამყარება	დახმარება ჯგუფისათვის, ყურადღების კონცენტრირებაში
გამაგრილებელი სასმელების შეთავაზება	მოლოდინის მკაფიოდ განსაზღვრა	უნარ-ჩვევების იდენტიფიცირება და წინასწარი სწავლება
ჯგუფში როლების სათანადოდ განაწილება	სასწავლო გარემოს გაუმჯობესება	იმის აღიარება, რომ ჯგუფური ურთიერთობების ჩამოყალიბებას დრო სჭირდება
ჯგუფური იდენტობის გრძნობის ჩამოყალიბება	ჯგუფის დინამიკურობის გაცნობიერება	სასწავლო კონტრაქტის შეთანხმება

თითოეულ ჯგუფში დაარიგეთ სამი ცარიელი ბარათი



მე-4 მეცადინეობა

დასაწყისი – ევროპული ხედვა იმ ფაქტორებისა, რომლებიც გავლენას ახდენს სკოლებში ძალადობაზე/ქცევის გამოსწორებაზე

(სახელმძღვანელოს I თავზე დაყრდნობით)

გეგმა ფასილიტატორებისთვის
(2 საათი)

ზოგადი ნაწილი

ევროპის საბჭოს სახელმძღვანელოს *(„ძალადობის აღმოფხვრა სკოლებში – როგორ შევცვალოთ გარემო“)* ზოგადი მოკლე განხილვის შემდეგ 20 წუთის განმავლობაში სრულდება 4.1 სავარჯიშო, რომელიც წარმოადგენს დამაკავშირებელ რგოლს შემდგომ სამ სავარჯიშოსთან, რომელთაგან თითოეული დაახლოებით 20 წუთის ხანგრძლივობისაა. ამის შემდეგ რჩება 20 წუთი შემდგომი სამუშაოს დაგეგმვისათვის.

ტრენინგის თანმიმდევრობა	ხანგრძლივობა
ზოგადი შესავალი და სავარჯიშო 4.1 – ინფორმაციის ძირითადი წყაროები ინსტრუქცია სახელმძღვანელოს შესავალი ნაწილისათვის (გვ. 5-13), სავარჯიშო 4.1 მოსდევს შესავალს და წარმოადგენს საწყის მინიშნებას სახელმძღვანელოს დამხმარე ზოგიერთ მნიშვნელოვან რესურსზე.	40 წუთი
სავარჯიშო 4.2 – ძალადობის განსაზღვრა და „კონვივენსიის“ (კონვინენცია- თანაარსებობა, თანაცხოვრება) ცნება სხვადასხვა ქვეყანაში გამოყენებული სიტყვების და ძალადობის განმარტების გაცნობა „კონვივენსიის“ ცნების ჩამოყალიბებამდე – ძალადობის შედეგი არის „კონვივენსიის“ შემცირება.	20 წუთი
სავარჯიშო 4.3 – ძალადობრივი ქცევა, რომელიც ზეგავლენას ახდენს სასკოლო გარემოზე მონაწილეები განიხილავენ ძალადობრივ ქმედებებს, რომლებიც მათ აწუხებთ, და იმ ფაქტორებს, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს „კონვივენსიის“ ატმოსფეროზე.	20 წუთი
სავარჯიშო 4.6 – სკოლაში ძალადობის შემცირებისაკენ მიმართული მოქმედებები ამისათვის არსებობს ორი ალტერნატიული სავარჯიშო: სავარჯიშო 4.6ა და სავარჯიშო 4.6ბ. ჯგუფის ინტერესებიდან გამომდინარე შეიძლება გამოყენებული იყოს ნებისმიერი. ეს მეცადინეობა სრულდება პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული მიდგომით – იმის გაცნობით, თუ რა შეიძლება გაკეთდეს. • შეახსენეთ მონაწილეებს, რომ მათ შეუძლიათ აირჩიონ სავარჯიშოები, რომელთაც შეათავსებენ საკუთარ ტრენინგთან. • ხაზი გაუსვით იმას, რომ მეცადინეობების საშუალებით მათ შეეძლებათ იმ სასწავლო პროცესის მოდელირება, რომელსაც თავიანთ სკოლაში ან დაწესებულებაში გამოიყენებენ.	20 წუთი
ტრენინგისშემდგომ ქმედებებთან დაკავშირებული სავარჯიშო სავარჯიშოები 4.4 და 4.5 გამოიყენეთ პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული მეცადინეობის სტიმულირებისათვის, რომელსაც ეწოდება „ჯადოსნური კითხვები“, რათა დაიწყოთ სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება და სკოლაში სხვა კოლეგების ჩართვა.	20 წუთი

ზოგადი შესავალი და სავარჯიშო 4.1: ინფორმაციის ზოგიერთი ძირითადი წყარო

მეცადინეობის შედეგები

- სახელმძღვანელოს მოხმარების წესების შესწავლა.
- ხუთსაფეხურიანი სასწავლო პროცესის შესწავლა და საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება.
- სახელმძღვანელოს შინაარსის გაგება.

ტრენინგის თანმიმდევრობა

ოწეროინტ 4.1 პრეზენტაციის საშუალებით ახსენით სახელმძღვანელოს აგებულება ახსნა-განმარტებითი ტექსტით, რასაც მოსდევს სავარჯიშოები. გამოიყენეთ მეცადინეობის მაგალითი, რათა აჩვენოთ, როგორ შეიძლება სავარჯიშოების კომბინაციით კონკრეტულ სკოლაზე ან გარემოზე მორგებული სასწავლო პროცესის ჩატარება.

შეახსენეთ მონაწილეებს ხუთსაფეხურიანი სასწავლო პროცესის შესახებ.

განიხილეთ ეფექტიანი სასწავლო მიდგომები და აჩვენეთ, რომ ყოველ მეცადინეობას მოსდევს შემდგომი სავარჯიშოები მე-3 და მე-4 ეტაპების შესრულებისათვის.

ერთად გადახედეთ სახელმძღვანელოს შვიდ თავს და გააცანით მონაწილეებს სახელმძღვანელოს შინაარსი. აუხსენით, რომ ის მოიცავს ყველა სფეროს, დაწყებული არაძალადობრივი ატმოსფეროს შექმნით და დამთავრებული ძალადობაზე რეაგირების ისეთი გზებით, რომლებიც გამორიცხავს ძალადობის ხელახალ გამოვლინებას.

შედით ინტერნეტში და მაგალითისათვის ჯგუფთან ერთად შეასრულეთ სავარჯიშო 4.1. აუხსენით, რომ თუ ისინი მიმართავენ ხუთსაფეხურიან სასწავლო პროცესს, ისინი გაივლიან მხოლოდ 1-ლ და მე-2 ეტაპებს. ბოლოში მოცემული შეკითხვები გამიზნულია სწავლის გამყარებისათვის, თუ ისინი ამოიღებენ მათ და გამოიყენებენ ვებგვერდების საშუალებით საკუთარი სასწავლო პროგრამების შემუშავებისათვის.

სასარგებლო რჩევები ფასილიტატორს

არსებობს დროის გადაჭარბების საფრთხე. სწრაფად დაიწყეთ და შეინარჩუნეთ ტემპი. არ ჩაუღრმავდეთ ზედმეტად დეტალებს.

შეახსენეთ მონაწილეებს ხუთსაფეხურიანი სასწავლო პროცესის შესახებ. დიდაქტიკური სწავლების შედეგად ხდება დაახლოებით ცოდნის 5%-ის რეალიზება. გამავრცელებლების შემთხვევაში ეს იქნება 5%-დან 5% მათ გარემოში, ვინაიდან თუ ისინი 5%-ს იღებენ და

ასევე გადასცემენ, თითქმის არაფერი არ იქნება რეალიზებული. როგორც დადგენილია, ხუთსაფეხურიანი სწავლების მოდელის შედეგად ხდება ინფორმაციის 75%-ით აღმავალი გადაცემა.

სახელმძღვანელოს განხილვისას ყურადღება გაამახვილეთ სავარჯიშოებზე და აუხსენით მონაწილეებს, რომ მოგვიანებით პროგრამის მსვლელობისას მათ ექნებათ საშუალება, ისწავლონ სავარჯიშოების გარკვეული ნაწილი და მოახდინონ როგორც მათი მოდელირება, ისე პრაქტიკულად შესრულება.

ვებგვერდების დათვალიერებისას შეეკითხეთ მონაწილეებს მათთვის ცნობილი სხვა ვებგვერდების შესახებ და დაამატეთ ისინი სიას. მაგალითად, ვებგვერდი *„სწავლისათვის შესაფერისი ქცევა“* (*Behaviour 4 Learning*) გაიხსნა მას შემდეგ, რაც დაიწერა სახელმძღვანელო.

დამატებითი რესურსები

არ არის საჭირო.

სავარჯიშო 4.1: ინფორმაციის ზოგიერთი ძირითადი წყარო

პირველი სავარჯიშო ითვალისწინებს მხოლოდ ძალადობის აღმოფხვრის თემაზე ინფორმაციის ზოგიერთი ძირითადი წყაროს ჩანიშვნას და შესაძლებელია ზოგიერთი ვებგვერდის დათვალიერებას, რომლებიც შეიძლება სასარგებლო იყოს სკოლებისთვის.

სასარგებლო წყაროები სკოლებში ძალადობის თემაზე ფართოდაა გავრცელებული, მაგრამ ქვემოთ ჩამოთვლილია ზოგიერთი მათგანი, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალურია ევროპულ კონტექსტში:

- ევროპის საბჭოს ვებგვერდი „ავაშენოთ ევროპა ბავშვებისათვის და ბავშვებთან ერთად“ [http://www.coe.int/children]
- გაერთიანებული სამეფოს „ობსერვატორია ძალადობის საწინააღმდეგო პროპაგანდისათვის“: ეს არის ვებგვერდი, რომელზეც განთავსდება და რეგულარულად განახლდება სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული ყველა ინტერნეტრესურსი [http://www.ukobservatory.com]
- „ევროპული ობსერვატორია სკოლაში ძალადობის შესახებ“ [http://www.obsviolence.com]
- ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი CONNECT „ძალადობასთან ბრძოლა სკოლებში ევროპის მასშტაბით” (1998-2002), რომელშიც თავმოყრილია ანგარიშები ევროკავშირის 15 წევრი ქვეყნიდან და ორი ასოცირებული წევრი სახელმწიფოდან (ისლანდია, ნორვეგია) [რესურსები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: [http://www.gold.ac.uk/connect]
- წინადადება ევროპის სკოლებში ძალადობასთან ბრძოლის სამოქმედო გეგმისათვის [http://www.health.fi/connect]
- მშვიდობიანი გზის პროგრამა, კონფლიქტების მოგვარების პროგრამა სკოლებისთვის, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე კანადიდან [http://www.iccrm.com]
- სასკოლო ჟურნალი, რომელიც ეძღვნება ძალადობის თემას [http://www.genesislight.com/JSV.htm]
- გაერთიანებული სამეფოს განათლებისა და უნარ-ჩვევების დეპარტამენტის ვებგვერდი „ქცევასა და დასწრებაზე“ [http://www.dfes.gov.uk/behavioranattendance]
- გაერთიანებული სამეფოს ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ძალადობასთან ბრძოლის ვებგვერდი [http://www.dfes.gov.uk/bullying]
- ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ძალადობასთან ბრძოლის ცენტრი, თრინითი კოლეჯი, დუბლინი, თანდართული ინფორმაციითა და ვებმისამართებით ძალადობის ფორმების შესახებ მსოფლიოს მასშტაბით არსებულ ვებგვერდებზე [http://www.abc.tcd.ie]
- რესტიტუციულ სამართალთან დაკავშირებული ორი ვებგვერდის მისამართი: ახალგაზრდულ დაწესებულებებში რესტიტუციული სამართლის ეროვნული ცენტრი და ქონებრივი სამართალი, რომლებიც სასარგებლო ინფორმაციას შეიცავენ [http://www.transformingconflict.org და http://www.realjustice.org]

რომელი ვებგვერდები იქნება სასარგებლო?
როდის და როგორ გამოიყენებთ მათ მომავალში?

სავარჯიშო 4.2: ძალადობრივი ქმედებები, რომლებიც იწვევს შეშფოთებას და მოქმედებს „კონვივენსიის“ საწინააღმდეგოდ

მეცადინეობის შედეგები

- „კონვივენსიის“ ცნების გათვითცნობიერება.
- სკოლებში ძალადობის კუთხით კონკრეტული პრობლემების გამოვლენა.
- „კონვივენსიაზე“ ძალადობის ასპექტების ზემოქმედების გამოცდა.

ტრენინგის თანმიმდევრობა

სახელმძღვანელოსა და PowerPoint 4.2 პრეზენტაციის სლაიდის საშუალებით ახსენით *„თანაარსებობის“* (*'convivencia'*) ცნება. ქაღალდის დაფაზე დახაზეთ ცხრილი (4.2 სავარჯიშოს გვერდი) თითოეული ჯგუფისათვის.

სთხოვეთ სამი ან ოთხი წევრისაგან შემდგარ თითოეულ ჯგუფს, იმსჯელონ და შეავსონ ნახაზი მათ მიერ გამოვლენილი ოთხი მთავარი პრობლემით. ქაღალდი ჩამოატარეთ ოთახში. სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს, აღწეროს ძალადობის ის ფორმა, რომელიც იწვევს მათ შეშფოთებას.

ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, თუ რა ზეგავლენას ახდენს თითოეული ძალადობრივი ქმედება „კონვივენსიაზე“ და შეაჯამეთ ის საკითხები, რომლებიც, მთელი ჯგუფის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია სკოლებისათვის.

სასარგებლო რჩევები ფასილიტატორს

დარწმუნდით, რომ ყველასთვის გასაგებია „კონვივენსიის“ მნიშვნელობა.

ზოგიერთმა ჯგუფმა შეიძლება მოისურვოს ანიმაციური ნახატის დახატვა ძალადობის ფაქტის წარმოსადგენად, ხოლო ვიღაცას შესაძლოა ჰქონდეს უნარი ნახატით წარმოსახოს „კონვივენსია“.

შეზღუდეთ დისკუსია – შეეცადეთ, აირიდოთ თავიდან მონაწილეთა მიერ „პრობლემის გაზვიადება“ და მოუწოდეთ მათ, ყურადღება გაამახვილონ იმაზე, თუ რა ზემოქმედებას ახდენს ძალადობა „კონვივენსიაზე“.

დატოვეთ ქაღალდის დაფები კედელზე მეცადინეობის განმავლობაში და მიუბრუნდით მათ მოგვიანებით.

დამატებითი რესურსები

არ არის საჭირო.

სავარჯიშო 4.2: ძალადობრივი ქმედებები, რომლებიც იწვევს შეშფოთებას და მოქმედებს „კონვივენსიის“ საწინააღმდეგოდ

ძალადობის ზემოთ აღნიშნულ განმარტებებზე დაყრდნობით შეადგინეთ იმ ძალადობრივი ქმედებების ჩამონათვალი, რომლებიც იწვევს თქვენს შეშფოთებას სკოლაში. ჩამონათვალის გაკეთება შესაძლოა გაგიადვილოთ შემდეგმა დასათაურებებმა:

ძალადობრივი ქმედება	ინიციატორი	ზემოქმედება „კონვივენსიაზე“

ამ ჩამონათვლიდან თქვენ უნდა ჩამოაყალიბოთ თქვენეული განმარტება, თუ რა იგულისხმება ტერმინით „ძალადობა“.

სავარჯიშო 4.3: ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს სკოლაში „კონვივენსიის“ ატმოსფეროზე

მეცადინეობის შედეგები

- იმის გათვითცნობიერება, თუ რა ფაქტორები ახდენს ზეგავლენას „კონვივენსიაზე“.
- იმის გაგება, თუ რა ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა ჯგუფი „კონვივენსიაზე“.
- განსხვავებული შეხედულებების გაცნობა და იმის გათვითცნობიერება, რომ ზემოქმედებას ახდენს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ფაქტორები.

ტრენინგის თანმიმდევრობა

მონაწილეები დააჯგუფეთ იმავე ჯგუფებში. PowerPoint 4.3 პრეზენტაციისა და სახელმძღვანელოს 23-25 გვერდებზე მოცემული მასალის საშუალებით მათთან ერთად განიხილეთ სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენა „კონვივენსიაზე“.

თითოეულ ჯგუფს დაურიგეთ სავარჯიშო 4.3 და სთხოვეთ, ინდივიდუალურად ჩაწერონ ერთი ფაქტორი, რომელიც ზეგავლენას ახდენს „კონვივენსიაზე“ ყოველ გრაფაში, შემდეგ კი დაჭრან ფურცელი ოთხ ნაწილად. ამის შემდეგ ჯგუფმა უნდა დაალაგოს „ბარათები“ დაჭრილი ნაწილებით ისე, როგორც მისი წევრები შეთანხმდებიან ზეგავლენის ფაქტორების პრიორიტეტულობის შესახებ ოთხივე კატეგორიაში.

თითოეული ჯგუფისგან შეგროვებული შედეგები შეაჯამეთ და მიაკარით დაფაზე. ამის შემდეგ შეადარეთ ფაქტორები და მათი პრიორიტეტულობა. იმსჯელეთ მიღებულ შედეგებზე.

თუ დრო დაგრჩათ, გადახედეთ 4.4 სავარჯიშოს, რათა განიხილოთ ამ ფაქტორების პირდაპირი ზეგავლენა სკოლის მოსწავლეებზე და მათი პრიორიტეტულობა.

სასარგებლო რჩევები ფასილიტატორს

როგორც მოსალოდნელია, ფურცლებზე დაწერილი მოსაზრებების უმრავლესობა იქნება უარყოფითი ქცევის მაგალითები, რომლებიც დამანგრევლად მოქმედებს „კონვივენსიაზე“. იმსჯელეთ ამის მიზეზებზე და შესთავაზეთ უფრო დადებითი ზეგავლენის დაფიქსირების სხვადასხვა გზა. ბევრი ადამიანი უარყოფითად არის განწყობილი ამ საკითხის მიმართ და უგულებელყოფს იმ პოზიტიურ ფაქტორებს, რომლებსაც კარგი შედეგი აქვთ სკოლაში. ხშირად უმჯობესია დავიწყოთ ამ დადებითი ზეგავლენებით და შემდეგ ვნახოთ, თუ როგორ შეიძლება უარყოფითი ზეგავლენების შემობრუნება. ამ მეთოდს ჩვენ ხშირად დავუბრუნდებით პროგრამის მსვლელობისას გაუმჯობესების მიღწევის მიზნით, ამიტომ უპრიანი იქნებოდა აღნიშნული საკითხის ამ ეტაპზე წამოწევა.

შესაძლოა მოახერხოთ ფურცლების დაბეჭდვა ოთხ ფერში, რათა უფრო ადვილი იყოს მათი დაჯგუფება ოთხ კატეგორიაში. „ონ-ლაინ“ რეჟიმში ამის გაკეთება შეუძლებელია, ამიტომ ფურცლები არის ერთ გვერდზე.

მოსალოდნელია, რომ გამოთქმული იქნება ბევრი სხვადასხვა აზრი. ქცევასთან დაკავშირებით ყველას აქვს ისეთი რამ, რაც განსაკუთრებით არ მოსწონს.

დამატებითი რესურსები

მაკრატელი

4.3 სავარჯიშოს გვერდი თითოეული ჯგუფისათვის

ოთხი მისაკრავი დაფა სათაურებით „მოსწავლეებთან დაკავშირებული“, „უფროსებთან დაკავშირებული“, „ნაგებობებთან/შენობებთან დაკავშირებული“, „სკოლის გარეთ/საზოგადოებასთან დაკავშირებული“.

სავარჯიშო 4.3: ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს სკოლაში „კონვივენსიის“ ატმოსფეროზე

სკოლაში „კონვივენსიის“ დამყარების ან შენარჩუნებისათვის მნიშვნელოვანია ადრეულ ეტაპზე გათვალისწინებული იყოს ის ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ ამ ატმოსფეროზე. შეადგინეთ აღნიშნული ფაქტორების სია. შეიძლება უფრო ადვილი იყოს მათი კატეგორიებად დაყოფა ოთხი სათაურის ქვეშ. აირჩიეთ ერთი ფაქტორი თითოეული სათაურის ქვეშ, შემდეგ ამოჭერით თითოეული გრაფა და გამოიყენეთ, რათა შეათანხმოთ თქვენი ჯგუფის სხვა წევრებთან მათი მნიშვნელობის პრიორიტეტულობა.

მოსწავლეებთან დაკავშირებული მაგ.: როგორ ელაპარაკებიან მოსწავლეები ერთმანეთს.	რიგითობა
უფროსებთან დაკავშირებული მაგ.: როგორ ელაპარაკებიან თანამშრომლები ერთმანეთს.	რიგითობა
ნაგებობებთან/შენობებთან დაკავშირებული მაგ.: დერეფნების სიგანე, რათა მოძრაობა მოწესრიგებული იყოს.	რიგითობა
სკოლის გარეთ/საზოგადოებასთან დაკავშირებული	რიგითობა

სავარჯიშო 4.6ა: სკოლებში ძალადობის აღმოფხვრისაკენ მიმართული ზომები

მეცადინეობის შედეგები

- იმის გათვითცნობიერება, რომ მიდგომა, რომელიც გულისხმობს მთელი სკოლის მასშტაბით ძალადობის შემცირებას, შეიძლება დაიყოს ხუთ კატეგორიად:
  - უსაფრთხო სკოლა
  - მოსწავლეების და ოჯახების ჩართულობა
  - სასწავლო პროგრამა
  - სკოლის საორგანიზაციო სტრუქტურა
  - მოგზაურობა და უსაფრთხო გარემო
- ურთიერთთანამშრომლობის პრინციპზე აგებული თამაშის გამოყენების სწავლა ურთიერთგაგების დამყარების და სტრატეგიების განსაზღვრის მიზნით;
- იმის გათვითცნობიერება, რომ თამაში განიხილება, როგორც ტრენინგის ერთ-ერთი მეთოდი.

ტრენინგის თანმიმდევრობა

გააცანით მონაწილეებს სავარჯიშო „ჰარი პოტერი“ — მიაქციეთ ყურადღება, რომ ყველა მონაწილემ ზოგადად იცოდეს მისი ისტორია.

გამოიყენეთ PowerPoint 4.6 თამაშის ფორმატის ასახსნელად:

- ერთობლივი მსჯელობის ხერხი
- ხუთი თემა სკოლებში ძალადობის შემცირებისათვის
- „ძალადობის გაზომვა”
- ჰაგრიდის შეკითხვები – შერჩევითი სასაცილო თემები

ახსენით, რომ კითხვის განხილვისას ნებისმიერი მნიშვნელოვანი საკითხი უნდა დაიწეროს „მისაკრავ ქაღალდზე” და მიეკრას ქაღალდის დაფას.

ცხრილი შემდეგნაირად გამოიყურება:

	„მისაკრავი“ სადისკუსიო საკითხები
უსაფრთხო სკოლა	
მოსწავლეებისა და ოჯახების მონაწილეობა	
სასწავლო პროგრამა	
სკოლის საორგანიზაციო სტრუქტურა	
მგზავრობა და უსაფრთხო გარემო	
სხვა საკითხები	

ჯგუფი უნდა შეეცადოს, პასუხი გასცეს თითოეული ტიპის შეკითხვებიდან ᲔᲠᲗᲘᲡ. თუ კამათლების გაგორების შემდეგ ციფრი მეორედ ამოვა, ისინი პასუხობენ ჰაგრიდის შეკითხვას.

ბოლოს იმსჯელეთ იმაზე, თუ როგორ შეიძლება ამ მიდგომის გამოყენება სასწავლო გარემოში.

სასარგებლო რჩევები ფასილიტატორს

ხაზი გაუსვით იმას, რომ არ არსებობს ერთი სწორი პასუხი – თამაშის ფორმატი იძლევა დისკუსიის გამართვის საშუალებას.

ზოგიერთ შეკითხვაში შეფარული იუმორი (განსაკუთრებით, ჰაგრიდის) შეიძლება ბარიერად იქცეს. საჭიროების შემთხვევაში გაამარტივეთ შეკითხვები.

დამატებითი რესურსები

თითოეული 6-8 კაციანი ჯგუფისათვის:

- თამაშის წესების ერთი ასლი;
- დანომრილი შეკითხვების ერთი ასლი;
- ჰაგრიდის შეკითხვების ერთი ასლი;
- კამათლები;
- ქაღალდის დაფა მასზე დახაზული ცხრილით;
- მისაკრავი ქაღალდები.

დავალება:

თითოეული ტიპის შეკითხვებიდან ერთზე პასუხის გაცემა განსაზღვრულ დროში.

თამაშის წესები:

ერთი ადამიანი აგორებს კამათლებს.

თუ ამოვიდა ციფრი 1, უპასუხეთ 1 შეკითხვას უსაფრთხო სკოლის შესახებ.

იმსჯელეთ და შემდეგ პასუხი დაწერეთ მისაკრავ ქაღალდზე.

თუ გაგორდა ციფრი 2, უპასუხეთ 2 შეკითხვას მოსწავლეებისა და ოჯახების მონაწილეობის შესახებ და ა.შ.

თუ ამოსული ციფრი განმეორდა, უპასუხეთ ჰაგრიდის შეკითხვას.

განაგრძეთ კამათლების გაგორება მანამ, სანამ არ უპასუხებთ თითოეული ტიპის შეკითხვებიდან ერთს.

შემდეგ განიხილეთ, როგორ და როდის შეგიძლიათ გამოიყენოთ ასეთი ტიპის სავარჯიშო კოლეგებთან ან მოსწავლეებთან.

საილუსტრაციო მასალა 4.6ა: ჰარი პოტერი და ძალადობის შემცირება სკოლებში

კამათლის ციფრი	სფერო	შეკითხვები
1	უსაფრთხო სკოლა	ზოგიერთი სკოლა იყენებს კომპიუტერულ სისტემებს მომხდარი ინციდენტების აღრიცხვისათვის. რა სარგებლობა მოაქვს ამის გაკეთებას? რა პრობლემები წარმოიქმნება?
2	მოსწავლეებისა და ოჯახების მონაწილეობა	სკოლაში დაადგინეს, რომ ხულიგნური ჯგუფების კონფლიქტი შიშს იწვევს. რა გამოსავალი არსებობს?
3	სასწავლო პროგრამა	რა უნდა ისწავლებოდეს სასწავლო პროგრამაში, რომ ხელი შეეწყოს სკოლებში არაძალადობრივი გარემოს ჩამოყალიბებას?
4	სკოლის საორგანიზაციო სტრუქტურა	სკოლის საორგანიზაციო სტრუქტურამ, მაგალითად, კლასების ორგანიზებამ, შეიძლება გააღვივოს კონფლიქტი. სხვა რა გზებით შეიძლება წაახალისოს ძალადობა სკოლის საორგანიზაციო წყობამ წინასწარი განზრახვის გარეშე?
5	მგზავრობა და უსაფრთხო გარემო	სკოლისაკენ და სკოლიდან მგზავრობის დროს ზოგიერთი მოსწავლე თავს უსაფრთხოდ არ გრძნობს. რა შეუძლია სკოლას გააკეთოს ამ პრობლემის მოსაგვარებლად?
6	სხვა საკითხები	სკოლაში იწყება ძალადობის შემცირების მასშტაბური პროგრამა. ხუთი წლის ვადაში რის მიხედვით უნდა გააკეთოს სკოლამ დასკვნა, რომ მან წარმატებას მიაღწია?

სავარჯიშო 4.6ა: ჰარი პოტერი და სკოლებში ძალადობის შემცირება

ჰაგრიდის შეკითხვები:

1. სწორად იქცევა ჰარი პოტერი, როდესაც ძალადობას იყენებს თავისი მტრების წინააღმდეგ თუ მან უნდა სთხოვოს მასწავლებლებს ჰოგვართსის სკოლაში, რომ მოაგვარონ ასეთი პრობლემები?

2. როგორ შეუძლია „დამახარისხებელ ქუდს“, რომელსაც სკოლები იყენებენ მოსწავლეების დასაჯგუფებლად, დაეხმაროს სკოლებს ძალადობის შემცირებაში?

3. ყოველდღე სკოლისაკენ მიმავალ გზაზე კედელში რომ გიწევდეთ გავლა (ინგს ჩროსს სადგურის ბაქანი $9^{3/4}$), როგორ იგრძნობდით თავს?

4. ჰაგრიდს ჰყავს „მონსტრი-ძაღლი“ სახელად „ფლაფი”, რომელსაც სამი თავი აქვს. ფლაფი გადაარჩენს ჰარი პოტერს საფრთხისაგან. დაასახელეთ ის „მონსტრები”, რომელთა გამოყენება სკოლას შეუძლია ძალადობასთან ბრძოლაში დასახმარებლად.

5. ჰოგვართსის სკოლაში გამართული თამაში ‘უიდდიტცჰ’ ძალიან სასტიკია. თქვენთვის ცნობილი რა გავლენა აქვს სპორტს სკოლებში ძალადობაზე?

6. მაგლსს არ შეუძლია ჯადოქრობა, მაგრამ თქვენ რომ გქონდეთ ჰარი პოტერის ჯადოსნური ჯოხი, რომ თქვენთვის ნაცნობ სკოლაში ერთი რამ შეგეცვალათ, რას გააკეთებდით, რომ იგი უფრო უსაფრთხო გაგეხადათ?

შენიშვნები ფასილიტატორებისთვის
(20 წუთი)

სავარჯიშო 4.6ბ: გამოსავალი გზების ძიება მოსწავლეებზე ზემოქმედების ფაქტორების შესწავლის საშუალებით

მეცადინეობის შედეგები

- იმის გათვითცნობიერება, რომ ყველაფერი არ არის ისე, როგორც ჩანს, როდესაც საქმე ძალადობას ეხება.
- სკოლაში მიმდინარე იმ საქმიანობის განხილვა, რომელიც ზეგავლენას ახდენს ძალადობაზე.

ტრენინგის თანმიმდევრობა

გააცანით მონაწილეებს პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული მიდგომების იდეა. ეს იდეა საფუძვლად უდევს მთელ სახელმძღვანელოს. ამ შემთხვევაში ოპტიმალურია PowerPoint 4.6ა-ს გამოყენება. ასევე მიუთითეთ მონაწილეებს, იხილონ ნაწილი 3.3 ფასილიტატორის გზამკვლევში, სადაც მოცემულია ახსნა-განმარტება პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული მოკლე თერაპიისა, რომელსაც ემყარება პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული მიდგომები.

გამოიყენეთ PowerPoint 4.6ბ და სახელმძღვანელოს 31-ე გვერდზე მოცემული მასალა დისკუსიისათვის თემაზე, თუ რა გამოსავალი არსებობს ძალადობის შემცირების ან „კონვივენსიის“ შენარჩუნებისათვის.

სთხოვეთ მონაწილეებს, იმუშაონ ინდივიდუალურად სავარჯიშო 4.6ბ-ს შესრულებაზე თავისი სკოლის მაგალითზე. ყველა მონაწილემ გაუზიაროს ერთმანეთს მიღებული შედეგები.

სთხოვეთ თითოეულ მონაწილეს, აღნიშნოს ის სუსტი ადგილები, რომელთა გამოსწორებაც შესაძლებელია სხვების მოსაზრებების გათვალისწინებით.

შესთავაზეთ მონაწილეებს, შეინახონ ამ სავარჯიშოს შემცველი ფურცელი და გამოიყენონ იმისათვის, რომ შეადგინონ მთავარი პრობლემური სფეროების აუდიტის პროექტი.

სასარგებლო რჩევები ფასილიტატორს

მნიშვნელოვანი იქნება, დაეხმაროთ მონაწილეებს, რომ განზოგადებულად იფიქრონ ყველაფერ იმაზე, რასაც უკვე აკეთებენ. ზოგჯერ ამას არ ექცევა ყურადღება.

თუ თავიანთ მოქმედებებში ნაკლოვანებებს აღმოაჩენენ, ურჩიეთ, ჩაინიშნონ ეს საკითხები და მიუბრუნდნენ მათ, როდესაც მე-2 მეცადინეობის დროს გაეცნობიან გაუმჯობესების გეგმას.

სავარჯიშოები 4.4 და 4.5 არის 4.6 სავარჯიშოს ალტერნატივა, რომელთაც შეიძლება მიანიჭოთ უპირატესობა, ჯგუფის ინტერესებიდან გამომდინარე.

დამატებითი რესურსები

არ არის საჭირო.

სავარჯიშო 4.6ბ: რას აკეთებს ამჟამად სკოლა? (საკონტროლი სია)

როგორც ამ მეცადინეობაშია აღწერილი, ძალადობის შემცირება კომპლექსური პროცესია. არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სკოლებს დასჭირდებათ იმგვარი ურთიერთდაკავშირებული სტრატეგიების ერთობლიობა, რომლებიც შექმნილია „კონვივენსიის“ დამყარებისა და შენარჩუნების, ასევე ძალადობის გამოვლენისას მასზე რეაგირების მიზნით.

რა მიდგომები, სისტემები და საკადრო უნარ-ჩვევები არსებობს თქვენს სკოლაში, რაც ხელს უწყობს „კონვივენსიის“ განვითარებას, როგორც აღწერილია მოცემულ მეცადინეობაში? რისი შემდგომი განვითარება არის შესაძლებელი?

ქვემოთ მოცემულის მსგავსი საკონტროლო სია კარგი საფუძველია აუდიტის დაწყებამდე იმის განსაზღვრისათვის, რაც უკვე გაკეთებულია.

საქმიანობის/სისტემის სფერო	**მიდგომები/სისტემები/უნარ-ჩვევები**
ეროვნული მოთხოვნების საპასუხო ზომები, ინიციატივები და პროგრამები	
სკოლის პოლიტიკა და საკლასო წესები	
ზოგადი პრევენციული ზომები	
სკოლის გარემოს გაუმჯობესება ძალადობის შემცირებისათვის	

სასწავლო პროგრამები და სავარჯიშოები	
იმ ცალკეული მოსწავლეების დახმარება, რომლებსაც მოძალადედ გადაქცევის საფრთხე ემუქრებათ	
ძალადობის მსხვერპლთა დახმარება	
უსაფრთხოებისა და უშიშროების ზომები	
პერსონალის ტრენინგი	

დამატებითი სავარჯიშო 4.4: რა ფაქტორებმა შეიძლება მოახდინოს ზეგავლენა მოსწავლეებზე?

შესაძლოა, სურვილი გაგიჩნდეთ, ხელახლა გადახედოთ თქვენს ჩამონათვალს 4.3 სავარჯიშოში და დაასახელოთ თითოეული იმ ფაქტორის პირდაპირი ეფექტი, რომელიც მოქმედებს „კონვივენსიაზე“ მოსწავლეებზე ზეგავლენის თვალსაზრისით. შეცვალა თუ არა ამან რამე თითოეული ფაქტორის ზეგავლენის პრიორიტეტულობაში? ეს იქნება მნიშვნელოვანი, გასათვალისწინებელი საკითხი, თუ პოლიტიკა და სამოქმედო გეგმები (სახელმძღვანელოს მე-3 თავი) მოსწავლეებზეა ორიენტირებული.

მოსწავლეებთან დაკავშირებული მაგ.: მოსწავლეები ადვილად იძენენ მეგობრებს.	რიგითობა
უფროსებთან დაკავშირებული მაგ.: მასწავლებლები არ ავლენენ ისეთ ქცევას, როგორიც არ უნდათ დაინახონ მოსწავლეებში.	რიგითობა
ნაგებობებთან/შენობებთან დაკავშირებული მაგ.: მოსწავლეები ფიზიკურ კონტაქტს ამყარებენ, როდესაც მოძრაობენ შენობებში და ეს ხდება დავისა და ხშირად ჩხუბის საბაბი.	რიგითობა
სკოლის გარეთ/საზოგადოებასთან დაკავშირებული მაგ.: სწორი რასობრივი ინტეგრაცია ხელს უწყობს მოსწავლეების ინტეგრირებას სკოლაში.	რიგითობა

დამატებითი სავარჯიშო 4.5: რა ეროვნული ინციატივები არსებობს? რა დახმარებას უწევს ისინი სკოლის პოლიტიკასა და წესებს?

სკოლებმა, რომელთაც სურთ, დაიწყონ მუშაობა ძალადობის შემცირებისათვის, 4.1 სავარჯიშოში ჩამოთვლილი ვებგვერდების გაცნობასთან ერთად უნდა განსაზღვრონ ის ადგილობრივი და ეროვნული ინიციატივები, რომლებიც მიმართულებას მისცემს მათი პოლიტიკის შემუშავებას (იხ. სახელმძღვანელოს მე-3 თავი).

ადგილობრივი ინიციატივები

ეროვნული ინიციატივები

მეცადინეობის შემდგომი სავარჯიშო
(60 წუთი)

სავარჯიშო

ამ სავარჯიშოს მიზანია, დაგეხმაროთ ამ მეცადნეობისას გაგებული ზოგიერთი იდეის გამოყენებაში და თქვენს სამუშაო ადგილზე გაუმჯობესების მიღწევაში, რაც ხელს შეუწყობს სწავლას ძალადობის შემცირების გზით. თქვენ გთავაზობენ, იმუშაოთ კოლეგების ჯგუფთან ერთად თქვენს სკოლაში ან დაწესებულებაში.

განმარტეთ, თუ რას სწავლობდით და რაზე მუშაობდით პირველი მეცადინეობისას.

შესთავაზეთ ჯგუფს დამატებითი სავარჯიშო 4.4-ის განხილვა: „რა ფაქტორები ახდენს ზეგავლენას მოსწავლეებზე?“ მას შემდეგ, რაც ახსნით, თუ რა გააკეთეთ 4.3 სავარჯიშოში და აჩვენებთ შედეგებს, შეავსეთ ცხრილი იმის შესახებ, თუ რა ზეგავლენას ახდენს მოსწავლეებზე ფაქტორების ოთხი ჯგუფი.

ის, რაც ისწავლეთ ამ მეცადინეობის დროს, მიუსადაგეთ „ჯადოსნური შეკითხვის“ სავარჯიშოს ჯგუფთან ერთად: წარმოიდგინეთ თქვენი სკოლა ყველა იმ ფაქტორით, რომელიც ზემოქმედებას ახდენს „კონვივენსიის“ ატმოსფეროზე, რასაც დადებითი გავლენა აქვს სასწავლო პროცესზე (*შენიშვნა*: ჯადოსნური შეკითხვის განმარტება და შეკითხვების ჩამონათვალი იხილეთ ფასილიტატორის გზამკვლევის 3.4.1 ნაწილში).

ერთად გაეცით პასუხი ზოგიერთ ჯადოსნურ შეკითხვას.

აირჩიეთ ერთი პასუხი და დაგეგმეთ ერთი ცვლილება, რომლის განხორციელება თქვენ შეგიძლიათ ისე, რომ მიიღოთ არჩეული პასუხი.

მე-5 მეცადინეობა

უფრო მეტის გაგება – სკოლის თვითშეფასების როლი ძალადობის თავიდან აცილებასა და მინიმუმამდე შემცირებაში

(სახელმძღვანელოს მე-2 თავზე დაყრდნობით)

ზოგადი ნაწილი მე-4, მე-5 და მე-6 მეცადინეობებისთვის

მე-4, მე-5 და მე-6 მეცადინეობები მჭიდროდ არის დაკავშირებული და მიჰყვება ერთმანეთს სემინარის სამოდელო პროგრამით. ამ მეცადინეობების შედეგად ისწავლება ის, თუ როგორ განვავითაროთ, განვახორციელოთ და გამოვიყენოთ სკოლაში ძალადობის თვითშეფასების პრინციპი, იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად კარგად არის ორგანიზებული სკოლა, რათა სამოქმედო გეგმა მისთვის დადებითი შედეგის მომტანი იყოს.

შენიშვნა: სახელმძღვანელოში გამოყენებულია ტერმინი „აუდიტი“, მაგრამ მოცემულ სასწავლო სახელმძღვანელოში თარგმანის გამარტივებისათვის უფრო ხშირად გამოყენებულია ტერმინი „თვითშეფასება“.

10-წუთიანი შესავლის შემდეგ რვა სავარჯიშოდან თითოეულს სჭირდება დაახლოებით 30 წუთი.

მე-5 მეცადინეობა მოიცავს 5.1, 5.2 და 5.3 სავარჯიშოებს.

მე-6 მეცადინეობა მოიცავს 6.4, 6.5, 6.6 და 6.7 სავარჯიშოებს.

მე-7 მეცადინეობაში მოცემულია დამატებითი სავარჯიშო 7.8, რომელიც აძლევს ჯგუფს საშუალებას, დაგეგმოს, თუ როგორ შეიძლება თვითშეფასების მეთოდის განხორციელება კონკრეტულ ლოკალურ კონტექსტში.

თვითშეფასების ევროპული მეთოდი სკოლებში ძალადობის აღმოფხვრისათვის

წინამდებარე ტრენინგის შემდეგ ორგანიზაციებსა და სკოლებს შეუძლიათ შექმნან თავიანთი მონიტორინგის მექანიზმი. ალტერნატივის სახით ინტერნეტში არსებობს სრული თვითშეფასების დოკუმენტი სახელწოდებით ‘e-ViRiS’, რომელიც ხელმისაწვდომია სწავლისათვის შესაფერისი ქცევის ცენტრში და რომელიც შექმნილია იმ სკოლების საჭიროებების შესაბამისად, რომელთაც სურთ, მოახდინონ პრიორიტეტული სამოქმედო სფეროების იდენტიფიცირება.

დოკუმენტი მიზნად ისახავს, შეაფასოს, თუ რამდენად კარგად არის ორგანიზებული სკოლა იმისათვის, რომ მასში გატარდეს ცვლილებები და შემცირდეს ძალადობა.

ტრენინგის თანმიმდევრობა	ხანგრძ-ლივობა
მეცადინეობა: უფრო მეტის გაგება – სკოლის თვითშეფასების როლი ძალადობის თავიდან აცილებასა და მინიმუმამდე შემცირებაში *შესავალი (10 წუთი)* ამ მეცადინეობის შესავალში აღწერილია ფილოსოფია, რომელიც საფუძვლად უდევს თვითშეფასებას. *სავარჯიშო 5.1 – სწორი დასკვნების გაკეთება (20 წუთი)* ეს სავარჯიშო არის ზოგადი მიმოხილვა იმისა, თუ როგორ უნდა შესრულდეს თვითშეფასების პროცესი და როგორ უნდა იქნეს გამოტანილი დასკვნები. *სავარჯიშო 5.2 – კარგად ორგანიზებული სკოლის მოდელის განხილვა (35 წუთი)* ამ სავარჯიშოში ხაზგასმულია სკოლის საორგანიზაციო წყობის მნიშვნელობა საწყის ეტაპზე, რათა შეფასდეს სკოლის მზადყოფნა სასიკეთო რეფორმებისათვის. *სავარჯიშო 5.3 – ის ფასეულობები, რომლებიც საფუძვლად უდევს თვითშეფასებას (25 წუთი)* ამ სავარჯიშოში განმარტებულია ის ფასეულობები, რომლებსაც ემყარება თვითშეფასება, და ისინი შედარებულია სკოლის სახელმძღვანელო პრინციპებსა და ფასეულობებთან.	**1 საათი და 30 წუთი**
მეცადინეობა 6: უფრო მეტის გაგება – თვითშეფასების დოკუმენტის გაცნობა და გამოყენება *სავარჯიშო 6.4 – თვითშეფასების ამოცანების ორგანიზება (30 წუთი)* ეს სავარჯიშო სთავაზობს მონაწილეებს შესაძლებლობას, იმსჯელონ იმ ამოცანებზე, რომლებიც უნდა შესრულდეს თვითშეფასების განხორციელების მიზნით. *სავარჯიშო 6.5 – ადამიანების მომზადება თვითშეფასებისთვის (30 წუთი)* ეს სავარჯიშო ხელს უწყობს იმის შესწავლას, თუ როგორ უნდა მიაწოდოთ ინფორმაცია, გააქტიუროთ და ჩართოთ სკოლის ყველა წევრი თვითშეფასების პროცესში, რათა შედეგი ყველას ეკუთვნოდეს. *სავარჯიშო 6.6 – თვითშეფასების მონაცემების ინტერპრეტაცია (30 წუთი)* ამ სავარჯიშოში წარმოდგენილია თვითშეფასების პროფილი, ასევე ის, თუ როგორ იქნა ის მიღებული, ამასთან, აღნიშნული იქნება განსხვავებები ჯგუფებს შიგნით და მათ შორის. *სავარჯიშო 6.7 – სამოქმედო გეგმების შედგენა (25 წუთი)* თვითშეფასების პროცედურიდან ეს სავარჯიშო გადაინაცვლებს შედეგების განხილვაზე და ეფექტიანი სამოქმედო გეგმის შედგენის ხერხებზე. რეზიუმე (5 წუთი)	**2 საათი**
მეცადინეობა 7: უფრო მეტის გაგება – თვითშეფასების ადაპტირება ადგილობრივი პრიორიტეტების შესაბამისად **შემდგომი სავარჯიშო:** სავარჯიშო 7.8 – თვითშეფასების „ონლაინ“-ფორმის გაცნობა და სკოლაში თვითშეფასების დაგეგმვა.	**1 საათი**

დამატებითი რესურსები. ინფორმაცია თვითშეფასების „ონლაინ“-ფორმის “e-ViRis” შესახებ ხელმისაწვდომია სწავლისათვის შესაფერისი ქცევის ცენტრის მისამართზე.

მე-5 მეცადინეობა: სკოლის თვითშეფასების როლი ძალადობის თავიდან აცილებასა და მინიმუმამდე შემცირებაში

შესავალი

გამოიყენეთ სახელმძღვანელოს მე-2 თავი, გვ. 33-35 — „რას ნიშნავს სკოლის აუდიტი?" და „რატომ არის აუდიტი აუცილებელი?", როგორც საფუძველი შესავალი ნაწილისათვის.

სკოლის გაუმჯობესება არის ციკლური პროცესი და ამ პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია რეგულარული თვითშემოწმება.



პრეზენტაციებში PowerPoint 5/6/7.1, 5/6/7.2 და 5/6/7.3 მოცემულია არგუმენტები თვითშეფასების პროცესის სასარგებლოდ:

> „სკოლის მხრიდან უპასუხისმგებლობა იქნებოდა მოეხდინა მობილიზება, წამოეწყო რაიმე და ემოქმედა იმის გაუაზრებლად, ექნება თუ არა დროისა და ენერგიის ასეთ დანახარჯებს სასურველი შედეგი".
>
> (გლიკმენი, „ამერიკის სკოლების განახლება", 1993)

> „ჩვენი პროფესიონალური როლი არ არის საზოგადოების „სრულყოფა". ჩვენ ვერ შევცვლით მრავალი ბავშვის ოჯახურ პირობებს, ვერ შევცვლით ვერც მათ ოჯახებს, რომლებიც, შვილების განათლების თვალსაზრისით, ჩვენზე არიან დამოკიდებული. ის, რისი გაკეთებაც დაუყოვნებლივ შეგვიძლია, არის უკეთესი არჩევანი ჩვენს სკოლებში მოსწავლეებისა და უფროსების დროისა და ენერგიის ხარჯვასთან დაკავშირებით".
>
> (კალჰოუნი, „როგორ განვახორციელოთ ქმედითი კვლევა თვითგანახლებად სკოლაში", 1994)

> „ხშირად მოქმედების, კვლევის და სწავლების ერთობლივ პროცესს შეუძლია მოახდინოს საპირისპირო მსოფლმხედველობისა და ინტერესების მქონე მრავალი ადამიანის „ტრანსფორმაცია" თანამშრომლობის პრინციპით გაერთიანებულ გუნდებად სიძნელეებთან რეალისტურად გამკლავებისათვის მზადყოფნის, ფაქტების სამართლიანად გამოძიების და მათ დასაძლევად ერთობლივი მუშაობის საფუძველზე. პრობლემების დიაგნოსტირებისათვის უნდა მოხდეს მოქმედების კონცენტრირება ზუსტი მონაცემების შეგროვებაზე..."
>
> (ლევინი და კორი, „მოქმედება სკოლებში პრაქტიკული მეთოდების სრულყოფისათვის", 1948)

PowerPoint 5/6/7.4-ში შეჯამებულია ამ ციტატებში გადმოცემული გზავნილები.

თვითშეფასება:

- ეხმარება სკოლას, რომ ზუსტად იცოდეს, რას აკეთებს.
- წარმოადგენს მტკიცებულებებს იმასთან დაკავშირებით, სწორ ნაბიჯებს დგამს თუ არა სკოლა.
- წარმოადგენს მტკიცებულებებს იმასთან დაკავშირებით, დადებითი შედეგი აქვს თუ არა იმას, რასაც სკოლა აკეთებს.
- ეხმარება სკოლას პრობლემების იდენტიფიცირებაში.
- ხელს უწყობს სკოლას ერთობლივ მუშაობაში გაუმჯობესების მიზნით.

სურვილისამებრ მიეცით ჯგუფს რამდენიმე წუთი, რომ იმსჯელონ ამ საკითხებზე, მაგრამ არ მისცეთ საშუალება, რომ დისკუსია ზედმეტად გახანგრძლივდეს პრეზენტაციის ამ ეტაპზე.

მოკლედ განმარტეთ ტრენინგის თანმიმდევრობა სამი — მე-5, მე-6 და მე-7 — მეცადინეობისათვის, რათა ფასილიტატორებისათვის გასაგები იყოს, თუ რა მხრივ დაეხმარება მათ თვითშეფასება ან როგორ უნდა გამოიყენონ ეს მეთოდი ისე, რომ გამოადგეთ სამოქმედო გეგმის შემუშავებაში.

ხაზი გაუსვით იმას, რომ თვითშეფასება არის გაუმჯობესების ციკლის ნაწილი და რომ მათ უკვე განიხილეს ეს ციკლი მე-3 მეცადინეობის დასაწყისში ჩატარებული ტრენინგისას „ძალადობის აღმოფხვრა სკოლებში“.

სავარჯიშო 5.1: სწორი დასკვნების გამოტანა

მეცადინეობის შედეგები

- იმის გათვითცნობიერება, თუ როგორ იძლევა თვითშეფასება ზუსტ სურათს სკოლებში პროსოციალურ ქცევასა და ძალადობასთან დაკავშირებულ მდგომარეობაზე;
- ძალადობის შესახებ დასკვნების გაკეთების სწავლა;
- მცდარი დასკვნების გაკეთებასთან დაკავშირებული საფრთხეების გათვითცნობიერება.

ტრენინგის თანმიმდევრობა

გამოიყენეთ სახელმძღვანელო და პრეზენტაციები PowerPoint 5/6/7.5 თვითშეფასების ძირითადი დამახასიათებელი ნიშნების ასახსნელად. PowerPoint 5/6/7.6 პრეზენტაციებში ახსნილია 5.1 სავარჯიშო. დააჯგუფეთ მონაწილეები 5-8 კაციან ჯგუფებად და გააცანით მათ სავარჯიშო.

ჯგუფური დისკუსია შედეგების შესახებ: ჩამოუარეთ ყველა ჯგუფს და სათითაოდ გამოჰკითხეთ პასუხები შვიდ შეკითხვაზე მოკლე დისკუსიისათვის თითოეულ ჯგუფთან. გამოიტანეთ თვითშეფასებისთვის შესაბამისი დასკვნები.

გასათვალისწინებელი კრიტერიუმები:

- სუბიექტური და ობიექტური დასკვნების შედარება;
- დასკვნების ლოგიკურობა;
- რა პერიოდში კეთდება დასკვნები;
- ძალადობის ტენდენციები – რა იზრდება, რა უმჯობესდება;
- შეთანხმებული საკვანძო ტერმინების (იდენტიფიკატორების) აუცილებლობა – საერთო ენა ძალადობის დასახასიათებლად;
- კატეგორიების განსაზღვრა – მხოლოდ ეს არ არის ძალადობის ფორმები.

სასარგებლო რჩევები ფასილიტატორს

ახსენით, რომ ეს არის სწრაფი, სუბიექტური სავარჯიშო.

მიუთითეთ, რომ თქვენ შეგიძლიათ ეს გადააქციოთ სავარჯიშოდ, რომელიც ორიენტირებულია პრობლემის მოგვარებაზე და ეხმარება სკალის შედგენას, თუკი დაისმის შეკითხვა: „რატომ არ არის თქვენი ქულა ერთით ნაკლები?". მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ჩვენი მიზანია სისწორის დადგენა.

ჯგუფში დისკუსიის დრო 10 წუთამდე შეზღუდეთ და მოუწოდეთ ჯგუფებს, რომ გარკვეულ დროში ჩაეტიონ და არ გადავიდნენ ზემდეტ მსჯელობაზე.

სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს, დანიშნოს მომხსენებელი, რომელმაც უნდა ჩაინიშნოს შვიდ კითხვაზე მიღებული პასუხები.

ჯგუფის ერთობლივი დისკუსიის დროს აქცენტი უნდა გაკეთდეს იმაზე, რომ სკოლებში ძალადობის თემა არის უკიდურესად დელიკატური და ეს არის სფერო, რომელიც იწვევს რადიკალურად განსხვავებულ აზრებს სკოლაში ადამიანის ფუნქციებიდან გამომდინარე – მაგალითად, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის. შესაბამისად, ძნელი იქნება მყარი დასკვნების გაკეთება. კარგად სტრუქტურიზებულმა თვითშეფასებამ შესაძლებელია უფრო ობიექტური სურათი მოგვცეს სკოლაში არსებული მდგომარეობის შესახებ. მაგრამ აუცილებელია, იქონიოთ შეფასების სათანადო ფორმები, რომლებიც სწორად უნდა იყოს შედგენილი.

თუ დრო არ არის საკმარისი, შეგიძლიათ ქაღალდის დაფა აღარ გამოიყენოთ და სიტყვიერად მოისმინოთ პასუხები ზოგადი შენიშვნების ჩამოყალიბებამდე.

დამატებითი რესურსები

არ არის საჭირო.

სავარჯიშო 5.1: სწორი დასკვნების გამოტანა

შეაფასეთ თქვენთვის ნაცნობი სკოლა ძალადობის ქვემოთ ჩამოთვლილი ფორმების მიხედვით სკალაზე, სადაც 1 = „ეს პრობლემა საერთოდ არ არსებობს“, ხოლო 10 = „ძალიან სერიოზული პრობლემაა“.

ძალადობის ფორმები	ქულები 1-10
მოსწავლეების მხრიდან ფიზიკური შეტევები მასწავლებლებზე	
მოსწავლეების მხრიდან ფიზიკური შეტევები სხვა მოსწავლეებზე	
მოსწავლეების მიერ ერთმანეთის დაშინება და დამცირება	
მასწავლებლების მიერ მოსწავლეების დაშინება და დამცირება	
მასწავლებლების მიერ ერთმანეთის დაშინება და დამცირება	
მასწავლებლების მხრიდან მოსწავლეების მიმართ სიტყვიერი აგრესია	
მოსწავლეების მხრიდან მასწავლებლების მიმართ სიტყვიერი აგრესია	

გაუზიარეთ თქვენი შეფასებები თქვენი ჯგუფის წევრებს და ქვემოთ მოცემულ შეკითხვებზე პასუხის გაცემით იმსჯელეთ მსგავსებებისა და განსხვავებების მიზეზებზე. სთხოვეთ ერთ მონაწილეს თქვენი ჯგუფიდან, ჩაიწეროს თქვენ მიერ მიღებული შედეგები ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

რამდენად ჰგავს თქვენი დასკვნები ერთმანეთს?
რა სტანდარტების მიხედვით გადაწყვიტა თითოეულმა თქვენგანმა ქულის მინიჭება?
როგორ გამოიტანეთ დასკვნა?
რამდენად დარწმუნებული ხართ თქვენი მოსაზრებების სისწორეში?
რამდენად დარწმუნებით შეძლებთ თქვენი მოსაზრებების გაზიარებას სხვებისათვის?
რატომ არის შესაძლებელი ასეთი მყარი დასკვნების გაკეთება ზოგიერთ სფეროში?
რა საფრთხე არსებობს სუბიექტური ან მცდარი დასკვნების გამოტანისა ამ სფეროში?

სავარჯიშო 5.2: კარგად ორგანიზებული სკოლის მოდელის განხილვა

მეცადინეობის შედეგები

- იმის გაგება, თუ როგორ ვითარდება თვითშეფასების უნარი კარგად ორგანიზებული სკოლის მოდელის საფუძველზე;
- სკოლის განხილვა მრავალსაფეხურებრივ დაწესებულებად და იმ ექვსი ძირითადი სფეროს გაცნობა, რომლებსაც თვითშეფასება იკვლევს;
- იმის გათვითცნობიერება, რომ ძალადობის შემცირებისათვის აუცილებელია კარგად ორგანიზებული სკოლა.

ტრენინგის თანმიმდევრობა

მოდელის ფუძემდებლური პრინციპები განმარტებულია სახელმძღვანელოში და შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც საფუძველი ჯგუფისათვის პრეზენტაციისა და ახსნა-განმარტებისათვის.

გააცანით მონაწილეებს და ახსენით მოდელი PowerPoint 5/6/7 პრეზენტაციის საშუალებით. განუმარტეთ ჯგუფს ის ექვსი სფერო, რომლებსაც თვითშეფასება მოიცავს, ასევე ის, თუ როგორ უკავშიდებიან ისინი წარმოდგენილ მოდელს (ფერადი კოდირების დახმარებით).

ინდივიდუალური მუშაობით მონაწილეები სახელმძღვანელოს საშუალებით შეისწავლიან თვითშეფასების ამ მოდელს.

ფასილიტატორები პასუხობენ ოთხ შეკითხვას სავარჯიშოს ფორმაში.

შესთავაზეთ ფასილიტატორებს, რომ პასუხები წყვილებში გაუზიარონ ერთმანეთს და მოკლედ განიხილონ ისინი.

თქვენ უნდა აირჩიოთ ნებისმიერი შეკითხვა და შეაჯამოთ, თუ როგორ მივყავართ ამ მოდელს შეკითხვებამდე იმის შესახებ, თუ რამდენად კარგად არის ორგანიზებული სკოლა და როგორ შეიძლება ეს გახდეს თვითშეფასების საფუძველი.

PowerPoint 5/6/7.8 პრეზენტაციის საშუალებით შეაჯამეთ და ახსენით, რომ ”e-ViRiS” აუდიტის ექვსი სფერო აღებულია მოდელიდან. ოთხი სფერო მოდის რიგებიდან, ხოლო ორი (ორგანიზაცია და მონიტორინგი) — სვეტებიდან ისე, რომ აუდიტი ორგანზომილებიანია.

სასარგებლო რჩევები ფასილიტატორს

მოდელი პრეზენტაციის 8.7 სლაიდში გამარტივებულია და ანიმაციურად გამდიდრებულია, რათა გაადვილდეს მისი ახსნა. მეცადინეობის დროს ეკრანზე დატოვეთ ეს მოდელი, რომ ჯგუფებს შეეძლოთ სავარჯიშოს შესრულებისას მისი გამოყენება.

დამატებითი რესურსები

არ არის საჭირო.

სავარჯიშო 5.2: კარგად ორგანიზებული სკოლის მოდელის განხილვა

ეს სავარჯიშო შეეხება დიაგრამას და განმარტებას სახელმძღვანელოს 37-41 გვერდებ-ზე.

ქვემოთ მოცემულ შეკითხვებზე პასუხების გაცემა დაგეხმარებათ, გაერკვიოთ კარგად ორგანიზებული სკოლის ამ მოდელში.

რამდენად კარგავს ასახავს ეს მოდელი თქვენი სკოლის საორგანიზაციო წყობას?
არის თუ არა თქვენი სკოლის საორგანიზაციო წყობაში ისეთი ასპექტები, რომლებიც არ არის ასახული ამ მოდელში?
არის თუ არა ამ მოდელში ისეთი ასპექტები, რომლებიც არ არის თქვენი სკოლის საორგანიზაციო წყობაში?
რას გეუბნებათ ეს სკოლის ორგანიზაციის იმ სფეროებზე, რომლებიც უნდა იქნეს შემონმებული საკუთარი ძალებით, რათა დადგინდეს, თუ რამდენად ქმედითია ისინი ძალადობის შემცირებისა და „კონვივენსიის“ ხელშეწყობის კუთხით?

სავარჯიშო 5.3: თვითშეფასების ფუძემდებლური ფასეულობების განსაზღვრა

მეცადინეობის შედეგები

- იმ ფასეულობების გაცნობა, რომლებსაც თვითშეფასება ემყარება;
- ამ ფასეულობების სკოლის რეალურ ან სასურველ ფასეულობებთან შედარების შესაძლებლობა;
- სხვადასხვა ფასეულობის შესაძლო ქვეტექსტის გათვითცნობიერება.

ტრენინგის თანმიმდევრობა

გადადით იმ ფასეულობების განხილვაზე, რომლებიც საფუძვლად უდევს თვითშეფასების პრინციპს. ამისთვის გამოიყენეთ ქვეთავი სათაურით „აუდიტის ფასეულობები“ სახელმძღვანელოს 41-ე გვერდზე. ფასეულობების დამატებითი მაგალითები მოცემულია 5.3 სავარჯიშოს ფურცლის მე-5 ნაწილში.

სთხოვეთ მონაწილეებს, შეასრულონ სავარჯიშო დამოუკიდებლად, შემდეგ კი პარტნიორთან ერთად შეადარონ პასუხები ერთმანეთს და იმსჯელონ თვითშეფასების პროცესზე. სთხოვეთ, რომ სავარჯიშოს და დისკუსიას დაუთმონ არა უმეტეს 10-10 წუთისა.

დისკუსიები წარმართეთ წრეში და შემდეგ გააერთიანეთ.

სასარგებლო რჩევები ფასილიტატორს

მოუწოდეთ მონაწილეებს, გამოიყენონ სწავლების ის ფორმა, რომელსაც ყველაზე მეტ უპირატესობას ანიჭებენ. მაგალითად, მათ შეიძლება არჩიონ თავიანთი პასუხების დახატვა, პატარა პოსტერზე დატანა ან სცენარის სახით გადმოცემა.

დისკუსიის შედეგად გამოიტანეთ დასკვნა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ სკოლას გააზრებული ჰქონდეს საკუთარი ფასეულობები და ისინი, რომლებიც მნიშვნელოვანია თვითშეფასებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდა, რომ ფასეულობათა ამ ორ წყებას შორის თანხვედრა არ არის (მაგალითად, სკოლა არ ახორციელებს ბავშვების შეხედულებების წარმოჩენას ან მათ გათვალისწინებას, რაც თვითშეფასების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია), სკოლის ხელმძღვანელობამ უნდა გადაწყვიტოს, გააძლიერებს თუ არა თვითშეფასების პრინციპები სკოლის ამბიციებს სრულყოფისაკენ.

მიუთითეთ თვითშეფასების მნიშვნელობაზე ფუნდამენტური ღირებულებების შესახებ დიალოგის წამოწყებაში – ეს არის ის, რასაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება „კონვივენსიის“ დამყარებისა და შენარჩუნებისათვის.

დამატებითი რესურსები

არ არის საჭირო.

სავარჯიშო 5.3: თვითშეფასებისა და სკოლის ფუძემდებლური ფასეულობების შედარება – სავარჯიშო ჯადოსნური შეკითხვებით

მოცემული სავარჯიშო გვიჩვენებს თვითშეფასების მნიშვნელოვან დადებით მხარეს – ეს არის დახმარება ფასეულობების განსაზღვრაში. ხუთი ნაწილის დასრულების შემდეგ იმუშავეთ პარტნიორთან ერთად თქვენს მიერ მიღებული შედეგების გაზიარების მიზნით. თქვენი აზრების გაზიარება შესაძლოა გერჩივნოთ მცირე პოსტერის ან სცენარის საშუალებით.

1. შეასრულეთ ჯადოსნური შეკითხვის სავარჯიშო – დილით იღვიძებთ და სკოლაში არის „კონვივენსია“. სკოლაში რა ძირითადი ფასეულობები იქნებოდა საყოველთაოდ აღიარებული?
2. რას გააკეთებდნენ სასკოლო საზოგადოების წევრები და როგორ დაელაპარაკებოდნენ ან მოეპყრობოდნენ ერთმანეთს?
3. როგორ იქნებოდა სკოლა ორგანიზებული ისეთ ძირითად სფეროებში, როგორიც არის სასწავლო პროგრამა, დამხმარე სისტემები, გარემო სივრცე შიგნით და გარეთ?
4. შეეცადეთ, ამ აღწერების დეტალებიდან ამოიღოთ მთავარი სიტყვები ან ფრაზები, რომლებიც ასახავს ადამიანების ურთიერთდამოკიდებულებას. წინადადებები დაიწყეთ სიტყვებით: „ჩვენ ყველა ...“
5. რა ფასეულობების დამატება ან გაძლიერება შეუძლია თვითშეფასებას (მაგ: ჩართულობა, ბავშვების მოსმენა, შეფასების თანასწორობა, მომავლის ხედვა და დაგეგმვა, წარმატებულობა და სახელმძღვანელოს 42-ე გვერდზე ჩამოთვლილი ფასეულობები)?

მე-6 მეცადინეობა

უფრო მეტის გაგება –
თვითშეფასების ფორმის განხილვა და გამოყენება

სავარჯიშო 6.4: თვითშეფასების დავალებების ორგანიზება

მეცადინეობის შედეგები

- თვითშეფასების პროცესის შესაბამისი დავალებების გათვითცნობიერება;
- თვითშეფასებაში მონაწილე ჯგუფების იდენტიფიცირება.

ტრენინგის თანმიმდევრობა

6.4 სავარჯიშოს შესრულება (20 წუთი)

5/6/7.9 – 5/6/7.13 პრეზენტაციებში გადმოცემულია თვითშეფასების ორგანიზებისა და განხორციელების ხუთი საფეხურის დეტალები. რიგრიგობით აიღეთ სლაიდები და სთხოვეთ წყვილებს, იმუშაონ ერთად 6.4 სავარჯიშოს შესრულებისას. აუხსენით, რომ დავალებები გამიზნულია დისკუსიის სტიმულირებისთვის. ყოველი სკოლა განსხვავებულია, მაგრამ იმისათვის, რომ თვითშეფასება წარმატებული იყოს, აუცილებელია, ზედმიწევნით დაიგეგმოს ხუთივე ეტაპის მომზადება და შესრულება.

დამთავრების შემდეგ სთხოვეთ თითოეულ წყვილს, შეუერთდნენ სხვას და გაუზიარონ ერთმანეთს თავ-თავიანთი პრიორიტეტები და არგუმენტები. თუ დრო არის, ყველა ოთხკაციანი ჯგუფი უნდა შეუერთდეს სხვა ოთხკაციან ჯგუფს, რათა იმსჯელონ საერთო შეხედულებებზე. ყველა შემთხვევაში დისკუსიას წარმართავს ერთი ადამიანი თითოეული ჯგუფიდან.

აღნიშნეთ, რომ არ არსებობს სწორი ან არასწორი მიდგომები. ამ სავარჯიშოს მიზანია, დაეხმაროს ფასილიტატორებს, დაფიქრდნენ ეფექტიანი თვითშეფასების ჩატარებისათვის საჭირო დაგეგმვის შესახებ.

თვითშეფასების e-ViRiS ფორმის განხილვა (10 წუთი)

აუხსენით ჯგუფს, რომ თვითშეფასების e-ViRiS ფორმა თავად მოიცავს ორ ეტაპს: პირველი მთლიანად ემყარება კითხვარს, ხოლო მეორე ეტაპი საშუალებას აძლევს სკოლას, დაადასტუროს ან უარყოს მიგნებები, რომლებიც კითხვარის შედეგებში შეიძლება იყოს ბუნდოვანი, ფრაგმენტული ან პოლარიზებული.

როდესაც გადაწყვეტილება ეხება იმას, თუ ვინ უნდა შემოწმდეს და თითოეული ჯგუფიდან რამდენი, ყოველთვის იქნება გარკვეული დაძაბულობა თვითშეფასების სისრულესა და მის შესასრულებლად საჭირო დროსა და რესურსებს შორის. სკოლამ უნდა გადაწყვიტოს, არის თუ არა პროცესის მე-2 ეტაპზე გადასვლის საჭიროება, რომელიც მოიცავს ინტერვიუებს, დაკვირვებებს და დოკუმენტაციის შემოწმებას და საჭიროებს მეტ დროსა და რესურსებს. სამაგიეროდ, იზრდება მიღებული შედეგების სანდოობა.

ამიტომ თვითშეფასება შექმნილია როგორც მოქნილი მექანიზმი, რათა თვითშეფასების პროცესში მოხდეს სკოლის კონკრეტული საჭიროებების გათვალისწინება და ფრაგმენტებად გაშლა.

სთხოვეთ წყვილებს, იმსჯელონ იმაზე, თვლიან თუ არა, რომ მათმა სკოლამ უნდა მისცეს საშუალება ხუთივე ჯგუფს, გაიარონ თვითშეფასების პირველი ეტაპი და რა მოსაზრებები არსებობს მეორე ეტაპის ორგანიზებისათვის, რომელიც საჭირო შეიძლება გახდეს.

სასარგებლო რჩევები ფასილიტატორს

მოუწოდეთ მონაწილეებს, იფიქრონ, თუ როგორ გაუნაწილონ თვითშეფასების პროცესის სხვადასხვა დავალება თანამშრომელთა ჯგუფებს ან კოლეგებს სკოლის გარეთ.

ურჩიეთ მონაწილეებს, რომ სასარგებლო იქნებოდა, თუ მოემზადებოდნენ სკოლის პერსონალისათვის თვითშეფასების პროცესის ტექნიკური ასპექტების აღწერისათვის – ეს არის კითხვარების შინაარსი, როგორ მიიღება შედეგები და ა.შ.

დამატებითი რესურსები

არ არის საჭირო.

სავარჯიშო 6.4: თვითშეფასების დავალებების ორგანიზება

იმუშავეთ პარტნიორთან ერთად და აირჩიეთ ორი ყველაზე მნიშვნელოვანი დავალება თითოეულ ეტაპზე. ამაში დაგეხმარებათ პრეზენტაციები PowerPoint 5/6/7.8 – 5/6/7/12.

თვითშეფასების ეტაპები	**დავალებები**
ეტაპი 1: საწყისი კონსულტაციები	
ეტაპი 2: გაცნობა თანამშრომლებისა და სხვა შესაბამისი მხარეებისთვის	
ეტაპი 3: თვითშეფასების ჩატარება	
ეტაპი 4: მონაცემთა ანალიზი	
ეტაპი 5: მოქმედებათა დაგეგმვა	

როდესაც არჩევანს გააკეთებთ, გაუზიარეთ ის სხვა ჯგუფს და ნახეთ, რა ასპექტშია თანხმობა და განსხვავებულია თუ არა მათი პრიორიტეტები. შეძლებისდაგვარად შეთანხმდით და შემდეგ თქვენი შედეგები გაუზიარეთ მეორე ოთხკაციან ჯგუფს.

სავარჯიშო 6.5: ადამიანების მომზადება თვითშეფასებისათვის

მეცადინეობის შედეგები

- როგორ მივაწოდოთ სასკოლო თანამეგობრობის ყველა წევრს ინფორმაცია თვითშეფასების შესახებ და გავააქტიუროთ სკოლის ყველა წევრი თვითშეფასების პროცესში მონაწილეობისა და მისი მხარდაჭერისათვის.

ტრენინგის თანმიმდევრობა

სავარჯიშოს (მხოლოდ ძირითადი მომენტების) გაცნობისთვის გამოიყენება პრეზენტაციები PowerPoint 5/6/7.14, 5/6/7.15 და 5/6/7.16, ასევე სახელმძღვანელოს ქვეთავი „აუდიტის ადამიანური მხარე“ 43-45 გვერდებზე.

ერთად შეკრიბეთ მთელი ჯგუფი და მოუწოდეთ, გამოთქვან იდეები/მიდგომები, რომლებიც ხელს შეუწყობს სკოლის ყველა წევრის მოტივაციას და ჩართვას ამ პროცესში.

ყველა ნაწილში გამოიყენეთ ქაღალდის დაფა ან 6.5 სავარჯიშოს კომპიუტერში აგებული ცხრილი, რომ ჩაინიშნოთ ძირითადი მოსაზრებები.

სასარგებლო რჩევები ფასილიტატორს

შეინარჩუნეთ ტემპი – ამ სავარჯიშოსთვის მხოლოდ 30 წუთი გაქვთ.

სთხოვეთ რომელიმე მოხალისეს, დაწეროს დაფაზე.

თუ პროექტორის საშუალებით კომპიუტერიდან აჩვენებთ ცხრილს და ვინმეს შეუძლია ჩაბეჭდოს პასუხები, მაშინ მეცადინეობის ბოლოს შეგიძლიათ ყველას დაურიგოთ ერთი ამობეჭდილი ასლი.

აუცილებელია იმის ხაზგასმა, რომ თვითშეფასების ადამიანური მხარის „სწორად“ წარმართვა ალბათ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საორგანიზაციო ასპექტები (როგორ მიიღებენ ადამიანები კითხვარებს, როგორ დააფიქსირებენ თავიანთ აზრებს და ა.შ.). შეიძლება ადამიანებისთვის გაუგებარი ან საეჭვო იყოს თვითშეფასების მიზნები და შესაძლო შედეგები. მათთან კარგი კომუნიკაციის დამყარება აუცილებელია თვითშეფასების დაწყებამდე, მისი მსვლელობისას და დასრულების შემდეგ. ეს პროცესი „გულისა და გონების“ საქმეა!

დამატებითი რესურსები

ქაღალდის დაფა, რომელზეც დახაზულია 6.5 ცხრილი ან კომპიუტერული პროექტორი, რომელიც გამოსახავს ცხრილს ეკრანზე.

სავარჯიშო 6.5: ადამიანების მომზადება თვითშეფასებისათვის

სკოლაში თვითშეფასების პროცესის დაწყებამდე მიზანშეწონილია შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

თქვენი აზრით, როგორი იქნება თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მშობლების რეაქცია თვითშეფასების ჩატარებასთან დაკავშირებით?
რა პრობლემური საკითხები შეიძლება მათ ჰქონდეთ და როგორ მოგვარდება ისინი?
ამ თავში მოცემული რჩევების გათვალისწინებით, როგორ შეიძლება ყველაზე კარგად შემდეგი ჯგუფების წახალისება, რომ მხარი დაუჭირონ თვითშეფასებას? • სკოლის ხელმძღვანელი პირები • პერსონალი (სავარაუდოდ, მათი კატეგორიების მიხედვით – მასწავლებლები, დამხმარე პერსონალი და ა.შ.) • მოსწავლეები • მშობლები • ფართო საზოგადოების წევრები, რომლებიც დაინტერესებული არიან სკოლით

შენიშვნები ფასილიტატორებისთვის
(30 წუთი)

სავარჯიშო 6.6: თვითშეფასების მონაცემების ინტერპრეტაცია

მეცადინეობის შედეგები:

- თვითშეფასების მონაცემთა ხასიათის გაცნობა;
- შედეგების პროფილის გაცნობა;
- იმის გაგება, თუ როგორ ხდება განსხვავებების აღიარება და მათი საშუალებით შესაძლო სამომავლო მოქმედებების განსაზღვრა თვითშეფასების მე-2 ეტაპზე.

ტრენინგის თანმიმდევრობა

შესაძლებელია PowerPoint 5/6/7.17 და 5/6/7.18 პრეზენტაციების გამოყენება თვითშეფასების შედეგად შედგენილი ორი პროფილის ასახსნელად. პროფილი 1 PowerPoint 5/6/7.17 პრეზენტაციაში იძლევა კონსოლიდირებულ შედეგებს თითოეულ 80+ სფეროზე. თუ სურვილი გაქვთ, აჩვენეთ, თვითშეფასების „ონლაინ“ გამოყენებით როგორ ხდება შედეგების შემდგომი ანალიზი თითოეულ პუნქტზე ჯგუფებს შორის განსხვავებების გამოვლენისა და თითოეულ პუნქტზე ყოველი ჯგუფის შიგნით კითხვარის ქულების განაწილების პრინციპის განმარტების მიზნით. თვითშეფასების ფორმა მიუთითებს, სად არის ორქულიანი ან უფრო მეტქულიანი სხვაობა ჯგუფებში და ასევე — სად არის ჯგუფებს შიგნით ფრაგმენტული ან პოლარიზებული გადანაწილება.

პროფილი 2 PowerPoint 5/6/7.18 პრეზენტაციაში ასახავს კითხვარის შედეგებს სხვადასხვა ფორმის ძალადობის სახეების, სიხშირის, ჩამდენებისა და ადგილის მიხედვით. ეს შედეგები უშუალოდ იძლევა საინტერესო ინფორმაციას ამ სფეროებში.

PowerPoint 5/6/7.18 პრეზენტაციის დახმარებით ახსენით, რომ როდესაც თვითშეფასების ამ ნაწილში ჩნდება განსხვავებები, შესაძლებელია, საჭირო გახდეს მე-2 ეტაპის შესრულება – ეს არის დაკვირვებები, ინტერვიუები, დოკუმენტების შემოწმება – რათა დადგინდეს ამ განსხვავებების ხასიათი (მაგალითად, პერსონალსა და მოსწავლეებს შორის).

ჯგუფებში განსხვავებების განხილვის მიზნით დაარიგეთ საილუსტრაციო მასალა „II ეტაპი – მოსწავლეთა გამოკითხვის გრაფიკი“, რათა ახსნათ, თუ როგორ შეიძლება გადანაწილდეს კითხვარების შედეგები და როგორ ხდება მათზე შემდგომი რეაგირება მოცემულ მაგალითში მე-2 ეტაპის ინტერვიუს საშუალებით.

თუ გარკვეულ ასპექტებში საჭიროა მეტი სიცხადის შეტანა, გადადით მე-2 ეტაპის მოქმედებებზე.

იმ სფეროებში, სადაც მიღებული შედეგები სანდოა, ისინი შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც მოქმედებების დაგეგმვის პროცესის ნაწილი მომდევნო სავარჯიშოში.

სასარგებლო რჩევები ფასილიტატორს

ზოგიერთმა სკოლამ მონაცემები ერთი შეხედვით შეიძლება შემაშინებლად ჩათვალოს. განუმარტეთ, რომ რეალურად შედეგები საკმაოდ მარტივია და როდესაც მოხდება მონაცემების გადამოწმება სანდოობაზე, ამას ადვილად მოჰყვება მოქმედებების დაგეგმვა თითოეული პუნქტის გარშემო.

დამატებითი რესურსები

საილუსტრაციო მასალა 6.6: „II ეტაპი – მოსწავლეთა გამოკითხვის გრაფიკი“.

II ეტაპი – მოსწავლეთა გამოკითხვის გრაფიკი

თვითშეფასების ყოველი პუნქტისათვის არსებობს ხუთი შესაძლო პროფილის ტიპი. მოცემულ მაგალითში მოსწავლის პასუხი გამოყენებულია ფიქტიურად. ხუთი ჯგუფიდან ნებისმიერში შეიძლება დაფიქსირდეს ერთმანეთის მსგავსი განაწილება.

პროფილი 1: ფრაგმენტული ან სწორი

პროფილი 2: ნორმალური მრუდი

პროფილი 3: ჰიპერნორმალური მრუდი

პროფილი 4: ორი პიკური მაჩვენებელი

პროფილი 5: პოლარიზებული

შენიშვნა: მე-2 და მე-3 პროფილები მიახლოებულია სტატისტიკურ წარმოებულთან „განაწილების ნორმალური მრუდი“.

ქვემოთ ამ პროფილების მარტივი ფორმა გამოსახულია გრაფიკულად. მარტივი რიცხობრივი ტერმინოლოგიით პროფილები შემდეგნაირად აღინიშნებოდა:

პროფილი 1:	25	25	25	25(+/-10)
პროფილი 2:	0	50	50	0
პროფილი 3:	0	100	0	0
პროფილი 4:	0	50	0	50
პროფილი 5:	50	0	0	50

მოსწავლეთა გამოკითხვის გრაფიკი



1-ლ, მე-4 და მე-5 პროფილებს სჭირდებათ შემდგომი განმარტება სტრუქტურიზებული ინტერვიუს საშუალებით. მაგალითად:

პუნქტი 27 „მოსწავლეებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ პროსოციალურ/ურთიერთობის დამყარების ღონისძიებებში, როგორიც არის სპორტული კლუბი, დრამწრე და ა.შ.“.

ამ შეკითხვაზე შედეგების სანიმუშო პროფილი იყო (პოლარიზებული პროფილი):

სრულიად ვეთანხმები	მეტწილად ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები
53%	0%	0%	47%

თქვენს ფოკუს-ჯგუფში გამოიძიეთ მიზეზები, თუ, მათი აზრით, რატომ არის ამ საკითხის მიმართ ამგვარი აზრთა სხვადასხვაობა.

თუ არსებობს სათანადო საფუძველი იმისა, რომ ასეთი პროფილი შედგეს, მაგალითად, თუ სკოლის ერთი ნაწილი მონაწილეობს აღნიშნულ ღონისძიებებში, ხოლო მეორე – არა, ამ პუნქტს მიანიჭეთ 2 ქულა ხუთბალიან სკალაზე. 2 ქულა იწერება იმიტომ, რომ ბალანსი არ არის დამაკმაყოფილებელი, თუ ნახევარი სკოლა არ მონაწილეობს ან არ შეუძლია მონაწილეობა ურთიერთობების დამყარებისა და უნარ-ჩვევების განვითარებისკენ მიმართულ ღონისძიებებში.

მიეცით ფოკუს-ჯგუფს საშუალება, გააგრძელოს მსჯელობა ამ საკითხზე, ხოლო მოცემულ პუნქტზე დისკუსიის დასრულების შემდეგ (მაქსიმუმ 10 წუთი ან მეტი, თუ შედარებით ცოტა საკითხი გაქვთ განსახილველი) მიანიჭეთ მას ქულა თქვენთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე.

შენიშვნა: ამ ეტაპზე თქვენ უბრალოდ ცდილობთ, გაერკვეთ ამ საკითხთან დაკავშირებულ პრობლემებში და არა — მონახოთ გამოსავალი. ამის გაკეთება შეიძლება ფოკუს-ჯგუფებთან ერთად შემდგომ ეტაპზე.

შენიშვნა: სკოლამ უნდა აირჩიოს, რომელ პუნქტებზე სჭირდება მეტი ინფორმაცია, თუ ბევრ პუნქტს გაეცა ფრაგმენტული ან პოლარიზებული პასუხები.

გახსოვდეთ, რომ ამ ეტაპზე თქვენ უბრალოდ ცდილობთ, გაარკვიოთ, რამდენად სამართლიანად და სწორად (შეძლებისდაგვარად) იქნა მინიჭებული საბოლოო სარეიტინგო ქულები.

ამის შემდეგ ეს იქნება მოსწავლის სარეიტინგო ქულა ამ პუნქტისთვის, რომელიც შეიძლება შემდეგ შედარდეს სხვა ჯგუფებისგან მიღებულ შედეგებს.

სავარჯიშო 6.7: სამოქმედო გეგმების შედგენა

მეცადინეობის შედეგები

- იმის სწავლა, თუ როგორ გამოიყენოთ მონაცემები სამოქმედო გეგმის შესადგენად;
- ცოდნის შეძენა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ განახორციელოთ, გაუწიოთ მონიტორინგი და შეამოწმოთ სამოქმედო გეგმები.

ტრენინგის თანმიმდევრობა

პრეზენტაცია – სამოქმედო გეგმის შემუშავების ეტაპების განმარტება

გამოიყენეთ პრეზენტაცია PowerPoint 5/6/7.21 (სამოქმედო გეგმების შედგენა 1) და თვით-შეფასების მასალების საფუძველზე მოძებნეთ პასუხები შემდეგ შეკითხვებზე:

- რომელ სფეროებშია მაღალი ქულები – ძლიერი სფეროები? რა არის წარმატების მიზეზები? პირველ ეტაპზე აიღეთ თვითშეფასების სრული პროფილი (ოწეროინტ 5/6/7.16 არის პროფილის შემოკლებული მაგალითი). მონიშნეთ ის სფეროები, რომლებშიც სკოლა ძლიერია, და აღნიშნეთ ეს მიღწევები. ჩაინიშნეთ, ექვსი სფეროდან რომლის ნაწილს ქმნიან ისინი. დაუთმეთ ცოტა დრო იმის გარკვევას, თუ როგორ იქნა მიღწეული ეს დადებითი შედეგები. ეს ინფორმაცია გამოყენებული უნდა იქნეს იმ სამოქმედო გეგმებისთვის, რომლებიც შემუშავდება იმ სფეროებზე ზემოქმედებისათვის, რომლებიც თვითშეფასების შედეგად საჭიროებს გაუმჯობესებას.
- რომელ სფეროებშია დაბალი ქულები – სფეროები, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას? რა არის დაბალი ქულების მიზეზი? მიაქციეთ ყურადღება იმ სფეროებს, რომლებშიც დაიწერა 1 ან 2 ქულა პირველ ეტაპზე ან მეორე ეტაპის მოქმედებების დასრულების შემდეგ. გაარკვიეთ, ექვსი სფეროდან რომელს ეკუთვნის ისინი. იქ, სადაც ვხვდებით ფრაგმენტაციას ან პოლარიზაციას, გამოიკითხეთ, ეს ხომ არ მიანიშნებს, თუ რომელი სფერო შეიძლება განვითარდეს.
- როგორ უნდა მიესადაგოს წარმატებული სტრატეგიები ნაკლებად წარმატებულ სფეროებს? თითოეული პუნქტის ხასიათი აშკარად მიანიშნებს იმ მიზანზე, რომელიც უნდა დაისახოს. მაგალითად, დაბალი ქულა პუნქტში 27 („მოსწავლეებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ პროსოციალურ/ურთიერთობის დამყარების ღონისძიებებში") გულისხმობს, რომ უნდა შემუშავდეს ასეთი აქტივობების განვითარების გეგმა. სტრატეგია უნდა ემყარებოდეს მაგალითებს, სადაც აქტივობები უკვე წარმატებულია, მაგალითად, დამეგობრების სქემას.
- როგორ შეიძლება წარმატებული სფეროების შემდგომი გაძლიერება? მნიშვნელოვანია წარმატებული სფეროების შენარჩუნება, ვინაიდან ისინი წარმოადგენს გაუმჯობესების საფუძველს სხვა სფეროებში და არ უნდა იყოს უგულებელყოფილი.
- როგორ შეიძლება სკოლის საორგანიზაციო სტრუქტურის გაუმჯობესება? სამოქმედო

გეგმის რეალიზება დამოკიდებული იქნება სკოლის საორგანიზაციო წყობაზე. გეგმაში გაწერილი უნდა იყოს ფუნქციები და მოვალეობები განხორციელებისათვის.

იმოქმედეთ (PowerPoint 5/6/7.22), ჩამოაყალიბეთ SMART მიზნები:

- შპეციფიც - კონკრეტული
- ეასურაბლე - გაზომვადი
- ცჰიევაბლე - მიღწევადი
- ღეალისტიც - რეალისტური
- თიმე ლიმიტედ - დროში შეზღუდული

მიზნები დაალაგეთ პრიორიტეტულობის მიხედვით და განსაზღვრეთ მათ შორის მოკლე- და გრძელვადიანი მიზნები. ის, თუ რამდენი სამიზნე ამოცანის მიმართულებით წარიმართება მუშაობა, დამოკიდებულია ამ ამოცანების ხასიათსა და სირთულეზე, ასევე სკოლასა და საზოგადოებაში რესურსების ხელმისაწვდომობაზე. გარდა ამისა, სკოლამ უნდა გაითვალისწინოს, თუ როგორ შენარჩუნდება მოკლევადიანი მიზნების მდგრადობა ხანგრძლივი დროით. რა შეიძლება გაკეთდეს სწრაფად და რა უნდა იყოს პირველი ნაბიჯი, რომ ყველა მოტივირებული იყოს თვითშეფასების ადრეული შედეგებით?

შეადგინეთ სასწავლო პროგრამა e-ViRiS-ის მასალებზე დაყრდნობით. e-ViRiS-ის ფასილიტატორთა სახელმძღვანელოს მე-15 მეცადინეობა მოდიფიცირებული უნდა იყოს სასწავლო პროგრამის შესაბამისად, რათა განისაზღვროს სამოქმედო გეგმის მიზნები.

განსაზღვრეთ არსებული რესურსები. რესურსების უდიდესი ნაწილი უკავშირდება პერსონალს და მათ დროს. კარგად ორგანიზებულ სკოლას აქვს სათანადო მოქნილობა და სტრუქტურა, რომ რესურსები პრიორიტეტული სფეროებისაკენ მიმართოს. განხორციელების გზების ძიებისას განსაკუთრებით გამოსადეგია პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული მეთოდები.

გაავრცელეთ, განახორციელეთ და მონიტორინგი გაუწიეთ სამოქმედო გეგმას. მნიშვნელოვანია ამ პროცესში რაც შეიძლება მეტი ადამიანის ჩართვა, რომელთაც უნდა იგრძნონ, რომ მიღწევები მათაც ეკუთვნით. ამის დაწყება უნდა მოხდეს ზუსტი და ღია კომუნიკაციის საშუალებით. გეგმები რეგულარულად უნდა გადაიხედოს და მუდმივად განახლდეს. ეს გეგმები უნდა იყოს ორგანული და იცვლებოდეს ცვალებადი გარემოებების შესაბამისად.

PowerPoint 5/6/7.14 პრეზენტაციაში მოცემულია პროფილის/სამოქმედო გეგმის მაგალითი. იხილეთ სახელმძღვანელოს 54-ე გვერდი.

სავარჯიშო 6.7 – მაგიდის გარშემო გაერთიანებული ჯგუფი დაყავით ორ გუნდად; სთხოვეთ ერთ გუნდს, შეადგინოს სამოქმედო გეგმა A სკოლისთვის, ხოლო მეორე გუნდს – B სკოლისთვის. 15 წუთის შემდეგ მათ უნდა აუხსნან მეორე გუნდს თავიანთი გეგმების შინაარსი და წარმოადგინონ ამისი ახსნა-განმრტება.

სასარგებლო რჩევები ფასილიტატორს

პრეზენტაცია უნდა იყოს დროში შეზღუდული და პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული. არ ჩაუღრმავდეთ დეტალებს, ამის ნაცვლად მოიყვანეთ მაგალითები თითოეული საფეხურის შესაბამისად.

დამატებითი რესურსები

არ არის საჭირო.

თქვენ უნდა იმუშაოთ ორ გუნდად. 25 წუთი გაქვთ ამ სავარჯიშოსთვის. ერთი გუნდი იღებს A და B კონკრეტულ შემთხვევას და ადგენს წარმოსახვითი სამოქმედო გეგმის ნაწილს.

10 წუთის შემდეგ თითოეული გუნდი უხსნის თავის გეგმას მეორეს (15 წუთი).

გახსოვდეთ, რომ განვითარებისთვის ყველაზე დიდი შეზღუდვა არის პერსონალის დრო. აუცილებელია, რომ სამოქმედო გეგმები ორიენტირებული იყოს პრიორიტეტებზე და დაეხმაროს თანამშრომლებს, რომ უფრო ნაყოფიერად წარმართონ საქმიანობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ძალისხმევის უქმად დახარჯვა.

სამოქმედო გეგმების შედეგები წარმატებული იქნება, თუ ისინი არის:

- კონკრეტული
- გაზომვადი
- მიღწევადი
- რეალისტური
- დროში შეზღუდული

გეგმები ასევე აგებული უნდა იყოს ძლიერ მხარეებზე და ეფუძნებოდეს სხვაგან უკვე გამოცდილ სტრატეგიებს.

ძლიერი მხარეების ანალიზისას შეგიძლიათ გამოიყენოთ პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული გამოკითხვა, მაგალითად, რატომ არ არის ქულა ერთით დაბალი?

სკოლა A

სკოლას, რომელიც ძალადობის პრევენციისა და „კონვივენსიის“ ატმოსფეროს დამკვიდრებისათვის მიზნად ისახავს, განახორციელოს მიდგომა მთელი სკოლის მასშტაბით, მაღალი ქულები აქვს დოკუმენტაციის სფეროში. დოკუმენტაციის შემუშავებაში მონაწილეობდნენ ძირითადი ჯგუფები: პედაგოგები, მოსწავლეები, მშობლები და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. მაგრამ დოკუმენტაცია უკვე სამი წლისაა და არ გადამოწმებულა შექმნის შემდეგ. პედაგოგების, მოსწავლეებისა და მშობლების გამოკითხვით მიღებული ინფორმაცია და საკლასო ოთახებში ჩატარებული პირდაპირი დაკვირვებები მოწმობს, რომ ძალადობის აღმოფხვრის პოლიტიკა არ ახდენს ზეგავლენას პერსონალისა და მოსწავლეების ყოველდღიურ ქცევასა და მუშაობაზე.

სკოლა B

სკოლას დაბალი ქულები აქვს დოკუმენტაციის სფეროში. ძალზე ცოტაა წერილობითი ფორმით შექმნილი სტრატეგიული დოკუმენტები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა ინფორმაციის მიღება მასწავლებლებისა და მოსწავლეების ქცევის შესახებ ამ სფეროში, ასევე — განმარტების მიღება ძალადობის შემცირებასთან დაკავშირებით

სკოლის მიზნებისა და ფასეულობების შესახებ. მიუხედავად ამისა, კითხვარის შედეგებისა და დაკვირვებების საფუძველზე ირკვევა, რომ სკოლაში ქცევა უმეტესწილად დამაკმაყოფილებელია და იშვიათად ხდება ძალადობრივი ინციდენტები. ზოგიერთი თანამშრომელი პრეტენზიას გამოთქვამს ზედამხედველობის ნაკლებობის გამო, მაგრამ უმეტესობა არსებული მდგომარეობით კმაყოფილი ჩანს.

სამოქმედო არეალი:		
თვითშეფასების შედეგად გამოვლენილი ძლიერი მხარე და მიზეზი, რატომ არის ის წარმატებული		
რისი გაუმჯობესება არის შესაძლებელი?		
დაწყების თარიღი:	თვითშეფასების თარიღები:	დასრულების თარიღი:
შესასრულებელი ღონისძიებები (მათ შორის ძლიერი მხარეების განვითარება):		
რა უნდა გაკეთდეს პირველ რიგში და სწრაფად?		
სასურველი შედეგები:		
პროცესის მონიტორინგის მეთოდები:		
საჭიროა თუ არა e-ViRiS-ის მასწავლებელთა ტრენინგის პროგრამა?		
იცვლება სკოლის საორგანიზაციო სტრუქტურა, მათ შორის, ფუნქციები და მოვალეობები:		
საჭირო რესურსები:		

მე-7 მეცადინეობა

უფრო მეტის გაგება – თვითშეფასების პროცედურის მოდიფიცირება ადგილობრივი პრიორიტეტების შესაბამისად

მეცადინეობის შემდგომი სავარჯიშო 7.8: თვითშეფასების პროცედურის გაცნობა და სკოლაში თვითშეფასების დაგეგმვა

მეცადინეობის შედეგები

ეს სავარჯიშო მე-6 და მე-7 მეცადინეობების შედეგად მიღებული ცოდნის შემდეგ შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც საფუძველი „თქვენს სკოლაში თვითშეფასების ჩატარების დაგეგმვისათვის“. მე-7 მეცადინეობა აძლევს მონაწილეებს საშუალებას, გაეცნონ თვითშეფასების “e-ViRiS” „ონლაინ“ ვერსიას, რომელიც შეიძლება ადაპტირებულ იქნეს, რათა შეიქმნას სკოლისათვის სპეციფიკური დოკუმენტი და მოეწყოს შეხვედრა სკოლასთან გეგმის შედგენის მიზნით. ამ შეხვედრაზე ფასილიტატორი გაეცნობა ადგილობრივ და სკოლის პრიორიტეტებს და წარმოდგენა შეექმნება, თუ როგორ უნდა აუხსნას სკოლას თვითშეფასების პროცედურა.

სავარჯიშო

შენიშვნებისა და სახელმძღვანელოს მე-2 თავის დახმარებით განმარტეთ თვითშეფასების პროცესის ნებისმიერი ასპექტი მე-5 და მე-6 მეცადინეობებიდან.

გაეცანით თვითშეფასების „ონლაინ“ ფორმას, ვებგვერდის მისამართი და პაროლი მოგეწოდებათ.

შეისწავლეთ თითოეული ნაწილი და მათი თანმხლები „ონლაინ“ განმარტებები. განსაკუთრებით ზედმიწევნით გაეცანით კითხვარების შინაარსს. კითხვარები შეიძლება შეიცვალოს თითოეული ქვეყნისა და რეგიონის კულტურისა და პრიორიტეტების შესაბამისად.

თვითშეფასების ჩატარების გადაწყვეტილების მიღებამდე სკოლასთან გაიმართება დისკუსიები რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის ირგვლივ. პროცესის ამ ნაწილში სკრუპულოზობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს თვითშეფასების წარმატებას. განიხილეთ თვითშეფასების ყველა ნაწილი და განსაზღვრეთ, რა საკითხები უნდა იქნეს მოგვარებული თვითშეფასების დაგეგმვა-განხორციელებამდე.

საკითხი	**მომზადება**
სკოლამ განსაზღვრა ძალადობასთან დაკავშირებული საკითხები	
ადგილობრივი კონტექსტი და ძალადობასთან დაკავშირებული საკითხები	
თავდაპირველი შეხედულებებისა და პრობლემური საკითხების განსაზღვრა	
არსებული მონაცემებისა და ინფორმაციის იდენტიფიცირება	
კარგად ორგანიზებული სკოლის მოდელის და იმ ფასეულობების შეთანხმება, რომლებსაც ის ეფუძნება, და მათი შედარება სკოლის ფასეულობებთან	
თვითშეფასებისთვის აუცილებელი კომპონენტების არჩევა	
სკოლისათვის დახმარების გაწევა თვითშეფასების პროცესში, მაგალითად, ფასილიტატორის გამოყოფა ან სხვა ტიპის გარეშე დახმარება	
რესურსების შეთანხმება ეფექტიანი თვითშეფასების განხორციელების მიზნით	

მე-8 მეცადინეობა

პოლიტიკის შეთანხმება და განხორციელება – სკოლაში არაძალადობრივი ატმოსფეროს შექმნა საერთო-სასკოლო პოლიტიკის საშუალებით

ზოგადი ნაწილი

ამ მეცადინეობაში განხილულია საერთო-სასკოლო სტრატეგიები და მათი სავარაუდო შედეგები.

ტრენინგის თანმიმდევრობა	ხანგრძლივობა
დავალება 1: სტრატეგიის (პოლიტიკის) შემუშავება	10 წუთი
სავარჯიშო 8.1: სკოლის სტრატეგიის დაწერა ან გადასინჯვა	50 წუთი
დამატებითი სავარჯიშო 8.2: მონიტორინგი ადვილად შესასრულებელი უნდა იყოს	ფაკულტატური
დავალება 2: ადამიანების ჩართვა	10 წუთი
სავარჯიშო 8.4: რამდენად ეფექტიანად ვახდენთ „კონვივენსიის“ ხელშეწყობას	10 წუთი
სავარჯიშო 8.4: არსებული მდგომარეობის შეფასება	10 წუთი
დამატებითი სავარჯიშო 8.5: მოქალაქეობის შესახებ ცოდნის მნიშვნელობა	ფაკულტატური
შემდგომი სავარჯიშო: ძალადობის შემცირების სფეროში სკოლის პოლიტიკის შემუშავება ან გადასინჯვა	1-2 დღე

მეცადინეობის შედეგები

- გაეცნობით ძალადობის შემცირების პოლიტიკის/სტრატეგიის ასპექტებს;
- შეგეძლებათ პოლიტიკის შემუშავების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის დონის ანალიზი.

წინამდებარე თავი მთლიანად შედგება სავარჯიშოებისაგან, რომლებიც გაერთიანებულია ორ დავალებაში.

ტრენინგის თანმიმდევრობა

დავალება 1 – პოლიტიკის/სტრატეგიის შემუშავება (10 წუთი)

გამოიყენეთ პრეზენტაციები 8.1-დან 8.4-მდე და სახელმძღვანელოს მე-3 თავი, გვერდები 57-60, რათა შეაჯამოთ:

- საერთო-სასკოლო პოლიტიკის ასპექტები;
- პარტნიორების ჩართვა საერთო-სასკოლო პოლიტიკის შემუშავებაში.

სავარჯიშო (50 წუთი)

გამოიყენეთ პრეზენტაცია 8.4 და დაყავით ჯგუფი სამ გუნდად ხუთწუთიანი პრეზენტაციის მოსამზადებლად, რომელიც გამოყენებული იქნება შემდეგ სამიზნე ჯგუფებთან:

- სკოლის მთელი პერსონალი (გუნდი 1).
- სკოლის ყველა მოსწავლე (გუნდი 2).
- ფართო საზოგადოების წარმომადგენლები და მშობლები (გუნდი 3).

პრეზენტაციაში ახსნილი უნდა იყოს:

• ძალადობის შემცირების პოლიტიკა მთელი სკოლის მასშტაბით (გამოიყენეთ სავარჯიშო 8.1);

• რა დახმარება შეუძლია აუდიტორიას (გუნდები 1, 2 ან 3) პოლიტიკის შემუშავებაში, განხორციელებასა და მონიტორინგში.

დავალება 2 – ადამიანების ჩართვა (10 წუთი)

განმარტეთ რობსონისა და სმედლის მიერ შემუშავებული მოდელი, რომელიც ემყარება მონაწილეობის ოთხ დონეს, და მოდელის ასახსნელად გამოიყენეთ ზოგიერთი მაგალითი სახელმძღვანელოს 63-64 გვერდებიდან. შემდეგ აჩვენეთ პრეზენტაცია 8.5 და სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს, გააანალიზონ თავიანთი პრეზენტაცია აუდიტორიის მონაწილეობის ოთხსაფეხურიანი მოდელის მიხედვით (სახელმძღვანელოს თავი 3, გვ. 63).

სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს, იმსჯელონ და შეთანხმდნენ მონაწილეობის დონეზე თავიანთი პრეზენტაციისთვის და როგორ განავითარებდნენ მას შემდგომ თავიანთ აუდი-

ტორიასთან ერთად პოლიტიკის შემუშავების მიზნით. სასურველია, რომ პრეზენტაცია წარმოშობდეს კითხვებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ თანხმობისა და მონაწილეობის D3/4 დონის მიღწევას, ნაცვლად იმისა, რომ ინსტრუქტაჟის ხასიათს ატარებდეს.

სავარჯიშოები 8.3 და 8.4 (20 წუთი)

გამოიყენეთ პრეზენტაცია 8.3., სთხოვეთ მონაწილეებს, რომ მათთვის ნაცნობი სკოლის მაგალითზე შეასრულონ სავარჯიშოები 8.3 და 8.4. თქვენ უნდა უზრუნველყოთ, რომ მონაწილეები გაეცნონ სახელმძღვანელოს მე-3 თავში მოცემულ სხვადასხვა ხერხს.

შეაჯამეთ მე-2 დავალება ცხრილში მონაწილეებისგან მიღებული პასუხებით ისეთი სტრატეგიების შესახებ, რომლებსაც ისინი იყენებენ, რომ ჩართონ ჯგუფები პოლიტიკის შემუშავებასა და შეთანხმებაში. მოსაზრებები გაყავით ცხრილში დაწყებითი და საშუალო სკოლების მიხედვით.

სასარგებლო რჩევები ფასილიტატორს

შესავალში წარმოადგინეთ განვითარების ციკლი:

აუდიტი – გეგმა – განხორციელება – მონიტორინგი – შეფასება – გეგმის გადასინჯვა

1-ლი დავალების შესავალში ხაზი გაუსვით იმას, რომ ჯგუფებმა უნდა ახსნან, თუ როგორ ჩაერთვებიან დაინტერესებული მხარეები მონიტორინგისა და შეფასების პროცესში, ასევე, პირველ რიგში პოლიტიკის შემუშავების დროს.

ჯგუფებისთვის ადვილი იქნება 1-ლი დავალების გავლა. მნიშვნელოვან სასწავლო თემას შეიცავს მე-2 დავალება – ყველას უნდა მიეცეს საკმარისი დრო, რომ შეასრულოს მონაწილეობის დონის ანალიზი და იმსჯელოს, თუ როგორ ჩართოს ყველა მხარე პოლიტიკის შეთანხმების პროცესში.

მეცადინეობის შემდგომი სამუშაო

მე-8 მეცადინეობისა და სახელმძღვანელოს მე-3 თავის დახმარებით შეიტანეთ შესწორებები ან ჩამოაყალიბეთ თქვენი სკოლის სტრატეგია ძალადობის შემცირებისათვის.

დამატებითი რესურსები

არ არის საჭირო.

სავარჯიშო 8.1: სკოლის პოლიტიკის/ სტარეგიის შემუშავება ან გადახედვა

სკოლაში „კონვივენსიის“ ატმოსფეროს შექმნა საერთო-სასკოლო სტრატეგიების მეშვეობით.

პოლიტიკის შემუშავების ერთი ვარიანტია ქვემოთ მოცემული თითოეული შეკითხვის საპასუხოდ ერთი აბზაცის დაწერა. როგორ პასუხობს თქვენი პოლიტიკა შემდეგ საკითხებს? დაწერეთ ერთი წინადადება თითოეულ გრაფაში თქვენს აუდიტორიასთან პრეზენტაციის დროს გამოსაყენებლად.

როგორია ძალადობის თქვენეული განმარტება – რა ქცევებს შეეხება ეს სტრატეგია?
პოლიტიკის განმსაზღვრელი პრინციპები და როგორ შეეხება ისინი სკოლის მთელ კონტინგენტს?
როგორ უკავშირდება ეს პრინციპები სკოლის ზოგად მიზნებსა და სასწავლო პროგრამას?
როგორ უწყობს ხელს სტრატეგია ძალადობის თავიდან აცილებისა და კონფლიქტების მოგვარების სფეროში ეფექტიან სწავლებასა და სწავლას?
რა ფუნქციები და მოვალეობები აკისრიათ სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პედაგოგებს, მოსწავლეებს და მშობლებს/მეურვეებს ძალადობის შემცირების სულისკვეთების პროპაგანდის სფეროში?

როგორ ადგენს სკოლა არაძალადობრივი ქცევის მაღალ სტანდარტებს მოსწავლეთათვის?
რა ფორმით გამოიყენება დაჯილდოების პრაქტიკა ძალადობის შემცირების სტიმულირების მიზნით?
რა ფორმით გამოიყენება სანქციები ძალადობის საწინააღმდეგოდ?
რა დახმარებაა გათვალისწინებული მოსწავლეებისთვის, რომელთა ძალადობრივი ქცევა მეტყველებს მათ სერიოზულ პრობლემებზე სწავლაში ან პირად ცხოვრებაში?
რა დახმარება და ტრენინგებია გათვალისწინებული პედაგოგებისათვის?
როგორ ხდება მშობლების/მეურვეების ჩართვა და მათთან კონსულტაციები პოლიტიკის/სტრატეგიის ჩამოყალიბების ან გადასინჯვის დროს?
რა რესურსების ინვესტირებას ახდენს სკოლა ისეთი ატმოსფეროს შესაქმნელად, რომ ძალადობას ადგილი არ ჰქონდეს?
როგორ ხდება პოლიტიკის/სტატეგიის მონიტორინგი და შეფასება? როგორ გაიგებს სკოლა, რომ პოლიტიკა/სტრატეგია შედეგიანია?

ეს გვერდი შეგიძლიათ თან იქონიოთ და გამოიყენოთ.

მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბებისას შეგიძლიათ დასვათ შემდეგი შეკითხვები:

რა სისტემებია დანერგილი ძალადობრივი ინციდენტების აღრიცხვისათვის?
რა შემდგომი, შესაბამისი მონაცემები შეიძლება მარტივად და ადვილად იქნეს მოპოვებული?
არსებობს თუ არა პოზიტიური და ნეგატიური ინფორმაცია პროგრესის შესახებ?
აღწერილია თუ არა მონაცემებში მიმდინარე ტენდენციები?
არის თუ არა მონაცემებში განცალკევებული შეხედულებები და ფაქტები?
ეხმარება თუ არა ინფორმაცია სკოლას ამა თუ იმ ცვლილების მიზეზების იდენტიფიცირებაში?
როგორ ხდება ინფორმაციის ანალიზი, გაზიარება და გამოყენება პრაქტიკაში გათვალისწინების მიზნით?
დაეხმარება თუ არა ინფორმაცია სკოლას წარმატების მიღწევაში?

სავარჯიშო 8.3: რამდენად ეფექტიანად ვუწყობთ ხელს „კონვივენსიას“?

თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ ქვემოთ მოცემული შეკითხვები, როგორც საფუძველი დისკუსიისათვის პედაგოგებთან, მშობლებთან, მოსწავლეებთან და ფართო საზოგადოებასთან იმის შესახებ, თუ რამდენად ეფექტიანად ახდენს სკოლა „კონვივენსიის“ პროპაგანდას. თქვენი აზრით, რას გიპასუხებენ ისინი?

რომელია სკოლის მთავარი ძლიერი მხარეები?
როგორ იძენენ მოსწავლეები კუთვნილების გრძნობას?
როგორ მონაწილეობენ მოსწავლეები სკოლის ცხოვრებაში?
როგორ არიან მოსწავლეები აქტიურად ჩართულები საკუთარ განათლებაში?
როგორ შეუძლია სკოლას ხელი შეუწყოს მოსწავლეებისა და უფროსების განათლებას და განვითარებას?
როგორ შეუძლიათ მშობლებს დაეხმარონ სკოლას?
როგორ მონაწილეობენ მშობლები გადაწყვეტილებების მიღების პროცესში?
რა მხრივ მუშაობს საზოგადოება ერთად, რომ უზრუნველყოს უსაფრთხო და დაცული სასწავლო გარემო?
როგორია მშობლებისა და საზოგადოების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის დონე?

სავარჯიშო 8.4: არსებული მდგომარეობის შეფასება

თუ სკოლა ცდილობს, ხელი შეუწყოს საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობას ძალადობის საკითხების მოგვარებაში, მან უნდა უზრუნველყოს, რომ დაკმაყოფილებული იყოს ქვემოთ მოცემული მოთხოვნები. უპრიანი იქნება, შეაჯამოთ არსებული მდგომარეობა იმაზე მსჯელობით, თუ რა ადგილი უკავია თქვენს სკოლას 1-დან 10-მდე სკალაზე.

მდგომარეობა ჩვენს სკოლაში	**სკალა 1-დან (დაბალი) 10-მდე (მაღალი)**
სკოლის სამომავლო ხედვა ნათლად არის მიწოდებული ყველა მხარისათვის.	
პოლიტიკის/სტრატეგიების გადახედვა ხდება სკოლის უფრო ფართომასშტაბიანი მიზნების განხორციელების მიზნით.	
არსებობს საერთო აზრი თვითშეფასების მნიშვნელობისა და მიმდინარე პრაქტიკული მეთოდების შემოწმების შესახებ.	
გაცნობიერებულია უსაფრთხო და დაცული გარემოს მნიშვნელობა, რომელშიც მოსწავლეები, პედაგოგები და მშობლები შეძლებენ გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი აზრები და გრძნობები.	
ადამიანები სკოლაში მზად არიან, მოუსმინონ მოსწავლეებს, თანამშრომლებს, მშობლებს და საზოგადოებრივ აზრს.	
სკოლა დგამს პოზიტიურ ნაბიჯებს მშობლებისა და საზოგადოების ჩართულობის მისაღწევად.	

არის თუ არა ისეთი კითხვები, რომელთა დასმაც თქვენ გსურთ დისკუსიისა და მონაწილეობის ხელშეწყობისათვის?

დამატებითი სავარჯიშო 8.5: მოქალაქეობის შესახებ სწავლების მნიშვნელობა

8.1 სავარჯიშოში მოცემული შეკითხვების ჩამონათვალის კიდევ ერთხელ გადახედვით თქვენ შეგიძლიათ განსაზღვროთ, ძალადობის შემცირების მიმართულებით სკოლის პოლიტიკის რომელი კომპონენტი შეიძლება განხორციელდეს მოქალაქეობის შესახებ სწავლების მეშვეობით.

დისკუსიის დროს ჩამოაყალიბეთ ხუთი გზა მოქალაქეობრივი პროგრამის გაუმჯობესებისათვის, რაც გააძლიერებს „კონვივენსიის“ პრინციპს.

1.
2.
3.
4.
5.
რას გააკეთებთ ამ სასიკეთო ცვლილებების განსახორციელებლად?

მე-8 მეცადინეობა – თქვენს სკოლაში ძალადობის შემცირების პოლიტიკის შემუშავება ან გადასინჯვა

თქვენ გთხოვენ, რომ გამოიყენოთ პასუხები 8.1 სავარჯიშოში მოცემული შეკითხვების ჩამონათვალზე, რათა შეიმუშაოთ ან გადახედოთ სკოლის სტრატეგიას ძალადობის შემცირებისათვის.

გახსოვდეთ, რომ სტრატეგია უსარგებლო იქნება, თუ არ განხორციელდება პრაქტიკაში.

ჩართეთ მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების ჯგუფები და მათთან ერთად გადაწყვიტეთ, რა უნდა შევიდეს სტრატეგიაში. ამისათვის უნდა შეათანხმოთ 8.1 სავარჯიშოში მოცემული შეკითხვების პასუხები.

გადაწყვიტეთ, თუ რა ფორმით მოხდება სტრატეგიის გაცნობა, შემდეგ კი მისი გამოყენება და მონიტორინგი.

მე-9 მეცადინეობა

რა უნდა ისწავლებოდეს?
სკოლის სასწავლო პროგრამის გამოყენება ძალადობის შემცირებისა და სწავლისათვის შესაფერისი ქცევის გამოსწორების მიზნით

ზოგადი ნაწილი

სახელმძღვანელოს მე-4 თავის ზოგადი შესავლის გაცნობის შემდეგ (10 წუთი) მოცემულია ხუთი სავარჯიშო, რომელთა ხანგრძლივობა 30-დან 10 წუთამდეა. ამის შემდეგ რჩება 20 წუთი შემდგომი სამუშაოს დაგეგმვისათვის.

ამ თავში წარმოდგენილია „ნასწავლი" (taught) და „დაჭერილი" (caught) სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარების (social, emotional and behavioural skills — SESB) სასწავლო პროგრამის იდეა. მოცემულია აღწერილობა, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს „სასწავლო" პროგრამა და როგორ უნდა შეეწყოს ხელი „დაჭერილ" ელემენტს (სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარების ასპექტები, რომლებსაც ბავშვები უფრო არაფორმალურ გარემოში სწავლობენ სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში), განსაკუთრებით უფროსების მაგალითზე. სახელმძღვანელოს მე-4 თავი ეფუძნება გაერთიანებულ სამეფოში მოქმედ კონკრეტულ სასწავლო პროგრამას, რომელიც ამჟამად ხელმისაწვდომია ყველა დაწყებითი სკოლისათვის და რომელიც ბოლო პერიოდში გავრცელდა საშუალო სკოლებში 11-დან 16 წლამდე მოსწავლეებისათვის სწავლების მიზნით.

ამ მეცადინეობის დაწყებამდე ფასილიტატორებისთვის რეკომენდებულია, ეწვიონ ვებგვერდს: http://www.standards.dfes.gov.uk/primary/publications/banda/seal, სადაც პროგრამისთვის SEAL (social and emotional aspects of learning - სწავლების სოციალური და ემოციური ასპექტები) სასწავლო მასალების ფართო სპექტრია წარმოდგენილი. შესაძლებელია მასალების ნიმუშების ჩამოტვირთვა მეცადინეობისას ილუსტრაციების გამოყენების მიზნით, მათ შორის, სურათების და ტექსტური მასალისა, ასევე — ვიდეომასალისაც.

საილუსტრაციო მასალა 9.1 წარმოადგენს *სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარების* (SEBS) ცნობარს, რომლის ჩამოტვირთვაც შესაძლებელია ამ ვებგვერდიდან. იგი მოხსენიებულია Power Point სლაიდში და უნდა დარიგდეს საილუსტრაციო მასალის სახით მეცადინეობის დაწყებისას.

ტრენინგის თანმიმდევრობა	ხანგრძლივობა
სავარჯიშო 9.1: კონფლიქტების მოგვარების უნარი, ცოდნა და პრობლემის გათვითცნობიერება მონაწილეებს აცნობს *სოციალურ, ემოციურ და ქცევით უნარებს* (SEBS), როგორც კონფლიქტების მოგვარებისათვის საჭირო საშუალებას. აქ განხილულია გოლემანის ხუთი სფერო და, აქედან გამომდინარე, რისგან შეიძლება შედგებოდეს სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარების სასწავლო პროგრამა.	**30 წუთი**
სავარჯიშო 9.2: მოსწავლეები და კონფლიქტების მოგვარება განავრცობს კონცეფციას, რათა განისაზღვროს, თუ რა იქნება საჭირო ბავშვებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარების დასახმარებლად.	**20 წუთი**

სავარჯიშო 9.3: თქვენი მიმდინარე პრაქტიკის უფრო ღრმად განხილვა ავითარებს აზროვნებას ინდივიდუალური მოსწავლეების განსხვავებულ საჭიროებებზე და ტალღურ მოდელს დიფერენცირებული სწავლებისთვის, რათა დაკმაყოფილდეს თითოეული მოსწავლის საჭიროებები.	**20 წუთი**
სავარჯიშო 9.4: აქტუალობა, მზადყოფნა და რესურსი იწყება ფიქრი იმაზე, თუ როგორ შეიძლება *სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარების პროგრამის* შემუშავება ან წარდგენა სკოლაში იმის გათვალისწინებით, რომ ყოველი სკოლა ან დაწესებულება უკვე ასწავლის *სოციალურ, ემოციურ* და *ქცევით უნარებს* „დაჭერილი" სასწავლო პროგრამით.	**20 წუთი**
სავარჯიშო 9.5: როგორ გვესახება ჩვენი შესაძლებლობა, წარმოვადგინოთ სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარების სასწავლო პროგრამა? თავი მთავრდება პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული მიდგომით კითხვარის საშუალებით, რომლის გამოყენებაც შეიძლება სკალის შედგენის სავარჯიშოსათვის. შესაძლებელია მისი სკოლაში განხორციელება იმ იდეების გასაცნობად, რომლებიც საფუძვლად უდევს *სოციალური, ემოციური* და *ქცევითი უნარების პროგრამას.*	**10 წუთი**
მეცადინეობის შემდგომი სამუშაო – გამოიყენეთ სახელმძღვანელოს 4.2 და 4.5 სავარჯიშოები სავარჯიშოები თქვენი სკოლის თანამშრომლებისგან შემდგარ ჯგუფთან სამუშაოდ, რათა განისაზღვროს, თუ სად და რა მასშტაბით ისწავლება *სოციალური, ემოციური* და *ქცევითი უნარების* ხუთი სფერო სკოლაში.	**20 წუთი**

სასარგებლო რჩევები ფასილიტატორს

9.1ა საილუსტრაციო მასალის მეორე გვერდი შეიძლება გამოყენებულ იქნეს *სოციალური, ემოციური* და *ქცევითი უნარების* სწავლების საერთო-სასკოლო მიდგომის ექვსი საფეხურის დაგეგმვისათვის.

ფასილიტატორებმა უნდა იცოდნენ, რომ მონაწილეთა უმრავლესობა შეზღუდულად იგრძნობს თავს მათი ქვეყნის სასკოლო პროგრამის პოლიტიკით და ცალკეულ სკოლებზე განხორციელებული ზეწოლით, შეინარჩუნონ არსებული დებულება. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ *სოციალური, ემოციური* და *ქცევითი უნარების* განვითარება შესაძლებელია მრავალი სხვადასხვა ხერხით და რომ ინგლისური მიდგომა მხოლოდ ერთ-ერთი მოდელია. ამ ნაწილისთვის მნიშვნელოვანი გზავნილია ის, რომ მიუხედავად მისი განხორციელებისა, ბავშვებმა უნდა განავითარონ სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარები, რათა გადაჭრან კონფლიქტები, თუ ჩვენ გვინდა, რომ შევამციროთ ძალადობა სკოლებში.

დამატებითი რესურსები

ვიდეო და სხვა მასალები ინგლისური პროგრამის — „სწავლების სოციალური და ემოციური ასპექტები" — შესახებ, რომელიც გამოცემულია გაერთიანებული სამეფოს DCfS-ის მიერ. ამაზე არ არსებობს საავტორო უფლებები და მათი გადმოწერა და გამოყენება შეიძლება ნებისმიერ ქვეყანაში. პროგრამის გამოყენება შესაძლებელია მთელი ამ მეცადინეობის მანძილზე სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარების მოდელირებისა და ილუსტრირებისათვის. ჩამოტვირთეთ ვებგვერდიდან: www.standards.dfes.gov.uk/primary/publications/banda/seal.

ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი.

სავარჯიშო 9.1: კონფლიქტების მოგვარების უნარები, ცოდნა და პრობლემის გათვითცნობიერება

მეცადინეობის შედეგები

- შეაფასებთ კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარებისათვის აუცილებელი უნარების, ცოდნისა და პრობლემის გათვითცნობიერების მნიშვნელობას;
- შეისწავლით გოლემანის ხუთ სფეროს;
- მოემზადებით, რომ გაათვითცნობიეროთ, თუ როგორ გამოიყენოთ სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარები სკოლის გარემოში.

ტრენინგის თანმიმდევრობა

გამოიყენეთ PowerPoint სლაიდები, რათა წარუდგინოთ მონაწილეებს სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარების პროგრამის დანიშნულება და ის წვლილი, რომელიც მას შეუძლია შეიტანოს ძალადობის შემცირების საქმეში.

დაიწყეთ მონაწილეებისადმი თხოვნით, რომ გაიხსენონ სიტუაცია თავიანთ დაწესებულებაში, როდესაც წარმოიქმნა კონფლიქტი. ეს უნდა იყოს ბოლო პერიოდში მომხდარი შემთხვევა, რომელთანაც პირადად ჰქონდათ შეხება.

წყვილებად მუშაობისას სთხოვეთ მათ, აღუწერონ სიტუაცია კოლეგას და შემდეგ ერთად შეათანხმონ იმ უნარების, ცოდნისა და პრობლემის გათვითცნობიერების ერთობლიობა (ჩამონათვალი), რომელიც უფროსმა შეიძლება გამოიყენოს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებისათვის.

იმუშავეთ ერთად, რომ უნარები შეუსაბამოთ გოლემანის სფეროებს და გადაწყვიტოთ, ხომ არ აკლია რომელიმე სფერო.

გააერთიანეთ ჯგუფი და გაუზიარეთ მიღებული შედეგის რამდენიმე მაგალითი, შემდეგ ჯგუფურად იმსჯელეთ იმაზე, საკმარისია თუ არა ხუთი უნარი სკოლის კონტექსტში და შეიძლება თუ არა მოსწავლეებისთვის მათი კატეგორიებად დაყოფა პრიორიტეტულობის მიხედვით.

ერთად გადადით სახელმძღვანელოს 84-ე გვერდზე და განიხილეთ ხუთი სფეროს განმარტება სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარების პროგრამის მიხედვით. სთხოვეთ მონაწილეებს, ჩასვან განმარტებები 9.1 საილუსტრაციო მასალაზე და შემდეგ გაუზიარონ ჯგუფს ზოგიერთი მაგალითი.

დაასრულეთ სავარჯიშო გამოკითხვით, რომლის დროსაც მონაწილეები დაასახელებენ მთავარ საკითხებს სკოლაში სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარების პროგრამის შემუშავების პროცესში.

სასარგებლო რჩევები ფასილიტატორს

ამ სავარჯიშოს მთავარი მიზანია, დაეხმაროს მონაწილეებს, შეაფასონ გოლემანის სფეროების მნიშვნელობა და როგორ შეიძლება მათი ინტერპრეტირება სკოლაში გამოყენების თვალსაზრისით. ერთ-ერთი ძირითადი საკითხი არის ის, რომ სოციალური უნარები ატრიბუტების ფართო სპექტრს მოიცავს.

88-ე გვერდზე ყურადღება გაამახვილეთ განსხვავებაზე „დაჭერილ“ და „ნასწავლ“ სასწავლო პროგრამებს შორის.

მიუთითეთ მონაწილეებს, რომ ყველა სკოლამ უნდა ჩართოს ამ უნარების გარკვეული ნაწილი თავიანთ „დაჭერილ“ სასწავლო პროგრამაში.

გამოიყენეთ საილუსტრაციო მასალა, რათა მონაწილეებმა ინდივიდუალურად მოახდინონ სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარების სფეროების გათვითცნობიერება და შესთავაზეთ, შეინახონ ის სამომავალო გამოყენებისათვის.

გამოიყენეთ სახელმძღვანელოს 79-ე გვერდზე მოცემული ქვეთავი სათაურით „სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების კურიკულუმის წარმატებულ სწავლებისათვის დამახასიათებელი ნიშნები“, რომ დაასრულოთ სავარჯიშო საერთო დისკუსიის შემდეგ.

დამატებითი რესურსები

9.1 საილუსტრაციო მასალის ასლები.

სავარჯიშო 9.1: კონფლიქტების მოგვარების უნარები, ცოდნა და პრობლემის გათვითცნობიერება

თავდაპირველად ინდივიდუალურად გაიხსენეთ კონფლიქტური სიტუაცია საკუთარ გარემოში. აღწერეთ კონფლიქტი:
შემდეგ იმუშავეთ ჯგუფში, რათა განიხილოთ და შეათანხმოთ იმ უნარების, ცოდნისა და პრობლემის გათვითცნობიერების ერთობლიობა (ჩამონათვალი), რომელიც უფროსმა შეიძლება გამოიყენოს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებისათვის, როდესაც ორივე მხარე გამარჯვებულია. 1. 2. 3. 4. 5.
შეეცადეთ მიუსადაგოთ თქვენი ჩამონათვალი გოლემანის ხუთ სფეროს, რომელიც ჩამოთვლილია 9.1 საილუსტრაციო მასალაში.

უნარი	სფერო

არის თუ არა ის უნარები, ცოდნა და პრობლემის გათვითცნობიერება, რომლებიც მონაწილეობენ კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარებაში, თანაბრად აღებული სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარების ხუთივე სფეროდან? თუ ზოგიერთი სფერო ნაკლებად არის წარმოდგენილი (იხ. სავარჯიშო 9.2)?

შეადარეთ თქვენი პასუხები გაერთიანებული სამეფოს განათლებისა და უნარ-ჩვევების დეპარტამენტის სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარების მოდელს 9.1 საილუსტრაციო მასალაში. ჩამოთვალეთ უნარები, რომლებიც გამოტოვებული იყო და თქვენ დაამატეთ: ჩამოთვალეთ უნარები, რომლებიც მოცემული იყო და თქვენ გამოტოვეთ:

თქვენ მიერ შედგენილი ჩამონათვალი წარმოადგენს იმ უნარებს, ცოდნასა და პრობლემის გათვითცნობიერებას, რაც საფუძვლად უდევს არაძალადობრივ მიდგომას კონფლიქტების მოგვარების პროცესისადმი. კრიტიკული საკითხი, რომელიც უნდა გადაიჭრას, არის:

როგორ შეგვიძლია ჩვენ მათი მაქსიმალურად ხელშეწყობა სკოლის გარემოში?

იმუშავეთ თქვენს ჯგუფში და დაასახელეთ ზოგიერთი პრაქტიკული ქმედება მისაკრავ ქაღალდებზე. ჩვენ ერთად შევკრებთ მათ. სურვილისამებრ შეგიძლიათ გამოიყენოთ ქვემოთ დატოვებული ადგილი იმ ქმედებების ჩასანიშნად, რომლებიც საუკეთესო შედეგს გამოიღებდა თქვენს სკოლაში.

საილუსტრაციო მასალა 9.1: უნარები, რომლებიც მონაწილეობს კონფლიქტების მოგვარებაში: გაერთიანებული სამეფოს განათლებისა და უნარ-ჩვევების დეპარტამენტის მოდელი

ქვემოთ ჩამოთვლილია ზოგიერთი იმ უნარებიდან, რომლებიც ისწავლება გაერთიანებული სამეფოს სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარების სასწავლო პროგრამით.

სფერო	კონფლიქტების ეფექტიანად მოგვარებისათვის აუცილებელი ცოდნა, უნარები და პრობლემის გათვითცნობიერება
თვითშეგნება	• - გრძნობების აღიარება და იდენტიფიცირება; • - პრობლემის განსაზღვრა („მე ვგრძნობ... რადგან...“); • - პასუხისმგებლობის აღიარება და აღება საჭიროებისამებრ (კონტროლის).
თანაგრძნობა	• - იმ გრძნობების აღიარება და იდენტიფიცირება, რომლებსაც სხვა ადამიანები განიცდიან; • - სიტუაციის სხვა ადამიანის პოზიციიდან დანახვის უნარი; • - გაგების უნარი, თუ რატომ მოიქცა სხვა ისე, როგორც მოიქცა; • - იმ აუცილებლობის გათვითცნობიერება, რომ ნებისმიერი შეთანხმებული გამოსავალი უნდა იყოს მომგებიანი/სამართლიანი ყველა მხარისათვის.
გრძნობების მართვა	• - გაბრაზებისას დამშვიდების უნარი; • - შენი ჯერის დალოდების უნარი – ჩაურევლობა (კმაყოფილების შეკავება).
მოტივაცია	• - კონფლიქტის გადაჭრის სურვილი (არა აქვს გამართლება, რომ სხვა ადამიანს ცუდად აგრძნობინოთ თავი და ა.შ.); • - უნარი, განსაზღვრო, „რა გინდა, რომ მოხდეს“ (მიზნის დასახვა); • - გეგმის განსაზღვრა, რომ მიაღწიო ამას სხვა ადამიანთან ერთად; • - გეგმის შესრულება, დაბრკოლებების გადალახვა და ა.შ.
სოციალური უნარ-ჩვევები	• - მოსმენის კარგი უნარი; • - თვითდაჯერება/პრინციპულობა; • - იცოდე, როგორ მოიხადო და როგორ მიიღო ბოდიში.

სავარჯიშო 9.2: მოსწავლეები და კონფლიქტების მოგვარება

მეცადინეობის შედეგები

- იმის გათვითცნობიერება, თუ რა ისწავლება დღეს სკოლებში;
- სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარების სასწავლო პროგრამის გაანალიზების შესაძლებლობა.

ტრენინგის თანმიმდევრობა

ინდივიდუალურად მუშაობისას მონაწილეები ავსებენ 9.2 სავარჯიშოს ცხრილს ხუთი სფეროს შესახებ და განიხილავენ პროგრამაში შესულ არსებულ ელემენტებს, რომლებიც დაეხმარება ბავშვებს ამ უნარების განვითარებაში.

წყვილებში მუშაობისას შეადარეთ მათი ჩანაწერები და მეორე გვერდის დახმარებით განსაზღვრეთ ამჟამინდელი სასაწავლო პროგრამის ნაკლოვანებები, ამასთან, მონაწილეებმა უნდა გამოთქვან პრაქტიკული მოსაზრებები იმის შესახებ, თუ რა შეიძლება შეიცვალოს და გაუმჯობესდეს.

სასარგებლო რჩევები ფასილიტატორს

ხელი შეუწყვეთ ჯგუფის კონცენტრაციას დავალებაზე, განსაკუთრებით მეორე ნაწილში, როდესაც ისინი პარტნიორთან ერთად მსჯელობენ, რადგან არის ტენდენცია, რომ ადამიანებმა გადაუხვიონ მთავარი თემებიდან.

გამოიყენეთ საილუსტრაციო მასალა 9.2, რომ წარმოადგინოთ სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარების განვითარების ტალღური მოდელი და მოუწოდეთ მონაწილეებს, იფიქრონ თითოეული ბავშვის განსხვავებულ საჭიროებებზე – სასწავლო პროგრამა არის იმაზე მეტი, ვიდრე რასაც თქვენ ასწავლით საკლასო ოთახში საერთო ჯგუფებს.

დამატებითი რესურსები

9.2ბ საილუსტრაციო მასალის ასლები.

სავარჯიშო 9.2: მოსწავლეები და კონფლიქტების მოგვარება

თქვენ შეიძლება ჩათვალოთ, რომ სასარგებლოა განიხილოთ და ჩამოთვალოთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში ის მეთოდები, რომელთა საშუალებითაც თქვენი სკოლის მოსწავლეებს ამჟამად ხელს უწყობენ პრობლემის გათვითცნობიერებისა და ცოდნის ამაღლებაში, ასევე უნარების პრაქტიკულად განხორციელებაში, რომლებიც ეფექტიანია კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებისათვის.

კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარება

სფერო	კონფლიქტების ეფექტიანად მოგვარებისათვის აუცილებელი ცოდნა, უნარები და პრობლემის გათვითცნობიერება	რა მეთოდებით ეხმარებიან მოსწავლეებს განვითარებაში
თვითშეგნება		
თანაგრძნობა		
გრძნობების მართვა		
მოტივაცია		
სოციალური უნარ-ჩვევები		

არის თუ არა კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების პროცესში მონაწილე უნარები, ცოდნა და პრობლემის გათვითცნობიერება აღებული სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარების ხუთივე სფეროდან, ხოლო თუ არა — რისი გამოსწორება შეიძლება ამისათვის?

გაუზიარეთ თქვენი აზრები კოლეგას და თქვენი პასუხები აქ ჩაინიშნეთ.

1.
2.
3.
4.
5.

საილუსტრაციო მასალა 9.2: ტალღური მოდელი – მოსწავლის სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარების (შშ) ხელშეწყობისა და განვითარების უზრუნველყოფა

ტალღური მოდელი – სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარების განვითარება



დაწყებითი და საშუალო ეროვნული სტრატეგი

DfES: ყოფაქცევისა და დასწრების გაუმჯობესება

ტალღა 1: დახმარება გულისხმობს ნებისმიერი სახის საქმიანობას, რომელიც სასარგებლოა ყველა მოსწავლისათვის. ამის მაგალითი შეიძლება იყოს მთელი სკოლის მასშტაბით პერსონალის ტრენინგი სამუშაო ადგილზე ქცევის მართვის ან ურთიერთობების დამყარების სფეროში, თანამშრომელთა ხელშეწყობის მექანიზმების განვითარება ან მთელი სკოლისათვის გამიზნული სტრატეგიები. ზოგადად, სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარების სასწავლო პროგრამა აქ მოიაზრება, როგორც საყოველთაო უფლება.

ტალღა 2: დახმარება გულისხმობს ნებისმიერი სახის საქმიანობას, რომლიდანაც სარგებელს იღებს მხოლოდ ზოგიერთი მოსწავლე. აქ შეიძლება მოიაზრებოდეს მცირე ჯგუფის მიერ გაწეული დახმარება, რომ მოსწავლეებმა განავითარონ თავიანთი სოციალური ან აგრესიის მართვის უნარები ან თანატოლთა შუამავლობა.

ტალღა 3: დახმარება წარმოადგენს ერთი-ერთზე, ანუ ინტენსიურ, დახმარებას ყველაზე დაუცველი ინდივიდებისათვის. ხშირად ეს არიან ბავშვები, რომელთაც აქვთ სერიოზული, მიმდინარე და მრავალმხრივი პრობლემები, რომლებიც საჭიროებს სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტებით დაკომპლექტებული ჯგუფების ჩარევას და ა.შ.

ქვემოთ მოცემული სავარჯიშო სასარგებლოა სკოლაში გამოყენებისათვის. თქვენ გთავაზობენ გამოცადოთ ის პარტნიორთან ერთად.

სავარჯიშო 9.3: თქვენი ამჟამინდელი პრაქტიკის უფრო სიღრმისეული განხილვა

მეცადინეობის შედეგები

- გაიგებთ ტალღური მოდელის არსს და ინდივიდუალური მოსწავლეების განსხვავებულ საჭიროებებს სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარების თვალსაზრისით;
- გაეცნობით სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარების წარდგენისათვის აუცილებელ საკითხებს.

ტრენინგის თანმიმდევრობა

PowerPoint-ის გამოყენებით განმარტეთ ტალღური მოდელი და გააგრძელეთ სავარჯიშო 9.2 მოკლე დისკუსიით იმის შესახებ, თუ რა დამატებითი ნაბიჯები იქნება საჭირო, რომ დაკმაყოფილდეს ინდივიდუალური საჭიროებები, კლასში ყოველი ბავშვის განვითარების განსხვავებული ეტაპების გათვალისწინებით. ზოგიერთს აქვს სპეციალური საჭიროებები და მათ უფრო ინტენსიური სწავლება დასჭირდებათ, სხვებს კი მაღალი დონის სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარები აღენიშნებათ.

მიეცით შესაძლებლობა მონაწილეებს, გააკეთონ ჩანიშვნები 9.2ბ საილუსტრაციო მასალაზე, როდესაც ხსნით ტალღური მოდელის არსს.

განაგრძეთ წყვილებად მუშაობა, რათა კოლეგასთან დისკუსიისას ინდივიდუალურად შეავსოთ სავარჯიშო 9.3.

გააერთიანეთ ჯგუფი, რათა ერთმანეთს გაუზიაროთ ძირითადი მომენტები და საკითხები, ყურადღება განსაკუთრებით გაამახვილეთ იმაზე, თუ როგორ უნდა იყოს სკოლა ორგანიზებული ქმედითი „დაჭერილი“ და „ნასწავლი“ პროგრამისათვის.

სასარგებლო რჩევები ფასილიტატორს

9.3 სავარჯიშოში მოცემული შეკითხვები ბევრად განსხვავებულია ერთმანეთისგან. არ არის აუცილებელი, რომ ყველამ თანმიმდევრულად ერთად იმუშაოს მათზე; შესთავაზეთ მონაწილეებს, გამოიყენონ კითხვები პარტნიორებს შორის დისკუსიის სტიმულირებისთვის.

დამატებითი რესურსები

9.2ბ საილუსტრაციო მასალა ყველა მონაწილისათვის.

სავარჯიშო 9.3: თქვენი მიმდინარე პრაქტიკის უფრო სიღრმისეული განხილვა

თქვენი ადრინდელი მოსაზრებების საფუძველზე, რომლებიც განავითარეთ 9.2 სავარჯიშოში, შეგიძლიათ გამოიყენოთ ტალღური მოდელი და მის გვერდზე ჩაწეროთ ის, რასაც უკვე აკეთებს სკოლა, რათა ხელი შეუწყოს მოსწავლეების სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარების განვითარებას თითოეულ ტალღაზე.

შემდეგ შეგიძლიათ განიხილოთ ეს დამატებითი საკითხები:

რამდენად შეესაბამება სკოლის მორალური პრინციპები და გარემო სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარების შედეგებს, რომელთა მიღწევაც გვსურს მოსწავლეებში?
რა ძირითადი უნარები, ცოდნა და პრობლემის გათვითცნობიერება განუვითარდებათ მოსწავლეებს ამ სამუშაოს დახმარებით?
რამდენად ეფექტიანია ეს საქმიანობები ასეთი განვითარების მისაღწევად?
რამდენად შესაფერისია სასწავლო მეთოდები, რომლებსაც ჩვენ ვიყენებთ მოსწავლეების სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარების განვითარებისათვის?
როგორ გაიზომება პროგრესი?
როგორ მიიღებენ მონაწილეობას მოსწავლეები პროგრესის გაზომვაში?
რას ვაკეთებთ ყველაზე კარგად?
რა ნაკლოვანებები შეინიშნება?
რისი გაკეთება შეგვიძლია სხვაგვარად?

სავარჯიშო 9.4: აქტუალობა, მზადყოფნა და რესურსები

მეცადინეობის შედეგები

მაგალითები აქტუალობის, მზადყოფნისა და რესურსების თემაზე, როგორც განხორციელების გზების ძიება.

ტრენინგის თანმიმდევრობა

დაუყოვნებლივ განაგრძეთ ამ სავარჯიშოს შესრულება, რაც დაგეგმვის პროგრამის დასაწყისია.

სთხოვეთ მონაწილეებს, ინდივიდუალურად შეავსონ ცხრილი და შემდეგ ცხრილის საშუალებით შეაჯამეთ ძირითადი მიგნებები. გამოიყენეთ ეს, რომ გააანალიზოთ ზოგიერთი პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს ცვლილებების დაგეგმვას.

ჯგუფთან ერთად შეაჯამეთ მთავარი მიგნებები.

სასარგებლო რჩევები ფასილიტატორს

ადამიანთა უმრავლესობა ყურადღებას ამახვილებს რესურსებზე, როდესაც ფიქრობს ცვლილების განხორციელებაზე. ასევე მნიშვნელოვანია აქტუალობა და მზადყოფნა. მოუწოდეთ ჯგუფს, დაფიქრდნენ იმაზე, რატომ არის ეს მნიშვნელოვანი.

წარმოადგინეთ პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული მიდგომების იდეები. შეგიძლიათ შესთავაზოთ, რომ მონაწილეებმა კონკრეტულად იფიქრონ ცვლილების სპექტრზე, როდესაც განიხილავენ მზადყოფნასა და პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებულ შეკითხვებს, ან ჯადოსნურ შეკითხვაზე, რომ გათვალისწინებული იყოს სამივე ელემენტი (სამი R).

ნუ ილაპარაკებთ ინგლისურ სამ R-ზე (Relevance - აქტუალობა, Readiness – მზადყოფნა და Resource - რესურსები) – ამის ახსნას დიდი დრო დასჭირდება სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული მონაწილეებისათვის!

დამატებითი რესურსები

არ არის საჭირო.

სავარჯიშო 9.4: აქტუალობა, მზადყოფნა და რესურსები

თქვენ შეგიძლიათ იმსჯელოთ თქვენი სკოლის მზადყოფნაზე, განახორციელოს სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარების პროგრამის ინიციატივა აქტუალობის, მზადყოფნისა და რესურსის მიხედვით. წყვილებში ან მცირე ჯგუფებში შეგიძლიათ იმსჯელოთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვებზე, შემდეგ კი ჯგუფურად განსაზღვროთ შემდგომი ნაბიჯები.

აქტუალობა როგორ უპასუხებს ჩვენს მოთხოვნებს სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარების პროგრამის ინიციატივის განხორციელება? რისი მიღწევა გვსურს მისი საშუალებით?
მზადყოფნა რამდენად მომზადებულები ვართ ამის შესასრულებლად? რა უნდა მოხდეს იმისათვის, რომ წარმატება უზრუნველყოფილი იყოს? სხვა დროს განსხვავებული იქნებოდა ვითარება?
რესურსები რა რესურსები გვაქვს დროის, პერსონალისა და ფინანსების თვალსაზრისით, რომ დავიწყოთ, განვახორციელოთ, მონიტორინგი გავუწიოთ და შევაფასოთ ამგვარი ინიციატივა?

შენიშვნები ფასილიტატორებისთვის
(10 წუთი)

სავარჯიშო 9.5: რას ვგრძნობთ, შევძლებთ წარმოვადგინოთ სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარების სასწავლო პროგრამა?

მეცადინეობის შედეგები

- მარტივი კითხვარის შევსება სკოლის მზადყოფნის გამოსაცდელად.

ტრენინგის თანმიმდევრობა

წარმოადგინეთ კითხვარი და სთხოვეთ მონაწილეებს, შეავსონ ის – ეს არის სკალის შედგენის სავარჯიშოს კარგი მაგალითი.

განიხილეთ კითხვარი და მიუთითეთ მონაწილეებს, რომ ის შეიძლება შეიცვალოს მათ საკუთარ გარემოში გამოყენებისთვის, როგორც სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარების განვითარებისთვის საჭირო ძირითადი საკითხების იდენტიფიცირების საშუალება.

განავრცეთ კითხვარი სკალის შესადგენად გამოსადეგი შეკითხვის დასმით: „რა არის საჭირო, ერთი ან ორი ქულით ზევით რომ ავიწიოთ?“

სასარგებლო რჩევები ფასილიტატორს

ყურადღება გაამახვილეთ, რომ ეს დიდწილად ინდივიდუალური შეხედულებაა და მონაწილეებისაგან არ მოელიან, რომ ერთიანი ხედვა ჰქონდეთ.

გამოიყენეთ შესაძლებლობა, რომ ახსნათ სკალის შედგენის სავარჯიშოს ეფექტიანობა, როდესაც პასუხობთ კითხვაზე — „რა არის საჭირო, ერთი ან ორი ქულით ზევით რომ ავიწიოთ?“

გამართეთ მოკლე დისკუსია იმის თაობაზე, თუ როგორ შეუძლიათ მონაწილეებს ამ კითხვარის გამოყენება თავიანთ დაწესებულებაში.

დამატებითი რესურსები

არ არის საჭირო.

სავარჯიშო 9.5: რას ვგრძნობთ, შევძლებთ განვახორციელოთ სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარების სასწავლო პროგრამა?

იმისათვის, რომ განსაზღვროთ პერსონალის მოტივაცია, თვითრწმენა და შესაძლებლობა სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარების სასწავლო პროგრამის განხორციელებისათვის, სთხოვეთ კოლეგებს, რომ ინდივიდუალურად შეავსონ თანდართული კითხვარი. შემდეგ, საერთო ხედვის ჩამოყალიბების მიზნით, ჯგუფებს ან წყვილებს შეუძლიათ გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი პასუხები ან შესაძლებელია კითხვარების ანონიმურად შევსება და შემდეგ გასაანალიზებლად ჩაბარება.

კითხვარი

მოათავსეთ თქვენი სკოლა ერთ-ერთ ქულასთან ქვემოთ მოცემულ სკალაზე (სადაც 1 ნიშნავს დაბალ დონეს, ხოლო 10 – საუკეთესო სავარაუდო დონეს).

ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ჩვენს სკოლაში ურთიერთობების ხარისხს – ბავშვებს შორის, უფროსებსა და ბავშვებს შორის, უფროსებს შორის.	1 2 3 4 5 6 7 8 9 10
ჩვენ, როგორც პერსონალი, ერთად კარგად ვმუშაობთ; ცუდი დღეებიც გვაქვს, მაგრამ განწყობა უმეტესად კარგია.	1 2 3 4 5 6 7 8 9 10
თანამშრომლები ერთად მუშაობენ თავიანთ გეგმებზე და ერთმანეთისთვის პრობლემების გადაჭრაში დახმარების გასაწევად.	1 2 3 4 5 6 7 8 9 10
ჩვენ ვზრუნავთ თანამშრომლების კეთილდღეობაზე, ყურადღებას ვაქცევთ სამუშაო გარემოს და ვუწევთ დახმარებას სტრესის დაძლევასა და მართვაში.	1 2 3 4 5 6 7 8 9 10
ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ სკოლაში იყოს კეთილგანწყობილი გარემო, რომელიც ხელს უწყობს ბავშვებისა და უფროსების კეთილდღეობას – ყურადღება ექცევა ისეთ დეტალებს, როგორიც არის კომფორტული დასასვენებელი ადგილები, ადგილები, რომლებსაც ყველა ბავშვი საკუთარს უწოდებს და ინახავს თავის კუთვნილ ნივთებს, წყლის შადრევნები, სუფთა და სასიამოვნო საპირფარეშოები, სხვადასხვა სახის სათამაშო მოედნები.	1 2 3 4 5 6 7 8 9 10

ბავშვებს სისტემატურად სთხოვენ თავიანთი აზრის გამოთქმას სკოლის და იქ არსებული საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ; მათი შეხედულებები, ისეთებიც კი, რომლებიც გამომწვევია, სერიოზულად აღიქმება.	1 2 3 4 5 6 7 8 9 10
თანამშრომლები ათვითცნობიერებენ, თუ რა ზეგავლენა აქვს მათ ქცევას, ჟესტიკულაციას, მიმიკას და პასუხებს ბავშვებზე. ისინი თავად ქმნიან იმ ქცევის ნიმუშს, რომელსაც ასწავლიან.	1 2 3 4 5 6 7 8 9 10
თანამშრომლები ყოველთვის ცდილობენ, შეინარჩუნონ პატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობა მაშინაც კი, როდესაც რეაგირებენ ცუდ საქციელზე. მაგალითად, იმით, რომ იარლიყს ანიჭებენ არა ბავშვს, არამედ საქციელს და დროს უთმობენ ქცევითი საკითხების პოზიტიურად გადაწყვეტას მოგვიანებით, ემოციური დაძაბულობის დაცხრომის შემდეგ.	1 2 3 4 5 6 7 8 9 10
ჩვენ ბევრი სტრატეგია გვაქვს შემუშავებული ბავშვთა კეთილდღეობის ხელშეწყობისათვის, მაგალითად, საერთო-სასკოლო მეცადინეობები „დრო წრეში“, თანატოლთა შუამავლობისა და დამეგობრების სქემები, ყველა ბავშვს ეძლევა შესაძლებლობა, რომ როდესაც დასჭირდება, პირისპირ ესაუბროს უფროსს.	1 2 3 4 5 6 7 8 9 10

სავარჯიშო

გამოიყენეთ სახელმძღვანელოს სავარჯიშოები 9.2 და 9.5, რათა იმუშაოთ პედაგოგთა ჯგუფთან ერთად თქვენს სკოლაში და განსაზღვროთ, თუ სად და რა ხარისხით ისწავლება სკოლაში სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარების ხუთი სფერო.

მე-10 მეცადინეობა

მოსწავლეების ჩართვა პროცესში — სკოლაში ძალადობის აღმოფხვრასა და ქცევის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული სტრატეგიების ჩამოყალიბება მოსწავლეების მონაწილეობით

ამ მეცადინეობისთვის საჭიროა DVD სათაურით „სწავლისთვის შესაფერისი ქცევა“ (“Behaviour 4 learning”)

აღნიშნული DVD-ს ჩამოტვირთვა შეიძლება ინტერნეტიდან www.behaviour4learning.ac.ek/cflb ან შესაძლებელია დაკავშირება მისამართზე cgittins@btinternet.com

(ეყრდნობა სახელმძღვანელოს მე-5 თავს)

ზოგადი ნაწილი

სახელმძღვანელოს მე-5 თავის შინაარსის 10-წუთიანი ზოგადი გაცნობის შემდეგ ჩატარდება სამი 20-წუთიანი და ერთი 30-წუთიანი სავარჯიშო, ხოლო დარჩენილი 20 წუთი დაეთმობა მეცადინეობის შემდგომი სავარჯიშოს დაგეგმვას.

წინამდებარე თავი მნიშვნელოვანია ნებისმიერი სასკოლო სამუშაოსთვის, რომელიც ძალადობის აღმოფხვრას ემსახურება. ჩვეულებრივ, ამ თვალსაზრისით ყველაზე ეფექტური და ნაკლებად გამოყენებული რესურსი, რომელსაც ნამდვილად სურთ „კონვივენსიის“ დამყარება, არიან მოსწავლეები ნებისმიერ სკოლაში.

წინამდებარე თავი მთელ სახელმძღვანელოში ყველაზე მეტად ეფუძნება ევროპულ გამოცდილებას, აქ მოტანილია მაგალითები იტალიის, უელსის, ესპანეთის და ასევე გაერთიანებული სამეფოს ცხოვრებიდან.

ალბათ ყველა მონაწილეს ეცოდინება რაიმე მაგალითი თავის ქვეყანაში თანატოლების მიერ მართული სტრატეგიებისა. შესაძლებელია უამრავი მაგალითის მოშველიება.

აქედან გამომდინარე, წინამდებარე თავი შეიძლება გამოდგეს, როგორც შესაძლებლობა მონაწილეებისთვის, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება და გააანალიზონ ეფექტიანი სტრატეგიების საერთო ნიშნები.

არ დაგავიწყდეთ იმის საგანგებოდ აღნიშვნა, რომ თანატოლთა მიერ მართულ სტრატეგიებში მნიშვნელოვანია შედეგი. ძალიან ბევრია იმის მაგალითი, როდესაც რაღაც ინიციატივა იწყება და მალევე ქრება.

ტრენინგის მიმდინარეობა	ხანგრძლივობა
შესავალი – გამოიყენეთ PowerPoint 10.1 და 10.2 სახელმძღვანელოს 95-99 გვერდების, როგორც 10.1 სავარჯიშოს ნაწილის, ასახსნელად.	**10 წუთი**
10.1 სავარჯიშო განიხილავს კითხვარის ნიმუშს, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია სკოლებში იმის დასადგენად, თუ რა ხდება უკვე და რისი გაკეთება შეიძლება მეტი შედეგის მისაღწევად.	**20 წუთი**
სავარჯიშოები 10.2, 10.3 და 10.4 განიხილავს სამ კონკრეტულ შემთხვევას და აჯამებს მათ დისკუსიის გამომწვევი კითხვებით.	**40 წუთი**
მეცადინეობის შემდგომი სავარჯიშოს მომზადება – ამ დროს იკრიბება ყველა მაგალითი, გამოიყენება პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული მიდგომა და დგინდება, როგორ შეიძლება თანატოლთა დახმარების შემოღება ან არსებულის გაუმჯობესება. **შენიშვნა:** კითხვები 10.5 სავარჯიშოში შეცვლილია და არ ჰგავს კითხვებს, რომლებიც ამ სვარჯიშოსთვის სახლემძღვანელოშია მოცემული.	**20 წუთი**
მონაწილეთათვის DVD-ის — „სწავლისთვის შესაფერისი ქცევა” (“Behaviour 4 learning”) — გაცნობა	**30 წუთი**

სავარჯიშოები 10.1-10.4: სთხოვეთ მოსწავლეებს, მოგითხრონ თანატოლთა დახმარებაში მათი ამჟამიდელი მონაწილეობის შესახებ

მეცადინეობის შედეგები

- თანატოლების მიერ მართული სხვადასხვა სტრატეგიის ჩამოყალიბება;
- მაგალითის განხილვა პრინციპების და საორგანიზაციო საკითხების დასადგენად.

ტრენინგის თანმიმდევრობა

გამოიყენეთ PowerPoint 10.4 თანატოლების მიერ მართული სხვადასხვა გამოყენებული სტრატეგიის დასადგენად.

მონაწილეები მუშაობენ წყვილებად, აანალიზებენ სიტუაციას სკოლაში 10.1-ის გამოყენებით. ისინი უზიარებენ ერთმანეთს დასკვნებს (20 წუთი).

შემდეგ მონაწილეები კითხულობენ 10.2-10.4 კონკრეტული შემთხვევების განხილვას და შეარჩევენ ერთ მათგანს კითხვებზე პასუხების ინდივიდუალურად გაცემის მიზნით. შემდეგ სამი-ხუთი კაცისგან შემდგარ ჯგუფებად ისინი უზიარებენ ერთმანეთს პასუხებს გრაფაში მოცემულ კითხვებზე (30 წუთი).

ჩამოწერეთ დაფაზე განხილვისას წარმოქმნილი ძირითადი საკითხები შემდეგი სათაურებით (10 წუთი):

- მოსწავლეთა უნარები და როლები
- თანამშრომელთა როლები
- სკოლის ორგანიზების საკითხები

მეცადინეობის ბოლოს ხდება „სწავლისთვის შესაფერისი ქცევის“ გაცნობა მე-11 მეცადინეობისთვის მოსამზადებლად.

სასარგებლო რჩევები ფასილიტატორს

ჯგუფის წევრებს შეიძლება ჰქონდეთ თანატოლთა მიერ მართული სტრატეგიების უშუალო გამოცდილება. ფასილიტატორმა ეს შეიძლება უკვე იცის ადრე ჩატარებული მეცადინეობებიდან. მან უნდა სთხოვოს რომელიმე ასეთ მონაწილეს, გააკეთოს მოკლე პრეზენტაცია 10.3 სავარჯიშოს ნაცვლად.

თანატოლთა მიერ მართული სტრატეგიების მხარდასაჭერად მნიშვნელოვანია მსჯელობა სკოლის საორგანიზაციო საკითხებზე.

თუ ხელმისაწვდომია ინტერნეტი, გამოიყენეთ იგი დამადასტურებელი წყაროების მისათითებლად.

დამატებითი რესურსები

DVD დრაივერი კომპიუტერზე, ხმოვანი პროეცირება და DVD — „სწავლისთვის შესაფერისი ქცევა“.

სავარჯიშო 10.1: მოსწავლეებს სთხოვენ, განიხილონ, როგორ არიან ჩართული თანატოლთა მხარდაჭერაში

დაგეგმვა და ჩამოყალიბება თავად მოსწავლეებთან კონსულტაციით უნდა დაიწყოს. სავარჯიშო გვეხმრება სკოლაში უკვე მიმდინარე ღონისძიებების გაცნობაში. ეს შეიძლება გახდეს სკოლის რეგულარული თვითშეფასების ნაწილი (იხ. მეცადინეობები 5, 6 და 7).

შეიძლება შეხვედრის ორგანიზება წარმომადგენლობით ჯგუფთან, ვთქვათ, სკოლის საბჭოსთან. შეგიძლიათ ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხების განხილვა და შემდეგ მათი მორგება თქვენს სკოლაზე:

რამდენად ინფორმირებული არიან ახალგაზრდები სკოლაში არსებული, მოსწავლეების მიერ მართული საქმიანობების შესახებ?
რომელი საქმიანობა მუშაობს უკეთ და ეხმარება მოსწავლეებს?
როგორ შეიძლება მათი გაუმჯობესება და მათი ქმედითუნარიანობის შენარჩუნება?
კიდევ რომელი სხვა გზებით შეუძლიათ მოსწავლეებს ერთმანეთის დახმარება?
არსებობს თუ არა ისეთი ადგილობრივი ან სახელმწიფო პროგრამები თანატოლთა დახმარებასთან დაკავშირებით, რომელთა შესახებაც მოსწავლეებს გაგონილი აქვთ ან რომელთა გამოცდილების დანერგვაც შესაძლებელია სკოლაში?
რა არის საჭირო იმისთვის, რომ მოსწავლეებმა უფრო მეტად შეძლონ ერთმანეთის დახმარება?

სავარჯიშო 10.2: მეგობრული დახმარების შესახებ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით წამოჭრილ საკითხებზე მსჯელობა

კონკრეტული შემთხვევა 1: მეგობრული ჩარევა - იტალია (Menesini et al., 2003)

ეს შემთხვევა გვიჩვენებს თანამშრომლობის საფუძველზე მომუშავე ჯგუფის მუშაობის წარმატებას და მეგობრულ დახმარებას, რომლის მიზანია მოსწავლეებში საკუთარ და სხვების ქცევებზე პასუხისმგებლობის განვითარება, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც გარკვეულ ქცევას ახლავს აგრესია. მკვლევარებმა ასევე ყურადღება გაამახვილეს მონაწილეთა როლების მრავალფეროვნებაზე (სალმივალი და სხვები, 1996), რასაც ისინი პროექტის სხვადასხვა დონეზე ასრულებენ. ჩარევა მოხდა იტალიის ორ საშუალო სკოლაში (11-დან 14 წლამდე ასაკის ბავშვებში), ხოლო მისი მიზანი იყო:

- ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევების შემცირება, რისთვისაც მოსწავლემ უნდა გაათვითცნობიეროს ეს მოქმედებები თავის საკუთარ და სხვის ქცევაში;
- მოსწავლეებში ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლისთვის დახმარების შეთავაზების უნარის განვითარება;
- მაყურებლის როლში მყოფი მოსწავლის პასუხისმგებლობის და ჩართულობის განვითარება;
- პირადი ურთიერთობების ხარისხის გაუმჯობესება კლასში;
- ჩარევის ზემოქმედებასთან დაკავშირებული შესაძლო ასაკობრივი და სქესობრივი განსხვავებების ანალიზი.

ჩარევა ხორციელდებოდა სასწავლო წლის განმავლობაში, ოქტომბრიდან მაისამდე, ხუთ ფაზად:

- *ჩარევა კლასში:* სამუშაო მთელ კლასში ამაღლებდა ინფორმირებულობას პროსოციალური და დამხმარე ქცევების შესახებ. ამ ფაზის მიზანს წარმოადგენდა თანატოლთა მხარდაჭერისკენ მიმართული ქმედებების მიმართ დამოკიდებულების ჩამოყალიბება და მათი ღირებულების ამაღლება მთელ სკოლაში;
- *თანატოლი დამხმარეების შერჩევა:* თანატოლ დამხმარეებს ასახელებდნენ მათივე თანატოლები, ზოგიერთი საკუთარ თავსაც კი ასახელებდა. თითოეულ კლასში შეირჩა სამი-ოთხი თანატოლი დამხმარე;
- *ტრენინგი:* შერჩეულმა მოსწავლეებმა გაიარეს ტრენინგი იმ უნარ-ჩვევების და დამოკიდებულებების განსავითარებლად, რომლებიც დაეხმარებოდა მათ სხვა მოსწავლეებთან ურთიერთობაში. ისინი მთელი დღის განმავლობაში მონაწილეობდნენ სასკოლო შეხვედრებში. ბავშვებს ასწავლიდნენ მოსმენას და ურთიერთობას ქოუვის და უოლასის სახლემძღვანელო მითითებების (2000) მიხედვით;
- *მუშაობა კლასში:* თანამშრომლები ხელს უწყობდნენ საერთო-საკლასო შეხვედრების მოწყობას, სადაც დგინდებოდა გარკვეული მოსწავლეების საჭიროებები. შემდეგ მყარდებოდა კონტაქტი კონკრეტულ მიზნობრივ მოსწავლეებთან, რომლებსაც ეკითხებოდნენ, თანახმა იქნებოდნენ თუ არა სპეციალური მომზადების მქონე თანატოლ დამხმარესთან მუშაობაზე. ამ პერიოდის განმავლობაში თანატოლი დამხმარეე-

ბი კვირაში ერთხელ ხვდებოდნენ თანამშრომლებს, რომლებიც ეხმარებოდნენ მათ მიზნობრივ მოსწავლეებთან მუშაობაში;

- *როლების გადაცემა:* თანატოლი დამხმარეების პირველი ტალღა მუშაობდა სხვა მოსწავლეების ტრენინგზე კლასში, რათა უფრო მეტი მათგანი ყოფილიყო ჩართული პროგრამაში.

თქვენთვის შესაძლოა საინტერესო იყოს კონკრეტული შემთხვევის მიმოხილვა და მსჯელობა იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება ეს თქვენს სკოლაში არსებულ მდგომარეობას, განსაკუთრებით ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით:

მეგობრული მიდგომა მშვენივრად მიესადაგა იტალიის სასკოლო სისტემას, ვინაიდან ტრენინგის ჩატარება შეიძლება შედარებით მოკლე დროში და, აგრეთვე, ვინაიდან ეს მიდგომა აფართოებს უკვე არსებულ მეგობრულ კავშირებს კლასში. როგორ შეიძლება ამის გამოყენება თქვენს სიტუაციაში?
ბოლო წლებში იტალიაში ახალმა კანონმდებლობამ კონკრეტული როლი მიანიჭა განათლების სფეროს ფსიქოლოგების როლს, რომლებიც უშუალოდ სკოლებში მუშაობენ. მათი მიზანია ისეთი ახალი სასკოლო ინიციატივების ჩამოყალიბება, როგორიცაა თანატოლთა დახმარება. ეს კი ნიშნავს, რომ მეგობრული დახმარების სისტემის დანერგვა შეიძლება საკმაოდ მარტივად, სასწავლო განრიგის დაურღვევლად და სკოლის პერსონალსა და იმ ფსიქოლოგებს შორის თანამშრომლობით, რომლებსაც გავლილი აქვთ სპეციალური მომზადება. თქვენს სკოლაში ვინ შეძლებს ამგვარ ჩარევას ყველაზე უკეთ?
კონკრეტული შემთხვევის შედეგები ძალიან კარგი აღმოჩნდა და დაადასტურა ამ სფეროში მომუშავე ბევრი პრაქტიკოსის შეხედულება, რომ ძალადობის და აგრესიის შესუსტება წარმატებით შეიძლება ისეთი სისტემური მიდგომით, რომელიც ითვალისწინებს კლასში მონაწილეთა განსხვავებულ და მონაცვლე როლებს. მონაწილეთა რომელი როლების გათვალისწინება დაგჭირდებოდათ თქვენს სკოლაში?

სავარჯიშო 10.3: აქტიურ მოსმენასთან დაკავშირებული კონკრეტული შემთხვევის საფუძველზე წამოჭრილ საკითხებზე მსჯელობა

კონკრეტული შემთხვევა 2: აქტიური მოსმენა - უელსის საშუალო სკოლა (Cowie et al., 2004)

მოცემული შემთხვევა აღწერს თანატოლების მიერ მართულ მოსმენის მომსახურებას ერთ საშუალო სკოლაში, რომელიც ჩამოყალიბდა ორგანიზაციასთან "ChidLine in partnership with Schools" (CHIPS) თანამშრომლობის საფუძველზე უელსის თანატოლთა დახმარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. თავდაპირველად CHIPS-ის გუნდმა აქტიურ მოსმენაში ორდღიანი ტრენინგი ჩაუტარა მე-12 და მე-13 კლასების მოსწავლეებს. შემდეგ, სკოლის თანამშრომლების დახმრებით, მათ უმცროსი ასაკის მოსწავლეებისთვის შექმნეს ყოველდღიური „მოკითხვის" მომსახურება სადილის დროს. დრამწრემ დაწერა და შეასრულა მიუზიკლი „რატომ მე?", რომელშიც წამოჭრილი იყო ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის პრობლემა სკოლაში და მის წინააღმდეგ გალაშქრების აუცილებლობა.

მომსახურების გაწევის და ყოველი სადილის დროის დაგეგმვის ძირითადი პასუხისმგებლობა თავიდანვე თვით თანატოლ დამხმარეებს ეკისრებოდათ. მაგალითად, თანატოლი დამხმარეები პოსტერების გამოყენებით ატარებდნენ კამპანიას, რომელიც ზრდიდა ინფორმირებულობას სკოლაში, და კვირაში ერთხელ უძღვებოდნენ მეცადინეობებს უმცროსი ასაკის მოსწავლეებისათვის.

თქვენთვის შესაძლოა საინტერესო იყოს კონკრეტული შემთხვევის მიმოხილვა და მსჯელობა იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება ეს თქვენს სკოლაში არსებულ მდგომარეობას, განსაკუთრებით ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით:

რესურსები: თანატოლ დამხმარეებს სჭირდებათ ოთახი, სადაც ისინი შეძლებენ მოსწავლეებთან ინდივიდუალურად ან ჯგუფურად შეხვედრას, მიმდინარე ტრენინგის ჩატარებას და საზედამხედველო შეხვედრის მოწყობას.

მათ ასევე დასჭირდებათ უსაფრთხო ადგილი, სადაც შესაძლებელი იქნება კონფიდენციალური მასალის შენახვა.

ტრენინგი შეიძლება ხანგრძლივი აღმოჩნდეს. ჩვეულებრივ, თანატოლი დამხმარეებისთვის რეკომენდებულია 30-საათიანი ტრენინგი ფასილიტატორთან, რომელიც გამოცდილი მრჩეველია ან რომელსაც გავლილი აქვს მომზადება თანატოლთა დახმარებაში. გაერთიანებულ სამეფოში არის ტრენინგის უამრავი კარგი კურსი, რომელსაც უძღვებიან "CHIPS" და "Relate".

როგორ უზრუნველყოფთ შესაბამის რესურსებს თქვენი სკოლისათვის?

თანატოლთა დახმარება აუმჯობესებს ახალგაზრდების ემოციურ ფონს და აღიარებულია, როგორც ახალგაზრდების დახმარების ეფექტიანი მეთოდი თანატოლებთან ურთიერთობის ისეთ რთულ გამოვლინებაში, როგორიცაა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა. გარდა ამისა, ეს თანატოლ დამხმარეებს ეხმარება პირად განვითარებაში, ურთიერთობებისა და საკუთარ თავში რწმენის ჩამოყალიბებაში.

როგორ დაარწმუნებთ სკოლის ყველა წევრს თანატოლთა დახმარების მნიშვნელობაში?

სავარჯიშო 10.4: თანატოლთა მედიატორობის კონკრეტული შემთხვევიდან წამოჭრილ საკითხებზე მსჯელობა

კონკრეტული შემთხვევა 3: კონფლიქტების მოგვარება თანატოლთა მედიატორობის დახმარებით ესპანეთის სკოლებში (Fernandez et al., 2002)

როგორც ესპანელი მკვლევარები წლების განმავლობაში აღნიშნავდნენ (ორტეგა, 2001), ადამიანების ურთიერთობებში წამოჭრილ ყველა სირთულეს არ მივყავართ ვინმეს მსხვერპლად ქცევამდე. ზოგჯერ აგრესია უკუქცევითია და ძნელიცაა მსხვერპლსა და მოძალადეს შორის საზღვრის გავლება. კონფლიქტი შეიძლება წარმოიშვას ინდივიდებს ან ჯგუფებს შორის და გააჩინოს წინააღმდეგობის გრძელი და რთული ჯაჭვი. ამის შედეგად ყალიბდება მეტად რთული სიტუაცია, როცა აუცილებელი ხდება პასუხისმგებელი პირის დადგენა და გადაწყვეტა იმისა, თუ როგორ უნდა აღდგეს ურთიერთობათა სამართლიანი და სათანადო სისტემა. თავისთავად კონფლიქტმა შეიძლება არც დააზიანოს ურთიერთობა. უფრო მთავარია ის გზა, რომლის საშუალებითაც გადაიჭრა კონფლიქტი.

წიგნში (Fernandez et al., 2002) დეტალურად არის აღწერილი, თუ როგორ შეიძლება მედიატორობის მეთოდების წარმატებით გამოყენება სკოლებში ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად. როგორც ავტორები მიუთითებენ, კონფლიქტების მოგვარების მეთოდებით მომზადებულ თანატოლ დამხმარეებს ჩამოყალიბებული უნდა ჰქონდეს შემდეგი უნარ-ჩვევები:

- თანატოლის მონათხრობის აქტიურად მოსმენა;
- პრობლემის მოგვარებაში დახმარების სურვილი;
- დავის კომპონენტების ანალიზის უნარი;
- დავის მონაწილე ადამიანების ემოციებისადმი გულისხმიერება.

ფერნანდესმა და მისმა კოლეგებმა ჩამოაყალიბეს რამდენიმე საფეხური, რომლებიც თანატოლმა მედიატორებმა თანმიმდევრულად უნდა გაიარონ:

საფეხური 1 – დავის გამომწვევი მიზეზების ანალიზი. მონაწილეები ემზადებიან დავის გამომწვევი მიზეზების დასადგენად. მათ მოუწოდებენ, უგულებელყონ ემოციური მომენტი და შეუდგნენ იმის გათვითცნობიერებას, რომ ისინი არ იმყოფებიან გამოუვალ ჩიხში. დავის მოგვარება შესაძლებელია.

საფეხური 2 – გადაწყვეტილების ძიება. დავის მონაწილე მხარეები მიმართავენ თავის ფიქრებს იმ აზრისკენ, რომ მათ შეუძლიათ დავის მოგვარების სხვადასხვა გზის გონივრულად განხილვა. პირველ რიგში, მათ უნდა დაადგინონ პოტენციური რისკი და სარგებელი. ამ ეტაპზე თანატოლი მედიატორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ისინი არ მიუთითებენ მოდავეებს რაიმე კონკრეტულ ქმედებებს.

საფეხური 3 – წინადადებების ჩამოყალიბება და შეფასება. დავის მონაწილე მხარეები აყალიბებენ რამდენიმე შესაძლო სამოქმედო წინადადებას და რაც შეიძლება ობიექტურად განიხილავენ მათ დადებით და უარყოფით მხარეებს. ამ დროს კარგი იქნება, თუ ჩამოწერთ თითოეული წინადადების სასარგებლო და საწინააღმდეგო არგუმენტებს.

საფეხური 4 – საუკეთესო არჩევანის გაკეთება. თანატოლი მედიატორები სვამენ ძირითად კითხვებს, რომლებიც მოდავე მხარეებს აძლევს თითოეული შემოთავაზებული წინადადების შედეგების გათვალისწინების შესაძლებლობას. მედიატორებმა არ უნდა იმსჯელონ ამ საკითხზე და არც რჩევები უნდა მისცენ მხარეებს.

საფეხური 5 – მისვლა შეთანხმებამდე. დავის მონაწილე მხარეებს ყველანაირად უბიძგებენ ისეთ გადაწყვეტილებამდე მისვლაზე, რომელიც ყველაზე მეტად დააკმაყოფილებს ორივე მხარეს. ხშირად ეს გულისხმობს კომპრომისს ამა თუ იმ ფორმით ორივე მოდავის მხარისგან. კომპრომისის დადებითი ნიშანია ის, რომ ეს ხდება ყოველგვარი ძალადობის თუ ძალმომრეობის გარეშე. ეს ისეთი გადაწყვეტილებაა, როცა ორივე მხარეა გამარჯვებული და როცა ორივე მხარე გრძნობს, სულ ცოტა, კმაყოფილებას და ხშირ შემთხვევაში – სიამოვნებასა და სიამაყეს.

საფეხური 6 – განხორციელების დაგეგმვა. ამ საფეხურზე თანატოლი მედიატორი ეხმარება განხორციელების პროცესს. მოქმედებები უნდა იყოს რეალური, კონკრეტული, მკაფიო და შესაძლებელი უნდა იყოს მათი შეფასება. ამ შემთხვევაში ძირითადი კითხვებია: ვინ რას აკეთებს, როგორ და როდის?

საფეხური 7 – მონიტორინგი და შეფასება. თანატოლმა მედიატორებმა უნდა მოიფიქრონ შესაბამისი დრო და ადგილი, რათა შეფასდეს შეთანხმების შედეგიანობა პრაქტიკაში. ამ ეტაპზე უნდა დაისვას შემდეგი კითხვები: ქმედითია თუ არა შეთანხმება? საჭიროა თუ არა გადაწყვეტილებაში რაიმე ცვლილების შეტანა? ყველაფერ ამას უნდა მოჰყვეს შემდგომი შეხვედრა, როცა მონაწილეები შეაფასებენ მიღებული გადაწყვეტილების წარმატებასა თუ წარუმატებლობას და აღიარებენ საკუთარ მზადყოფნას საჭიროების შემთხვევაში ზოგიერთი ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით.

შეიძლება საჭიროდ ჩათვალოთ კონკრეტული შემთხვევისა და თქვენს სკოლაში არსებულ სიტუაციასთან მისი შესაბამისობის განხილვა, განსაკუთრებით შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

მედიატორობის პროცესში კარგად ჩანს აქტიური მოსმენის ხარისხის და მონაწილეთა საჭიროებებსა და გრძნობებზე გულწრფელი და მართალი პასუხის დიდი მნიშვნელობა. თანატოლი მედიატორისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მან არა თუ უარყოს ან დათრგუნოს კონფლიქტის დროს (და ხშირად მას შემდეგაც) არსებული ემოციები, არამედ მოძებნოს საკუთარ თავში ძალა და მოუსმინოს მათ, თანაგრძნობით უპასუხოს მონაწილეს და შეუქმნას მას მეგობრული გარემო. რომელი ტექნიკის გამოყენებით შეიძლება შეასწავლოთ მოსწავლეებს აქტიურად მოსმენა?
პროცესის მთავარ მომენტს წარმოადგენს თანატოლი მედიატორების მიერ კითხვის დასმის ხერხი. როგორც ფერნანდესი და ავტორთა ჯგუფი მიგვითითებენ, თანატოლი მედიატორები, რომლებსაც გავლილი აქვთ ტრენინგი აქტიურ მოსმენაში, სწავლობენ კითხვების ისე დასმას, რომ აჩვენონ კონფლიქტის მხარეებს, თუ რამდენად ყურადღებით ეკიდებიან შექმნილ სიტუაციას და როგორი თანაგრძნობით არიან განწყობილი დავის თითოეული მხარის შეხედულებებისა და ემოციების მიმართ. რომელია ის პირადი თვისებები, რომლებიც მედიატორს ეხმარება თანაგრძნობის გამოხატვაში?

ამავე დროს, მედიატორებს სჭირდებათ თანაგრძნობის გადალახვა და გადასვლა პრობლემის მოგვარების მდგომარეობაზე ისე, რომ მოდავე მხარეები თავადვე მივიდნენ კონფლიქტის გადაჭრამდე. სწორედ აქ არის აუცილებელი ურთიერთობის კარგი უნარი. თანატოლმა მედიატორებმა სწორად შერჩეული სიტყვების, ხმის ტონის, მეტყველების ტემპის და საკუთარი თავის მიმართ რწმენის დახმარებით უნდა აჩვენონ, რომ სჯერათ პრობლემის მოგვარების რეალური შესაძლებლობისა.

როგორ შეუძლიათ სკოლის თანამშრომლებს პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული მიდგომის მოდელირება?

მედიატორებმა ასევე უნდა იცოდნენ, როგორ გამოიწვიონ და როგორ შეუწყონ ხელი თხრობას პირველ პირში ისე, რომ თითოეული მონაწილე ყვებოდეს საკუთარ გამოცდილებას, მაგრამ არ მსჯელობდეს და არც ჯგუფის სხვა წევრის გამოცდილებას დასცინოდეს. პირველ პირში მონათხრობი ქმნის თვითდამკვიდრების საშუალებას. ყველა სწავლობს, რომ თუმცა მათი გამოცდილება საინტერესოა, ისინი სხვების გამოცდილებასაც პატივისცემით უნდა მოეპყრან, რა განსხვავებულადაც არ უნდა ეჩვენებოდეთ იგი.

როგორ უნდა ვასწავლოთ მოსწავლეებს მედიატორობა პირველ პირში მონათხრობის გამოყენებით?

პარადოქსია, მაგრამ განსხვავებულობის გათვითცნობიერების პროცესში მონაწილეები უფრო ღრმად იწყებენ იმ მსგავსების გაგებას, რომელიც ჩვენს შორის არსებობს. როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, წინამდებარე თავში, წრე ქმნის შესაბამის სივრცეს, სადაც შეიძლება განხორციელდეს ეს პროცესი.

როგორ შეიძლება წრის აქტიურად გამოყენება?

PowerPoint 10.5 – 10.1 სავარჯიშოს შედეგების თვალსაზრისით, როგორ დანერგავდით თქვენს სკოლაში თანატოლთა მხარდაჭერას?

მე-10 მეცადინეობისა და მე-5 თავის მასალებთან ერთად გამოიყენეთ ფასილიტატორის გზამკვლევის მე-3 თავი:

წაიკითხეთ ნაწილი 3.3.1, რომელიც ეხება პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებულ კითხვებს. რომელი მათგანის დასმაა ყველაზე შესაფერისი თანატოლთა მხარდაჭერის გაცნობისას?
წაიკითხეთ ნაწილი 3.4.1, რომელიც ეხება ჯადოსნურ კითხვებს. წარმოიდგინეთ, რომ ძალადობის აღმოფხვრასთან დაკავშირებული თანატოლთა მხარდაჭერის სისტემები ჩამოყალიბებულია და კარგად მუშაობს. დასვით ჯადოსნური კითხვები: „რა განსხვავება იქნება და რა მიგახვედრებთ, რომ სასწაული მოხდა?“ გაეცით პასუხი იმ ჯადოსნური კითხვის კომპონენტებს, რომელიც მიმართულია ძალადობის აღმოფხვრის დასახმარებლად თანატოლთა მხარდაჭერის გაცნობისას თქვენს სკოლაში ან თქვენს გარშემო.

გამოიყენეთ ეს კითხვები მეცადინეობის შემდგომი სავარჯიშოს შესამუშავებლად. შეცვალეთ ან დანერგეთ თანატოლების მიერ მართული სტრატეგია თქვენს სკოლაში.

მონაწილეებისათვის DVD-ის „სწავლისათვის შესაფერისი ქცევა“ წარდგენა

აღნიშნული DVD წარმოადგენს ფასილიტატორის მიერ მართულ რესურსს. იგი განკუთვნილია საშუალო სკოლისთვის და მისი გამოყენება შეიძლება ნებისმიერ თავთან დაკავშირებული საკითხების საილუსტრაციოდ, კერძოდ:

- *„კონვივენსიის“* კლიმატის შექმნა
- პედაგოგების ქცევის მოდელირება
- სკოლის ორგანიზება
- სკოლის თანამშრომელთა დახმარება

მონაწილეებს ამ DVD-ის გამოყენება შეუძლიათ საკუთარ სკოლებში, თავისი თანამშრომლების ტრენინგისთვის.

მასწავლებლებმა დრო უნდა დაუთმონ DVD-ის და ფასილიტატორების სახელმძღვანელოდ განკუთვნილი თავების შესწავლას მის უშუალოდ მოსწავლეებთან გამოყენებამდე. DVD-ის შესწავლა დაეხმარება მათ იმ ნაწილების შერჩევაში, რომლებიც შეიძლება ყველაზე საინტერესო აღმოჩნდეს მონაწილეებისთვის.

მე-11 მეცადინეობა

ბავშვების დაცვა – სკოლის გადაქცევა უსაფრთხო გარემოდ

ამ მეცადინეობისთვის საჭიროა DVD სათაურით „სწავლისათვის შესაფერისი ქცევა“

აღნიშნული DVD-ის ჩამოტვირთვა შეიძლება ინტერნეტიდან: www.behaviour4learning.ac.ek/cflb ან შესაძლებელია დაკავშირება მისამართზე cgittins@btinternet.com

(ეყრდნობა სახელმძღვანელოს მე-6 თავს)

ზოგადი ნაწილი

10-წუთიანი ზოგადი გაცნობის შემდეგ ჩატარდება სამი სავარჯიშო ორ დამატებით სავარჯიშოსთან ერთად. 11.1 სავარჯიშოს სჭირდება დაახლოებით 40 წუთი, ხოლო 11.2 და 11.3 სავარჯიშოებისთვის რჩება მხოლოდ 30 წუთი.

ეს და მე-10 მეცადინეობა ავსებენ ერთმანეთს, ვინაიდან ორივე თავი კონცენტრირებულია ბავშვზე.

მართალია, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის თემა ყველა თავს გასდევს, მაგრამ სახელმძღვანელოს მე-5 და მე-6 თავებში ეს საკითხი ყველაზე სრულადაა მოცემული. წინამდებარე თავში არის ნაწილები, რომლებიც ეხება მთელ სკოლაში ისეთი კლიმატის ჩამოყალიბებას, რომელიც სკოლას უსაფრთხო ადგილად გადააქცევს, თუმცა აქცენტი გადატანილი იქნება მოსწავლეების დახმარებაზე ამგვარი კლიმატის შექმნაში.

ტრენინგის მიმდინარეობა	ხანგრძლივობა
ამ თავის შესავალი იყენებს PowerPoint 11.1 და 11.5 სლაიდებს, რომლებიც განმარტავენ ძალადობის ზემოქმედებას ბავშვებზე და სასკოლო პოზიტიური მიდგომის ჩამოყალიბებას, რაც გულისხმობს: • ლიდერობის სტილს და ხარისხს და მართვის პრაქტიკას; • სასწავლო პროგრამის ხარისხს და განხორციელებას; • სოციალური სფეროების ორგანიზებას; • პროცედურებს, სადაც განხილულია ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევებს; • ურთიერთობის დამყარებას საკუთარ თავთან და სხვებთან.	**10 წუთი**
სავარჯიშო 11.1 – მოსწავლეთა შეხედულება სკოლის თანამშრომელთა როლზე სკოლის უსაფრთხო ადგილად გადაქცევის საქმეში- ვეტენბერგის და ჰიბრეგტის (2001) ნაშრომის გაცნობა, რასაც მოჰყვება DVD-ის „სწავლისათვის შესაფერისი ქცევა“ ჩვენება. ეს არის ფასილიტატორის მიერ წინამდებარე სახელმძღვანელოში განხილული ქცევის მოდელირების დემონსტრირება.	**40 წუთი**

სავარჯიშო 11.2 – კონფლიქტის მოგვარების სწავლების სტრატეგია არსებობს კონფლიქტების მოგვარების უამრავი გზა და ასევე ხელმისაწვდომია თანამშრომელთა მედიატორობის პროგრამები. ამ სავარჯიშოს მეშვეობით ჩვენ უბრალოდ ვზრდით ორ პროგრამასთან დაკავშირებულ ინფორმირებულობის დონეს.	**30 წუთი**
სავარჯიშო 11.3 – სახიფათო ადგილების გამოსწორება ეს სავარჯიშო ემყარება გამოგონილ „ევროპულ სკოლას“ ომნივილში, სადაც შეისწავლება სკოლების გეგმები, დგინდება სახიფათო ადგილები და ის გაუმჯობესება, რაც შეიძლება განხორციელდეს უსაფრთხოების დონის ამაღლების მიზნით.	**30 წუთი**
სავარჯიშოები 11.4 და 11.5 დამატებითი სამუშაოებია, რომლებიც გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფი დაინტერესდება მთელი სკოლის უსაფრთხოების ამაღლების რაიმე კონკრეტული საკითხით. სავარჯიშოები მოიცავს ბრაზის მართვას (უსაფრთხოების გაუმჯობესება როგორც გაბრაზებული მოსწავლისთვის, ასევე მისი მოწინააღმდეგე მხარისთვის) და ტრენინგს თავდაჯერების მისაღწევად (სხვებისგან მომავალი აგრესიის მართვის ხერხების შესწავლას).	
მეცადინეობის შემდგომი სავარჯიშო (PowerPoint 11.10): გამოიყენეთ წინამდებარე თავში მოცემული მასალები, ჩაატარეთ უსაფრთხოების გამოკვლევა სკოლაში, ან დაგეგმეთ და განახორციელეთ კონფლიქტის მოგვარებასთან, ბრაზის მართვასთან ან საკუთარი თავის რწმენასთან დაკავშირებული პროგრამა იმისათვის, რომ დააკმაყოფილოთ მოსწავლეთა საჭიროებები, რათა თავი იგრძნონ უსაფრთხოდ.	**10 წუთი**

სავარჯიშო 11.1: მოსწავლეთა აზრი პერსონალის როლზე სკოლის უსაფრთ-ხოების საქმეში

მეცადინეობის შედეგები

- მოსწავლეთა შეხედულებების გაგება სწავლების ეფექტიანი სტილის შესახებ;
- ქცევის მოდელირებაში ჩართული თანამშრომლების მნიშვნელობის შეფასება.

ტრენინგის თანმიმდევრობა

ოთხი-ხუთი ადამიანისგან შემდგარი ჯგუფების დახმარებით შეისწავლეთ ფლამანდიელი მოსწავლეებისადმი მიძღვნილი კვლევა, განიხილეთ თანამშრომლების ქცევა, რომელიც შეიძლება დაემატოს სხვადასხვა ქვეყანაში შესაძლო კულტურულ დონესთან დაკავშირებულ ჩამონათვალს.

გამოიყენეთ ქაღალდის დაფა და შეადარეთ შემოთავაზებული პასუხები აუდიტის სავარჯიშოს.

გამოიყენეთ DVD „სწავლისათვის შესაფერისი ქცევა“ და დააკვირდით სწავლების სამ სისტემას, სადაც პედაგოგი ახორციელებს 11.1 სავარჯიშოში ჩამოთვლილი ქცევების მოდელირებას. შესთავაზეთ მონაწილეებს, გამოიყენონ იგი საკონტროლო სიის სახით.

DVD განსაკუთრებით მდიდარი რესურსია. მასში მოცემულია უამრავი შენიშვნა ფასილიტატორებისთვის, რომლებიც უნდა იცოდეთ იმისათვის, რომ შეძლოთ მაგალითის შემცველი ისეთი ნაწილების ამორჩევა, რომლებიც დააკმაყოფილებს ჯგუფის საჭიროებებს.

დაასრულეთ სამუშაო იმის განხილვით, თუ როგორ შეუძლიათ DVD-ის გამოყენება მონაწილეებს წინამდებარე სახელმძღვანელოს სხვა თავებთან (და მოცემულ თავთან) დაკავშირებული, ძალადობის აღმოფხვრისკენ მიმართული მთელი რიგი ქცევების ილუსტრირებისათვის.

სასარგებლო რჩევები ფასილიტატორს

რაც შეიძლება მეტი დრო დაიტოვეთ DVD-ისათვის. თავად დარწმუნდებით, რომ იგი მრავალ ისეთ საკითხს წამოჭრის, რომლის განხილვასაც მოინდომებენ მონაწილეები. ეს მშვენიერი მაგალითია იმისა, როცა ტრენინგისას გამოიყენება სწავლების ხუთსაფეხურიანი პროცესი, განსაკუთრებით კი — მოდელირება. მონაწილეებს უნდა შეეძლოთ DVD-ის გამოყენება საკუთარი შეხედულებების მიხედვით. იგი არ არის კულტურული თვალსაზრისით მიკერძოებული ან ფოკუსირებული მხოლოდ ინგლისურ ენაზე (ვიდეოკლიპები მაშინაც კარგად აღიქმება, როცა ხმა გამორთულია, ვინაიდან ჟესტიკულაცია და მიმიკა ასევე დიდ ინფორმაციას გადმოსცემს).

დამატებითი რესურსები

DVD დრაივერი კომპიუტერზე

დაფა

DVD „სწავლისათვის შესაფერისი ქცევა“ – ყველა მონაწილისთვის მომზადებულია თითო ასლი, რომლის წაღებაც ნებადართულია.

სავარჯიშო 11.1: მოსწავლეთა აზრი პერსონალის როლზე სკოლის უსაფრთხოების საქმეში

სკოლის კლიმატი და ძალადობრივი ქცევა

ფლამანდიელი მოსწავლეების ვეტენბურგის და ჰეიბრეგტსის (2001) მიერ ჩატარებულმა კვლევამ მთელი სერიოზულობით გამოავლინა კავშირი მოსწავლეების მხრიდან ანტისოციალურ ქცევასა და მოსწავლეების მასწავლებლებთან ურთიერთობის ხარისხს შორის. ავტორებმა აღმოაჩინეს, რომ მოსწავლეები მკაფიოდ განასხვავებენ „კარგ მასწავლებლებს, რომლებიც მათ მოსწონთ, პატივს სცემენ და სურთ მათთან თანამშრომლობა, და ცუდ მასწავლებლებს, რომლებსაც ხშირად ძვირად უჯდებათ ეს ყველაფერი“. ეს კი, მოსწავლეთა აზრით, დიდადაა დამოკიდებული:

- მასწავლებლის პიროვნებასა და სტილზე;
- სწავლების მათეულ მეთოდებზე;
- მათ დამოკიდებულებაზე შეთანხმებებისა და წესების მიმართ;
- მათ დამოკიდებულებაზე მოსწავლეების მიმართ.

მოსწავლეებმა გარკვევით გვიჩვენეს, რომ შესაძლებელია სკოლის თანამშრომლებისა და მათი ამხანაგების მხრიდან ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მნიშვნელოვნად შემცირება, სკოლის ყველა თანამშრომელი რომ:

- ავლენდეს რაიმე სხვა ინტერესს საკუთარი საგნის მიღმა;
- ცდილობდეს, არ იყოს მოსაბეზრებელი;
- ზოგჯერ ხუმრობდეს;
- უკავშირებდეს თემას სხვადასხვა შემთხვევას და/ან მოსწავლეების ინტერესებსა თუ კულტურას;
- ადგენდეს მკაფიო საზღვრებს და სტანდარტებს;
- იღებდეს თანმიმდევრულ ზომებს წესების დარღვევის შემთხვევაში;
- აძლევდეს მოსწავლეებს პოზიტიურ სიგნალს, როცა ისინი ავლენენ პროსოციალურ ქცევას;
- დასჯამდე გაფრთხილებას აძლევდეს მოსწავლეებს მათი ანტისოციალური ქცევისთვის;
- მოქმედებდეს თანმიმდევრულად და სამართლიანად ეპყრობოდეს მოსწავლეებს;
- აქტიურად უსმენდეს მოსწავლეებს და სერიოზულად განიხილავდეს მათ აზრს;
- იყოს „თანამედროვე“ (აქ ჩაცმულობაც კი იგულისხმება).

ნახავთ, რომ ძალიან კარგი იქნება ამ ჩამონათვალის განხილვა თქვენი სკოლის მოსწავ-ლეებთან. შეგიძლიათ შესთავაზოთ მათ საკუთარი ჩამონათვალის შედგენა იმავე საკითხ-თან დაკავშირებით.

გარდა სამოქმედო გეგმებისთვის ინფორმაციის მოწოდებისა, თქვენ მიერ შეგროვებულ ინფორმაციას დიდი როლის შესრულება შეუძლია მე-2 თავში განხილული აუდიტის და დახმარების სავარჯიშოების შემუშავებისთვისაც.

რა კითხვებს შეიტანდით აუდიტში იმისათვის, რომ განსაზღვროთ, რამდენად ეფექტიანია თქვენი სკოლის მასწავლებლების მუშაობა იმ მიმართულებით, რომ სკოლაში შეიქმნას ძალადობრივი ქცევის შემცირების კლიმატი? 1. 2. 3. 4. 5.

სავარჯიშო 11.2: კონფლიქტების მოგვარების სტრატეგია

მეცადინეობის შედეგები

- გამოსწორების მიდგომების გაცნობა. ეს ის მიდგომებია, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია:
  - კონფლიქტის მოგვარება და მიყენებული ზიანის გამოსწორება;
  - ემოციური თანაგრძნობის უნარების ჩამოყალიბება.
- კონფლიქტის მოგვარების როლის გათვითცნობიერება სკოლაში უსაფრთხო კლიმატის შექმნაში და ინციდენტებზე იმგვარად რეაგირებაში, რომ აღარ მოხდეს მომავალში მათი გამეორება.

ტრენინგის თანმიმდევრობა

გამოიყენეთ PowerPoint 11.6-11.9 სლაიდები პრინციპების მონაწილეებისთვის წარ-სადგენად (თითოეული სლაიდის ახლავს შენიშვნები) (10 წუთი).

გამოიყენეთ საილუსტრაციო მასალა 11.2. მონაწილეები კითხულობენ კონკრეტულ შემთხვევას და ინიშნავენ განსახილველ საკითხებს (10 წუთი).

ბოლოს ჯგუფური მსჯელობა კონკრეტული შემთხვევის და კონფლიქტის მოგვარებისადმი სხვა მიდგომების ირგვლივ წამოჭრილი საკითხების შესახებ, რომლის დროსაც მონაწილეები აფასებენ პრინციპებსა და პრაქტიკას (10 წუთი).

სასარგებლო რჩევები ფასილიტატორს

მეცადინეობის დაწყებამდე ფასილიტატორებმა ზედმიწევნით უნდა შეისწავლონ კონკრეტული შემთხვევა რესტიტუციულ სამართალთან დაკავშირებით (საილუსტრაციო მასალა 11.2ა).

აღნიშნეთ, რომ ეს არის ახალგაზრდების მართლმსაჯულების სისტემაში ჩამოყალიბე-ბული ოფიციალური პროცესი, თუმცა მრავალი სკოლა ამჟამად იყენებს ტერმინს „რეს-ტიტუციული მიდგომა“ ან „რესტიტუციის პრინციპები“.

„რესტიტუციული მიდგომა“, ჩვეულებრივ, არ გულისხმობს ოფიციალურ სხდომას, როგორც ეს მოცემულია კონკრეტულ შემთხვევაში. რესტიტუციული პრაქტიკის უმეტესი ნაწილი არაოფიციალურია, ანუ ეს ყოველდღიურ მუშაობაში ხდება. გასაღები ძევს „რესტიტუციულ კითხვებში“ (ნაჩვენებია სლაიდზე).

PowerPoint 11.10-11.13 სლაიდებს თანდართული აქვს შენიშვნები. კარგი იქნება მათი დარიგება საილუსტრაციო მასალის სახით.

დამატებითი რესურსები

PowerPoint 11.10-11.13-ის ასლების დარიგება ფასილიტატორებისთვის.

საილუსტრაციო მასალა 11.2: კონკრეტული შემთხვევა „რესტიტუციული სამართლის საქმესთან დაკავშირებული სხდომა“

რესტიტუციული სამართლის საქმესთან დაკავშირებული სხდომა

ეს საქმე და პროცესი რეალურია, თუმცა ყველა სახელი და გვარი შეცვლილია.

სცენარი

10 წლის ბიჭუნამ, კრეიგ ჯოუნზმა, თავის მასწავლებელს, ჯული მეთიუს, გაკვეთილის მსვლელობისას მოპარა საფულე. მან ფული ამოიღო, ხოლო საფულე ფანჯრიდან გადააგდო. საფულე, რომელიც არავითარ ფასეულობას არ წარმოადგენდა, ძვირფასი აღმოჩნდა ჯულისთვის, როგორც დედისგან მიღებული საჩუქარი. ჯული გაბრაზდა და შეწუხდა იმის გამო, რომ ეს მის გაკვეთილზე მოხდა. სხვა მოსწავლეები მივიდნენ უფროს მასწავლებელთან და უთხრეს, რომ ეს კრეიგის გაკეთებული იყო. უფროსმა მასწავლებელმა კრეიგთან საუბრისას გამოთქვა თავისი ეჭვი ბიჭუნას მიმართ. კრეიგმა, მართალია, თავიდან უარყო ეს, მაგრამ შემდეგ გამოტყდა ქურდობაში. მას არაფრად სჭირდებოდა ფული – უბრალოდ დაინახა შესაძლებლობა და აიღო საფულე. მას ადრეც ჰქონდა პრობლემები, მაგრამ ქურდობა პირველად მოხდა ცხოვრებაში.

არჩევანი

უფროსმა მასწავლებელმა, რესტიტუციულ სამართალში მომზადებულ მასწავლებელთან კონსულტაციის შემდეგ, გადაწყვიტა, რომ მასწავლებლისთვისაც და ბიჭუნასთვისაც ყველაზე კარგი იქნებოდა ამ შემთხვევის რესტიტუციული სამართლის დახმარებით გარჩევა და არა პოლიციის გამოძახება, კრეიგის დაპატიმრება და სისხლის სამართლის საქმის აღძვრა.

რესტიტუციული სამართლის სხდომა

სხდომამდე

გარი გრეჰემი, რესტიტუციულ სამართალში გამოცდილი ფასილიტატორი, დათანხმდა სხდომის წაყვანას. მან გარკვეული დრო გაატარა კრეიგთან და ქალბატონ ჯოუნზთან და ცალკე ჯულიასა და ნორმანთან. ეს იმისათვის, რომ მათ სცოდნოდათ, რა უნდა მომხდარიყო და რა შედეგი შეიძლებოდა გამოეღო სხდომას ყველასათვის.

მონაწილეები

რესტიტუციულ სამართალში გამოცდილი ფასილიტატორი: გარი გრეჰემი
კრეიგ ჯოუნზი
ქალბატონი ჯოუნზი (დედა)
ჯული მეთიუ (მასწავლებელი)
ნორმან პეტერსი (ჯულის კოლეგა)

როგორ მუშაობს სხდომა

გარი დგამს სკამებს წრიულად და უზრუნველყოფს, რომ არავინ შეაწყვეტინოს სხდომის მსვლელობა. იგი ესალმება თითოეულ შემომსვლელს და სვამს წინასწარ წრეში დალაგებულ სკამებზე, რათა შესაძლებელი გახდეს პირადი კონტაქტის დამყარება თითოეულ მათგანთან.

როცა ყველა ადგილზეა, გარი ესალმება სტუმრებს და აცნობს სხდომის მიზანს – ეს არის შეთანხმების მიღწევა და როგორ უნდა მივიდეთ ამ შეთანხმებამდე. გარი იწვევს

თითოეულ ადამიანს რიგრიგობით შემდეგ კითხვებზე პასუხის გასაცემად:

1. რა მოხდა?
2. შენ რა როლი შეასრულე ამ საქმეში?
3. როგორ მოგწონს მომხდარი ფაქტი?
4. ახლა რას ფიქრობ ინციდენტზე?
5. რა გჭირდება იმისათვის, რომ სიტუაცია დარეგულირდეს?
6. რა შეიძლება გაკეთდეს სიტუაციის დასარეგულირებლად?

თუ რომელიმე შეაწყვეტინებს სხვას ლაპარაკს, მას წყნარად შეახსენებენ სხდომის დაწყებამდე მიღებულ ინსტრუქტაჟს – უნდა მოვუსმინოთ სხვებს, ვიყოთ გულწრფელნი, არ შევაწყვეტინოთ სხვას სიტყვა და რომ ყველას ექნება იმის საშუალება, რომ გააკეთოს რაიმე განცხადება ან დასვას კითხვა. გარი მოხერხებულად სვამს კითხვებს, თუ განცხადება არ არის მკაფიოდ ფორმულირებული.

ფასილიტატორს ასევე უნდა ჰქონდეს უნარი, ყურადღებით უსმინოს ნათქვამს და დააკვირდეს ჟესტიკულაციასა და მიმიკას, შეამოწმოს სხვების მიერ გამოთქმული განცხადებები და მოძებნოს გამოსავალი იმ ადამიანებისთვის, რომლებიც უშუალოდ დაზარალდნენ ინციდენტისას. მის მოვალეობას არ წარმოადგენს პრობლემის მოგვარება – პრობლემა „ეკუთვნის“ უშუალოდ დაზარალებულებს. გარი ასევე ერიდება კითხვას „რატომ?“ ნებისმიერ საფეხურზე.

შედეგები

კრეიგი გამოთქვამს ბოდიშის მოხდის სურვილს ჯულის წინაშე, რადგან იგი ხვდება, როგორ დასწყდებოდა გული, თავად რომ დაეკარგა პირადი ნივთი. ბიჭუნა ისე იხდის ბოდიშს, რომ მასწავლებელი გრძნობს, რომ უნდა მიიღოს იგი. დაკითხვისას კრეიგმა გამოთქვა მდგომარეობის რაიმენაირად გამოსწორების სურვილი. ჯული სთავაზობს მას, დარჩეს გაკვეთილების შემდეგ და დაეხმაროს კედლის გამოფენის მოწყობაში, რომელიც დაკავშირებულია მოქალაქეობის საკითხზე დისკუსიასთან იმ კანონიდან გამომდინარე, რომლის მიღებასაც სახელმწიფო ორ კვირაში აპირებს. ბიჭი თანხმდება. გარი ასრულებს სხდომას, კიდევ ერთხელ აცნობებს შეკრებილთ, რა მოხდა და რა მოხდება მომავალში. იგი მადლობას უხდის სტუმრებს და ისინი მიდიან. გარი საგანგებოდ ეკითხება ჯულის, კრეიგსა და ქალბატონ ჯოუნზს, კმაყოფილები არიან თუ არა შედეგით და მკაფიოდ ათვითცნობიერებენ თუ არა შემთხვევის სერიოზულობას.

შეფასება

- პროცესი დასრულდა ინციდენტიდან სამ დღეში. სისხლის სამართლის საქმე არა ერთი კვირა გაგრძელდებოდა.
- კრეიგმა შეასრულა დავალება და გააგრძელა ჯულისთან დამყარებული შეთანხმების დაცვა.
- ჯულიმ მიიღო ბიჭუნას ბოდიში და დარწმუნებული იყო, რომ ეს სრულიად კანონზომიერი მოქმედება გახლდათ.
- ქალბატონი ჯოუნზი ბედნიერი იყო, რომ საქმეს არ მიეცა ოფიციალური მსვლელობა.
- სხვა მოსწავლეებმა იცოდნენ ინციდენტის და შედეგების შესახებ (რადგან კრეიგმა თავად უამბო მათ ამის შესახებ).

დაფიქრდით შემდეგზე:

- როგორ იგრძნობდით თავს, ასეთ შემთხვევაში თქვენ რომ ყოფილიყავით:
  - ჯული
  - უფროსი მასწავლებელი (რომელიც არ იღებდა მონაწილეობას რესტიტუციული სამართლის სხდომაში)
  - კრეიგი
- როგორ გგონიათ, ადგილი რომ ჰქონოდა სასკოლო დისციპლინის ჩვეულებრივ პროცედურას, რა იქნებოდა შედეგი და რა იქნებოდა განსხვავებული ახლანდელ შედეგებთან მის შედარებისას.

სავარჯიშო 11.3: „სახიფათო ადგილების“ გამოსწორება

მეცადინეობის შედეგები

- პროცესის მოდელირება მოსწავლეებისთვის დახმარების გასაწევად იმ ადგილების დადგენაში, რომლებსაც ისინი უსაფრთხოდ ან სახიფათოდ თვლიან;
- პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული აზროვნების გამოყენება უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით.

ტრენინგის თანმიმდევრობა

მოკლედ განმარტეთ, რომ მოსწავლეთა ჩართვა სახიფათო ადგილების დადგენაში მნიშვნელოვანია, თუ სკოლას სურს პრობლემის მოგვარების გზის მოძებნა და იმის განხილვა, თუ როგორ შეიძლება ამის მიღწევა.

გამოიყენეთ საილუსტრაციო მასალა 11.3, სთხოვეთ მონაწილეებს, აღნიშნონ „ევროპული სკოლის“ რუკაზე ის ადგილები, სადაც მოსწავლეები შეიძლება არ გრძნობდნენ თავს უსაფრთხოდ.

როგორც ჯგუფს, სთხოვეთ მონაწილეებს, აღნიშნონ ჯგუფის გეგმაში პირველი ხუთი ადგილი, სადაც მოსწავლეები შეიძლება არ გრძნობდნენ თავს უსაფრთხოდ.

გამოიყენეთ PowerPoint 11.4 სლაიდი და ახსენით პრობლემის მოგვარების ოთხნაირი გზის არსებობა:

- ფიზიკური უსაფრთხოების ზომები – მაგალითად, ღობეების აგება;
- მოზრდილთა ქცევის შეცვლა – მაგალითად, თანამშრომელთა პატრულირება;
- მოსწავლეთა ქცევის შეცვლა – მაგალითად, ძლიერი ემოციების (შიშის, ბრაზის) მართვა ან ტრენინგი საკუთარი თავის რწმენის ჩამოსაყალიბებლად;
- მუშაობა ადგილობრივ ორგანიზაციებთან – მაგალითად, პოლიციასთან.

დახაზეთ ქაღალდის დაფაზე ცხრილი, როგორც ეს ქვემოთაა მოცემული:

ადგილი, სადაც შეინიშნება საფრთხე და მისი მიზეზი	**პრობლემის მოგვარება**	**პრობლემის მოგვარების გზის ტიპი (ოთხი კატეგორია – ფიზიკური, მოზრდილები, მოსწავლეები, საზოგადოება)**

ახლა აიღეთ თითოეული სათაურიდან პრობლემის მოგვარების პირველი ხუთი გზა და განიხილეთ, მათგან რომელი ტიპი მოუხდებოდა პრობლემას, შემდეგ დაწერეთ ეს დაფაზე.

ბოლოს განიხილეთ, როგორ შეძლებდნენ ამ ტექნიკის გამოყენებას სკოლის სინამდვილეში მოსწავლეები, თანამშრომლები და სხვები.

სასარგებლო რჩევები ფასილიტატორს

შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ მონაწილეები კონცენტრირებული არიან ფიზიკურ უსაფრთხოებაზე მაშინ, როცა საკითხთა უმრავლესობა შეიძლება მოგვარდეს სხვა სტრატეგიებით. მიუთითეთ ეს.

უზრუნველყავით, რომ მსჯელობა ორიენტირებული იყოს პრობლემების მოგვარებაზე და არა თავად პრობლემებზე, მაგალითად, რესურსებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

გაანაწილეთ დრო განხილვისთვის ისე, რომ საკმარისი დრო დაეთმოს მსჯელობას იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება მოცემული ტექნიკის რეალურ სკოლაში გამოყენება.

დამატებითი რესურსები

საილუსტრაციო მასალა „ევროპული სკოლის“ გეგმით თითოეული მონაწილისთვის და კიდევ ერთი ჯგუფური მუშაობისთვის.

ქაღალდის დაფა, ზედ დატანილი ზემოთ მოცემული ცხრილით.

სავარჯიშო 11.3: „სახიფათო ადგილების“ გამოსწორება

სკოლაში შეიძლება მოიპოვებოდეს მონაცემები ძალადობის შემთხვევების, მათ შორის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის და სხეულისთვის ზიანის მიყენების შემთხვევების შესახებ. ეს მონაცემები შეიძლება გაანალიზდეს, რათა დადგინდეს ის ადგილები და დრო, სადაც და როდესაც პრობლემები იჩენს თავს.

თუ ამგვარი ინფორმაცია ჯერ არ არსებობს, სახელმძღვანელოს მე-2 თავში მოცემულია შემთხვევის შესახებ ანგარიშის ფორმის ნიმუში და ახსნილია, თუ როგორ უნდა შეგროვდეს და გაანალიზდეს ამგვარი მონაცემები აუდიტის დროს.

ამასთან უნდა გახსოვდეთ, რომ შემთხვევის შესახებ ანგარიშის ფორმა შეიძლება ზუსტად არ ასახავდეს მოსწავლის მიერ პირადი უსაფრთხოების აღქმას.

შეიძლება მოისურვოთ მოკლე გამოკვლევის ჩატარება, რათა შეიტანოთ უფრო გვიანდელი, უფრო ფართო აუდიტის შედეგები – გამოკითხეთ მოსწავლეებს, რომელი დრო და ადგილი მიაჩნიათ ყველაზე სახიფათოდ.

სხვადასხვა სახიფათო ადგილი პრობლემის მოგვარების სხვადასხვანაირ გზას საჭიროებს, რაც დამოკიდებულია იმის მიზეზზე, თუ რატომ არის ეს ადგილები სახიფათო. შეგიძლიათ წინამდებარე თავში და მე-10 მეცადინეობაში მოცემული ზოგიერთი იდეის გამოყენება გამოსწორების გზების გამოსაძებნად მოსწავლეების დახმარებით.

შეამოწმეთ ომნივილის „ევროპული სკოლის“ გეგმები და განიხილეთ, სკოლის რომელი ადგილებია ყველაზე სახიფათო მოსწავლეებისთვის და რატომ. რისი გამოსწორება შეგვიძლია?

ადგილი, სადაც შეინიშნება საფრთხე და მისი მიზეზი	გაუმჯობესება

საილუსტრაციო მასალა 11.3: „ევროპული სკოლა“, ომნივილი



დამატებითი სავარჯიშო 11.4: მოსწავლეთა დახმარება ბრაზის მართვაში

სკოლებმა შეიძლება ისურვონ ქვემოთ მოცემული მასალის გამოყენება, რაც დაეხმარება მათ მოსწავლის ბრაზის მართვაში ტრენინგის სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარების ან სხვა მსგავს პროგრამაში ჩართვის გზების გამოძებნაში.

ბრაზის მართვის შესახებ მრავალი ნაშრომია გამოქვეყნებული და ეს თემა კონფლიქტების მოგვარებასთან დაკავშირებულ პროგრამათა დიდი ნაწილის მთავარი კომპონენტია. სკოლებმა, რომლებსაც სურთ ბრაზის მართვის პროგრამის შემუშავება, ეს მაგალითი სასარგებლო საწყის წერტილად შეიძლება ჩათვალონ.

შეიძლება გადავწყვიტოთ მეცადინეობის „დრო წრეში“ მოდელირება ამ კითხვების გამოყენებით. შემდეგ შეიძლება მოისურვოთ ჩანაწერების გაკეთება გამოცდილების შესახებ თითოეული კითხვის პასუხთან დაკავშირებით.

ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი ტიპური კითხვა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს განხილვაში მეცადინეობაზე „დრო წრეში“ ან ჩამოყალიბდეს უფრო ფორმალურ სავარჯიშოებად:

როგორია ბრაზი? როცა ადამიანი ბრაზდება, იცვლება მისი ფიზიოლოგიური ნიშნები - ჩქარდება გულისცემა, იზრდება სუნთქვის და სისხლის ცირკულაციის სიხშირე, კუნთები იძაბება, კუჭშიც უცნაური გრძნობა ჩნდება და ა.შ. ახალგაზრდებმა ეს ფიზიოლოგიური ცვლილებები შეიძლება ამოიცნონ, როგორც მათი სხეულის „გამაფრთხილებელი ნიშნები“ – თუ გრძნობთ ამდაგვარს და თან რაღაც გაღიზიანებთ, ესე იგი, დადგა დრო, სცადოთ საკუთარი თავის დამშვიდება! როგორ გამოიყენებთ ამ კითხვას მეცადინეობაზე „დრო წრეში“?
როგორ ვიქცევით, როდესაც გაბრაზებული ვართ? იმსჯელეთ იმ ფაქტზე, რომ ადამიანები სხვადასხვაგვარად იქცევიან გაბრაზებისას – ზოგიერთმა შეიძლება იყვიროს, ზოგმა იტიროს (გაბრაზების და დაუკმაყოფილებლობის და არა მწუხარების ცრემლები), ხოლო ზოგიერთი შეიძლება სრულიად გაჩუმდეს. მონაწილეები უნდა დაფიქრდნენ, როგორ იქცევიან ისინი ასეთ სიტუაციაში. თქვენ თვითონ რას აკეთებთ ასეთ დროს? როგორ გამოიყენებთ ამ კითხვას მეცადინეობაზე „დრო წრეში“?

რა გვაბრაზებს? იმსჯელეთ იმ ფაქტზე, რომ ადამიანებს სხვადასხვა დამოკიდებულება აქვთ სხვადასხვა რაღაცის მიმართ და სხვადასხვა ადამიანებს სხვადასხვა რამ აბრაზებს. მოსწავლეები უნდა დაფიქრდნენ, რა აბრაზებს მათ. შეიძლება ამასთან დაკავშირებით ჩამონათვალიც კი შეადგინონ. თუ გაბრაზებას პრობლემებამდე მიჰყავხართ, შეგიძლიათ თუ არა ამ რაღაცების თავიდან აცილება ან მათდამი სხვაგვარად მიდგომა?

როგორ გამოიყენებთ ამ კითხვას მეცადინეობაზე „დრო წრეში“?

რა გზებით შეგვიძლია გავუმკლავდეთ გაბრაზების გრძნობას? მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, რომ ამის სხვადასხვა გზა არსებობს. ზოგიერთმა ამას მარტივად შეიძლება მოუაროს გულში ათამდე დათვლით, რაც ეხმარება ყურადღების სხვა რამეზე გადატანას და იძლევა დამშვიდების ან საკუთარი თავის ხელში აყვანის საშუალებას. ზოგიერთი გაბრაზებისას იწყებს სხვა რაღაცებზე ფიქრს – რაიმე სასიამოვნოზე, მშვიდზე ან იმაზე, რისი კეთებაც უყვარს – ამას აკეთებენ იმ მიზნით, რომ აღარ იფიქრონ გაბრაზების მიზეზზე. ზოგიერთი ადამიანი ამ დროს განზრახ იწყებს საუბარს ან უერთდება სხვა მოსაუბრეებს, ანუ იწყებს ფიქრს მისი სიბრაზის გამომწვევი საკითხისგან განსხვავებულ რაიმეზე. ზოგიერთებს ურჩევნიათ, ისაუბრონ თავისი გაბრაზების მიზეზზე სხვებთან, ისეთ ადამიანებთან, რომლებსაც ისინი ენდობიან, რათა თავისუფლად გამოხატონ თავისი გრძნობა ისე, რომ გული არ ატკინონ სხვას. დაბოლოს, ზოგიერთი გაბრაზების მიზეზის დავიწყებას ცდილობს სპორტის ან უბრალო ვარჯიშის დახმარებით. თუ მოსწავლეებს აქვთ საკუთარი ბრაზის კონტროლის პრობლემა, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ ამას საფრთხეში ჩაუგდია ისინი წარსულში, მათ უნდა შესთავაზოთ ბრაზთან გამკლავების სხვადასხვა გზა; თან არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ სხვადასხვა შემთხვევაში შეიძლება სხვადასხვა მეთოდი აღმოჩნდეს სასარგებლო.

როგორ გამოიყენებთ ამ კითხვას მეცადინეობაზე „დრო წრეში“?

დამატებითი სავარჯიშო 11.5: საკუთარ თავში რწმენის გამომუშავების ხელშეწყობა

ისევე, როგორც 11.4 სავარჯიშოს შემთხვევაში, სკოლას შეიძლება სურდეს განიხილოს, თუ როგორ შეუწყოს ხელი მოსწავლეებში (და თანამშრომლებში) საკუთარი თავის რწმენის გამომუშავებას სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარების პროგრამის ფარგლებში. ქვემოთ განხილული მეთოდის ჩართვა ნებისმიერ პროგრამაში შეიძლება.

თქვენ შემოგთავაზებენ თითოეული მეთოდის ახსნას და ჩანაწერების გაკეთებას იმის თაობაზე, თუ როგორ შეძლებთ ამის მოდელირებას მეგობრებთან ან თქვენს სკოლაში იმისათვის, რომ დაეხმაროთ მათ მოსწავლეებისთვის რჩევების მიცემაში.

ქვემოთ მოცემულია საკუთარ თავში რწმენის გამომუშავების ტაქტიკა, რომელიც შეიძლება ვასწავლოთ სკოლაში:

დადექით სწორად, მიიღეთ თავდაჯერებული სახე, ილაპარაკეთ გარკვევით და მტკიცედ, უყურეთ აგრესიულ ადამიანს პირდაპირ თვალებში (ნუ ახამხამებთ თვალებს!) და მოსთხოვეთ, გაჩერდეს.
უთხარით აგრესიულ ადამიანს, რომ თქვენ არ გაინტერესებთ, რას ფიქრობს ის თქვენზე, და ის, რომ იგი რაღაცა სახელებით მოგმართავთ, სულაც არ განერვიულებთ.
უთხარით აგრესორს, რომ ის, რაც, მისი აზრით, თქვენ ნერვებს გიშლით, სულაც არ გაწუხებთ, მაგალითად: „და მერე რა, თუ დაბალი ვარ? ეს სულაც არ მაწუხებს“; ან „და მერე რა, თუ სათვალეს ვატარებ? დარწმუნებული ვარ, ასეც მშვენივრად გამოვიყურები.“
გახსოვდეთ, რომ თქვენს წინ დგას აგრესორი, ადამიანი, რომელსაც თავად აქვს რაღაც პრობლემა. მტკიცე და მშვიდი ტონით ჰკითხეთ; „შენ თვითონ რა პრობლემა გაქვს?“

კარგი იქნება, თუ გაივარჯიშებთ ამ ხერხებში მათ გამოყენებამდე. მოსწავლეებს ამის გაკეთება შეუძლიათ ჩუმად, თავის წარმოდგენაში ან მეგობრებთან. ყველაზე კარგი იქნება, თუ გაივარჯიშებენ ოჯახის რომელიმე წევრთან – მშობლებს ასეთ სავარჯიშოში „მწვრთნელების“ როლის შესრულება შეუძლიათ. მოსწავლეებმა უნდა იფიქრონ, რა არის ყველაზე უარესი, რისი თქმაც შეუძლია აგრესორს – ის, რისი გაგონებისაც ყველაზე მეტად ეშინიათ, და ნახონ, თუ შეუძლიათ დამაჯერებელი პასუხის მოფიქრება (ან თუ შეუძლია ვინმეს მათი დახმარება ამაში).

შესთავაზეთ ორი მაგალითი იმისა, თუ რისი თქმა შეუძლიათ მოსწავლეებს და რა დამაჯერებელ პასუხებს ურჩევდით.

მეცადინეობის შემდგომი საავარჯიშო

- ამ მეცადინეობაში მოცემული მასალების გამოყენებით ჩაატარეთ სკოლის უსაფრთხოების გამოკვლევა; ან
- დაგეგმეთ და განახორციელეთ კონფლიქტის მოგვარების, ბრაზის მართვის ტრენინგი ან პროგრამები ანდა საკუთარ თავში რწმენის გამომუშავების ტრენინგი მოსწავლეების უსაფრთხოებასთან დაკაშირებული საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით.

მე-12 მეცადინეობა

სკოლის თანამშრომლების დახმარება – ძალადობის აღმოფხვრაში / ქცევის გაუმჯობესებაში თანამშრომელთა ტრენინგის ჩამოყალიბება

(ეყრდნობა სახელმძღვანელოს მე-7 თავს)

ამ თავში შედის 12 სავარჯიშო. თითოეულს დათმობილი აქვს 30 წუთი და ახლავს შესავალი და შემდგომი სამუშაო. დრო იქნება მხოლოდ სამი სავარჯიშოს შესასრულებლად.

ზოგადი ნაწილი

ვინაიდან ეს მეცადინეობა ეხება სკოლის თანამშრომელთა ტრენინგს, იგი შედგენილია ისე, რომ გვთავაზობს მთელ რიგ სავარჯიშოებს, რომლებიც შეიძლება შეარჩიოს სკოლამ და ჩართოს თავის ტრენინგების პროგრამაში.

მეცადინეობა ასევე ავითარებს წინა მეცადინეობების შინაარსს და ავსებს ყველა იმ დანაკლისს, რომელიც შეიძლება საინტერესო იყოს მონაწილეებისთვის. აქედან გამომდინარე, ეს საუკეთესო შესაძლებლობაა, შევთავაზოთ მონაწილეებს არჩევანის საშუალება მათთვის განსაკუთრებით საინტერესო სფეროების განვითარების თვალსაზრისით და განვიხილოთ, თუ როგორ შეიძლება ცვლილების განხორციელება.

მეცადინეობაში ასევე მოცემულია იდეალური შესაძლებლობა მონაწილეებისთვის – პრაქტიკულად შეისწავლონ სწავლების ხუთსაფეხურიანი პროცესი.

შექმენით სამკაციანი ჯგუფები და გააცანით მეცადინეობის შინაარსი მთელ ჯგუფს 12 სავარჯიშოს სწრაფად გადახედვით.

შესთავაზეთ თითოეულ ჯგუფს, შეარჩიოს სამი სავარჯიშო ერთად შესწავლის მიზნით. თითოეული მონაწილე უნდა ხელმძღვანელობდეს ერთ სავარჯიშოს, უძღვებოდეს განხილვას და აკონტროლებდეს შედეგებს.

შედეგს უნდა წარმოადგენდეს შეთანხმებული სამოქმედო გეგმა იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება სავარჯიშოს დანერგვა მათ სკოლებში. მე-7 საილუსტრაციო მასალა გვთავაზობს აღნიშნული სამოქმედო გეგმების ფორმატს, რომელშიც გათვალისწინებულია სწავლების ხუთსაფეხურიანი პროცესი.

თვალსაჩინოებისთვის სამოქმედო გეგმები შეიძლება დატანილ იქნეს ქაღალდის დაფაზე ან ელექტრონულად ჩაიწეროს ჩვენების მიზნით. ჯგუფის ზომიდან გამომდინარე, რეკომენდებულია თითო ჯგუფისთვის ერთი დაფის გამოყენება.

ტრენინგის თანმიმდევრობა	ხანგრძლივობა
სავარჯიშოების გაცნობა და ჯგუფისთვის სამუშაო პირობების დადგენა	**10 წუთი**
სამი ნახევარსაათიანი სავარჯიშო სამი კაცისგან შემდგარ ჯგუფებში	**1 საათი და 30 წუთი**
პლენარული მეცადინეობა განხორციელებასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმების მისაღებად და შედეგების აღსანიშნავად	**20 წუთი**

სასარგებლო რჩევები ფასილიტატორს

თუ ეს საბოლოო მეცადინეობაა, გამოიყენეთ სამოქმედო გეგმის პრეზენტაცია პროგრამის განმავლობაში მიღწეული შედეგების აღსანიშნავად.

ამისათვის შეიძლება საჭირო გახდეს დროის განაწილება, რათა სამოქმედო გეგმები შევუსაბამოთ სახელმძღვანელოს სხვა სფეროებს, ინტერესებისა და საჭიროების მიხედვით.

დამატებითი რესურსები

მე-12 საილუსტრაციო მასალა.

სავარჯიშო 12.1: სკოლაში არსებული კულტურა

განიხილეთ შემდეგი განცხადება:

> „ისტორიულად პედაგოგიკა ყოველთვის ეყრდნობოდა დისციპლინას და დასჯას. სწავლების და ინდივიდუალური ძალისხმევის კონკურენტული სისტემები უმნიშვნელოვანესი იყო აკადემიური წარმატების შეფასებისას. ყოველივე ეს მრავალ ჩვენგანს აქვს გამოცდილი ამა თუ იმ დონეზე და შეგვიძლია, სირთულის წინაშე აღმოჩენისას, კვლავ დავუბრუნდეთ ამ მიდგომებს. მრავალი სკოლა მუშაობს საეჭვო რწმენით, რომ „მკაცრი მოპყრობა“, ძალადობის ან დისციპლინის დარღვევის საპასუხოდ, აგებინებს მოსწავლეს, რომ მის ამგვარ საქციელს არავინ აიტანს, ხოლო დასჯა ასწავლის მას პროსოციალური ქცევის გზებს. სამწუხაროდ, ზედმეტად გადასვლა დასჯაზე და ბავშვის გარიყვა, როგორც აღმოჩნდა, ქმნის უარყოფით, საწინააღმდეგოდ განწყობილ სასკოლო გარემოს და წარმოქმნის აღშფოთების და რევანშის ციკლს. კვლევა გვიჩვენებს, რომ ჩარევაზე დაფუძნებულ დასჯას, ჩვეულებრივ, მივყავართ პრობლემური ქცევების რაოდენობის ზრდისკენ“.
>
> (Donnellan et al., 1988; Mayer, Sulzer-Azaroff, 1990)

განათლების მუშაკები და მშობლები, უმეტეს შემთხვევაში, ეთანხმებიან ჩვენს სკოლებსა და ოჯახებში არაძალადობის ფილოსოფიას. ჩვენ ასევე შეგვიძლია დავეთანხმოთ იმ მოსაზრებას, რომ დადებითი, ორგანიზებული, ღირსეული, უსაფრთხო სკოლები ზრდის სწავლებისა და სწავლის დონეს. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ჩვენი ურთიერთობის და პრაქტიკის შემოწმება გვიჩვენებს სიტყვიერი და ფიზიკური ძალადობის დამამტკიცებელ შემთხვევებს. აუცილებელია კულტურის შეცვლა.

ყველასათვის უსაფრთხოა თუ არა თქვენი სკოლა? რა არის უსაფრთხო? რა არ არის უსაფრთხო?
როგორ იყენებთ: • უფროსებს მისაბაძი მაგალითის სახით; • შესაძლებლობებს მოსწავლეებისთვის, ისწავლონ და შეითვისონ არაძალადობრივი ქცევა; • არასასურველ ქცევაზე რეაგირების მეთოდებს – ძირითადად დასჯას მიმართავთ ხოლმე თუ ცდილობთ მოსწავლისათვის ახალი ქცევის სწავლებას?

სავარჯიშო 12.2: მასწავლებლები მოსწავლეების როლში

განიხილეთ შემდეგი განცხადება:

> „მასწავლებლები, პროფესიული განვითარების მხრივ, თანამედროვე პერიოდის ყველაზე საინტერესო პერიოდში იმყოფებიან. მასწავლებლის როლი იცვლება! ვინაიდან თანამედროვე ტექნოლოგიები დღეს სულ უფრო მეტად ითავსებენ ზოგიერთ მათ ყველაზე ტრადიციულ – მაგალითად, „საგნის წამყვანის“ და „ადმინისტრატორის“ - როლს, მასწავლებლებს რჩებათ ფუნქცია, ასწავლონ ბავშვებს კრიტიკული აზროვნება და თანაგრძნობის გამომჟღავნება. კრიტიკული აზროვნება ნამდვლად საჭიროა მომავალი მოქალაქის და მშრომელის ჩამოყალიბებისთვის, ხოლო ისეთი მასწავლებლის არსებობა, რომელიც კარგად იცნობს თავის მოსწავლეებს და ესმის მათი და რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვების განათლებას, ხელს შეუწყობს მთლიანად პიროვნების განვითარებას.“
>
> (Hromek, 2004)

მართალია, ინფორმაცია მატულობს და იცვლება და, შესაბამისად, იცვლება სწავლების პრაქტიკაც, უცვლელი რჩება ერთი როლი – აღმზრდელისა. მასწავლებლებს, ჩვეულებრივ, აქვთ თანაგრძნობის, პირადი გაგების გრძნობა მოსწავლეების მიმართ, რაც ეხმარება მათ ბავშვების ხელმძღვანელობაში, საგნის არჩევაში, სწავლის უნარ-ჩვევების შეძენაში, მოტივირებაში, სოციალურ და ემოციურ განვითარებაში. მართალია, ეს მასწავლებლებისთვის ტრადიციული როლია, აუცილებელია ურთიერთობის სიძნელეების გადალახვის ახალი გზების ძიება.

თქვენი სკოლის თანამშრომლებს რა ესაჭიროებათ თავიანთი უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად?

კონფლიქტების მოგვარება
მედიატორობა
ემოციური თვალსაზრისით გავარჯიშება
პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული მიდგომა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მიმართ
მოსწავლის ფსიქოლოგია – მოტივირების, სწავლის, განვითარების ეტაპები
ემოციური განსწავლულობა
თანამშრომლობა ორგანიზაციებს შორის

სავარჯიშო 12.3: უფროსების ენის გამოყენება

ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენს სიტყვებსა და ჟესტებს, რასაც უყურებენ ჩვენი მოსწავლეები. ყურადღებით შერჩეული სიტყვები მნიშვნელოვანია ისეთი გრძნობის გამოწვევისთვის, რომელიც უბიძგებს მოსწავლეებს პროსოციალური არჩევანისკენ. ჩვენი მეტყველება უნდა გამოხატავდეს ერთმანეთის პატივისცემას, უფლებებს, პასუხისმგებლობებს და არჩევანს. სიტყვების დახმარებით ჩვენ ვქმნით ხელმშემწყობ გარემოს, რომელიც უშვებს, რომ მოსწავლეებს შეუძლიათ პრობლემის მოგვარება ძალადობის გარეშე და თავისივე შეცდომების გამოსწორება. განიხილეთ მეტყველების შემდეგი მაგალითები და პრინციპები, რომლებსაც ისინი გამოხატავენ:

პროსოციალური ენა	ანტისოციალური ენა
არჩევანი და პასუხისმგებლობა: „როგორ მოხდა, რომ მისი ცემა გადაწყვიტე?“ ეს კითხვა მიგვანიშნებს არჩევანის და პასუხისმგებლობის ელემენტის არსებობაზე და იწვევს ადამიანს ურთიერთობის დასამყარებლად.	**დადანაშაულება:** „რატომ სცემე?” ეს კითხვა შეიცავს ბრალდების ელემენტს, რაც ბავშვებს ძაბავს და ხელს უშლის ურთიერთობას.
მხარდამჭერი მიდგომა: „შენ მოგიხდება ცალკე ოთახში გასვლა და ამ პრობლემის მოგვარების გზის გამონახვა.“ ეს გულისხმობს, რომ ბავშვს შეუძლია პრობლემის მოგვარება და დახმარების მიღებაც, თუ ეს საჭირო გახდება.	**დასჯისმიერი მიდგომა:** „დარჩები გაკვეთილების შემდეგ.“ ეს ნიშნავს დასჯას და თუ ამ მეთოდს ზომაზე მეტად გამოვიყენებთ, შეიძლება ბავშვში სამაგიეროს გადახდის სურვილი გამოვიწვიოთ.
თანაგრძნობა: „როგორ ფიქრობ, რა ხასიათზე დადგა ამ შენი სიტყვების მერე?” ასეთი მიმართვა მოსწავლეში თანაგრძნობას იწვევს მეორე ბავშვის მიმართ და გზას უხსნის ურთიერთობას.	**ემოციური ძალადობა:** „შეხედე, რა ქენი, შენ ხომ ის ატირე!“ ამ გამოთქმის დადანაშაულებისმაგვარმა შინაარსმა შეიძლება დამნაშავედ აგრძნობინოს ბავშვს თავი ან გაუჩინოს თავდაცვის სურვილი, რასაც გაბრაზებამდე და საკუთარ თავში ჩაკეტვამდე მივყავართ.

პრობლემის მოგვარება და შეცდომის გამოსწორება: „რისი გაკეთება შეგიძლია ამ პრობლემის მოსაგვარებლად?“ ამ სიტყვებში ჩანს რწმენა ბავშვის უნარისადმი, მოაგვაროს პრობლემა და გამოასწოროს საკუთარი მოქმედების შედეგები.	**სარკაზმი:** „გერჩივნა, რაიმე კარგი მოგეფიქრებინა ამის ასახსნელად.“ ამ წინადადებაში გამოსჭვივის სარკაზმის ელემენტი იმაზე მინიშნებით, რომ ბავშვს არ შეუძლია პრობლემის მოგვარება.

როგორ გავლენას იქონიებს უფროსების პროსოციალური ენა იმ მოსწავლეებზე, რომლებიც კარგი ქცევით ხასიათდებიან?
როგორ შეიძლება სკოლის თანამშრომლების მომზადება ისე, რომ თავიდან ავიცილოთ დადანაშაულების შემცველი ენა და სარკაზმის ტონი?
ძალადობა სხვადასხვაგვარად ვლინდება, ხოლო ენა შეიძლება სწორედ ის იარაღი აღმოჩნდეს, რომელიც ღრმად ჭრის და ღრმა კვალს ტოვებს მოსწავლეში. გაიხსენეთ და ჩაიწერეთ რაიმე ისეთი თქვენი ბავშვობიდან, როცა თქვენი დანაშაული კიდევ უფრო მძიმედ გამოიყურებოდა უფროსის სიტყვების შემდეგ.

მოჩხუბარი ბიჭები

სიტყვებს პრობლემების მოგვარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ხოლო ჟესტიკულაციასა და მიმიკასთან მათმა კომბინირებამ შეიძლება მოსწავლეებისთვის ემოციური კონტროლის სახე მიიღოს. მიაქციეთ ყურადღება, რისი მოდელირება ხდება სიტყვებითა და მოქმედებებით შემდეგ ორ სიტუაციაში:

სიტუაცია 1

მასწავლებელი „ა“ ხედავს ორ მოჩხუბარ ბიჭს სპორტულ მოედანზე. შემდეგ სიტუაცია ასე ვითარდება:

მასწავლებელი „ა“ (ყვირის): „მოდით აქ ახლავე, ორივე! ამას რას აკეთებთ?“

1-ლი ბიჭი (აწითლებული სახით და აქოშინებული): „მან პირველმა დაიწყო!“

მე-2 ბიჭი (აწითლებული, ტირის და ცდილობს, კიდევ მიარტყას 1-ლ ბიჭს)

მასწავლებელი „ა“: „გეყოფათ!“ (უყვირის ბიჭებს) „ახლავე ადით დირექტორის კაბინეტში!“

ზედაპირულად — მასწავლებელმა ჩაახშო ძალადობა.

ამ სიტუაციიდან მოსწავლეებმა ალბათ მიიღეს გარკვეული გაკვეთილები:

- სხვებისთვის ყვირილი დასაშვებია, განსაკუთრებით, თუ შენ მართალი ხარ;
- უხეში ენის გამოყენება დასაშვებია, განსკუთრებით, თუ შენ მართალი ხარ;
- ინფორმაციის შეგროვება და მოსმენა არც ისე მნიშვნელოვანია;
- ბავშვებს უფროსები იმისთვის სჭირდებათ, რომ მართონ;
- სიტყვიერი ძალადობა მშვენიერი გზაა პრობლემის მოგვარებისთვის.

ახლა ყურადღება მიაქციეთ ალტერნატიულ დიალოგს იმავე სიტუაციაში:

სიტუაცია 2

მასწავლებელი „ბ“ ხედავს ორ მოჩხუბარ ბიჭს სპორტულ მოედანზე. შემდეგ სიტუაცია ასე ვითარდება:

მასწავლებელი „ბ“ (მიდის ბიჭებთან): „გაჩერდით, დამშვიდდით, რა ხდება?“

1-ლი ბიჭი (აწითლებული სახით და აქოშინებული): „მან პირველმა დაიწყო!”

მე-2 ბიჭი (აწითლებული, ტირის და ცდილობს, კიდევ მიარტყას 1-ლ ბიჭს)

მასწავლებელი „ბ“: „მოიცათ, მოიცათ – აბა, ღრმად ჩაისუნთქეთ, თქვენ ორივენი აღელვებული ხართ, ახლა წამოდით, წყალი დალიეთ და მომიყევით, რა მოხდა!“

ამ შემთხვევაში ემოციური კონტროლის და პრობლემის მოგვარების ენამ განმუხტა სიტუაცია და გააჩინა რწმენა იმისა, რომ ორივეს ექნება ჩხუბის მიზეზის ახსნის და იმის განმარტების შესაძლებლობა, თუ რატომ გადაწყვიტეს პრობლემის ძალადობრივი გზით მოგვარება.

ასეთი სიტუაციიდან მოსწავლეებს შეეძლოთ შემდეგი გაკვეთილების მიღება:

- ემოციების მართვა შესაძლებელია;
- უფროსებს მათი დახმარება სურთ;
- უფროსებს სწამთ, რომ მოსწავლეებს შეუძლიათ პრობლემების მოგვარება;
- საუბარი ძალადობის ალტერნატივაა;
- წყლის დალევას და საუბარს ბრაზის განელება შეუძლია.

რომელი სიტუაცია აღწერს უკეთესად იმ მიდგომას, რომლის დანერგვასაც ისურვებდით თქვენს დაწესებულებაში?

რა უნდა მოხდეს თქვენს სკოლაში ისეთი, რომ სკოლის ყველა თანამშრომელმა დაიწყოს პროსოციალური ენის გამოყენება?

სავარჯიშო 12.5: სკოლის თანამშრომლები – მთავარი მისაბაძი მაგალითი

განიხილეთ შემდეგი განცხადება:

> „ჩვენ მუდმივად ვახდენთ მოდელირებას; მოსწავლეები უყურებენ და უსმენენ ყველაფერს, რასაც ვაკეთებთ და ვამბობთ. ბავშვები ნაკლებად მიმართავენ ძალადობას კონფლიქტის მოგვარებისას, როცა სოციალური გარემო, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, იყენებს ენას და პრაქტიკას, რომელიც აწყობილია ემოციურ კონტროლსა და პრობლემის მოგვარებაზე. როცა ჩვენ მოსწავლეებს პატივისცემით ვეპყრობით, რისთვისაც ვიყენებთ ემოციურ კონტროლს, ფრთხილად ვარჩევთ სიტყვებს და მივმართავთ ისეთ მიდგომებს, როგორიცაა მედიატორობა და კონფლიქტის მოგვარება, ჩვენ ვუჩვენებთ მათ ერთად ცხოვრებისა და მუშაობის უნარ-ჩვევებს.“

ბანდურის (1986) სოციალურ-კოგნიტიური თეორიების მიხედვით, მოსწავლეთა სწავლა ისევეა დამოკიდებული მათ სოციალურ გარემოზე, როგორც მათ შინაგან, თანდაყოლილ ხასიათზე. გარშემო მყოფი ადამიანების ქცევებზე დაკვირვების და იმიტირების გზით მოსწავლეები ახდენენ თავიანთი ქცევების ინტეგრირებას გარეგანი მნიშვნელობის ჩარჩოში. ბანდურამ შეადგინა პროგრამები მოდელირების, წვრთნის, ქცევითი ვარჯიშის და სოციალური განმტკიცების საფუძველზე და მიიღო მნიშვნელოვანი შედეგები. ლ.ს. ვიგოტსკიმ (1976), თეორეტიკოსმა მოსწავლეთა განვითარების სფეროში, ყოველგვარი მტკიცებების გარეშე დაადგინა ენის, როგორც მოსწავლესა და მოვლენას შორის მედიაციის ფაქტორის, მნიშვნელობა. მისი აზრით, უფროსებს შეუძლიათ მოსწავლეებისთვის დახმარების გაწევა აზროვნების უფრო მაღალი საფეხურის მიღწევაში ისეთი პროცესის დახმარებით, რომელსაც ეწოდება „მედიატორული სწავლა“, ანუ მოსწავლის გაძღოლა სწავლაში გამოცდილების მიღების გზაზე ისეთი ენის გამოყენებით, რომელიც დაეხმარება მათ სირთულეების გადალახვაში. მედიატორული სწავლის გამოცდილება უზრუნველყოფს რესურსებს, რომელთა გამოყენება შეუძლია მოსწავლეს პრობლემების მოგვარებაში მაშინ, როცა ჩვენ არ მივუთითებთ მას ამის კონკრეტულ გზას. თუ მოსწავლეს უბრალოდ ვეტყვით, როგორ მოაგვაროს თავისი პრობლემა, მასში უფრო მაღალი დონის აზროვნების ჩამოყალიბების შესაძლებლობა იკლებს.

ურთიერთპატივისცემა

როცა მოსწავლეებს ეკითხებიან მათი საყვარელი მასწავლებლის შესახებ, ისინი ხშირად მოიხსენიებენ პატივისცემის დონეს. და პირიქით, მასწავლებლები და მშობლები ხშირად ჩივიან, რომ ბავშვებს არა აქვთ უფროსების საკმარისი პატივისცემა. პატივისცემა ნიშნავს იმის გამოხატვას, თუ როგორ აღიარებენ ადამიანები ერთმანეთის უფლებებსა და პასუხისმგებლობას. ეს მჟღავნდება სიტყვებით, დამოკიდებულებით და მოქმედებებით, რომლებსაც ისინი მიმართავენ ურთიერთობისას. როცა მოსწავლეებს პატივისცემით ვეკიდებით, ჩვენ ვახდენთ ურთიერთდამოკიდებულების გაუმჯობესებისკენ მიმართული ქცევის მოდელირებას და ვზრდით იმის შანსს, რომ ისინი გამოიყენებენ პატივისცემით გამსჭვალულ იმავე ქცევას პირადი პრობლემების მოგვარებისას. თუ გვსურს, რომ პატივისცემით გვეპყრობოდნენ, ჩვენც პატივისცემით უნდა ვექცეოდეთ ადამიანებს.

საჭიროა თუ არა რაიმე ამდაგვარის გამოსწორება თქვენს სკოლაში და, თუ საჭიროა, როგორ შეიძლება ამის გაკეთება?

ქცევასთან დაკავშირებული მკაფიო მოლოდინი, რომელიც ვლინდება და განიხილება „მშვიდ“ დროს
ბუნებრივი და ლოგიკური შედეგების — რომლებიც არის ზომიერი და თანმიმდევრული — მუდმივი მითითება
ოპტიმისტური და ხელშემწყობი ენის გამოყენება
ძლიერი მხარეებისა და ფასეულობების ძიება
„დამშვიდების“ პერიოდის დაშვება საკითხების განხილვამდე – ემოციური სასწრაფო დახმარება
დახმარება პრობლემის მოგვარებაში
მონათხრობის უტყუარ ფაქტად მიღება, ინტერესიანი დამოკიდებულება
მოსწავლეებთან დავისგან თავის შეკავება
გამოსწორების შესაძლებლობათა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

სავარჯიშო 12.6: ღია განხილვა და გუნდური მუშაობა

სკოლაში სიტუაციის გაუმჯობესების წარმატებას საფუძვლად უდევს გუნდური მუშაობის მაღალი კულტურა და მიმდინარე პროფესიული განვითარება. კოლეგიალობის და ურთიერთდახმარების გრნობა წარმოშობს ნდობის და რწმენის კულტურას სკოლის თანამშრომლებს შორის, ხოლო ახალი იდეები უფრო გაბედულად მიიღება. ენთუზიაზმი მაღალი რჩება, როცა ხდება ძალისხმევის აღიარება და როცა სიხარულით აღინიშნება წარმატება. კარგი განწყობა და ხალისი მუდმივად აუცილებელია ერთმანეთის გასამხნევებლად სერიოზული ძალისხმევის განხორციელების მცდელობისას. ღია განხილვა წარმოქმნის საერთო გაგებას, რომელიც აუცილებელია ძალადობაზე რეაგირების თანმიმდევრულობისთვის და მონაცემთა შეგროვებისთვის.

დაგეხმარებათ თუ არა შემდეგი კითხვების განხილვა გამოყენებული ტერმინების და სკოლაში არსებული ძალადობის ხასიათის საერთო გაგებისთვის?

როგორ ფიქრობთ, რას იტყოდნენ თქვენი სკოლის თანამშრომლები?

რა არის თქვენი სკოლის ძირითადი პრობლემები? სად წარმოიშობა ეს პრობლემები?
რით განსხვავდება ერთმანეთისგან ძალადობა და უხეში თამაში?
რით განსხვავდება ერთმანეთისგან გაღიზიანება და ძალადობა? განსხვავებული უნდა იყოს თუ არა მათი მართვა და მათ შესახებ განცხადება?
როგორ განსხვავდება ძალადობა ბიჭების შემთხვევაში და გოგონების შემთხვევაში?
ხომ არ მიგვიყვანს კონფლიქტების მოგვარების სწავლება ბიჭების ფემინიზაციამდე?

როგორ შეგვიძლია შეზღუდული შესაძლებლობების, განსაკუთრებით, ფსიქიკური დარღვევების მქონე ადამიანების დახმრება ჩვენს სკოლაში?
რა განსხვავებაა დისციპლინასა და დასჯას შორის და რა გავლენას ახდენენ ისინი ქცევაზე?
როგორ უნდა გამოასწორონ მოსწავლეებმა ანტისოციალური ქმედებები?
რა განსხვავებაა თავდაჯერებასა და აგრესიას შორის?
რა როლი უნდა იკისრონ უფროსებმა პრობლემების მოგვარებაში მოსწავლეების დასახმარებლად?
როგორია მოსწავლეების, როგორც ლიდერების და მედიატორების, როლი?
რა იგულისხმება სიტყვებში „გაღიზიანება“, „შეურაცხყოფის მიყენება“ და „დაშინება“?

სავარჯიშო 12.7: საქმეში მშობლების ჩართვა

პოზიტიური კლიმატის შექმნის მცდელობისას აუცილებელია ურთიერთობის დამყარება მშობლებთან სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით, როგორიცაა, მაგალითად, მისასალმებელი ნიშნებისა თუ სლოგანების გამოფენა, ოჯახური გართობის საღამოების, პიკნიკების, სხვადასხვა კულტურისადმი მიძღვნილი ლანჩების, მასწავლებლებისა და მშობლების რეგულარული შეხვედრების მოწყობა, დირექტორის მიერ დროის გამოყოფა მშობლებისთვის, ახალი მშობლების წარდგენა, სახელმძღვანელოების გაცნობა, სასკოლო შეხვედრების ორგანიზება. მშობლებს უნდა ვარგძნობინოთ, რომ ისინი სკოლის სასურველი და მნიშვნელოვანი სტუმრები არიან. როცა გარემო მიმზიდველია, იგი ყოველთვის ასახავს საზოგადოების სიამაყეს თავისი სკოლით.

ხშირად სულაც არ არის საკმარისი მშობლების უბრალოდ მოწვევა და მათთან ლაპარაკი იმისათვის, რომ ისინი ჩაერთნენ სკოლის ცხოვრებაში. სკოლაში მოსვლა უფრო ადვილია, როცა პირადად გიწვევს სკოლის მასწავლებელი ან რომელიმე სხვა მშობელი. ზოგიერთ მშობელს ან ბავშვზე მზრუნველს დამატებითი დახმარება ესაჭიროება, მაგალითად, ტრანსპორტთან, მოსწავლეთა საბჭოსთან, თარჯიმნებთან ან უცხო ენაზე მოწოდებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

რა სახის ბარიერები უშლის ხელს თქვენს სკოლას მშობლებთან კავშირის დამყარებაში, განსაკუთრებით იმ მშობლებთან, რომლებთან ურთიერთობაც რთულია? როგორი გადაწყვეტილება დაგეხმარებათ ამ ბარიერების დანგრევაში?

ბარიერი	გადაწყვეტილება
1.	
2.	
3.	
4.	

სავარჯიშო 12.8: ემოციური აღქმის უნარი

წინამდებარე სავარჯიშო გამომდინარეობს მე-9 მეცადინეობის 9.3 და 9.4 სავარ-ჯიშოებიდან.

ზოგად გზავნილს, რომელსაც ხაზგასმით აღნიშნავენ პრევენციული კვლევის ისეთი ავტორები, როგორიცაა გოლემანი (1996), წარმოადგენს ის, რომ სკოლას შეუძლია თავიდან აიცილოს ან შეამციროს ისეთი მოვლენების დაუნდობლობა და ხანგრძლივობა, როგორიცაა დამოკიდებულება ალკოჰოლსა და ნარკოტიკულ ნივთიერებებზე, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა, კრიმინალური დანაშაული, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები და ძალადობა, თუ ახალგაზრდებში განვავითარებთ ემოციური აღქმის უნარს.

სამწუხაროდ, სკოლათა უმრავლესობის გაკვეთილების ცხრილში სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარების სწავლებას კონკურენციას უწევს წერა-კითხვის და ანგარიშის სწავლება, თითქოს პირველი რაღაც ცალკე მდგომი რამაა. ალბათ ბევრი მასწავლებელი დაგვეთანხმება იმაში, რომ მოსწავლეებს სჭირდებათ სოციალური უნარ-ჩვევები და ემოციური მართვა სასწავლო გარემოში თანატოლებთან თანმშრომლობისთვის. ზოგიერთ სკოლაში ყველაზე რთულ ამოცანას წარმოადგენს მოსწავლეების დახმარება სხვებთან ურთიერთობის პრობლემებში. მასწავლებლებს ნამდვილად შეუძლიათ მოსწავლეების დახმარება სოციალური და ემოციური აღქმის უნარის განვითარებაში გაკვეთილების დროს და, ასევე, მაგალითების გამოყენებით.

როგორ ცდილობს თქვენი სკოლა შეგასწავლოთ და, ასევე, განახორციელოს მოდელირება იმ უნარ-ჩვევებისა, რომლებსაც ვხედავთ ემოციური აღქმის უნარის მქონე ადამიანში?
1.
2.
3.
4.

სავარჯიშო 12.9:
უშუალო ინსტრუქტაჟი/სწავლება

ქვემოთ მოყვანილი ჩამონათვალიდან რომელიმეს უშუალოდ თუ ასწავლის თქვენი სკოლა ყველა მოსწავლეს ან მათ, რომლებიც სხვაგვარად ვერ ეუფლებიან უნარ-ჩვევებს?

	დიახ/არა	**როგორ და როდის?**
ემოციური აღქმის უნარი		
კონფლიქტების მოგვარება		
ბრაზის მართვა		
მეგობრობის უნარი		
აგრესიის ალტერნატივა		
პრობლემის მოგვარების უნარი		
მოსმენის უნარი		
საკუთარი თავის რწმენა		
ფასეულობები და მორალური განვითარება		

სავარჯიშო 12.10: როცა ადგილი აქვს ძალადობას

განიხილეთ ქვემოთ მოყვანილი ორი განცხადება:

განცხადება 1

სკოლაში ძალადობა მიუღებელია. ამისთვის მრავალი მიზეზი არსებობს და ეს აზრი ფართოდაა გავრცელებული, მაგრამ სკოლები, რომლებიც კონცენტრირებული არიან ამ საკითხზე და ჯიუტად მოითხოვენ კონსტრუქციულ მუშაობას, შეამცირებენ იმ ძალადობრივი და აგრესიული ქმედებების სიხშირეს და ფორმას, რაც ძირს უთხრის „კონვივენსიას“. ფორმულა მარტივია: სკოლაში სწავლის პერიოდის განმავლობაში ასწავლეთ ბავშვებს პირადი განვითარების უნარები, მათ შორის, ემოციური აღქმის უნარი და სოციალური უნარები; მტკიცედ დაიცავით მოწოდება „არავითარი ძალადობა!“; მხარი დაუჭირეთ სკოლაში ძალადობის საპასუხოდ მიმართულ გეგმას, ძალადობის ადგილიდან დაუყოვნებელი გაყვანის და მიზნობრივი გამოსასწორებელი პროგრამებისათვის გადაცემის ჩათვლით; და მიმართეთ მოსწავლეებს, განახორციელონ სხვა სახის ჩარევა, როდესაც ისინი არ რეაგირებენ ჩამოთვლილ ზომებზე. ბავშვებს, რომლებიც არ რეაგირებენ უნივერსალურ და მიზნობრივ პროგრამებზე, სჭირდებათ ინტენსიური დახმარება კონკრეტული შემთხვევის მართვის მოდელის მიხედვით, რაც გულისხმობს განათლების სისტემის ფსიქოლოგს, სპეციალისტ მასწავლებლებს, მშობლებს, სხვა ორგანიზაციების სპეციალისტებს და, საჭიროების შემთხვევაში, საგანგებო სასწავლო დაწესებულებებს.

განცხადება 2

ძალადობა თავს იჩენს სოციალურ კონტექსტში, ხოლო მასწავლებლებმა, ჩვეულებრივ, იციან ძალადობის ჩამდენი მოსწავლეების ცხოვრების ისტორიები. ამ მოსწავლეებისათვის კარგი იქნებოდა აღმზრდელის დანიშვნა, რომელიც იმოქმედებდა, როგორც ემოციური დამხმარე (მაგალითად, მასწავლებელი-ადმინისტრატორი, მრჩეველი, განათლების სისტემის ფსიქოლოგი, დამხმარე პროფესიონალი, საზოგადოების წარმომადგენელი მოხალისე) და დაეხმარებოდა მათ ემოციების კონტროლის, თანამშრომლობის და პრობლემების მოგვარებისთვის აუცილებელი უნარების შესწავლაში. მართალია, ყოველი ძალადობრივი მოქმედების უკან არ დგას ემოციური კონტროლის ნაკლებობა, მაგრამ ძალადობის ჩადენის ადგილიდან დაუყოვნებელი გაყვანა და გასაუბრება, არა აქვს მნიშვნელობა ძალადობის მიზეზს, დაეხმარებოდა მოსწავლეებს იმის გაგებაში, რომ ძალადობა მიუღებელია და რომ მათ პასუხი უნდა აგონ საკუთარ ქცევებზე, იცოდნენ აგრესიის ალტერნატივები და იფიქრონ გამოსწორებაზე ყოველი ასეთი ფაქტის შემდეგ.

როგორ მიესადაგება თქვენს სკოლაში არსებული მიდგომა ზემოთ მოცემულ განცხადებებს?
აკლია თუ არა რაიმე ამ განცხადებებს?

როგორია თქვენი რეაგირების გეგმა?
ითვალისწინებს თუ არა გეგმა ძალადობის მიზეზების აღმოფხვრას და, ასევე, ძალადობის მსხვერპლის მხარდაჭერას / შედეგებზე რეაგირებას?

ზოგადად, ძალადობაზე დაუყოვნებელი რეაგირება მოიცავს შემდეგს:

- ყველა მოსწავლის უსაფრთხოების გარანტირება – საჭიროების შემთხვევაში დამატებითი დახმარების გამოძახება, აგრესორების გამოყოფა, შეკრებილი ხალხის გაფანტვა;
- საჭიროების შემთხვევაში ფიზიკური და, ასევე, ემოციური სასწრაფო დახმარების გამოყენება;
- ინციდენტთან დაკავშირებული ძირითადი ფაქტების შეგროვება ანგარიშისთვის;
- მოძალადე მოსწავლის დაუყოვნებლივ გაყვანა სპორტული მოედნიდან – თანმხლებ პირთან ერთად მისი გაგზავნა სკოლაში არსებულ „დასამშვიდებელ“ ოთახში, სადაც დაელოდება კრიზისის შესახებ გასაუბრებას;
- მოსწავლის გასაკავებლად უსაფრთხო მეთოდების, როგორც უკიდურესი ზომის, გამოყენება.

სკოლებს შეუძლიათ რეაგირების გეგმების გადასინჯვის მიზნით გამოიყენონ ქვემოთ მოყვანილი კითხვები საკონტროლო კითხვების სახით.

რა სახის რეაგირებაა ხელმისაწვდომი თქვენს სკოლაში?
ზემოთ მოყვანილ ხუთ საპასუხო ქმედებაში რომელია გამოტოვებული ან რისი დამატება შეიძლება?

სავარჯიშო 12.11: საპასუხო რეაგირების შერჩევა – დასჯა თუ გამოსწორებაზე მიმართული მიდგომა?

წარმოიდგინეთ შემდეგი სიტუაცია, რომელიც მოითხოვს რეაგირებას:

13 წლის მოსწავლემ სხვადასხვა დროს რამდენჯერმე სცემა თავის კლასელებს. სკოლის მხრიდან ჩარევის მიღებულმა ზომებმა არ იმოქმედა მის საქციელზე. დაზარალებული ბავშვების მშობლები მიდიან პოლიციაში და ითხოვენ მოძალადის დასჯას. სკოლის საპასუხო რეაგირების ერთ-ერთ გეგმაში ასეთი ვითარების დროს გათვალისწინებულია რესტიტუციული სამართლის გამოყენება (იხ. სახელმძღვანელოს მე-3 თავი). პოლიციის თანამშრომელი და სკოლის დირექტორი შეხვდნენ ერთმანეთს. მათ უნდა გადაეწყვიტათ, გამოეყენებინათ თუ არა რესტიტუციული სამართლის მიდგომა. თუ დაზარალებულების მშობლები დათანხმდებიან, მაშინ შესაძლებელი იქნება სისხლის სამართლის საქმის შეჩერება და რესტიტუციული სამართლის ზომების მიღება.

შეადარეთ ორი ალტერნატივა

სისხლის სამართლის მიდგომა	რესტიტუციული სამართლის მიდგომა
მოსწავლეს დააკავებენ.	საქმესთან დაკავშირებული ყველა მხარის შეხვედრაზე მიიღება გადაწყვეტილება გამოსწორების პროცესის შესახებ.
პოლიციაში მისგან იღებენ ჩვენებებს.	მოიწვევენ სხდომას, სადაც განიხილება ფაქტები და მათთან დაკავშირებული ემოციები.
არ არის მოსალდონელი საქმის სასამართლოში გადაცემა.	დადგინდება მხარეების მიერ ერთობლივად შეთანხმებული შედეგები.
მოსწავლეს გააფრთხილებენ და შედგება პოლიციის ოფიციალური ჩანაწერი.	შეთანხმება შესასრულებლად სავალდებულოა მოსწავლეებისთვის, ოჯახებისა და სკოლისათვის.
დანაშაულიდან საბოლოო გადაწყვეტილებამდე მრავალი კვირა ჩაივლის.	ეს ყველაფერი ერთ კვირაში სრულდება.

განიხილეთ, იგივე შემთხვევა თქვენს სკოლაში რომ მომხდარიყო, იქნებოდა თუ არა გამოსწორებაზე მიმართული მიდგომა შესატყვისი საპასუხო რეაგირება? შიგიძლიათ იმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე:

როგორი იქნებოდა ბიჭების და მათი მშობლების ემოციური რეაქცია აღნიშნულ გზებზე?
როგორი შედეგების მიღებას ისურვებდა თქვენი სკოლა და რომელი გზა დაგეხმარებოდათ მათ მიღწევაში?

როგორ მოხდებოდა გამოსწორებაზე მიმართული მიდგომის გამოყენება, თუ:

„დარტყმა“ იქნებოდა ერთხელ დარტყმა სხეულზე?
„დარტყმა“ იქნებოდა უკვე ძირს დავარდნილი ადამიანის ხელებით და ფეხებით ცემა.
„დარტყმები“ იქნებოდა დაუნდობელი და ხანგრძლივი იმდენად, რომ ამგვარი მოქმედება გამოიწვევდა ადამიანის სერიოზულ ფიზიკურ დაშავებას.

მასწავლებლის ფასეულობები, მიდგომები და უნარები

ძალადობასა და აგრესიაში შემჩნეულ მოსწავლეებთან მუშაობისას მასწავლებლები მათთან ერთად განიხილავენ ძალადობის მოსალოდნელ და ცნობილ შედეგებს, თუმცა ასევე უზრუნველყოფენ მათთვის პრობლემების მოგვარების, მიზნების დასახვის, უნარების ჩამოყალიბებისა და გამოსწორების შესაძლებლობის გაცნობას. კრიზისში ჩარევის ეს როლი შეიძლება დაეკისროს ადმინისტრაციის წარმომადგენელს ან შერჩეულ მასწავლებლებს, ანდა სკოლის ყველა მასწავლებელმა შეიძლება შეისწავლოს ეს მნიშვნელოვანი სტრატეგიები. ძალადობაში შემჩნეულ მოსწავლეებთან მუშაობისას საჭიროა შემდეგი ფასეულობების, მიდგომებისა და უნარების ფლობა:

- პატივისცემა – ნეიტრალიტეტი, ადამიანური ღირსების აღიარება, პატივისცემის გამომხატველი ენა;
- თანაგრძნობა, რისთვისაც აუცილებელია ემოციური გაუწონასწორების, ძალადობის, მოსწავლის განვითარების და ისეთი სამედიცინო მდგომარეობის ცოდნა, როგორიცაა ასპერგერის სინდრომი;
- ოპტიმიზმი – რწმენა მოსწავლის შესაძლებლობისა, რომ ის ჩამოიყალიბებს სოციალურ და ემოციურ უნარებს;
- სიმშვიდის, კონტროლისა და პრობლემების მოგვარების მოდელირება;
- რეაგირების თანმიმდევრულობა;
- ემოციური ხელშეწყობა და პირველადი ემოციური დახმარება;
- კრიზისთან დაკავშირებული გასაუბრების წარმართვა – ემოციური კონტროლი, ფასეულობების ჩამოყალიბება, პრობლემის მოგვარება, მიზნების დასახვა, უნარების ჩამოყალიბება, შედეგები და გამოსწორება;
- მედიატორობა;
- დაუშვებელია ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მიმართ ბრალდებით მიდგომა;
- გამოსწორება (რესტიტუცია)

შეარჩიეთ ზემოთ ჩამოთვლილიდან ორი ფასეულობა, მიდგომა და უნარი, რომლებსაც ყველაზე მეტად ესაჭიროება განვითარება თქვენს სკოლში, და გვითხარით, როგორ დაეხმარებოდით სკოლის თანამშრომლებს მათ განხორციელებაში. 1. 2.

თქვენი სკოლის საჭიროებები

ქვემოთ მოცემულ კითხვებზე პასუხები შეიძლება დაგეხმაროთ თქვენი რეაგირების გეგმის შედგენასა და აუდიტში.

დგას თუ არა სკოლაში ძალადობის ან შეურაცხყოფის საკითხი? სად ხდება ეს? ვინ იღებს ამაში მონაწილეობას? რას გვეუბნება მონაცემები? (იხ. სახელმძღვანელოს მე-2 თავი თვითშეფასების მტკიცებულებებთან დაკავშირებით) როგორ შეიძლება გაუმჯობესების მიღწევა?
პატივისცემით ეკიდებიან თუ არა მოსწავლეებს უფროსი მასწავლებელი, მასწავლებლები და მშობლები? როგორ შეიძლება გაუმჯობესების მიღწევა?
არის თუ არა სკოლაში დამკვიდრებული საერთო-სასკოლო დისციპლინის პოლიტიკა? როგორ შეიძლება გაუმჯობესების მიღწევა?
იყენებენ თუ არა მასწავლებლები სწავლების მეცნიერულ და ეფექტიან ხერხებს? როგორ შეიძლება გაუმჯობესების მიღწევა?
შედის თუ არა ჩვეულებრივ სასკოლო პროგრამაში ისეთი საკითხები, როგორიცაა სოციალური, ემოციური და ქცევის უნარების განვითარება და თანატოლთა ლიდერობა? როგორ შეიძლება გაუმჯობესების მიღწევა?

არსებობს თუ არა შეუსაბამო ქცევის მონიტორინგის სტრატეგია? მარტივია თუ არა გამოსაყენებლად მონაცემთა შეგროვების და მართვის პროცედურა? როგორ შეიძლება გაუმჯობესების მიღწევა?
თანამშრომლობენ თუ არა მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები ქცევის ჩამოყალიბების საკითხებში, მათ შორის, უფლებებთან, პასუხისმგებლობასთან და შედეგებთან დაკავშირებულ საკითხებში? როგორ შეიძლება გაუმჯობესების მიღწევა?
გასაგები და ცნობილია თუ არა ყველასათვის ძალადობაზე რეაგირების გეგმები? როგორ შეიძლება გაუმჯობესების მიღწევა?
არის თუ არა დამკვიდრებული სოციალურ-ემოციურ დეფიციტის მქონე მოსწავლეებისთვის მიზნობრივი პროგრამები? როგორ შეიძლება გაუმჯობესების მიღწევა?
ჩართულები არიან თუ არა ყოველთვის მშობლები ადრეულ საფეხურზე, როცა ჩნდება სირთულეები, და იღებენ თუ არა დახმარებას ისინი, როცა საკონსულტაციოდ გარეშე ორგანიზაციებს მიმართავენ? როგორ შეიძლება გაუმჯობესების მიღწევა?

სავარჯიშო

ჩამოაყალიბეთ რეაგირების გეგმები სწავლების ხუთსაფეხურიანი პროცესის საფუძველზე თანამშრომელთა ტრენინგის პროგრამის ორგანიზების გზით.

რეაგირების გეგმა .....-თან დაკავშირებით

თანამშრომელთა ტრენინგი
როგორ იქნება ტრენინგი ორგანიზებული
როგორ მოხდება სწავლა
როგორ მოხდება შედეგების მონიტორინგი
რა ცვლილება მიგვითითებს წარმატებაზე

მე-13 მეცადინეობა

მუშაობა მშობლებთან/მზრუნველებთან – პარტნიორობის ჩამოყალიბება და შენარჩუნება

მეცადინეობისთვის საჭიროა DVD სათაურით „ჩუმი მოწმეები“

DVD დამზადებულია ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის წინააღმდეგ მებრძოლი ცენტრის მიერ, დუბლინის თრინითი კოლეჯი; მისი ჩამოტვირთვა შეიძლება ინტერნეტ-მისამართიდან www.behaviour4learning.ac.uk./cflb ან შესაძლებელია დაკავშირება შემდეგ მისამართზე: cgittins@binternet.com

ზოგადი ინფორმაცია

ვინაიდან სახლემძღვანელოში არ არის თავი, რომელიც მშობლებთან/მზრუნველებთან მუშაობისთვის იქნებოდა გამიზნული, ამიტომ ქვემოთ მოცემულია დამატებითი ინფორმაცია ფასილიტატორებისთვის.

მშობლების და მზრუნველების, როგორც პარტნიორების, ჩართვა სკოლაში ძალადობის აღმოფხვრის ყველა ასპექტში ის თემაა, რომელიც გასდევს მთელ სახელმძღვანელოს. ამ მეცადინეობის შესავალი ნაწილი თავს უყრის ძირითად საკითხებს და ეხმარება ფასილიტატორებს მასწავლებლობისთვის მომზადებაში. მეცადინეობის დასაწყისში მშობლებსა და მზრუნველებს უნდა გაუზიაროთ ეს საკითხები. ამაში PowerPoint-ში შესრულებული პრეზენტაცია დაგეხმარებათ.

აღნიშნული ზოგადი ინფორმაცია ოთხ სფეროსთან მიმართებაში განიხილება:

1. მშობლები/მზრუნველები — ინტერესთა ჯგუფი სასკოლო გარემოში;
2. მშობლების/მზრუნველების ზოგადი ზეგავლენა ახალგაზრდების ქცევაზე;
3. მშობლები/მზრუნველები და მათი შვილები — მომხსენებლები სკოლაში არსებული ძალადობის შესახებ;
4. მშობლები/მზრუნველები — ძირითადი ჯგუფი მთელი სკოლის მასშტაბით ძალადობის აღმოფხვრის ინიციატივაში.

შენიშვნა ფასილიტატორისთვის: სახელმძღვანელო და სახელმძღვანელო ფასილიტატორებისთვის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას (ე.წ. „ბულინგს“) განიხილავს, როგორც ძალადობის ერთ-ერთ ასპექტს, ხოლო „ბულინგის“ კონტექსტს – როგორც სკოლაში არსებული ძალადობის სპექტრის ნაწილს. ამ მეცადინეობაზე მშობლების მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ გამოცდილების უმეტესი ნაწილი მოდის „ბულინგის“ წინააღმდეგ მიმართული ინიციატივებიდან და პროგრამებიდან. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ მშობლების ჩართვის პრინციპები და პროცედურები ძალადობის აღმოფხვრის საკითხებში მთელი სკოლის მასშტაბით იდენტურია.

1. მშობლები/მზრუნველები — ინტერესთა ჯგუფი სასკოლო გარემოში

სკოლის სისტემები განსხვავდება ერთმანეთისგან იმის მიხედვით, თუ რამდენად არიან მშობლები ოფიციალურად ჩართული მათი შვილების განათლებაში. ირლანდიის რესპუბლიკაში არის მშობლების სახელმწიფო წარმომადგენლობა – მშობელთა სახელმწიფო საბჭო (დაწყებითი) და მშობელთა სახელმწიფო საბჭო (დაწყებითის შემდგომი). მსგავსი წარმომადგენლობითი ორგანოები არსებობს ნორვეგიასა და სხვა ქვეყნებში. ირლანდიის რესპუბლიკის თითოეულ სკოლაში ადგილობრივ დონეზე არის მშობელთა საბჭო, რომელსაც აშშ-ისა და გაერთიანებული სამეფოს ზოგიერთ ნაწილში მასწავლებელთა და მშობელთა ასოციაციას უწოდებენ. ჩვეულებრივ, მშობელთა საბჭოს, სულ მცირე, ერთი წარმომადგენელი შედის სკოლის მმართველ საბჭოში. მიუხედავად იმისა, რომ ეს სტრუქტურები არსებობს ირლანდიასა და სხვა ქვეყნებში, მშობლების/მზრუნველების მონაწი-

ლეობის ხარისხი მშობელთა საბჭოს მუშაობაში და სკოლასთან დაკავშირებულ საკითხებში სრულიად განსხვავებულია სხვადასხვა სკოლაში.

როცა მშობელთა საბჭო აქტიურია ირლანდიის რესპუბლიკაში, მას შეუძლია ზემოქმედება სკოლის ცხოვრებაზე, მაგალითად, სასკოლო წესების ჩამოყალიბებაზე. და მართლაც, მრავალი მშობლის თუ მზრუნველის სურვილია, დაინახოს მშობელთა საბჭო მის ტრადიციულ როლს მიღმა, რაც, ჩვეულებრივ, შემოიფარგლება სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ ფონდებზე დამატებით თანხების შეგროვებით. მაგალითად, 1993 წლიდან მთავრობის პოლიტიკაა, ურჩიოს ახლად გახსნილ სკოლებს ან იმ სკოლების, რომლებიც ჯერ კიდევ ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პროცედურების ჩამოყალიბებას ცდილობენ, აქტიურად ჩართონ სკოლის მუშაობაში მშობლები/მზრუნველები. მთავრობის აზრით, მშობელთა კომიტეტების ჩართვა ამის იდეალური გზაა (განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტი, 1993).

გარდა მშობელსა და სკოლას შორის არსებული კავშირის განმტკიცებისა, მშობლების/მზრუნველების ჩართვა სკოლის სათანადო პოლიტიკის და პროცედურების ჩამოყალიბებაში ამდიდრებს აღნიშნულ პოლიტიკას ოჯახებიდან მოსული გამოცდილებით. მიუხედავად ამისა, სკოლებში ძალადობის აღმოფხვრის საქმეში მშობლების/მზრუნველების ჩართვის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ის შესაძლებლობა, რომელიც გვიჩვენებს დამოკიდებულებას ძალადობის მიმართ სკოლის მთელი საზოგადოების მხრიდან. საერთოდ, ვინაიდან ახალგაზრდები ჯერ არ არიან ჩამოყალიბებული, სწორედ ამიტომ ექცევიან ისინი ასე ადვილად თავისი თანატოლების ზეგავლენის ქვეშ. აქედან გამომდინარე, თუ გვინდა ბავშვებში რაიმეს მიმართ დამოკიდებულების ჩამოყალიბება, აუცილებელია თანმიმდევრულობა. მაგალითად, ბავშვებმა იციან, როგორ გაუმკლავდნენ მუდმივ სიტყვიერ შეურაცხყოფას დიალოგის და მედიატორობის გამოყენებით, რომელიც მათ მასწავლებელმა ასწავლა სკოლაში. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მათ სახლში არ ასწავლიან, რომ მჩაგვრელს მუშტითვე უნდა უპასუხოს.

2. მშობლების/მზრუნველების ზოგადი ზეგავლენა ახალგაზრდების ქცევაზე

ფსიქოლოგიური კვლევები მიგვითითებს, რომ მშობლები/მზრუნველები წარმოადგენენ ბავშვების დამოკიდებულებებსა და ქცევაზე თუ პიროვნების ჩამოყალიბებაზე (რასაც ზოგიერთი ადამიანი არ ეთანხმება) ზეგავლენის ყველაზე დიდ წყაროს.

ბავშვების აღზრდის მეთოდები და ოჯახში არსებული ფასეულობები თითქოს უცვლელი რჩება საუკუნეების განმავლობაში. მშობლებს ახსოვთ საკუთარი ბავშვობა და ზოგჯერ, მიუხედავად იმისა, გამართლებულია თუ არა ეს, იყენებენ თავიანთი მშობლების მიერ გამოყენებულ ხერხებს. უფრო მეტიც, ჩვენი მშობლების ზეგავლენა ჩვენს პიროვნებაზე კიდევ დიდხანს გაგვყვება ხოლმე ჩვენს ზრდასრულობაში მაშინაც კი, როცა მშობლები უკვე აღარ არიან ცოცხლები. მაგალითად, ზოგიერთი მშობლის მიერ თავისი შვილის მიმართ გამოყენებულ მორალურ სტანდარტებსა და ქცევაზე შეიძლება ჯერაც ზემოქმედებდეს ისეთივე დანაშაულის ან სირცხვილის გრძნობა, რომელსაც მათი მშობლები/მზრუნველები გრძნობდნენ 50-60 წლის განმავლობაში. ამ საკითხს უფრო პოზიტიური კუთხით თუ შევხედავთ, ყველას შეგვიძლია სიამოვნების მიღება იმ ფიქრიდან, რომ მოსიყვარულე მშობელი ან ბებია თუ ბაბუა იამაყებდა ჩვენი ქცევით იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის ამჟამად აღარ არის ჩვენთან.

მიუხედავად იმისა, რომ თანატოლებს მეტი ზემოქმედების მოხდენა შეუძლიათ ჩვენი შვილების ყოველდღიურ ქმედებებზე (საზოგადოებრივი ცხოვრება, ტანსაცმლის არჩევა, მუსიკის საყვარელი სტილი და ა.შ.), მშობლების ზეგავლენა ყოველთვის უფრო ძლიერი და გაცილებით ხანგრძლივია (ძირითადი დამოკიდებულებების ჩამოყალიბება, კლასის სოციალური ღირებულებები და ა.შ.). აქედან გამომდინარე, მაშინაც კი, როცა ბავშვები ატარებენ რადიკალურ ექსპერიმენტებს პოლიტიკური თუ რელიგიური თვალსაზრისით,

მათ ბოლოს შეიძლება იმავე პარტიას მისცენ ხმა, რომელსაც მხარს უჭერდნენ მათი მშობლები ან ჯვარი დაიწერონ იმავე ეკლესიაში, სადაც მშობლებმა დაიწერეს.

3. მშობლები/მზრუნველები და მათი შვილები — მომხსენებლები სკოლაში არსებული ძალადობის შესახებ

ფაქტობრივად ახალგაზრდებს შორის ყველა ანტისოციალური და უკანონო ქმედება ხდება დაფარულად, ისე, რომ ამის შესახებ არაფერი იციან მშობლებმა/მზრუნველებმა და მასწავლებლებმა. მაგალითად, არსებობს უტყუარი საბუთები იმისა, რომ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლებს არ უნდათ განცდილი შეურაცხყოფის გამჟღავნება. ირლანდიის რესპუბლიკაში ჩატარებულმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ოთხიდან მხოლოდ ერთი მოსწავლე თუ მოყვება თავის ამგვარ თავგადასავალს (O'Moore, Kirkham& Smith, 1997). საუკეთესო სასკოლო პროგრამებსაც კი არ მოჰყოლია დიდი წარმატება ინციდენტების შეტყობინების საქმეში (Eslea & Smith, 1998; O'Moore & Minton, 2005). თუმცა ის მოსწავლეები, რომლებიც გვანდობენ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევებს, ორჯერ უფრო სწრაფად გაანდობდნენ ამ ინფორმაციას თავიანთ მშობლებს/მზრუნველებს, ვიდრე მასწავლებლებს (ომური, კირკჰემი და სმიტი, 1997). ძალზე სავარაუდოა ისიც, რომ მშობელი/მზრუნველი, რომელიც გამუდმებით ფიქრობს თავისი შვილის კეთილდღეობაზე, გაცილებით ადრე შეამჩნევს ბავშვს, რომ იგი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლია, ვიდრე ამას თვითონ ბავშვი იტყვის (O'Moore & Minton, 2005).

4. მშობლები/მზრუნველები — ძირითადი ჯგუფი მთელი სკოლის მასშტაბით ძალადობის აღმოფხვრის ინიციატივაში

ქვემოთ მოცემულია მთელი სკოლის მასშტაბით ძალადობის აღმოფხვრის მიზნით გამოყენებული მიდგომების აშკარა პრეცედენტები. მშობლებთან/მზრუნველებთან მუშაობას თავიდანვე დიდი როლი მიენიჭა სასკოლო მასშტაბის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ პროგრამებში და ისინი ჩართეს პირველ პროგრამებში მთელი ქვეყნის მასშტაბით (Olweus, 1983, 1997). სკანდინავიაში ოლვეუსის პირველი პროგრამების შემდეგ ჩრდილოეთის ქვეყნებში დაინერგა მშობლებთან პარტნიორობის ტრადიცია ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის საწინააღმდეგო/ანტისოციალურ პროგრამებში (Ljungstrцm, 1990; Roland & Munthe, 1997; Roland, 2000). მუშაობა მშობლებთან/მზრუნველებთან ხაზგასმით იქნა აღნიშნული ავსტრალიაში განხორციელებულ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის საწინააღმდეგო პროგრამებში (Slee, 1996), ირლანდიაში (O'Moore & Minton, 2005), ჰოლანდიაში (Stevens, De Bourdeaudhuij & Van Oost, 2000), ესპანეთში (Ortega, 1997; Ortega & Lera, 2000), გაერთიანებულ სამეფოში (Smith, 1997) და მთელ რიგ სხვა ქვეყნებში (იხ.: Smith, Pepler & Rigby, 2004).

ზოგადი ნაწილი

მეცადინეობა სათაურით „ზოგადი ინფორმაცია“ იკავებს, დაახლოებით, 20 წუთს და იყენებს PowerPoint 13.1 თანმხლებ სლაიდს იმის საკომპენსაციოდ, რომ სახელმძღვანელოში არ არის მშობლებისთვის მიძღვნილი თავი. ამას მოჰყვება სამი სავარჯიშო, რომლებიც ერთად მოიცავს ორ საათს (13.1 სავარჯიშოს სჭირდება დაახლოებით 60-80 წუთი, 13.2 სავარჯიშოს – 20 წუთი, ხოლო 13.3 სავარჯიშოს – 20 წუთი). ამ სავარჯიშოებს მოჰყვება მეცადინეობის შემდგომი სავარჯიშო.

შემდეგ მოდის იმ რესურსების ჩამონათვალი (წიგნები, ინტერნეტ-გვერდები, ფილმები), რომლებმაც შეიძლება დაინტერესოს მშობლები, ასევე მშობლებთან სკოლაში ძალადობის საკითხებზე მომუშავე ადამიანები და ფასილიტატორები, რომლებიც იყენებენ ამ მეცადინეობას.

ტრენინგის თანმიმდევრობა	ხანგრძლივობა
ზემოთ წარმოდგენილი ნაწილი სათაურით „ზოგადი ინფორმაცია“, მის თანმხლებ PowerPoint 13.1 სლაიდთან ერთად, ხსნის, თუ რატომაა მშობლების მონაწილეობა ესოდენ მნიშვნელოვანი სკოლაში ძალადობის პრევენციის და აღმოფხვრის საქმეში. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ან როგორც ტრენინგის წინა საქმიანობის რესურსი ფასილიტატორებისთვის თვით სკოლის თანამშრომლებთან მომუშავე ფასილიტატორების მიერ, ან (ალბათ ზოგიერთი შესწორების შემდეგ) როგორც მშობლების აუდიტორიისთვის წარდგენილი პრეზენტაციის ნაწილი. განხილულია *ოთხი ძირითადი სფერო:* 1. მშობლები — ინტერესთა ჯგუფი სასკოლო საზოგადოებაში; 2. მშობლები — ზოგადი ზეგავლენის წყარო ბავშვებზე; 3. მშობლები და მათი ბავშვები — სკოლაში არსებული ძალადობის შესახებ ძირითადი მომხსენებლები; 4. მშობლები — სკოლებში ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პროგრამების ძირითადი ჯგუფი.	**20 წუთი**
სავარჯიშო 13.1 – მშობლების/მზრუნველების დასახმარებლად მომზადებული ინფორმაციის ნიმუშის განხილვა.	**60-80 წუთი**
სავარჯიშო 13.2 – იმ მშობლების მდგომარეობის გათვითცნობიერება, რომელთა შვილები მონაწილეობენ ძალადობასთან დაკავშირებულ ინციდენტებში.	**20 წუთი**
სავარჯიშო 13.3 – მშობლების დახმარება მათი მხრიდან შვილების დახმარებაში, გაუმკლავდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას.	**20 წუთი**
მეცადინეობის შემდგომი სავარჯიშო	

დამატებითი რესურსები

DVD „ჩუმი მოწმეები“

იხ. ზოგადი ნაწილი ზემოთ და 13.1 სავარჯიშოს „შენიშვნები ფასილიტატორისთვის“ ქვემოთ.

შენიშვნები ფასილიტატორებისთვის
(60 წუთი) შეიძლება გაგრძელდეს 76 წუთამდე,
იხ. „სასარგებლო რჩევები ფასილიტატორს“

სავარჯიშო 13.1: მშობლების/მზრუნველების დასახმარებლად მომზადებული ინფორმაციის ნიმუშის განხილვა

მეცადინეობის შედეგები

- იმ ტიპის ინფორმაციის შესწავლა, რომელიც შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს იმ მშობლებისთვის/მზრუნველებისთვის, რომლებსაც აღელვებთ ძალადობა სკოლაში;
- ისეთი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენა, რომლებიც ხელს შეუწყობს ფასილიტატორებს, დაეხმარონ სკოლის თანამშრომლებს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის შესახებ ინფორმაციის გამოყენებაში მშობლებთან/მზრუნველებთან თანამშრომლობის განვითარების მიზნით.

ტრენინგის თანმიმდევრობა

აჩვენეთ ჯგუფს DVD „ჩუმი მოწმეები“. განუწყვეტელი ჩვენების პირობებში საჩვენებელი ნაწილი სულ 10 წუთს დაიკავებს.

გაიმეორეთ ეს ნაწილი, მაგრამ ამჯერად გააჩერეთ ჩანაწერი ყოველი მონაკვეთის შემდეგ და დასვით ისეთი კითხვები, რომ მთელი ჯგუფი ჩაებას განხილვაში.

სასარგებლო რჩევები ფასილიტატორს

DVD-ის „ჩუმი მოწმეები“ მენიუს ჩამონათვალში შესაბამისი ნაწილი მეხუთეა ზემოდან, მას ეწოდება „მოდული მასწავლებლები/მშობლები/მზრუნველები“. ეს არის ინტერვიუ დუბლინის თრინითი კოლეჯის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის საწინააღმდეგო კვლევითი ცენტრის პროფესორ მონა ომურთან. იგი 13 ნაწილშია თავმოყრილი.

ეს DVD ყოველ ქვეყანაში ვრცელდება ყოველგვარი საავტორო უფლებების გარეშე. შესაძლებელია ტიტრების გაკეთება ამა თუ იმ ქვეყნის ენაზე. ასევე შეიძლება პროფესორ ომურის სიტყვების დუბლირება.

განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, თუ როგორ შეიძლება ასეთი ვიზუალური მაგალითის გამოყენება მშობლებთან თანამშრომლობის გაღრმავების საკითხში სკოლების დასახმარებლად. კითხვები ჩამოყალიბებულია ისე, რომ შეიძლებოდეს დისკუსიის გამოწვევა ყველა კლასში. ტრენინგის წარმმართველმა ფასილიტატორებმა უნდა სთხოვონ მონაწილეებს, განიხილონ პასუხები, როგორც მშობლებმა, ისე, რომ მათ იგრძნონ ის, რასაც შეიძლება გრძნობდეს მშობელი DVD-ის ყურებისას.

კარგი იქნება, თუ მონაწილეები სკოლებიდან გამოიყენებდნენ ამ სავარჯიშოს მასწავლებლების და მშობლების (რომლებიც ერთად სწავლობენ) ჯგუფებთან.

ჯგუფს უნდა აუხსნათ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ ფასილიტატორმა ჩვენებამდე ზედმიწევნით კარგად შეისწავლოს DVD-ის შინაარსი. თქვენ ასევე უნდა შეახსენოთ

ჯგუფს ამ მასალის სასწავლო უპირატესობა იმ მონაწილეთათვის, ვინც ვიზუალური და სმენითი მეთოდით სწავლობს (იხ. ფასილიტატორის გზამკვლევი, ნაწილი 4.1).

„ჩუმი მოწმეები“

უსათაურო შესავალი ნაწილი

პროფესორი ომური ეხება ტერმინების — ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა (ე.წ. „ბულინგი“) — განსაზღვრასთან დაკავშირებულ საკითხებს და „ბულინგის“ შემთხვევათა მაჩვენებელს, რომელიც გამოკვლევის შედეგად ირლანდიის რესპუბლიკაში მიიღეს.

კითხვები აუდიტორიის მიმართ:

როგორ განსაზღვრავდით სიტყვას „ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა“ — „ბულინგი“ თუ „ძალადობა სკოლაში“?

როგორია ასეთი შემთხვევების რაოდენობის მაჩვენებელი თქვენს ქვეყანაში/რეგიონში/სკოლაში? ცნობილია თუ არა ეს მაჩვენებლები? თქვენი პროფესიიდან გამომდინარე, რა პასუხს გასცემდით მშობელს, რომელიც გეკითხებათ, რამდენად ჩვეულებრივია ბავშვებისთვის იქ, სადაც თქვენ ცხოვრობთ, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა სკოლებში?

ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა – მრავალგანზომილებიანი პრობლემა

ნაჩვენებია ის მრავალი როლი, რომლის შესრულებაც მოსწავლეს შეუძლია სკოლაში ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის სიტუაციაში (ე.წ. „მონაწილეთა როლები“), და ის იდეა, რომ ნებისმიერი მოსწავლე სკოლაში შეიძლება იყოს „ბულინგის“ ინიციატორი ან მსხვერპლი.

კითხვები აუდიტორიის მიმართ:

შეგიძლიათ თუ არა მოიფიქროთ პრაქტიკული გზები, რომ მოსაზრება — ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობაში შეიძლება ჩაერთოს „ნებისმიერი ბავშვი“ — გამოყენებულ იქნეს იმისათვის, რომ მშობლების/მზრუნველების უმრავლესობა ჩაერთოს სკოლაში „ბულინგისა“ და ძალადობის აღმოფხვრისკენ მიმართულ სასკოლო პროგრამებში?

ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლნი

განიხილება იმ მოსწავლეების საკითხი, რომლებიც განსაკუთრებული რისკის ქვეშ იმყოფებიან, ასევე განიხილება მსხვერპლებზე „ბულინგის“ მოკლე და გრძელვადიანი ზემოქმედება.

კითხვები აუდიტორიის მიმართ:

ეთანხმებით პროფესორ ომურის მოსაზრებას, რომ მოსწავლეთა გარკვეული კატეგორიები შეიძლება უფრო მეტად იყოს მოქცეული რისკის ქვეშ? თუ არა, რატომ? თუ კი, როგორი ტიპის მოსწავლეებს გულისხმობთ ასეთ კატეგორიებში?

ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ზემოქმედება მსხვერპლზე

წარმოდგენილია ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ზემოქმედება მოსწავლეებზე.

კითხვები აუდიტორიის მიმართ:

არის თუ არა „ბულინგის"/ძალადობის კიდევ რაიმე სხვაგვარი ზემოქმედება, რომელიც აქ არ არის განხილული?

ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მოწმეებზე ზემოქმედება შემდგომ ცხოვრებაში

განხილულია პოტენციური გრძელვადიანი ზემოქმედება ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მოწმეებზე.

კითხვები აუდიტორიის მიმართ:

არის თუ არა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მოწმეებზე გრძელვადიანი ზემოქმედების რაიმე სხვა სახე, რომელიც აქ არ არის განხილული?

ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლებზე ზემოქმედება შემდგომ ცხოვრებაში

განხილულია პოტენციური გრძელვადიანი ზემოქმედება სკოლაში „ბულინგის" მსხვერპლზე.

კითხვები აუდიტორიის მიმართ:

არის თუ არა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლებზე სხვა გრძელვადიანი ზემოქმედება, რომელიც აქ არ არის განხილული?

ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ჩამდენები შემდგომ ცხოვრებაში

განხილულია სკოლაში ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ჩადენაში მონაწილეობის პოტენციური გრძელვადიანი შედეგები.

კითხვები აუდიტორიის მიმართ:

რამდენად ეთანხმებით პროფესორ ომურის მოსაზრებას, რომ არსებობს „არასახარბიელო გრძელვადიანი პროგნოზი" ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ჩამდენებისათვის?

ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ჩამდენის დახასიათება

პროფესორი ომური ლაპარაკობს იმ ფსიქოლოგიურ მახასიათებლებზე, რომელთა მატარებელია ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ჩამდენი.

კითხვები აუდიტორიის მიმართ:

რამდენად გჯერათ, რომ დაგეხმარებათ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ჩამდენის დახასიათება? ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ინიციატორების და

მსხვერპლების სტერეოტიპული სურათები დაეხმარა თუ ხელი შეუშალა ჩვენს აღქმას, რომ ყველა შეიძლება ჩართულ იქნეს ძალადობის ჩადენაში?

თქვენი აზრით (ან გამოცდილებით), როგორ ხატავს სკოლის სხვადასხვა ჯგუფი (მოსწავლეები,მშობლები/მზრუნველები,თანამშრომლები)ფიზიკურიდაფსიქოლოგიური ძალადობის „ტიპურ“ ინიციატორებს? განსხვავდება თუ არა ეს სურათები სხვადასხვა ჯგუფში და როგორ?

ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მოტივები

რატომ ახდენს ბავშვების ნაწილი მეორეზე ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას, როცა ამას ყველა არ აკეთებს?

კითხვები აუდიტორიის მიმართ:

თქვენი პროფესიული შესაძლებლობების ფარგლებში, პროფესორი ომურის იდეებზე და თქვენს საკუთარ შეხედულებაზე დაყრდნობით, როგორ უპასუხებდით კითხვას: „რატომ ახდენს ზოგიერთი ბავშვი თავის თანატოლზე ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას?”, თუ ამ კითხვას დაინტერესებული მშობელი დაგისვამთ?

რისი გაკეთება შეუძლია სკოლას ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის თავიდან აცილების მიზნით?

განხილულია ზოგიერთი ის სამუშაო, რომელიც ჩაატარა ირლანდიის რესპუბლიკის დუბლინის თრინითი კოლეჯის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის საწინააღმდეგო კვლევითმა ცენტრმა.

კითხვები აუდიტორიის მიმართ:

სკოლებისთვის რა მომსახურებებია (მთავრობისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მართული) ხელმისაწვდომი თქვენს ქვეყანაში? იციან თუ არა მშობლებმა/ მზრუნველებმა ამ მომსახურებების შესახებ?

ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მიზეზები

პროფესორი ომური ასახელებს სკოლაში ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ფენომენის ღრმა მიზეზებს.

კითხვები აუდიტორიის მიმართ:

წინა კითხვის მსგავსად, თქვენი პროფესიული შესაძლებლობების ფარგლებში, პროფესორი ომურის იდეებზე და თქვენს საკუთარ შეხედულებაზე დაყრდნობით, როგორ უპასუხებდით კითხვას: „რა იწვევს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას?“, თუ ამ კითხვას დაინტერესებული მშობელი დაგისვამთ?

სკოლებში ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის საწინააღმდეგო ზომები

პროფესორი ომური გვაძლევს ზოგიერთ მნიშვნელოვან მიმართულებას იმასთან დაკავშირებით, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ სკოლებს და რა უნდა გააკეთონ მათ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის წინააღმდეგ.

კითხვები აუდიტორიის მიმართ:

რისი გაკეთება შეუძლიათ სკოლებს და რა უნდა გააკეთონ მათ სკოლაში ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის წინააღმდეგ თქვენს ქვეყანაში? რით განსხვავდება ეს ირლანდიაში არსებული სიტუაციისგან, რომელიც პროფესორმა ომურმა აღწერა?

რა უნდა გააკეთონ მშობლებმა/მზრუნველებმა

პროფესორიომურიამშემთხვევაშიცგვთავაზობსზოგიერთმნიშვნელოვანმიმართულებას იმასთან დაკავშირებით, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ მშობლებს/მზრუნველებს.

კითხვები აუდიტორიის მიმართ:

ამ ნაწილისთვის არსებობს მეცადინეობის შემდგომი სავარჯიშო (იხ. სავარჯიშო 13.3).

სასარგებლო რჩევები ფასილიტატორს

DVD-ის პაკეტი ყველაზე შესაფერისია მასწავლებლების და 10 წელზე უფროსი ბავშვების მშობლების/მზრუნველებისთვის და ამას მისი დრამატული კადრები ადასტურებს. მიუხედავად ამისა, თემები და რჩევები საკმაოდ ზოგადია იმისათვის, რომ დაინტერესდნენ შედარებით უმცროსი ასაკის ბავშვების მშობლები/მზრუნველები და მასწავლებლები. თუ ფილმს მათთან სამუშაოდ გამოიყენებთ, მაშინ ჯგუფს უნდა მიეთითოს, რომ ეს მშვენიერი მაგალითია მოდელირებისა, რომელიც დაეხმარება ნებისმიერ ჯგუფს იდეების გაგებაში და ამის შესაბამისად მოქმედებაში.

პროფესორ ომურთან ინტერვიუში ჩართულია „ჩუმი მოწმეების“ დრამატული კადრები. თუ ფიქრობთ, რომ სასურველია, აუდიტორიამ ნახოს ეს კადრები, დაიწყეთ DVD-ის მენიუს მეოთხე ნაწილიდან — „გაუშვით ფილმის ყველა კადრი“, შემდეგ ჩართეთ „მასწავლებლების/მშობლების/მზრუნველების მოდული“. ტრენინგის წარმმართველმა ფასილიტატორებმა უნდა აღნიშნონ, რომ ასეთ შემთხვევაში სავარჯიშოს კიდევ 16 წუთი დაემატება.

ზემოთმოცემულიჯგუფურიგანხილვისთვისგანკუთვნილიმრავალიკითხვისშემთხვევაში შესაძლებელია ზოგადი განხილვის („კითხვები აუდიტორიის მიმართ“) გადატანა მცირე ჯგუფებთან სამუშაოდ, რაც მნიშვნელოვნად გაახანგრძლივებს სავარჯიშოს დროს.

არის დროის ძალიან გახანგრძლივების საშიშროება, ამიტომ ფასილიტატორებმა უნდა მიმართონ ტემპის განმსაზღვრელ მეთოდს (იხ. ფასილიტატორის გზამკვლევის მე-9 თავი). ამის ალტერნატივაა იმ ნაწილების შერჩევა, რომლებსაც ჯგუფი უფრო საინტერესოდ ჩათვლის, და იქიდან გამომდინარე განზოგადება.

დამატებითი რესურსები

DVD დრაივერი კომპიუტერზე (ხმასთან ერთად)

ქაღალდის დაფა ან რაიმე მსგავსი

DVD „ჩუმი მოწმეები“

სავარჯიშო 13.2: იმ მშობლების მდგომარეობის გათვითცნობიერება, რომელთა შვილები მონაწილეობენ ძალადობასთან დაკავშირებულ ინციდენტებში

მეცადინეობის შედეგები

- იმ მშობლების/მზრუნველების მდგომრეობისა და გრძნობების გაგება, რომელთა ბავშვებს/მოზარდებს სკოლაში არსებული ძალადობის ინციდენტებში სამიზნეების სახით უწევთ მონაწილეობა;
- იმ მშობლების/მზრუნველების მდგომრეობისა და გრძნობების გაგება, რომელთა ბავშვები/მოზარდები სკოლაში არსებული ძალადობის ინციდენტებში მოძალადეების სახით მონაწილეობენ;
- უნარების ჩამოყალიბება მშობლების განსხვავებული პოზიციების/მოთხოვნების დასარეგულირებლად.

ტრენინგის თანმიმდევრობა

დაყავით მონაწილეები 4-6 ადამიანისგან შემდგარ ხუთ ჯგუფად.

თითოეულ ჯგუფს მიეცით თავისი თემა ისე, რომ ხუთივე ჯგუფის ხუთივე თემა საბოლოოდ მოიცავდეს მთლიანი ჯგუფის ტრენინგის თემას:

ა. ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ფასეულობები, რომლებიც მინდა ჩავუნერგო ჩემს შვილს.

ბ. რა ვასწავლო ჩემს შვილებს ისეთი, რაც დაეხმარებოდა მათ იმედგაცურების ან კონფლიქტის დროს.

გ. სხვადასხვა ზემოქმედება ბავშვის დამოკიდებულებებსა და ქცევაზე.

დ. რას ვიგრძნობდი, როგორც მშობელი, სკოლაში მისვლისას, თუ შემხვდებოდა სკოლის რომელიმე თანამშრომელი და შემატყობინებდა, რომ ჩემი შვილი აღმოჩნდა ძალადობის ინციდენტის მონაწილე *სამიზნის* როლში.

ე. რას ვიგრძნობდი, როგორც მშობელი, სკოლაში მისვლისას, თუ შემხვდებოდა სკოლის რომელიმე თანამშრომელი და შემატყობინებდა, რომ ჩემი შვილი აღმოჩნდა ძალადობის ინციდენტის მონაწილე *მოძალადის* როლში.

მიეცით თითოეულ ჯგუფს დიდი ქაღალდი, რომელზეც დახატული იქნება კაცუნა. იქონიეთ 50 ცალი A4 ფორმატის ფურცელი, რომელთა გამოყენებასაც შეძლებენ ჯგუფები აზრებისა და გრძნობების ჩასაწერად „სალაპარაკო ბუშტუკებში“ (იხ. საილუსტრაციო მასალა 13.2). სთხოვეთ ჯგუფებს, ჩაიწერონ მშობლების აზრები და გრძნობები ფურცლებზე და მიაწებონ პოსტერზე (იხ. ფასილიტატორის გზამკვლევის 10.3.4 ნაწილი).

მოაწყვეთ პოსტერების გამოფენა ოთახში და სთხოვეთ მონაწილეებს, დაათვალიერონ ისინი და იმსჯელონ იმის შესახებ, თუ რომელი მათგანი მიესადაგება მათთვის მიცემულ თემებს.

გააერთიანეთ ჯგუფები და მოკლედ მიმოიხილეთ სავარჯიშო ქვემოთ მოცემული კითხვების გამოყენებით, რათა დაეხმაროთ მონაწილეებს, იგრნონ თავი იმ მშობლების როლში, რომელთა ბავშვებმაც განიცადეს ძალადობა:

I. რით ჰგავს ან ეწინააღმდეგება ერთმანეთს პოსტერები (ა) და (ბ) თემებიდან? შეესაბამება თუ არა ერთმანეთს ის, რასაც ბავშვები ხედავენ და ესმით ოჯახში? რა გვინდა ვასწავლოთ ჩვენს შვილებს (ა) და რა შეიძლება ვასწავლოთ მათ გაუთვითცნობიერებლად, მაგალითის სახით (ბ)?

II. როგორ იცვლება (გ) პოსტერში ჩამოთვლილი სხვადასხვა ზემოქმედება ბავშვებზე, როცა ისინი იზრდებიან?

III. რით განსხვავდება ერთმანეთისაგან (დ) და (ე) სიტუაციებში მოცემული მშობლების ფიქრები და გრძნობები?

IV. როგორ უნდა მოემზადოს მასწავლებელი ერთ-ერთი ამგვარი ან ორივე ტიპის მშობელთან შეხვედრისთვის?

სასარგებლო რჩევები ფასილიტატორს

უფრო სახალისო იქნება, თუ ურჩევთ ჯგუფებს, საიდუმლოდ შეინახონ თავიანთი თემები ერთმანეთისგან ისე, რომ პოსტერებს არ ჰქონდეს სათაურები, როცა სხვები დაიწყებენ მათ დათვალიერებას და განხილვას – სათაურის მინიჭება ბოლოს შეიძლება.

ზოგიერთი ჯგუფისთვის დავალების შესრულება შეიძლება რთული აღმოჩნდეს. სავარჯიშოს განმარტებისას შეახსენეთ მათ, რომ იდეების „სალაპარაკო ბუშტუკებში“ ჩაწერისას უნდა მოახდინონ ყურადღების კონცენტრირება აზრებსა და გრძნობებზე.

ჯგუფებში შეიძლება გაერთიანებული აღმოჩნდნენ როგორც შვილიანი, ისე უშვილო ადამიანები. საინტერესო იქნება საბოლოო განხილვისას მიღებული კონტრასტი – არის თუ არა განსხვავება იმაში, რასაც *ვამბობთ, ვიდრე* მშობლები/ბავშვზე მზრუნველები გავხდებით, და რასაც *სინამდვილეში ვაკეთებთ,* როცა უკვე მშობლები/ბავშვზე მზრუნველები ვართ?

(გ) თემაზე მომუშავე ჯგუფმა შეიძლება მოინდომოს გარკვეული ასაკის ბავშვებზე მსჯელობა ან, თუ დრო აქვთ, შეიძლება ისაუბრონ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფზე. მათ შეიძლება შევთავაზოთ, გვიჩვენონ თავიანთ პოსტერზე, როგორ იცვლება ბავშვზე ზემოქმედება მისი ასაკის მატებასთან ერთად. ეს დაეხმარება მათ საბოლოო განხილვაში მე-2 პუნქტზე მსჯელობისას.

სწავლის სამივე შედეგის მიღწევის მიზნით შეიძლება აუცილებელი გახდეს ბოლო, მე-4 პუნქტზე — როგორ უნდა მოემზადოს მასწავლებელი ერთ-ერთი ამგვარი ან ორივე ტიპის მშობელთან შეხვედრისთვის? — უფრო ხანგრძლივად შეჩერება.

დამატებითი რესურსები

ქაღალდის დაფა და ფურცლები

მისაწებებელი ქაღალდები

50 ცალი A4 ფორმატის ფურცელი („სალაპარაკო ბუშტუკები“) მონაწილეებისთვის საკუთარი აზრების ჩასაწერად.

მარკერები დაფისთვის.

სავარჯიშო 13.2: იმ მშობლების მდგომარეობის გათვითცნობიერება, რომელთა შვილები მონაწილეობენ ძალადობასთან დაკავშირებულ ინციდენტებში

4-6 კოლეგისგან შემდგარ ჯგუფთან მუშაობისას მოგეცემათ განსახილველი თემა ისე, რომ მთლიანად ჯგუფმა განიხილოს ხუთი თემა.

თქვენ უნდა აღმოჩნდეთ იმ მშობლის „ტყავში", რომლის შვილი მონაწილეობდა ძალადობის ინციდენტში სკოლაში.

ა. ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ფასეულობები, რომლებიც მინდა ჩავუნერგო ჩემს შვილს.

ბ. რა ვასწავლო ჩემს შვილებს ისეთი, რაც დაეხმარებოდა მათ იმედგაცურების ან კონფლიქტის დროს.

გ. სხვადასხვა ზემოქმედება ბავშვის დამოკიდებულებებსა და ქცევაზე.

დ. რას ვიგრძნობდი, როგორც მშობელი, სკოლაში მისვლისას, თუ შემხვდებოდა სკოლის რომელიმე თანამშრომელი და შემატყობინებდა, რომ ჩემი შვილი აღმოჩნდა ძალადობის ინციდენტის მონაწილე *სამი ზნის* როლში.

ე. რას ვიგრძნობდი, როგორც მშობელი, სკოლაში მისვლისას, თუ შემხვდებოდა სკოლის რომელიმე თანამშრომელი და შემატყობინებდა, რომ ჩემი შვილი აღმოჩნდა ძალადობის ინციდენტის მონაწილე *მოძალადის* როლში.

ეს სავარჯიშო ეხება იმ აზრებსა და გრძნობებს, რომლებსაც შეიძლება განიცდიდნენ მშობლები.

თქვენს ჯგუფში დახატეთ ქაღალდის დაფაზე კაცუნა, რომელიც შეასრულებს მშობლის როლს.

ჩაიწერეთ მშობლის აზრები და გრძნობები ფურცლებზე („სალაპარაკო ბუშტუკებში") და მიაკარით თქვენს დაფაზე ისე, რომ გამოგივიდეთ პოსტერი.

10 წუთის შემდეგ ყველამ უნდა გააკრას თავისი დასრულებული პოსტერი ოთახში. ჯგუფების წევრები ათვალიერებენ ერთმანეთის პოსტერებს და მსჯელობენ მშობლების იქ წარმოდგენილ აზრებსა და გრძნობებზე.

შენიშვნები ფასილიტატორებისთვის
(40 წუთი)

სავარჯიშო 13.3: მშობლების/მზრუნველების დახმარება, რათა მათ შეძლონ, თავის მხრივ, დახმარება გაუწიონ თავიანთ ბავშვებს სკოლაში მიღებული სიტყვიერი შეურაცხყოფის მართვაში

მეცადინეობის შედეგები

- სიტყვიერ შეურაცხყოფასთან გამკლავების გზების შესწავლა, ასევე იმ გზების შესწავლა, რომლებითაც მშობლებს/მზრუნველებს თავისი ბავშვებისთვის ამის სწავლება შეუძლიათ;
- სკოლაში ძალადობაში სიტყვიერი შეურაცხყოფის როლის გათვითცნობიერება;
- ტრენინგის მონაწილეთა მიერ დაკვირვების და საპასუხო რეაგირების გამოხატვის უნარების შეძენა.

ტრენინგის თანმიმდევრობა

ეს როლების გათამაშებაზე დამყარებული სავარჯიშოა, სადაც მონაწილეები იყენებენ პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებულ გამოკითხვას იმის საჩვენებლად, თუ როგორ შეიძლება მშობლის დახმარება ისე, რომ მან, თავის მხრივ, შეძლოს, დახმარება გაუწიოს თავის შვილს.

დაყავით ტრენინგის მონაწილეთა ჯგუფი სამკაციან ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფში

ერთი ითამაშებს „მშობლის“ როლს, მეორე იქნება „ბავშვი“, ხოლო მესამე — „მრჩეველი“.

სცენარს ადგენენ სამკაციანი ჯგუფების წევრები იმ საჩივრიდან გამომდინარე, რომელიც „ბავშვს“ აქვს სკოლაში მის სიტყვიერ შეურაცხყოფასთან დაკავშირებით. „ბავშვი“ ატყობინებს თავის საჩივარს „მშობელს“.

აუხსენით ტრენინგის მონაწილეებს პრობლემისადმი სამი მიდგომა: დუმილი, იუმორი ან საკუთარი თავის რწმენა (იხ. „სასარგებლო რჩევები ფასილიტატორს“, ქვემოთ). „მშობელი“ ცდლობს მოცემული სამი მიდგომიდან რომელიმეს ამორჩევას სიტუაციის მიხედვით და ამ სიტუაციას იგი როლების მიხედვით თამაშობს „ბავშვთან“.

„მრჩევლის“ როლია, დააკვირდეს, რამდენად კარგად იქნა შესრულებული ეს ყველაფერი. „დამკვირვებელი“ აცხადებს, თუ რომელი უნარების პრაქტიკული განხორციელება დაინახა მან. შემდეგ დამკვირვებელმა უნდა დასვას პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული კითხვები, რაც დაეხმარება როგორც „მშობელს“, ისე „ბავშვს“ იმ სიტუაციის წარმოდგენაში, როცა შეურაცხყოფა მთლიანად დაძლეულია, და დაფიქრებაში იმაზე, თუ რა შეიცვალა (იხ. ფასილიტატორის გზამკვლევის 3.3 ნაწილი).

აუხსენით ჯგუფს პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული მიდგომის მიზანი, რაც მდგომარეობს როგორც მშობლის, ისე ბავშვის დახმარებაში, ფიქრში სასურველ მომავალზე და იმაზე, თუ რა შეიცვალა და სამი მიდგომიდან (დუმილი, იუმორი ან საკუთარი თავის რწმენა) რომელმა გამოიწვია აღნიშნული ცვლილება.

თუ დრო მოგცემთ ამ საშუალებას, კარგი იქნება, თუ ჯგუფის თითოეული მონაწილე შეასრულებს ყველა როლს. თითოეული გათამაშება 10 წუთს უნდა გრძელდებოდეს (დროს ყველა შემთხვევაში უნდა აკონტროლებდეს „მრჩეველი“ – 5 წუთი როლების გათამაშებისთვის და 5 წუთი საპასუხო რეაგირებისთვის).

გადაინაცვლეთ ჯგუფიდან ჯგუფში და მოუსმინეთ მათ.

ტრენინგის მთელი ჯგუფი ისევ ერთიანდება, ხოლო ფასილიტატორი უძღვება ჯგუფის წევრების მიერ მიღებული გამოცდილების განხილვას (10 წუთი).

სასარგებლო რჩევები ფასილიტატორს

ტრენინგის საერთო მიზანს წარმოადგენს მშობლებისთვის/მზრუნველებისთვის იმის სწავლება, თუ როგორ ასწავლონ ბავშვებს (!) სიტყვიერ შეურაცხყოფასთან გამკლავება. ძირითადი პირობაა, რომ ბავშვს უნდა შეეძლოს მშობლისთვის იმ სიტუაციის აღწერა, რომელიც მან გადაიტანა ან რომელიც მას აშინებს. ამის შემდეგ ბავშვმა მშობელთან ერთად უნდა მოიფიქროს, მოცემული სამი ხერხიდან (დუმილი, იუმორი, საკუთარი თავის რწმენა) რომელი იმუშავებდა უკეთ.

დუმილი შეიძლება ნიშნავდეს თქვენს შეურაცხმყოფელთან შეხვედრის ან ურთიერთობისთვის თავის არიდებას – ჩაუარეთ (არ გაიქცეთ!), თუ დაინახავთ მას/მათ; არ მიაქციოთ ყურადღება, თუ ვინმე რაღაც დამაკნინებელ სახელს გეძახით; ისე დაიჭირეთ თავი, თითქოს არც გაგიგონიათ არაფერი. მართალია, ძალიან ძნელია ყველაფერი ამის უპასუხოდ დატოვება, მაგრამ შესაძლებელია.

იუმორი ნიშნავს ჭკვიანური პასუხის მოფიქრებას; ისე მოქცევას, თითქოს ეს საერთოდ არ გაწუხებთ. კერძოდ, უპასუხეთ სიცილით (ძნელია, მაგრამ შესაძლებელი!). გახსოვდეთ, რომ ადამიანები, რომლებიც შეურაცხყოფას აყენებენ სხვებს, სიამოვნებას განიცდიან მსხვერპლის გაბრაზებისგან; თუ თქვენ მას არ მისცემთ ამის საშუალებას, ისინი ალბათ გაჩერდებიან ან ამოირჩევენ ვინმე სხვას, რომელიც აშკარად ბრაზდება მათ სიტყვებზე.

საკუთარი თავის რწმენა ნიშნავს მტკიცედ დგომას, თავდაჯერებას, მაკფიოდ და მტკიცედ ლაპარაკს, პირდაპირ თვალებში ყურებას (ყოველთვის!) და შეურაცხმყოფელისთვის მოწოდებას, რომ გაჩერდეს.

ფასილიტატორის შენიშვნა: შეახსენეთ ჯგუფს, რომ არავითარი იუმორი ან საკუთარი თავის რწმენა არ გამოდგება სერიოზული ფიზიკური თავდასხმისას. ეს კანონსაწინააღმდეგო საქციელია და ამის შესახებ ყოველთვის უნდა ეცნობოს სკოლის ადმინისტრაციას (და, თუ აუცილებელია, უფრო მაღლა მდგომ რომელიმე ორგანოს).

სავარჯიშო 13.3: მშობლების/მზრუნველების დახმარება, რათა მათ შეძლონ, თავის მხრივ, დახმარება გაუწიონ თავიანთ ბავშვებს სკოლაში მიღებული სიტყვიერი შეურაცხყოფის მართვაში

ამ სავარჯიშოში მოგეთხოვებათ სამკაციან ჯგუფებში მუშაობა. თითოეული სამკაციანი ჯგუფიდან ერთი ითამაშებს „მშობლის“ როლს; მეორე წევრი იქნება „ბავშვი“, ხოლო მესამე — „მრჩეველი”.

წარმოიდგინეთ მდგომარეობა, როცა თქვენს ბავშვს, გზაზე სკოლისკენ ან სკოლიდან, ვიღაცა რეგულარულად აყენებს სიტყვიერ შეურაცხყოფას. „ბავშვს“ თქვენი ჯგუფიდან მოეთხოვება, აღუწეროს „მშობელს“, რა ხდება, ხოლო „მშობელმა“ უნდა აღწეროს, რას გრძნობს იგი ამასთან დაკავშირებით. „ბავშვის“ როლის შემსრულებელს შეუძლია გაიხსენოს თავისი ბავშვობა, თუ მომხდარა ასეთი რამ მის ცხოვრებაში. ეს მას გაუადვილებს „ბავშვის“ როლის შესრულებას.

„მშობელმა“ უნდა სცადოს ისეთი გზის მოძებნა, რომლის დახმარებითაც ბავშვი შეძლებდა სიტუაციასთან გამკლავებას ერთ-ერთი ხერხით მაინც: დუმილით, იუმორით ან საკუთარი თავის რწმენით. ახლა მან უნდა გაითამაშოს მასთან ეს როლები.

„მრჩევლის“ როლია დააკვირდეს, რამდენად კარგად იქნა შესრულული ეს ყველაფერი. „დამკვირვებელი“ აცხადებს, თუ რომელი უნარების პრაქტიკული განხორციელება დაინახა მან. დამკვირვებელმა შემდეგ უნდა დასვას პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული კითხვები, რაც დაეხმარება როგორც „მშობელს“, ისე „ბავშვს“ იმ სიტუაციის წარმოდგენაში, როცა შეურაცხყოფა მთლიანად დაძლეულია, და დაფიქრებაში იმაზე, თუ რა შეიცვალა:

რა იქნება განსხვავებული?	რა შეიძლებოდა მომხდარიყო?
როგორ გაიგებდით?	უკვე რა მცირე ნიშნებს ხედავთ?
რა იქნება პირველი ნიშანი?	კიდევ ვინ შეამჩნევს ამას?
პირველი ვინ შეამჩნევს?	კიდევ რა იქნება განსხვავებული?

თუ დრო მოგცემთ ამის საშუალებას, კარგი იქნება, თუ ჯგუფის თითოეული წევრი შეასრულებს ყველა როლს.

დროს ყველა შემთხვევაში უნდა აკონტროლებდეს „მრჩეველი“ – 5 წუთი როლების გათამაშებისთვის და 5 წუთი საპასუხო რეაგირებისთვის.

მიაქციეთ ყურადღება: არავითარი იუმორი ან საკუთარი თავის რწმენა არ გამოდგება სერიოზული ფიზიკური თავდასხმისას. ეს კანონსაწინააღმდეგო საქციელია და ამის შესახებ ყოველთვის უნდა ეცნობოს სკოლის ადმინისტრაციას (და, თუ აუცილებელია, უფრო მაღლა მდგომ რომელიმე ორგანოს).

ქვემოთ მოცემული სავარჯიშოების მიზანია, დაგეხმაროთ ამ მეცადინეობის ზოგიერთი იდეის გამოყენებაში და მშობლების სკოლასთან თანამშრომლობისა და ძალადობის აღმოფხვრის საქმეში გაუმჯობესების მიღწევაში.

თქვენს კოლეგებთან სკოლაში შეგიძლიათ იმუშაოთ შემდეგ საკითხებზე:

1. შეადგინეთ წერილი, რომელშიც გამოხატავთ თანაგრძნობას მშობლების პრობლემებისადმი და მოიწვევთ მათ შემდეგი საკითხების განსახილველად – რა გავლენის მოხდენა შეუძლიათ მშობლებს სკოლაში ძალადობის აღმოფხვრის პოლიტიკაზე და როგორ შეიძლება ამის განხორციელება ოჯახშიც და სკოლაშიც.

2. ამ მეცადინეობის მასალების, 13.1 სავარჯიშოში გამოყენებული DVD-ის ნაწილის და აღნიშნულ სავარჯიშოში მოცემული მასალების გამოყენებით შექმენით მშობლების/მზრუნველებისთვის სკოლის საინფორმაციო საღამოს სცენარი. ამ თვალსაზრისით ალბათ ძალიან გამოგადგებათ ომურის და მილტონის *„გამკლავება ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობასთან სკოლებში: ტრენინგის სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის, მშობლების/მზრუნველებისა და სხვა პროფესიონალებისათვის“* (O'Moore and Minton (2004). *Dealing with bullying in school.s A training manual for teachers, parents/guardians and other professionals)* – გვ. 49-70, განსაკუთრებით კი — გვ. 94-97 (იხ. „რესურსები მშობლების/მზრუნველებისთვის და ფასილიტატორებისთვის“ წინამდებარე სახელმძღვანელოს ბოლოს).

3. DVD-ის ნაწილიდან „სავარჯიშოები აუდიტორიისთვის (xv)“ ზოგადი მუხლები აიღეთ საწყის წერტილებად და შეადგინეთ ჩამონათვალი იმისა, თუ რა უნდა გააკეთონ მშობლებმა/მზრუნველებმა, ჩამოწერეთ იდეები 13.2 და 13.3 სავარჯიშოებიდან აღებული მასალებიდან. ჩამოაყალიბეთ პროგრამა. ამისათვის გამოიყენეთ მასალები წინამდებარე „სახელმძღვანელოდან ფასილიტატორებისთვის“, რაც დაეხმარება მშობლებს თქვენს ჩამონათვალში მოცემული ზოგიერთი უნარ-ჩვევის ჩამოყალიბებაში.

საილუსტრაციო მასალა 13.2: „სალაპარაკო ბუშტუკები“ მშობლების აზრებისა და გრძნობების ჩასაწერად

მე-14 მეცადინეობა

ადგილობრივ პარტნიორობათა განვითარება – სტრატეგიები ეფექტიანი ურთიერთობებისთვის

ზოგადი ინფორმაცია

რადგან სახელმძღვანელოში არ არის თავი საზოგადოებასთან მუშაობის შესახებ, ქვემოთ, მეცადინეობის შესავლის სახით, მოცემულია დამატებითი, ზოგადი ინფორმაცია.

წინამდებარე შესავალში გასათვალისწინებელია ზოგიერთი ფაქტორი, თუ გვსურს, რომ სკოლაზე დაფუძნებული პარტნიორობა ადგილობრივ საზოგადოებასთან იყოს ნაყოფიერი სკოლებში ძალადობის აღმოფხვრის საქმეში. აქ მოცემულია არა რაიმე მზა რეცეპტი, არამედ ჩამოყალიბებულია რამდენიმე ფუნდამენტური პრინციპი და გასათვალისწინებელი ზოგადი მოსაზრებები, თუ პარტნიორებს სურთ და შესწევთ უნარი ისეთი მოქმედების განხორციელებისა, რაც აღმოფხვრის ძალადობას სკოლაში.

წევრობა და უფლებამოსილება

პარტნიორობის წევრები უნდა იყვნენ საზოგადოების ყველა შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღები პირი, რომელთა ჩამონათვალიც ქვემოთ არის მოცემული:

- მთელი სასკოლო საზოგადოება: თანამშრომლები, მოსწავლეები, მშობლები;
- ფორმალური და არაფორმალური ახალგაზრდული ორგანიზაციები;
- სამოქალაქო საზოგადოება: არასამთავრობო ორგანიზაციები, ჩართულნი არაფორმალურ განათლებაში, კულტურულ საქმიანობაში, ძალადობის პრევენციაში, ასევე რელიგიური საზოგადოებები;
- სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სამყარო ზოგადად;
- მედია, განსაკუთრებით, ადგილობრივი და რეგიონული;
- სოციალური კვლევის წრეები სამეცნიერო ან სხვა შესაბამისი სტრუქტურებიდან;
- სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც მუშაობენ განათლების, ახალგაზრდობის, კულტურის, სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებზე, ჯანმრთელობის, სამართლის და კანონის უზენაესობის, რეგიონული დაგეგმვის და ურბანული პოლიტიკის პრობლემებზე, განსაკუთრებით კი მათი დეცენტრალიზებული სამსახურები ადგილობრივ დონეზე.

პარტნიორობაში ასევე უნდა შედიოდნენ საზოგადოების და სხვადასხვა ორგანოს ის წევრები, რომლებსაც შეუძლიათ მცირემასშტაბიანი ინიციატივების გამოვლენა და შემდგომი განვითარება.

განვითარება არ უნდა ეყრდნობოდეს „ზემოდან ქვემოთ“ მიღებულ მითითებებს. თუმცა პასუხისმგებლობის და უფლებამოსილების მქონე პირების ჩართვის გარეშე ადგილობრივ ინიციატივებს შეიძლება დაემუქროს უმოქმედობა და არაკეთილგანწყობა მსხვილი დაწესებულებების მხრიდან, რომლებსაც ზოგჯერ არ სურთ ერთმანეთთან თანამშრომლობა. აქედან გამომდინარე, ერთი „ზემოდან ქვემოთ“ დირექტივა სასარგებლოა: დირექტივა, რომელიც მოსთხოვს სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფ ყველა დაწესებულებას და დეპარტამენტს ერთად მუშაობას დიდი პარტნიორობების ხელშეწყობის და სკოლისათვის და მისი საზოგადოებისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებების გამოძებნის მიზნით.

თანამშრომლობის კლიმატის ჩამოყალიბების შემდეგ უფრო ადვილი იქნება პროგრამის „სკოლაში ძალადობის აღმოფხვრა“ ფარგლებში საერთო-სასკოლო სტრატეგიების მხარდაჭერა ადგილობრივ დონეზე, მაგალითად, საშუალო ზომის ადგილობრივი თემებისა. კვლევები გვიჩვენებს, რომ სწორედ ამ დონეზე შეიძლება პარტნიორობის და პირადი მონაწილეობის კონცეფციის გადაქცევა ეფექტიან და ნაყოფიერ რეალობად.

პარტნიორობის წევრებს:

- უნდა ჰქონდეთ აღიარებული მდგომარეობა სკოლის ადგილობრივ საზოგადოებაში;
- უნდა შეეძლოთ პარტნიორობისთვის საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების მიტანა, რაც გაამდიდრებდა სკოლაში უკვე არსებულ ცოდნასა და გამოცდილებას;
- უნდა ჰქონდეთ ინიციატივების განხორციელებაში აქტიური მონაწილეობის სურვილი;
- ნამდვილად უნდა აწუხებდეთ ბავშვების კეთილდღეობა;
- უნდა ჰქონდეთ ჯგუფში მუშაობის უნარი.

წამყვანი პარტნიორობები

პარტნიორობას უნდა ხელმძღვანელობდნენ და უძღვებოდნენ პროფესიონალები, რომლებსაც აქვთ კავშირების დამყარებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები და მომზადება, ასევე სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ადამიანების ორგანიზების უნარი, რათა არ მოხდეს რომელიმე ერთი სფეროსთვის პრივილეგირებული მდგომარეობის მინიჭება. აუცილებელია აზრების და გამოცდილების დიდი დიაპაზონი. როგორც ნათქვამია, რაც მეტია აზრი, მით ბრძნულია საბოლოო გადაწყვეტილება.

პარტნიორობის ლიდერები აქტიურად უნდა მართავდნენ ჯგუფებს, რათა მათ შეძლონ სხვადასხვა რეალისტური გადაწყვეტილების განხილვა, რაც ასე აუცილებელია სკოლებსა და საზოგადოებაში წარმოქმნილი სხვადასხვა სიტუაციისას. ყველა ამგვარ სიტუაციას აქვს თავისი დამახასიათებელი ნიშნები, ხოლო ძალადობის მიზეზი ბევრია და მრავალფეროვანი.

პარტნიორობის ლიდერები უფრო ფასილიტატორები უნდა იყვნენ, ვიდრე ავტოკრატები. ისინი თავისი მუშაობით უფლებამოსილებას უფრო სხვებს უნდა ანიჭებდნენ, ვიდრე საკუთარ თავზე იღებდნენ მთელ პასუხისმგებლობას. მათი ფუნქციაა სტრატეგიების ჩამოყალიბება და ჯგუფის მართვა ისე, რომ პარტნიორობა მრგვალი მაგიდის გარშემო აღწევდეს შეთანხმებებს და ადამიანებს ჰქონდეთ ამ შეთანხმებების პრაქტიკულად განხორციელების მოტივაცია.

პარტნიორობის კარგი ლიდერები მაყურებლებს მოქმედ პირებად აქცევენ. გარდა ამისა, ისინი პასუხისმგებელი არიან ფართო კავშირების დამყარებაზე, კოორდინირებაზე, ინტეგრირებაზე, ასევე ცოდნის მიღებაზე იმ ადამიანებისგან, რომლებიც ასევე ჩაბმული არიან სხვა, მსგავს საქმიანობაში.

პარტნიორობების დამატებითი ფასეულობა

სკოლის უსაფრთხოების მხარდაჭერა

როცა სკოლაში ხდება ძალადობა, ეს ძირს უთხრის სკოლის ტრადიციულ ხატს, როგორც მშვიდი თავშესაფრისა დანარჩენ საზოგადოებაში არსებული ტერორიზმისა თუ დაძაბულობისგან. სკოლას აღწერდნენ, როგორც „სიკეთის კუნძულს ბოროტების ოკეანეში“. წარსულში მრავალი სკოლა იყო ფიზიკურად თუ სიმბოლურად დაცული მაღალი გალავნით. დღეს ეს არქიტექტურული ბარიერები შეცვალა სათვალთვალო ვიდეოკამერებმა და შესასვლელებში დაყენებულმა ლითონის დეტექტორებმა.

პარტნიორობებს ადგილობრივ საზოგადოებასთან შეუძლია მჭიდრო კავშირის და ჰარმონიის შენარჩუნება მიუხედავად ამ ბარიერებისა და საზღვრებისა. ისინი ეხმარებიან სკოლებს უფრო კეთილმოსურნე და ბავშვებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნაში.

ფასეულობათა თანმიმდევრულობა

ძალადობა ანგრევს სკოლის ფუნქციას – მოამზადოს მომავალი თაობა მისი მომავალი როლისთვის – რაც გულისხმობს ბავშვებისთვის საზოგადოების ფუძემდებლური ფასეულობების გადაცემას. თუ ძალადობას არაფერს დავუპირისპირებთ, ეს დიდ საფრთხეს შეუქმნის ჩვენს მომავალს. ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა კიდევ უფრო ეფექტიანი იქნება, თუ სკოლაში და მის კედლებს გარეთ ერთი და იგივე სტანდარტები და ფასეულობები იარსებებს.

კომუნიკაცია

საზოგადოების შემწყნარებლობა ძალადობის მიმართ მცირდება. ზოგიერთ ქვეყანაში, ძალადობის ინციდენტების შემცირების ტენდენციის მიუხედავად, საზოგადოებაში დიდ აღშფოთებას იწვევს მედიის მიერ სენსაციურად გაშუქებული შემთხვევები, როგორიც არის „ბულინგი“ სკოლაში. თუ საზოგადოება უფრო ღრმად ჩასწვდება ამ საკითხების არსს და სიტუაციის რეალობას, ეს შეამცირებს ასეთ სენსაციურ დამოკიდებულებას ძალადობის მიმართ.

სასწავლო პროგრამა

ძალადობის აღმოფხვრის საკითხებზე მომუშავე პარტნიორობები დამატებით ღირებულებას სძენენ სასწავლო პროგრამას, ანუ ბავშვის საერთო გამოცდილებას და განათლებას, მიღებულს სკოლაში. ამის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს „განათლება დემოკრატიული მოქალაქეობის აღსაზრდელად“ — იგულისხმება განსაკუთრებული ყურადღება მრავალნაირი კულტურისგან შემდგარ საზოგადოებაში ცხოვრებისადმი შესაბამისი დამოკიდებულების ჩამოყალიბების მიმართ, ანუ როცა ადამიანი პატივს სცემს არსებულ განსხვავებებს და გულისყურით ეპყრობა გარემოს. „განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისთვის“ მოიცავს საგანმანათლებლო მიდგომებს და სწავლების მეთოდებს, რომლებიც მიმართულია დემოკრატიულ საზოგადოებაში თანაცხოვრების სწავლისკენ, აგრესიული ნაციონალიზმის, რასიზმისა და შეუწყნარებლობის დამარცხებისკენ და ძალადობრივი და ექსტრემისტული აზროვნებისა და ქცევის აღმოფხვრისკენ.

დემოკრატიული მოქალაქეობის აღსაზრდელი განათლებისთვის საჭირო უნარები ანალოგიურია იმ უნარებისა, რომლებიც საზოგადოების პარტნიორობას ეფექტიანობისთვის ესაჭიროება. ეს არის:

- კონფლიქტების გადაწყვეტა არაძალადობრივი გზით;
- არგუმენტების მოყვანა საკუთარი შეხედულების დასაცავად;
- სხვა ადამიანის არგუმენტების მოსმენა, გაგება და ინტერპრეტაცია;
- განსხვავებების აღიარება და მიღება;
- არჩევანის გაკეთება, ალტერნატივების მხედველობაში მიღება და მათი გაანალიზება ეთიკური თვალსაზრისით;
- პასუხისმგებლობის განაწილება;
- კონსტრუქციული, არააგრესიული ურთიერთობის დამყარება სხვებთან;
- ინფორმაციის, აზროვნების და ფილოსოფიური, რელიგიური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული კონცეფციების მიმართ კრიტიკული მიდგომის ჩამოყალიბება და, ამავე დროს, ევროპის საბჭოს ფუნდამენტური ფასეულობებისა და პრინციპებისადმი ერთგულების შენარჩუნება.

სკოლებში ძალადობის პრევენციაზე მუშაობისას უნდა გახსოვდეთ, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში სკოლისგან არ უნდა მოელოდეთ ძალადობის წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას. რა თქმა უნდა, სკოლები მთავარ როლს ასრულებენ ამ საქმეში, მაგრამ ისინი მარტო ვერ შეძლებენ ბრძოლას იმ ზოგადი დაძაბულობისა და სოციალური პრობლემების წინააღმდეგ, რომლებიც წარმოიშობა ფართო საზოგადოებაში, რომლის ნაწილსაც სკოლა წარმოადგენს.

სკოლაში ძალადობის პრევენციის ნებისმიერი სერიოზული ძალისხმევისას აუცილებელია თანამედროვე საზოგადოებაში ძალადობის გამომწვევი მიზეზების გარკვევა.

სწორედ ამიტომ ძალადობის პრევენციის ზომები სკოლებში უფრო ეფექტიანი იქნება, როგორც პრაქტიკული, ასევე ფასეულობების ჩამოყალიბების თვალსაზრისით, თუ ისინი განხილული იქნება, როგორც ნაწილი საყოველთაო მიდგომისა, რომელიც მიზნად ისახავს ზოგადად ძალადობის მიზეზების პრევენციას და მის წინააღმდეგ ბრძოლას.

სკოლებში ძალადობის შემცირების საქმეში სწორედ ამიტომ ენიჭება დიდი მნიშვნელობა პარტნიორობას სკოლებსა და საზოგადოებას შორის — საერთო ფასეულობებზე დაფუძნებულ პარტნიორობას და ისეთი საერთო სტრატეგიების განხორციელებას, რომლებიც დამყარებული იქნება სიტუაციის საფუძვლიან ანალიზზე და მისი გამოსწორების გონივრულ დაგეგმვაზე.

ზოგადი ნაწილი

ვინაიდან სახელმძღვანელოში არ არის საზოგადოებასთან მუშაობის შესახებ თავი, მონაწილეებმა მეცადინეობა უნდა დაიწყონ „ზოგადი ინფორმაციის“ განხილვით. ფასილიტატორებს შეუძლიათ PowerPoint-ში მომზადებული (PPT 14.1) თანმხლები მასალის გამოყენება, რაც დაეხმარება ჯგუფს მთავარი საკითხების გაგებაში. ამას მოჰყვება სამი სავარჯიშო, რომლებიც, შესავალთან ერთად, 2 საათს გრძელდება და ფასილიტატორებს პარტნიორობის პროგრამის 5 საფეხურს გაატარებს.

სავარჯიშო 14.1 ეხება მომზადების ასპექტს და გვთავაზობს გზებს ადგილობრივი რესურსების ცნობარის შესაქმენლად.

სავარჯიშო 14.2 განიხილავს, როგორ შეიძლება განსხვავებული ინტერესების ჰარმონიზება და საზოგადოების სამოქმედო ჯგუფის შექმნა სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბების მიზნით.

სავარჯიშო 14.3 ეხმარება ფასილიტატორებს იმის გადაწყვეტაში, თუ როგორი ხელმძღვანელობა სჭირდება სამოქმედო გეგმის განხორციელების მხარდაჭერას და მონიტორინგს.

ყველაფერი ეს სრულდება მეცადინეობის შემდგომი სავარჯიშოებით, რათა მოხდეს პილოტურ პროგრამაში ხუთივე საფეხურის პრაქტიკულ გამოყენებაში გავარჯიშება.

ტრენინგის თანმიმდევრობა	ხანგრძლივობა
ნაწილი „ზოგადი ინფორმაცია“ ზოგადი ინფორმაციის შესავალი ნაწილი სწრაფად უნდა დასრულდეს. მონაწილეებმა უნდა წაიკითხონ შესავალი მეცადინეობის დაწყებამდე – შეიძლება წინა დღეს, როგორც მე-13 მეცადინეობის შემდგომი სამუშაო.	**10 წუთი**
სავარჯიშო 14.1 – ზოგად შესავალს მოჰყვება ფაკულტატური „მოსათელი“ 10-წუთიანი სავარჯიშო (იხ. „მატარებელი“, ფასილიტატორის გზამკვლევის 10.16 ნაწილი). ეს მომდევნო სამუშაოსთვის — „აზრების წვიმისთვის“ — მონაწილეების მომზადების მიღებული მეთოდია (იხ. ფასილიტატორის გზამკვლევის 10.2.2 ნაწილი). 14.1 სავარჯიშოს დასჭირდება კიდევ 20 წუთი და იგი იყენებს „აგურის კედელს“ (იხ. ფასილიტატორის გზამკვლევის 10.3.1 ნაწილი), რაც ეხმარება მონაწილეებს, მოგვაწოდონ თავიანთი აზრები იმის თაობაზე, თუ ვინ უნდა იქნეს შეყვანილი რესურსების ცნობარში და რა წვლილის შეტანას შეძლებენ ისინი.	**40 წუთი**

სავარჯიშო 14.2 – ხდება როლების გათამაშება, რაც ცენ-ტრალური მოვლენაა მთელ მეცადინეობაში. სამოქმედო ჯგუფის ჩამოყალიბებისას და სამოქმედო გეგმის შეთანხმებისას ფასილ-იტატორები თავად გამოცდიან ადგილობრივ საზოგადოებაში არსებულ სხვადასხვა ინტერესსა და მისწრაფებას.	**70 წუთი**
სავარჯიშო 14.3 – ბოლო მეცადინეობაზე განიხილება საკითხი, თუ როგორი ხელმძღვანელობა იქნება საჭირო სამოქმედო გეგ-მის განხორციელებისა და მონიტორინგისთვის.	**15 წუთი**
დარჩება 5 წუთი მეცადინეობის შემდგომი სავარჯიშოების დაგეგ-მვისთვის. ამ სავარჯიშოების მიზანია საზოგადოების სამოქმედო ჯგუფების ჩამოყალიბებაში პრაქტიკული გავარჯიშება.	**5 წუთი**

დამატებითი რესურსები

„აგურის კედელი“, A4 ზომის ფურცელი;

საილუსტრაციო მასალა 14.2ა და 14.2ბ;

ფურცლები 3.4 სავარჯიშოდან - „ლიდერობის სხვადასხვა სტილი“.

სავარჯიშო 14.1: ადგილობრივი საზოგადოების რესურსების ცნობარის შედგენა

მეცადინეობის შედეგები

- ადგილობრივ საზოგადოებაში ხელმისაწვდომი სხვადასხვა რესურსის შესახებ ინფორმაციის მიღება;
- იმის გაგება, თუ როგორ უნდა მოვახდინოთ ადგილობრივი მონაწილეების იდენტიფიცირება და მათი მონაწილეობის მაქსიმალურად გამოყენება;
- ადგილობრივი საზოგადოების რესურსების ცნობარის შემუშავების და წარმოების უნარების შეძენა.

ტრენინგის თანმიმდევრობა

კარგია „მოსათელი“ სავარჯიშოს („მატარებელი“) შესრულება (ფასილიტატორის გზამკვლევის, 10.1.6.).

ფასილიტიტატორებმა ორ-ორი წუთი უნდა დაუთმონ საუბარს შემდეგ ორ თემაზე:

რა მნიშვნელობა აქვს „ადგილობრივ საზოგადოებას“ სკოლისათვის?

3-4 წუთის შემდეგ შეწყვიტეთ მსჯელობა და სთხოვეთ მონაწილეების ერთ რიგს, გადმოიწიონ ერთი სკამით მარჯვნივ, ბოლოში მჯდომი კი შეუერთდეს რიგის საპირისპირო ბოლოს. ამის შემდეგ დაიწყეთ მსჯელობა თემაზე:

როგორ იგებენ ადგილობრივ სკოლებში მიმდინარე მოვლენებს თქვენი უბნის ადგილობრივი საზოგადოების წევრები?

შეაჯამეთ განვლილი თემები და გამოყავით მნიშვნელოვანი საკითხები:

ა) სკოლამ, რომელიც ადგილობრივ საზოგადოებასთან თანამშრომლობს, უნდა იცოდეს, ვისგან შედგება საზოგადოება და რა ფორმით შეიძლება საზოგადოების წარმომადგენლებთან ურთიერთობა.

ბ) უმეტეს შემთხვევაში საზოგადოება და სკოლა ერთმანეთთან ურთიერთობას მოსწავლეების მეშვეობით ამყარებენ. საზოგადოების წევრები სკოლის შესახებ მსჯელობენ მოსწავლეთა მონათხრობიდან და მათ მიერ სკოლის გარეთ გამოვლენილი საქციელიდან. ამიტომ ძალადობის შემთხვევები ხშირად მოსწავლეთა მონათხრობიდან გამომდინარე მათი თვალით არის დანახული.

დაყავით მონაწილეები 5-6-კაციან მაგიდასთან მომუშავე ჯგუფებად. ჯგუფების წევრებმა უნდა შექმნან „აგურის კედელი“ (სახელმძღვანელო ფასილიტატორის გზამკვლევის 10.3.1).

სთხოვეთ ჯგუფებს, მოიფიქრონ და გიპასუხონ შემდეგ კითხვაზე: ვინ უნდა შედიოდეს სკოლისა და საზოგადოების პარტნიორობის შემადგენლობაში? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მონაწილეებმა უნდა გაიხსენონ შესავალი ნაწილი და PowerPoint-ის სლაიდები.

სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს, 5-10 წუთი დაუთმოს სიის შედგენას. მათი აზრით, ვინ უნდა შედიოდეს ადგილობრივი საზოგადოების ცნობარში? მათ უნდა ჩამოწერონ ის ადამიანები ან/და ორგანიზაციები, რომლებთანაც შესაძლებელია პარტნიორობა და დახმარებისთვის მიმართვა სკოლებში არსებული ძალადობის აღმოფხვრის მიზნით.

გახიეთ A4 ფორმატის ფურცელი ოთხ ნაწილად და გააკეთეთ „აგურები". სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს, ადგილობრივი საზოგადოების ცნობარში შესატანი თითოეული კანდიდატურა განათავსოს ცალკე „აგურზე". ჯგუფებმა თითოეულ „აგურზე" დიდი ასოებით უნდა დაწერონ ადამიანის სახელი და გვარი ან ორგანიზაციის დასახელება, ასევე მოკლედ აღწერონ მათი შესაძლო წვლილი აღნიშნულ საქმეში.

გადაინაცვლეთ სხვა მაგიდისკენ. უკვე გამზადებული „აგურებისგან" ჯგუფებმა უნდა ააგონ „კედელი". მათ უნდა წაიკითხონ ერთმანეთის ჩანაწერები და ერთი ჯგუფის „აგურის" მეორესთან დამთხვევის შემთხვევაში მოათავსონ იგი „კედლის" თავში.

სთხოვეთ ყველას, შეგროვდნენ მაგიდის გარშემო, გაეცნონ ნამუშევარს და მოამზადონ საკუთარი სია შემდგომი გამოყენების მიზნით.

სასარგებლო რჩევები ფასილიტატორს

ამ მეცადინეობის დაწყებამდე შეგიძლიათ ჩაატაროთ (ან არ მოინდომოთ მისი ჩატარება) ზემოაღნიშნული „მოსათელი" სავარჯიშო, რომელიც 10-წუთიანია. „მოსათელი" სავარჯიშოს ჩატარება მიზანშეწონილია მხოლოდ მაშინ, როცა კონკრეტულ მომენტში მონაწილეებს ერთმანეთის გაცნობისთვის და აზრების გაცვლისთვის წახალისება სჭირდებათ.

„აგურის კედლის" აგებისას შეიძლება დაგჭირდეთ ერთზე მეტი მაგიდა. წინასწარ დათვალეთ, რამდენ მონაწილეს შეუძლია მაგიდასთან ერთდროულად მისვლა და ნამუშევრის გარკვევით დანახვა.

მნიშვნელოვანია, რომ ჯგუფები ხედავდნენ ერთმანეთის „აგურებს" და მსჯელობდნენ იმის თაობაზე, თუ სად აპირებენ თითოეული „აგურის" განთავსებას – ანუ ხდებოდეს აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ამიტომ „აგურების" საბოლოოდ განსათავსებლად ყველა ჯგუფი ერთად მოიწვიეთ.

მომდევნო სავარჯიშოსთვის შეგიძლიათ „აგურის კედელი" გააკრათ კედელზე და მისცეთ მონაწილეებს მისი დათვალიერების საშუალება. მონაწილეებს უნდა შესთავაზოთ, ჩაინიშნონ მათთვის საინტერესო პუნქტები საკუთარი ცნობარის შესადგენად (ერთ-ერთი მეცადინეობის შემდგომი სავარჯიშო). მეცადინეობის განმავლობაში შესაძლოა აღარ დარჩეს დრო ამის გასაკეთებლად, ამიტომ მონაწილეებმა საინტერესო საკითხები შესვენებისას უნდა ჩაინიშნონ.

გააკეთეთ მოკლე რეზიუმე, რომ ცნობარში შეყვანილი არიან ადამიანები და ორგანიზაციები, რომლებიც ამ მომენტისთვის „მაყურებლების" როლში არიან, მაგრამ აქვთ მოქმედ პირებად ქცევის პოტენციალი — მომდევნო სავარჯიშოს თემაა, თუ როგორ უნდა გაკეთდეს ეს. შეგიძლიათ სწრაფად გადახვიდეთ შემდეგ სავარჯიშოზე.

დამატებითი რესურსები

ორ რიგად დაწყობილი სკამები „მოსათელი" სავარჯიშოს ჩატარების მიზნით;

თითოეული ჯგუფისთვის A4 ფორმატის 5 ფურცელი;

თითოეული ჯგუფისთვის თითო მარკერი;

მისაწებებელი ქაღალდები ან ჭიკარტები.

სავარჯიშო 14.1: ადგილობრივი საზოგადოების რესურსების ცნობარის შედგენა

შესთავაზეთ მონაწილეებს 5-6-კაციან ჯგუფებად მუშაობა მაგიდასთან.

თქვენ უნდა მოიფიქროთ, რა ინფორმაცია უნდა იქნეს შეტანილი ადგილობრივი საზოგადოების რესურსების ცნობარში ადგილობრივი პარტნიორობის პროგრამის დანერგვის მსურველი სკოლებისათვის.

„აგურის კედლის“ მეშვეობით შეგიძლიათ გაუზიაროთ მოსაზრებები სხვა ჯგუფების წევრებს.

დაიწყეთ ჯგუფური დისკუსია და უპასუხეთ კითხვებს: ვინ უნდა იყოს ჩართული საზოგადოებასთან თანამშრომლობაში? ამ კითხვასთან დაკავშირებით გაიხსენეთ წინამდებარე მეცადინეობის შესავალი ნაწილი და PowerPoint-ში მომზადებული პრეზენტაცია.

დაუთმეთ 5-10 წუთი ჩამონათვალის გაკეთებას, სადაც ჩაწერთ, თუ ვინ უნდა იქნეს შეყვანილი რესურსების ცნობარში – ადამიანები ან ორგანიზაციები, რომლებთანაც შესაძლებელია პარტნიორობა და დახმარებისთვის მიმართვა სკოლებში არსებული ძალადობის აღმოფხვრის მიზნით.

ცნობარში შესაყვანი ადამიანის ან ორგანიზაციის სახელი დიდი ასოებით დაწერეთ თითოეულ „აგურზე“. „აგურის“ გაკეთება შესაძლებელია A 4 ფორმატის ფურცლის ოთხი ნაწილისაგან. „აგურზე“ მოკლედ მიუთითეთ, რა სახით შეუძლიათ მათ დახმარების აღმოჩენა, მაგალითად, ადგილობრივ ახალგაზრდულ ცენტრს – კონსულტაციის გაწევა ახალგაზრდების სხვადასხვა საქმიანობაში ჩართვის მიზნითე; სკოლის ფსიქოლოგს – კონსულტაციის გაწევა ბრაზის მართვასთან დაკავშირებით.

გადაინაცვლეთ სხვა მაგიდისკენ. უკვე გამზადებული „აგურებისგან“ დაიწყეთ „კედლის“ აშენება. უნდა წაიკითხოთ ერთმანეთის ჩანაწერები და ერთი ჯგუფის „აგურის“ მეორესთან დამთხვევის შემთხვევაში დადოთ „აგური“ „კედლის“ თავში.

„აგურის კედელზე“ აღნიშნული იდეების საფუძველზე შეიძლება გაგიჩნდეთ საკუთარი ცნობარის შედგენის სურვილი. ამ შემთხვევაში შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი ცხრილი:

რესურსი	**საკონტაქტო ინფორმაცია**	**შესაძლო წვლილი პარტნიორობაში**

სავარჯიშო 14.2: სამოქმედო ჯგუფების დინამიკის გათვითცნობიერება - როგორ ვაქციოთ მაყურებელი მოქმედ პირად

მეცადინეობის შედეგები

- სამოქმედო ჯგუფის წევრების ინტერესებისა და მოტივაციის გაგება;
- ერთმანეთისგან განსხვავებული წევრებისგან დაკომპლექტებული ჯგუფის დინამიკის გაგება;
- როგორ მივუსადაგოთ პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული მიდგომა ძალადობის საკითხებისთვის პრიორიტეტის მინიჭებას და მათ მოგვარებას;
- კომიტეტის მიერ სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და მისი შესრულების მონიტორინგის უნარების შეძენა.

ტრენინგის თანმიმდევრობა

გაიხსენეთ ფასილიტატორის გზამკვლევის მე-5 ნაწილი – *წარმატებული მუშაობა ჯგუფის წევრებთან.* მე-5 ნაწილი, რომელიც შედგენილია პროგრამის ფასილიტატორებისათვის, მიესადაგება ამ სავარჯიშოს, ხოლო პუნქტი 5.4 (ტაკმანის ჯგუფის განვითარების ოთხი ეტაპი — ფასილიტატორის გზამკვლევი, გვ. 38) წარმოადგენს დაკვირვების ცხრილის საფუძველს როლების გათამაშებისას.

მონაწილეები დაყავით 8-კაციან ჯგუფებად. თითოეული ჯგუფი უნდა შედგებოდეს საზოგადოების სამოქმედო ჯგუფის 7 წევრისგან და 1 დამკვირვებლისგან. თუ რომელიმე ჯგუფი 8-ზე ნაკლები ადამიანისგან დაკომპლექტდა, გააუქმეთ ერთ-ერთი როლი. სთხოვეთ ჯგუფს, გაითამაშოს საზოგადოების სამოქმედო ჯგუფის (ადგილობრივი საზოგადოების 7 წევრისგან შემდგარი პარტნიორობა) შეხვედრა (5 წუთი).

აუხსენით მონაწილეებს როლების გათამაშების არსი და მიეცით დავალება, რაც დაწვრილებითაა აღწერილი სავარჯიშო ფურცელზე (5 წუთი).

საზოგადოების სამოქმედო ჯგუფის წევრები არიან:

ბერჯი — სკოლის მოსწავლე

მარეკი — მშობელი, მშენებელი

ჯოანა — ადგილობრივი პოლიციის ოფიცერი

აჰმედი — ადგილობრივი მაღაზიის მფლობელი

კლოდი — ადგილობრივ ახალგაზრდულ ცენტრში არსებული „ბავშვისა და ოჯახის“ სამსახურის სოციალური მუშაკი;

ანჯელა — უფროსი მასწავლებელი – ჯგუფის თავმჯდომარე

ბირჯიტი — სასკოლო საბჭოს წევრი, მშობელი

ჯგუფის დავალებაა, განიხილონ ადგილობრივი საზოგადოების ახალგაზრდების ანტისოციალური ქცევა და შემოგვთავაზონ წინადადებები სამოქმედო გეგმისთვის სიტუაციის გამოსწორებისა და ძალადობის თავიდან აცილების მიზნით.

საზოგადოების სამოქმედო ჯგუფის თითოეული სექტორი უნდა მონაწილეობდეს გეგმის განხორციელებაში.

თვალყური ადევნეთ თითოეული ჯგუფის კონცენტრირებას დავალებაზე. დარწმუნდით, რომ დამკვირვებლებმა კარგად გაიგეს დავალება და ადგენენ დაკვირვების ცხრილს (30 წუთი).

ბოლოს სთხოვეთ დამკვირვებლებს, მოგაწოდონ დაკვირვების შედეგებთან დაკავშირებული ინფორმაცია და შენიშვნები (15 წუთი).

განვლილი სამუშაოს შეჯამებისას დაუბრუნდით სწავლის მიზნებს და მიღებული ინფორმაციიდან და შენიშვნებიდან ამოკრიბეთ საკვანძო საკითხები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული შეხვედრა საიმისოდ, რომ მაყურებელი მოქმედ პირად ვაქციოთ. ჰკითხეთ ჯგუფებს, როგორ წარმოუდგენიათ შემუშავებული სამოქმედო გეგმის შესრულება/მონიტორინგი და ვინ განახორციელებს მას (5 წუთი).

სასარგებლო რჩევები ფასილიტატორს

აუხსენით ჯგუფის წევრებს, რომ ისინი კონცენტრირებული უნდა იყვნენ დავალებაზე და არა როლზე. საზოგადოების სამოქმედო ჯგუფის წევრებმა ყურადღება უნდა გამოიჩინონ ერთმანეთის ინტერესებისა და განსახილველი საკითხების მიმართ, ასევე იმ წვლილის მიმართ, რომლის შეტანაც შეუძლიათ ჯგუფის მუშაობაში.

მოუწოდეთ ჯგუფის წევრებს, არ დაკარგონ დრო ზედმეტი დეტალების გარკვევაში. მათ შეუძლიათ ნებისმიერი რამის დაშვება. დარწმუნდით, რომ ჯგუფის ყველა წევრისთვის გასაგებია სავარჯიშოს მიზანი – როგორ უნდა იქცნენ მაყურებლები მოქმედ პირებად. ჯგუფის ყველა წევრი კონცენტრირებული უნდა იყოს შედეგზე – მათ უნდა შეიმუშაონ სამოქმედო გეგმის ძირითადი პუნქტები. გეგმაში ყველას თავისი ფუნქცია უნდა დაეკისროს.

მოუწოდეთ ჯგუფის წევრებს, პრობლემის გადასაწყვეტად გამოიყენონ პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული მიდგომა, მაგალითად, პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული კითხვების მეთოდი.

დროდადრო შეამოწმეთ და დარწმუნდით, რომ დამკვირვებლები ჩართული არიან ჯგუფის მუშაობაში და შეხვედრის ბოლოს შეძლებენ დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაციისა და შენიშვნებას სხვებისთვის გაზიარებას.

დამატებითი რესურსები

საილუსტრაციო მასალა 14.2ა და 14.2ბ.

მონაწილეებს სთხოვენ, იმუშაონ მაგიდასთან 8-კაციან ჯგუფებში და აიღონ სამოქმედო ჯგუფის შვიდი წევრისგან ერთ-ერთის ან დამკვირვებლის როლი.

უკვე შექმნილია საზოგადოების სამოქმედო ჯგუფი პარტნიორობის სახით და მზად არის, დახმარება გაუწიოს პასუხისმგებლობით აღსავსე მოქალაქეების აღზრდას სკოლასა და თემში.

საზოგადოების სამოქმედო ჯგუფის ქვემოთ მითითებულ წევრებს შეუძლიათ დაესწრონ შეხვედრას:

ბერჯი — სკოლის მოსწავლე

მარეკი — მშობელი, მშენებელი

ჯოანა — ადგილობრივი პოლიციის ოფიცერი

აჰმედი — ადგილობრივი მაღაზიის მფლობელი

კლოდი — ადგილობრივ ახალგაზრდულ ცენტრში არსებული „ბავშვისა და ოჯახის“ სამსახურის სოციალური მუშაკი;

ანჯელა — უფროსი მასწავლებელი – ჯგუფის თავმჯდომარე

ბირჯიტი — სასკოლო საბჭოს წევრი, მშობელი

იხ. საილუსტრაციო მასალა 14.2ა, სადაც აღწერილია თითოეული წევრის ინტერესები და ჯგუფის მუშაობაში წვლილის შეტანის შესაძლებლობა. სწრაფად გადაწყვიტეთ, ვინ რომელ როლს შეასრულებთ.

უფროსი მასწავლებელი თანხმდება, საკუთარ თავზე აიღოს საზოგადოების სამოქმედო ჯგუფის თავმჯდომარეობა.

პირველი საკითხი დღის წესრიგიდან ბრიჯიტმა წამოწია. ამ საკითხის განსახილველად 30 წუთია გამოყოფილი.

ბრიჯიტმა განაცხადა:

> „ყოველდღე, გაკვეთილების შემდეგ, სხვადასხვა ასაკის 25-40 მოსწავლისგან შემდგარი ჯგუფი იკრიბება ადგილობრივ პარკში. ისინი უხეშად ექცევიან იქვე მოსეირნე იქაურ მაცხოვრებლებს.პატარა ბავშვებს ეშინიათ პარკში გამოჩენა. ჯგუფის წევრები ეწევიან და იქვე ყრიან გამოცლილ ლუდის ქილებს. ბავშვების თქმით, ამ ბოლო დროს დიდ დასვენებაზე ამავე ჯგუფის წევრები იკრიბებიან ველოსიპედების ფარეხის უკან. ამ შეკრებების შემდეგ ბევრი ველოსიპედია ხოლმე დაშავებული.
>
> წინა კვირაში შემოვიდა განცხადება, რომ ერთი სკოლის ჯგუფი დაედევნა მეორე სკოლის მოსწავლეთა ჯგუფს. კარგადაა ცნობილი, რომ ორი წლის წინ ორი სკოლის მოსწავლეთა დაპირისპირებულმა ჯგუფმა ქუჩაში იჩხუბა. როგორც ამბობენ, ჩხუბის მიზეზი ის გახდა, რომ ერთ-ერთი სკოლის მოსწავლე გოგონა თავს დაესხა მეორეს, რომელმაც თითქოს თქვა: „... დაუბრუნდი შენს ნაგავ სკოლას“.

საზოგადოების სამოქმედო ჯგუფმა უნდა იპოვოს არსებული სიტუაციიდან გამოსავალი და შეიმუშაოს პუნქტები სამოქმედო გეგმის ხუთი ღონისძიებისათვის, რომლებიც გამოასწორებს სიტუაციას და თავიდან აგვაცილებს შემდგომ ძალადობას.

საზოგადოების სამოქმედო ჯგუფის ყოველმა სექტორმა ჯგუფს უნდა შესთავაზოს დახმარება გეგმის განხორციელების მიზნით. გთხოვთ, შეხვედრის ბოლოს დავუთმოთ დრო იმის განხილვას, თუ როგორ უნდა მოხდეს გეგმის შესრულების მონიტორინგი.

საილუსტრაციო მასალა 14.2ა: ინფორმაცია სამოქმედო ჯგუფის წევრების შესახებ

მოსწავლე

ბერჯი სკოლის საბჭოს ლიდერია. ცოტა ხნის წინ სკოლის საბჭომ განიხილა სკოლაში არსებული ხულიგნობის ფაქტები. სკოლის საბჭოს წევრების თქმით, მოსწავლეთა მცირე ნაწილი აგრესიულ ქცევას ავლენს ყველა გარშემომყოფის მიმართ. ისინი აკონტროლებენ სათამაშო მოედანს, სხვა მოსწავლეებს კი ეშინიათ და თავს არიდებენ იქაურობას. მართალია, აგრესიულ მოსწავლეებს არავისთვის დაუშლიათ მოედანზე გამოსვლა, მაგრამ სხვა ბავშვები მაინც ერიდებიან „ხულიგნების" თავშეყრის ადგილას გამოჩენას. ცოტა ხნის წინ რამდენიმე ახალი წევრი შეემატა აღნიშნულ ჯგუფს. ყველამ იცის, რომ ახალი წევრები ცუდი ზეგავლენის ქვეშ არიან, თუმცა არავის უნდა მარტომ დაიცვას ახალი მოსწავლეები არასასურველი გავლენისგან. სკოლის საბჭოს უნდა ამ პრობლემის მოგვარება, მაგრამ არ იცის, როგორ.

მშობელი/მშენებელი

მარეკი მშენებელია. მისი ქალ-ვაჟი სკოლაში სწავლობს. იგი მასწავლებელთა და მშობელთა ასოციაციის წევრია. ასოციაცია სკოლისგან წესების დამრღვევთა მიმართ უფრო მკაცრი ზომების მიღებას მოითხოვს. ასოციაციის წევრების აზრით, სკოლაში მათი სწავლის დროს დისციპლინის მოთხოვნები გაცილებით მკაცრი იყო, ვიდრე ახლა. ცოტა ხნის წინ მარეკის ქალიშვილის ველოსიპედი დაამტვრიეს. ასოციაციაში გაწევრიანებული ყველა მშობელი აღელვებულია იმ ფაქტით, რომ სხვა მშობლები უფლებას აძლევენ თავიანთ შვილებს, მოიქცნენ ცუდად და დასცენ სკოლის რეპუტაცია. ასოციაციას სურს აღნიშნული პრობლემის მოგვარება, მოგვარების გზას კი მშობელთა სპეციალური კურსების ორგანიზებაში ხედავენ. ეს კურსები ასწავლის მშობელს, როგორ გააკონტროლოს საკუთარი შვილი არასასწავლო დროის განმავლობაში.

ადგილობრივი პოლიციის თანამშრომელი

რამდენიმე დღის წინ ჯოანა დაინიშნა უბნის სკოლების საკონტაქტო პირად. იგი 10 სკოლას უწევს ზედამხედველობას. მთელი ცხოვრების განმავლობაში ჯოანა ცხოვრობდა მეზობლად და თვითონაც ამ 10 სკოლიდან ერთ-ერთში დადიოდა. ჯოანას ახალ თანამდებობაზე დანიშვნა უკავშირდება პოლიციის რეორგანიზაციას, რომელიც განხორციელდა მიმდებარე ტერიტორიაზე ნარკოტიკებთან დაკავშირებული მძიმე დანაშაულების დონის ზრდის საპასუხოდ. დანაშაულების მკვეთრი ზრდის გამო პოლიცია ვეღარ უმკლავდებოდა სისხლის სამართლებრივი დევნისთვის დოკუმენტების წარმოებას. ამიტომ მიმდებარე ტერიტორიის პატრულირება და შემდეგ სწრაფი რეაგირება ვეღარ ხერხდებოდა, რაც არ შეესაბამებოდა პოლიციის ხელმძღვანელობის მიერ დასახულ ახალ მიზნებს. ჯოანამ ახლახან გაიარა ტრენინგი რესტიტუციულ სამართალში და მიიღო ცოდნა ნარკოტიკებთან დაკავშირებით. ახლა იგი ეხმარება სკოლას და მოსწავლეებს უტარებს გაკვეთილებს სწორი ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებში.

მაღაზიის მფლობელი

აჰმედის ოჯახს სკოლის მახლობლად აქვს მაღაზია, რომელსაც ჯერ კიდევ მისი მშობლები ფლობდნენ. მიუხედავად სუპერმარკეტების მაღალი კონკურენციისა, აჰმადმა შეძლო, ჩვეულებრივი მაღაზია სერიოზულ ბიზნესად აქცია. მისი შვილები დადიოდნენ სკოლაში, ახლა კი უნივერსიტეტის სტუდენტები არიან. ცოტა ხნის წინ ახალგაზრდების ჯგუფი აჰმედის მაღაზიასთან ტრიალებდა, რამაც ბევრი კლიენტი დააფრთხო. ერთი ახალგაზრდა ველოსიპედით შევიდა მაღაზიაში და როცა აჰმედის ცოლმა მისი გამოგდება სცადა, სხვებმა გარეთ ყვირილი და სიცილი ატეხეს. აჰმედი დათანხმდა, ეთანამშრომლა პოლიციასთან ბიზნესის მეთვალყურეობის სქემის მიხედვით და მაღაზიაში სათვალთვალო კამერები დაამონტაჟა.

ბავშვებისა და ოჯახის სოციალური მუშაკი

კლოდი ადგილობრივ ახალგაზრდულ ცენტრში დაფუძნებული ჯგუფის წევრია. ეს ჯგუფი მრავალდარგოვანია და ახალგაზრდებთან მუშაობს. ბოლო დროს ახალგაზრდულ ცენტრს საღამოობით სულ უფრო ხშირად სტუმრობს ძირითადად ბიჭებისგან შემდგარი ჯგუფი. ისინი თამაშობენ ბილიარდს და ერთობიან სათამაშო ავტომატებით. კლოდმა მოიტანა ბოლო დროს ჩატარებული კვლევა, რომლის მიხედვითაც, ცენტრში გართობის მსურველი გაცილებით მეტია, მაგრამ ისინი თავს არიდებენ ახალგაზრდების ჯგუფს, რომელიც აგრესიული საქციელით გამოირჩევა.

კლოდს აღელვებს ნარკოტიკების მოხმარების მზარდი ტენდენცია. ყველაზე ხშირად გამოიყენება მარიხუანა და ექსტაზი. ბოლო დროს კოკაინისა და ჰეროინის ფასი დავარდა, რის გამოც ახალგაზრდებმა მათი მოხმარებაც დაიწყეს. უფრო მეტიც, შედარებით პატარა ბავშვებმა დაიწყეს ალკოჰოლური სასმელების მიღება. ყოველივე ამის გამო კლოდს სამუშაო გაუორმაგდა და მას ნაკლები დრო რჩება ახალგაზრდულ ცენტრში დაფუძნებულ ჯგუფებთან სამუშაოდ. არსებული ვითარებიდან გამომდინარე, კლოდი ფიქრობს, რომ უფრო ეფექტიანი იქნება, თუ მისი გუნდი თავის ფუნქციებს პირდაპირ ქუჩაში შეასრულებს.

უფროსი მასწავლებელი

ანჯელა უკვე 15 წელია უფროსი მასწავლებელია და ხედავს, რომ მოსახლეობის საერთო ზრდასთან ერთად სკოლის მოსწავლეთა რაოდენობაც გაორმაგდა. სკოლაში იზრდება კულტურულად განსხვავებული ოჯახებიდან გამოსული ბავშვების რაოდენობა. მოსწავლეების უმრავლესობა კარგი საქციელით გამოირჩევა და სკოლაში ყოფნისას თავს ბედნიერად გრძნობს. გასულ წელს რეკორდული იყო საგამოცდო შედეგები, თუმცა გაკვეთილებზე დასწრების მაჩვენებელმა საგანგაშოდ დაიწია. ანჯელა შეშფოთებულია მასწავლებლების მიერ დაფიქსირებული ცუდი ქცევის შემთხვევებით. ანჯელას მოადგილე დაესწრო ტრენინგს — „ძალადობის აღმოფხვრა სკოლებში“ და ჩაატარა e-ViRiS აუდიტი. შედეგებმა გამოავლინა მთელი რიგი პრობლემური საკითხებისა. როგორც აღმოჩნდა, ყველაზე კრიტიკული სკოლაში წასვლა-მოსვლის უსაფრთხოების საკითხია. სკოლის გარეთ მოსწავლეთა საქციელზე საჩივრები უფრო და უფრო მატულობს და ანჯელას აღელვებს სკოლის რეპუტაცია. აუდიტის შედეგებზე დაყრდნობით შეიქმნა სკოლის სამოქმედო გეგმა და ანჯელას სურვილია, რომ საზოგადოების სამოქმედო ჯგუფმა თავისი წვლილი შეიტანოს ამ გეგმის განხორციელებაში.

ადგილობრივი საბჭოს წევრი

ბირჯიტი იმ უბნის ადგილობრივი საბჭოს წევრია, სადაც სკოლა მდებარეობს. იგი წარმოადგენს საბჭოს სკოლის მმართველ ორგანოში, რომლის წინაშე უფროსი მასწავლებელია ანგარიშვალდებული. ბრიჯიტის ქალ-ვაჟი ამ სკოლის მოსწავლეები არიან. საბჭოს ახალგაზრდულმა კომიტეტმა გასულ წელს მიიღო ანგარიში, რომლის თანახმადაც რაიონში „ბანდების“ რაოდენობის ზრდის ტენდენცია შეინიშნება. კონკურენტი დაჯგუფებები ხუთი სხვადასხვა უბნის მაცხოვრებლებისგან შედგება. წინა წელს პრესის ყურადღება მიიპყრო ადგილობრივი საფეხბურთო გუნდის გულშემატკივარი ორი დაჯგუფების ქუჩურმა ჩხუბებმა. ამ მომენტისთვის არც ერთი დაჯგუფების წევრი არ ცხოვრობს სკოლის მახლობლად, მაგრამ ბირჯიტს აღელვებს, რომ მსგავსი ჯგუფები აქაც არ შეიქმნას. გარდა ამისა, შვილებმა უთხრეს, რომ ზოგჯერ, როდესაც სკოლაში მიდიან ან სკოლიდან შინ ბრუნდებიან, თავს მშვიდად არ გრძნობენ. გასულ თვეს ბირჯიტმა უკმაყოფილების გამომხატველი ორი წერილი მიიღო. ამომრჩევლები სწერდნენ პარკში ახალგაზრდების ხშირი თავშეყრის შესახებ და ითხოვდნენ რეაგირებას. ბირჯიტმა საბჭოს შესთავაზა, მიეღოთ დადგენილება, რომელიც პარკში ადამიანების თავშეყრას გარკვეულ რაოდენობამდე შეზღუდავდა, მაგრამ ამ დადგენილების გატარება სირთულეებთან აღმოჩნდა დაკავშირებული, რადგან მისი მიღების შემთხვევაში უკანონო გახდებოდა კვირაობით პარკში საფეხბურთო გუნდების მიერ გამართული თამაშები.

საილუსტრაციო მასალა 14.2ბ: როლების გათამაშებაზე — „საზოგადოების სამოქმედო ჯგუფის შეხვედრა“ — დაკვირვების ცხრილი

დრო - წუთი დაწყებიდან	დამატებითი კითხვები	პრობლემაზე ორიენტირებული წვლილი	პრობლემის მოგვარებაში შეტანილი წვლილი	სამოქმედო გეგმისთვის შეთანხმებული საკითხები
3				
6				
9				
12				
15				
18				
21				
24				
27				
30				

ტაკმენის (1965) მოდელის მიხედვით იმისათვის, რომ ჯგუფმა ეფექტიანად იმუშაოს, მან უნდა გაიაროს განვითარების ოთხი ეტაპი.

თქვენი დაკვირვებით, თითოეული წევრის წვლილის გათვალისწინებით, რა წარიმართა კარგად და დაეხმარა ჯგუფს:

1. **ფორმირების სტადიაზე** (ერთმანეთის გაცნობა და გააზრება, რისი გაკეთება შეიძლება ერთად).
2. **შეტევის სტადიაზე** (საკითხის უშუალო განხილვაზე გადასვლა და ზრდილობის ბარიერის გადალახვით მოსაზრებათა კვლევა).
3. **გაწონასწორების სტადიაზე** (მიჩვევა, ნდობისა და პროდუქტიულობის განვითარება).
4. **განხორციელების სტადიაზე** (თანამშრომლობაზე დამყარებული ჯგუფური მუშაობა საერთო მიზნისთვის).

და ბოლოს, როგორ შეაფასებდით საზოგადოების სამოქმედო ჯგუფის მუშაობას სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე 1-დან 10-მდე სკალის მიხედვით?

რატომ არ არის თქვენი ქულა ერთით ნაკლები (რა წარიმართა კარგად)?

რა გაზრდიდა თქვენ ქულას ერთი ერთეულით (უკეთესი იქნებოდა, თუ ...)?

სავარჯიშო 14.3: განხორციელება და მონიტორინგი – თანამშრომლობის შენარჩუნება და ლიდერობის სათანადო სტილის გამონახვა

მეცადინეობის შედეგები

- ძალადობის აღმოფხვრისკენ ადგილობრივი პარტნიორობების მიერ მიმართული ქმედებების მდგრადობაზე ზემოქმედების მქონე ფაქტორების გათვითცნობიერება;
- დაგეგმილი მოქმედებისთვის ლიდერობის შესაბამისი სტილის შერჩევის უნარების შეძენა.

ტრენინგის თანმიმდევრობა

მონაწილეებთან ერთად გაიხსენეთ 3.4 მეცადინეობა, სადაც მათ შეისწავლეს სწავლის (ლიდერობის) სხვადასხვა სტილი.

სთხოვეთ ჯგუფებს, გადახედონ თავიანთი საზოგადოების სამოქმედო გეგმებს და მოიფიქრონ, ლიდერობის რომელი სტილი უნდა გამოიყენოს პასუხისმგებელმა პირმა თითოეული დაგეგმილი ქმედების წარმატებულად განხორციელების მიზნით. გაიმეორეთ სავარჯიშო 3.4 და დააწყვეთ იატაკზე A4 ზომის ფურცლები, რომლებზეც ლიდერობის სხვადასხვა სტილია ჩამოწერილი.

შეაჯამეთ სავარჯიშო და მეცადინეობა. ყურადღება გაამახვილეთ ეფექტიანი ლიდერობის მნიშვნელობაზე ადგილობრივი პარტნიორობების შესანარჩუნებლად.

სასარგებლო რჩევები ფასილიტატორს

ეს მოკლე სავარჯიშოა. აქტიურად იმუშავეთ ჯგუფთან და დაიცავით განრიგი, თუ გინდათ, რომ დაგრჩეთ დრო მეცადინეობის შემდგომი სავარჯიშოებისთვის.

დამატებითი რესურსები

სავარჯიშო 3.4-ში გამოყენებული ფურცლები, რომლებზეც ლიდერობის სხვადასხვა სტილია ჩამოწერილი.

სავარჯიშო 14.3: განხორციელება და მონიტორინგი – თანამშრომლობის შენარჩუნება და ლიდერობის სათანადო სტილის გამონახვა

იმუშავეთ იმავე ჯგუფებში, რომლებშიც 14.2 სავარჯიშოს შესრულებისას მუშაობდით.

გახსოვთ 3.4 მეცადინეობა, რომლის დროსაც შეისწავლეთ სწავლის (ან ლიდერობის) განსხვავებული სტილები? ეს სტილებია:

- **იძულებითი**: „გააკეთე, რასაც გეუბნები!“
- **ავტორიტარული:** „გამომყევით მე!“
- **მზრუნველი:** „პირველ ადგილზე ადამიანები!“
- **დემოკრატიული:** „რას ფიქრობ შენ?“
- **ტემპის განმსაზღვრელი:** „გააკეთე ისე, როგორც მე ვაკეთებ და გააკეთე ეს ახლა!“
- **დამრიგებლური:** „მოსინჯე ეს“

ინდივიდუალურად კიდევ ერთხელ გადაავლეთ თვალი შემუშავებულ სამოქმედო გეგმას. მოიფიქრეთ, გეგმით გათვალისწინებული თითოეული მოქმედების წარმატებით შესასრულებად ლიდერობის რომელი სტილი უნდა გამოიყენოს პასუხისმგებელმა პირმა?

არ გააცნოთ თქვენი აზრი ჯგუფის სხვა წევრებს.

საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მიდით და დადექით იატაკზე გაშლილ იმ ფურცელზე, რომელზეც დატანილია ლიდერობის თქვენთვის მისაღები სტილი.

მოაწყვეთ განხილვა და იმსჯელეთ იმ მიზეზებზე, რის გამოც გარკვეულ საკითხებში ეთანხმებით ან არ ეთანხმებით ერთმანეთს.

როცა მიხვალთ მისაღებ დასკვნამდე, გადადით სამოქმედო გეგმის შემდეგ პუნქტზე.

ამ მეცადინეობას ადგილობრივ საზოგადოებასთან პარტნიორობით მუშაობის შესახებ ვასრულებთ გეგმის განხორციელებისა და გაუმჯობესების მონიტორინგის უმთავრესი ელემენტის — ლიდერობის სწორად შერჩეული სტილის — განხილვით.

გირჩევთ, მეცადინეობის დაწყებამდე გადახედოთ შესავალ ნაწილს ლიდერობასთან დაკავშირებით.

პარტნიორობების შესანარჩუნებლად საზოგადოების სამოქმედო ჯგუფის ლიდერებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ყველა „მოქმედი პირის“ განსხვავებული ინტერესები და მოტივაცია და შეარჩიონ ლიდერობის ის სტილი, რომელიც ხელს შეუწყობს რაც შეიძლება მეტი პარტნიორის აქტიურ, ხანგრძლივ დახმარებას.

მეცადინეობის შემდგომი სავარჯიშო
(დაახლოებით 2 საათი თითოეული
სავარჯიშოსათვის)

ქვემოთ მოცემული სავარჯიშოების მიზანია, დაგეხმაროთ ამ მეცადინეობაზე გამოთქმული ზოგიერთი იდეის გამოყენებაში და ადგილობრივ საზოგადოებასთან სკოლის პარტნიორობის გაუმჯობესების მიღწევაში.

იმუშავეთ თქვენს სკოლაში ან დაწესებულებაში კოლეგების ჯგუფთან ერთად.

- სკოლისთვის საზოგადოების რესურსების ცნობარის შესაქმნელად გამოიყენეთ 14.1 ჯგუფური სავარჯიშოს შედეგები;
- გამართეთ შეხვედრა სკოლაში და მის გარშემო არსებულ ძალადობრივ ქცევასთან დაკავშირებით საზოგადოების აზრის დასადგენად. თქვენთვის საინტერესო საკითხების გასარკვევად გამოიყენეთ ViRiS აუდიტი.
- ჩამოაყალიბეთ საზოგადოების სამოქმედო ჯგუფი ძალადობასთან საბრძოლველად. გამოიყენეთ 14.1 სავარჯიშოდან მიღებული ცოდნა და შეათანხმეთ სამოქმედო გეგმა.

რესურსები ფასილიტატორებისთვის, მშობლებისა და მზრუნველებისთვის

ვინაიდან სახელმძღვანელოში არ არის თავი მშობელთა ჩართვის შესახებ, ჩვენ დამატებით წარმოგიდგენთ რესურსების ჩამონათვალს და ბიბლიოგრაფიას.

წიგნები და სტატიები

Bandura, A. (1986). Social foundations of thought and action: a social cognitive theory. Englewood Cliffs, NJ: Prentice-Hall

Besag, V.E. (1994). *Bullies and victims in schools*. Buckingham: Open University Press

Byrne, B. (1993). *Coping with bullying in schools*. Dublin: Columba Press

Byrne, B. (1996). *Bullying: A community approach*. Dublin: Columba Press

Cowie, H., Boardman, C., Dawkins, J. and Jennifer, D. (2004) *Emotional health and well-being: a practical guide for schools*. London: Sage

Department of Education and Science (1993). *Guidelines on countering bullying behaviour in primary and post-primary schools*. Dublin: The Stationery Office

Dore, S. (2000). *Bullying*. NSPCC: Egmont World Ltd

Elliot, M. (1996). *501 ways to be a good parent*. London: Hodder & Stoughton

Elliot, M. (1997). *101 ways to deal with bullying: A guide for parents/guardians*. London: Hodder & Stoughton

Eslea, M. & Smith, P.K. (1998). "The long-term effectiveness of anti-bullying work in primaryschools." *Educational Research*, 40:2: 203-218

Fernandez, I., Villaoslada, E. and Funes,S. (2002). *Conflicto en el Centro Escolar*. Madrid: Catarata

Goleman, D. (1996). *Emotional intelligence: why it can matter more than IQ*. London: Bloomsbury

Humphreys, T. (1993). *Self-esteem: The key to your child's education*. Leadington, Co. Cork

Hromek, R. (2004). *Planting the peace virus: early intervention to prevent violence in schools*. Bristol: Lucky Duck Publishing

La Fontaine, J. (1991). *Bullying: A child's view*. London: Calouste Gulbenkian Foundation

Ljungström, K. (1990). *Mobbaus koulussa. Käsikirja mobbaukesta ja sen selvittämisestä Farsta-menetelmällä*.[Bullying in schools: A handbook on bullying and its treatment by use of the Farsta method]. Kauniainen, Finland: Jessica Lerche.

Marr, N., & Field, T. (2001). *Bullycide: Death at playtime*. Oxford: Success Unlimited

Mayer, G.R., Sulzer-Azaroff, B. (1990). "Interventions for vandalism", in G. Stoner, M.R.Shinn, and H.M.Walker (eds). *Interventions for achievements and behaviour problems, Monograph*, 559-580. Washington, DC: National Association of School Psychologists

Menesini, E., Codecasa, E.; Benelli, B. and Cowie, H. (2003) "Enhancing children's responsibility to take action against bullying: evaluation of a befriending intervention in Italian middle schools", *Agressive Behaviour*, 29, 1, 1-14

National Youth Health Programme and Child Protection Unit (2006). *Let's beat bullying.* Dublin: National Youth Council of Ireland

Olweus, D. (1983). *Bullying at school: What we know and what we can do.* Oxford: Blackwell

Olweus, D. (1997). "Bully/victim problems in school: Knowledge base and an effective intervention program." *Irish Journal of Psychology,* 18(2): 170-190

O'Moore, A.M. & Minton, S.J. (2004). *Dealing with bullying in schools: A training manual for teachers, parents/guardians and other professionals*. London: Paul Chapman Publishing

O'Moore, A.M. & Minton, S.J. (2005). "An evaluation of the effectiveness of an anti-bullying programme in primary schools." *Aggressive Behaviour,* 31:6: 609-622

O'Moore, A. M., Kirkham, C., & Smith, M. (1997). "Bullying behaviour in Irish schools: A nationwide study." *Irish Journal of Psychology,* 18(2): 141-169

Ortega, R. (1997). "El Proyecto Sevilla Anti-violencia Escolar. Un modelo de intervenciyn preventive contra los malos tratos entre iguales". [The Seville Anti-Violence in Schools Project: A preventative intervention model against bad relationships amongst equals]. *Revista de Educaciyn [Educational Review], 313:* 143-158

Ortega, R. & Lera, M.J. (2000). "The Seville Anti-Bullying in School project." *Aggressive Behaviour,* 26(1): 113-123

Roland, E. (2000). "Bullying in school: Three national innovations in Norwegian schools in 15 years." *Aggressive Behaviour,* 26(1): 135-143

Roland, E. & Munthe, E. (1997). "The 1996 Norwegian program for preventing and managing bullying in schools". *Irish Journal of Psychology,* 18(2): 233-247

Salmivalli, C., Lagerspetz, K.; Björkqvist, K., Ŏsterman, K. and Kaukiainen, A. (1996). "Bullying as a group process: participant roles and their relations to social status within the group". *Aggressive Behaviour*, 22, 1-5

Slee, P.T. (1996). "The P.E.A.C.E. Pack: A programme for reducing bullying in our schools." *Australian Journal of Guidance and Counselling,* 6: 63-69

Smith, P.K. (1997). Bullying in schools: The UK experience and the Sheffi eld Anti-Bullying Project. *Irish Journal of Psychology,* 18(2): 191-201

Smith, P.K., Pepler, D., & Rigby, K. (eds) (2004). *Bullying in schools: How successful can interventions be?* Cambridge: Cambridge University Press

Stevens, V., De Bourdeaudhuij, I. & Van Oost, P. (2000). Bullying in Flemish schools: An evaluation of anti-bullying intervention in primary and secondary schools. *British Journal of Educational Psychology,* 70: 195-210

Sullivan, K. (2000). *The anti-bullying handbook.* Oxford: Oxford University Press

Thomas, P. (2000). *Stop picking on me: A fi rst look at bullying.* New York: Barron's Educational Series

Veleva, R. & Kolev, N. (eds) (2001). *How to protect children from violence.* Pazardgik

Voors, W. (2000). *The parent's book about bullying*. Center City, MN: Hazelden

Vettenburg, N. and Huybregts, I. (2001) "Anti-social student behaviour and feelings of unsafety among teachers". Presentation at the International Conference on Violence in Schools and Public Policies, Paris, 5-7 March

Vygotsky, L. S. (1976). *Thought and language*. Cambridge, Mass: MIT Press

ვებგვერდები

ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ძალადობასთან ბრძოლის კვლევითი და რესურს-ცენტრი, თრინითი კოლეჯი, დუბლინი http://www.abc.tcd.ie

ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა სკოლაში: როგორ დავძლიოთ ეს პრობლემა http://www.education.unisa.edu.au/bullying

Bullying Online. http://www.bullying.co.uk

Bully Online. http://www.successunlimited.co.uk

Childline. http://www.childline.org.uk

განათლებისა და დასაქმების დეპარტამენტი http://www.parents/guardians.dfee.gov.uk

ბავშვთა დაცვის ეროვნული ცხელი ხაზი http://www.nspcc.org.uk

Parent Centre, The. http://www.parentcentre.gov.uk

Parentline Plus. http://www.parentlineplus.org.uk

ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ძალადობასთან ბრძოლის შოტლანდიური ქსელი http://www.antibullying.net

VISYON. http://www.visyon.org.uk

ფილმები

აქტიური მონაწილეობა „ბულინგში“ (1998). Tony Jewes Productions.

ჩუმი მოწმეები: DVD და წიგნი სკოლებისა და მშობლების/მზრუნველებისთვის „ბულინგის“ თავიდან აცილებაში დახმარების გასაწევად (2006). Animo Communications.

ტომის გასაჭირი (1991). Central Independent Television Productions.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება დოლჰაუზში. (1995). (Produced by Donna Bascom & Todd Solandz). (Feature length movie: Cert. 15).

ზერო: SAFs programme mot mobbing. Innfuringsfi lm for foreldre og lжrere. Universitetet I Stavanger: Senter for atferdsforskning (ნორვეგიულ ენაზე)

III. ფასილიტატორის გზამკვლევი

სარჩევი

ფასილიტატორის გზამკვლევი

თავი 1 *ტრენინგის მეთოდოლოგია* 7

თავი 2 *სწავლის სხვადასხვა სტილი* 11

თავი 3 *პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენება* 17

თავი 4 *ზრდასრული მოსწავლეების მოტივირება* 27

თავი 5 *ჯგუფური მუშაობის წარმატებით წარმართვა* 33

თავი 6 *ჯგუფების ორგანიზება* 41

თავი 7 *სასწავლო მეცადინეობისთვის მომზადება* 45

თავი 8 *სასწავლო რესურსები* 49

თავი 9 *ტრენინგის სხვადასხვა სტილი* 53

თავი 10 *ტრენინგის წარმართვის სხვადასხვა ტექნიკა* 59

თავი 11 *ტრენინგის დროს გამოსაყენებელი სხვა სასარგებლო რჩევები* 69

თავი 12 *ერთობლივი ტრენინგი – ორი ფასილიტატორის ერთად მუშაობა* 73

თავი 13 *კონფლიქტის და პრობლემების წინასწარ განჭვრეტა და მოგვარება* 77

შესავალი

ევროპის საბჭოს „ფასილიტატორის გზამკვლევი“ შედგენილია, როგორც დამხმარე საშუალება ფასილიტატორებისთვის, ვისაც მუშაობის დროს შესაძლოა დასჭირდეთ:

- ევროპის საბჭოს სასწავლო პაკეტის — „სკოლაში ძალადობის აღმოფხვრა“ — ძირითადი პრინციპების შეხსენება;
- ტრენინგის მეთოდოლოგიის განმარტება;
- ტრენინგის დაგეგმვაში დახმარება;
- ზოგადი ინფორმაცია;
- რესურსების „ლინკები“ და დამატებითი ინფორმაცია;
- იდეები პროფესიული წინსვლისთვის.

ტრენინგისთვის საჭირო რესურსები

ყველა სახის სავარჯიშოებისთვის ფასილიტატორებს დასჭირდებათ:

- ტრენინგის ოთახი, სადაც ჯგუფების გადანაწილების საშუალება იქნება სავარჯიშოს ტიპის მიხედვით;
- კომპიუტერი და პროექტორი/ეკრანი ან მაღლა დასამაგრებელი პროექტორი PowerPoint-ის სლაიდების გასაშვებად;
- სახელმძღვანელოს ასლები;
- ფაილი, რომელშიც ყველა სახის სავარჯიშო იქნება მოცემული;
- ნაბეჭდი ტექსტები და დანართები ყველა მონაწილისთვის.

ზოგიერთი სავარჯიშოსთვის ფასილიტატორებს შესაძლოა დასჭირდეთ:

- ქაღალდის დაფები, წებოვანი პლასტელინი და სპეციალური კალმისტრები ქაღალდის დაფებისთვის;
- DVD-დრაივერი, ხმოვანი კომპიუტერი/პროექტორი;
- მისაწებებელი ფურცლების პაკეტები სხვადასხვა სახის შენიშვნების ჩასაწერად;
- კამათელი (ერთი სავარჯიშოსთვის).

თავი 1

ტრენინგის მეთოდოლოგია

სასწავლო პაკეტთან — „სკოლაში ძალადობის აღმოფხვრა“ — დაკავშირებული ტრენინგის მეთოდოლოგია ეფუძნება კვლევის მასალებს და სკოლის პერსონალის ტრენინგის საუკეთესო პრაქტიკას. კვლევის მასალები აჩვენებს, რომ თუ ტრენინგი აქტიური არ არის და არ აძლევს მის მონაწილეებს საშუალებას, რომ პრაქტიკულ მეცადინეობაში ჩაებან და თავიანთი აზრები გამოთქვან, იგი ოდნავ თუ შეცვლის ან საერთოდ ვერ შეცვლის ტრენინგის მონაწილეთა ჩვეულებრივ საქმიანობას.

თუ ტრენინგის მონაწილეებს სწავლის დროს აქტიური პარტნიორობისკენ არ მოვუწოდებთ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მათი მოსწავლეები რაიმე სარგებლობას მიიღებენ მომავალში.

მაიკლ ფულენი, კანადელი აკადემიკოსი, რომელსაც განათლების რეფორმის საკითხებში საერთაშორისო ავტორიტეტი აქვს, სკოლის პერსონალის ტრენინგთან დაკავშირებით შემდეგ პრობლემებს გამოყოფს:

- ერთჯერადი ტრენინგები ფართოდ არის გავრცელებული, მაგრამ ნაკლებად ეფექტიანია;
- თემებს ხშირად სხვა ადამიანები არჩევენ და არა ისინი, ვისთვისაც ტრენინგია განკუთვნილი;
- ტრენინგის პროგრამების ფარგლებში შემოტანილი იდეები და პრაქტიკა ძალზე იშვიათად გამოიყენება მომავალში;
- ტრენინგის შემდგომი შეფასება იშვიათად ტარდება;
- ტრენინგი იშვიათად ეხება მონაწილეთა ინდივიდუალურ პრობლემებს;
- პროგრამების უმრავლესობა საზოგადოების სხვადასხვა ფენის, სხვადასხვა გარემო პირობებში მცხოვრებ წარმომადგენელთა მონაწილეობას გულისხმობს, მაგრამ არ ითვალისწინებს პოზიტიური და ნეგატიური ფაქტორების განსხვავებულ ზემოქმედებას იმ გარემოზე, სადაც ამ ადამიანებს მოუწევთ დაბრუნება;
- ტრენინგების დაგეგმვასა და განხორციელებას სერიოზულად აკლია კონცეფტუალური ბაზა, რომელიც მისი ეფექტიანობის საწინდარი იქნებოდა.

(*„მიზეზები, რომლებიც წარმოებისგან მოუწყვეტლად განათლების მიღების წარუმატებლობას განსაზღვრავს“* – მ. ფულენი, 1991)

მაიკლ ფულენის ანალიზში მოცემულია ისეთი ტრენინგის სურათი, რომელიც არ არის კარგად გააზრებული, არ ითვალისწინებს ინდივიდუალური მონაწილეების პრობლემებს და ნაკლებად ზრუნავს იმაზე, რომ დაეხმაროს მონაწილეებს, მიუსადაგონ სწავლის შედეგად მიღებული გამოცდილება იმ გარემოს, სადაც ტრენინგის შემდეგ დაბრუნდებიან.

1.1 ხუთსაფეხურიანი პროცესი

ბრიუს ჯოისის და ბევერლი შაუერსის ნაშრომმა სკოლის პერსონალის განვითარების შესახებ (1988) ბოლო წლებში შეცვალა ტრენინგის შესახებ შეხედულება. ჯოისმა და შაუერსმა გამოყვეს ტრენინგის ხუთი კომპონენტი, რომლებიც კომბინირებულად გამოყენების შემთხვევაში გაცილებით მეტ ზემოქმედებას ახდენენ, ვიდრე ცალ-ცალკე.

ტრენინგის ეს ძირითადი კომპონენტებია:

1. თეორიის **პრეზენტაცია,** ანუ უნარ-ჩვევის თუ სტრატეგიის აღწერა;
2. **მოდელირება,** ანუ უნარ-ჩვევების დემონსტრირება;
3. **პრაქტიკა** – სიმულირებულ სიტუაციებში;
4. **უკუგება (შენიშვნები და ინფორმაცია მონაწილეებისგან)** – შესრულების შესახებ ინფორმაციის სტრუქტურირებული და ღია უზრუნველყოფა;
5. **გამოყენება** – პრაქტიკული დახმარების გაწევა უნარ-ჩვევების და სტრატეგიების სკოლებში დანერგვის მიზნით.

(ბ. ჯოისი და ბ. შაუერსი, *„ტრენინგის ძირითადი კომპონენტები“,* 1988:68-69)

მოგვიანებით (1992 წელს) ჯოისმა ეფექტიანი ტრენინგის ორი ძირითადი კომპონენტი გამოყო – სემინარი და სამუშაო ადგილი. სემინარი (ამ შემთხვევაში ტრენინგის ფარგლებში მიმდინარე მეცადინეობა) საშუალებას გვაძლევს, გავათვითცნობიეროთ საკითხი, ვნახოთ იმ უნარ-ჩვევების დემონსტრირება, რომელთა შეძენაც გვსურს, და პრაქტიკულად ვივარჯიშოთ მათ გამოყენებაში მშვიდ გარემოში. თუ გვსურს, რომ ტრენინგის მონაწილეებმა შესწავლილი უნარ-ჩვევები თავიანთ სამუშაო ადგილებზე (ამ შემთხვევაში სკოლაში) გამოიყენონ, სემინარზე უბრალოდ დასწრება საკმარისი არ არის.

კვლევის მასალები ნათლად აჩვენებს, რომ უნარ-ჩვევების შეძენა და სხვადასხვა სიტუაციაში მათი შემდგომი გამოყენება მოითხოვს შეძენილი ცოდნის ცხოვრებისეული სიტუაციებისთვის მისადაგებას. ეს გულისხმობს მეტი ყურადღების გამახვილებას იმაზე, თუ როგორ ხდება მონაწილეთა მიერ შეძენილი ცოდნის განმტკიცება ტრენინგის დამთავრების შემდეგ.

კერძოდ, ეს ნიშნავს დაუყოვნებელი და უწყვეტი პრაქტიკის, თანამშრომლობის და ტრენინგის მონაწილეთა ურთიერთდახმარების შესაძლებლობას. სკოლებში აღნიშნულ ცვლილებებს უმეტეს შემთხვევაში ვერ მივაღწევთ, თუ არ შევცვლით სკოლის პერსონალისთვის ტრენინგის ჩატარების მეთოდებს. წარმატებული ტრენინგი სკოლის სპეციფიკას უნდა ითვალისწინებდეს და სკოლის პერსონალისთვის მნიშვნელოვანი დროისა და გრაფიკის პრობლემების შემოქმედებითად მოგვარების გზებს უნდა ეძებდეს.

1.2 სწავლის ხუთსაფეხურიანი პროცესის გამოყენება

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ ადამიანებს ტრენინგებს უტარებენ ლექციების სახით, რაც მათგან მხოლოდ მოსმენას და ჩანაწერების გაკეთებას მოითხოვს. ამის შედეგად ინფორმაციის მხოლოდ 5%-ის დამახსოვრება და შემდგომი გამოყენება ხდება.

თუ გამოიყენება სწავლის ხუთსაფეხურიანი პროცესი, რომელიც გულისხმობს შესწავლილი მასალის მიხედვით მოდელირებას და პრაქტიკას, ასევე მონაწილეთა მხრიდან შენიშვნების გამოთქმას (უკუგებას) იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად კარგად მოხდა მასალის ათვისება, ასეთ შემთხვევაში ხდება მიწოდებული ინფორმაციის დაახლოებით 75%-ის დამახსოვრება და შემდგომი გამოყენება.

ტრენინგების დროს ფასილიტატორი:

- ატარებს *პრეზენტაციას* საკითხის ზოგადი მიმოხილვით, რათა ტრენინგის მონაწილეებისთვის გასაგები გახდეს ძირითადი ინფორმაცია;
- მაგალითების, მოთხრობების, ფოტოების, ვიდეომასალის და სხვადასხვა მოქმედებების საშუალებით ახდენს ინფორმაციის *მოდელირებას*, რათა ტრენინგის მონაწილეებმა შესწავლილი მასალის გააზრება შეძლონ.

შემდეგ ტრენინგის მონაწილეები:

- ტრენინგის სავარჯიშოების მსვლელობისას პრაქტიკულად ვარჯიშობენ შესწავლილი უნარ-ჩვევების გამოყენებაში, რათა შეისწავლონ ტექნიკა და სხვადასხვა მიდგომა. შემდეგ ისინი პრაქტიკულ მეცადინეობას ატარებენ და უზიარებენ შესწავლილ უნარ-ჩვევებს თავიანთ კოლეგებს სკოლებში ან სამუშაო ადგილებზე.
- *იღებენ გამოხმაურებას (უკუგებას)* კოლეგებისგან და პარტნიორებისგან, რომლებმაც ადრე გაიარეს ტრენინგი „სკოლაში ძალადობის აღმოფხვრა," იმის თაობაზე, თუ როგორ მიდის მათი საქმიანობა;
- სკოლაში *იყენებენ* კოლეგებთან და ტრენინგის სხვა მონაწილეებთან ერთობლივი მუშაობის შედეგად შესწავლილ მასალას, რათა ეს მათი ყოველდღიური საქმიანობის ნაწილი გახდეს.

თავი 2

სწავლის სხვადასხვა სტილი

სწავლის პროცესს განსაკუთრებით ხელს უწყობს ფასილიტატორის მიერ სწავლის სხვადასხვა სტილის შერჩევა მოსწავლეების სურვილების გათვალისწინებით.

2.1 კოლბის სწავლის ციკლი

ამერიკელი პროფესორი დევიდ კოლბი თვლიდა, რომ სწავლის პროცესში ჩვენ ვმოძრაობთ ციკლის ფარგლებში, რომელიც მოიცავს გამოცდილებას, დაფიქრებას, განზოგადებას და ექსპერიმენტების ჩატარებას. ექსპერიმენტების ჩატარება დასაბამს აძლევს ახალ გამოცდილებას და ა.შ.



წყარო: სწავლისათვის შესაფერისი ქცევის ცენტრი

ამდენად, დაფიქრება საკუთარ გამოცდილებაზე ისეთი იდეების ფორმირებას ახდენს, რომლებიც შეიძლება ცდით შეამოწმო, რაც, თავის მხრივ, გამოცდილებას აღრმავებს.

კოლბის მიხედვით, ყველა გამოიმუშავებს სწავლის საკუთარ სტილს და ამ ციკლის სხვადასხვა ნაწილს ყველა ჩვენგანი სხვადასხვა სიმძიმით ეყრდნობა. კოლბიმ უკიდურესობათა ორი წყვილის იდენტიფიცირება მოახდინა, საიდანაც ჩანს, თუ როგორ გვირჩევნია სწავლა.

ზოგი ადამიანისთვის უფრო ადვილია გრძნობის საფუძველზე ისწავლოს, ვიდრე ფიქრის, და პირიქით.

გამოცდილება (გრძნობა) _____ განზოგადება (ფიქრი)

ამავე დროს, ზოგი ადამიანისთვის უფრო ადვილია კეთებით ისწავლოს, ვიდრე დაკვირვებით, და პირიქით.

ექსპერიმენტების ჩატარება (კეთება) _____ დაფიქრება (დაკვირვება)

ამ ორი ურთიერთდაკავშირებული მოვლენის კომბინირებით კოლბიმ სწავლის ოთხი სტილი განსაზღვრა. ესენია: ენთუზიასტური, წარმოსახვითი, ლოგიკური და პრაქტიკული.

	ექსპერიმენტების ჩატარება	დაფიქრება
გამოცდილება	**ენთუზიასტური**	წარმოსახვითი
განზოგადება	ფიქრი და კეთება **პრაქტიკული**	დაკვირვება და ფიქრი **ლოგიკური**

პროგრამა „ძალადობის აღმოფხვრა სკოლებში “ ითვალისწინებს სწავლის ყველა ამ სტილს და მონაწილეებს საშუალებას აძლევს, გაერკვნენ გრძნობებში და იფიქრონ, აქტიურები იყვნენ და სხვებს დააკვირდნენ.

მნიშვნელოვანია, რომ ფასილიტატორებმა ტრენინგების დროს ყველა ტექნიკური ხერხი და პროცესი გამოიყენონ, რათა ყველას მიეცეს საშუალება, აირჩიოს სწავლის მისთვის ყველაზე შესაფერისი სტილი.

2.2 დამატებითი ინფორმაცია სწავლის სხვადასხვა სტილის შესახებ

სწავლის სტილის გააზრებაში, კოლბის ანალიზის გარდა, იმის განხილვა დაგეხმარებათ, თუ რა საშუალება ურჩევნიათ მოსწავლეებს ცოდნის შესაძენად. ეს ანალიზი ეფუძნება ამერიკელი ფსიქოლოგის ჰოვარდ გარდნერის ნაშრომს, რომლის თეორიები ინტელექტუალური შესაძლებლობების შესახებ 20 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში განსაზღვრავდა განათლების პოლიტიკის შემუშავებას მსოფლიოში. გარდნერის მიხედვით, ინტელექტუალური შესაძლებლობის ერთი კი არა, რამდენიმე სახე არსებობს (ლოგიკური, ლინგვისტური, მუსიკალური, ვიზუალური, სივრცული, კინესთეტიკური, ინტრაპერსონალური და ნატურალისტური) (ჰოვარდ გარდნერი: *“Frames of mind. The theory of multiple intelligences”, 1983*).

ეს საშუალებას გვაძლევს, ვაღიაროთ სწავლის სამი სტილი – ვიზუალური, სმენითი და კინესთეტიკური.

ვიზუალურად შემსწავლელები

ვიზუალურად შემსწავლელებს ურჩევნიათ, ინფორმაცია წერილობითი ან დიაგრამის ფორმით დაინახონ. ვიზუალურად შემსწავლელების დასაინტერესებლად საჭიროა მოვახდინოთ საკითხის ილუსტრირება ან დავავალოთ ჯგუფს, რომ ინფორმაცია და ცნებები ნახატების, დიაგრამების, სალექციო პლაკატების და ა.შ. საშუალებით წარმოადგინონ. ფერის და სურათების გამოყენება დაეხმარება მათ ინფორმაციის დახსომებაში და ცნებების გაგებაში.

სმენითი გზით შემსწავლელები

ამ ტიპის შემსწავლელებს ურჩევნიათ ინფორმაციის მოსმენა და საკითხების ჯგუფში განხილვა. სმენითი გზით შემსწავლელების დასაინტერესებლად ინფორმაცია მათ სიტყვიერი პრეზენტაციით უნდა მივაწოდოთ, რაც დისკუსის გამართვის შესაძლებლობას მოგვცემს. ამ დროს მნიშვნელოვანია:

- მისაწოდებელი ინფორმაციის მკაფიოდ ჩამოყალიბება;
- გასაგები მეტყველება;
- იმის შემოწმება, რომ ჯგუფის წევრებმა გაიგეს მიწოდებული ინფორმაცია;
- კითხვების დასმა და ჯგუფის წევრების წახალისება, დასვან კითხვები.

კინესთეტიკური შემსწავლელები

ამ ტიპის შემსწავლელები უპირატესობას პრაქტიკულ გამოცდილებას ანიჭებენ. კინესთეტიკური შემსწავლელების დასაინტერესებლად საჭიროა მათი ჩაბმა პრაქტიკულ სავარჯიშოში, მაგალითად, როლების გათამაშებაში ან კონკრეტული მაგალითების განხილვაში, რაც პრაქტიკულ მიდგომას უზრუნველყოფს. დავალებები ცხოვრებისეული სიტუაციების სახით უნდა დავუსახოთ, რაც კინესთეტიკურ შემსწავლელებს საშუალებას მისცემს, ნაცნობ სიტუაციებს და ცხოვრებისეულ გამოცდილებას მიმართონ.

ის, ვინც სწავლობს, მუდმივად ერთი და იმავე სტილის ფარგლებში არ რჩება. ადამიანების უმრავლესობა სამივე ამ სტილს მიმართავს იმის მიხედვით, თუ რა საგანია, რა სიტუაციაა და როგორია მოტივაციის დონე. თუმცა ყველა ადამიანი სწავლის გარკვეულ სტილს ანიჭებს უპირატესობას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ფასილიტატორებმა მონაწილეებს ტრენინგის დროს სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოები შესთავაზონ სწავლების სხვადასხვა სტილთან მისადაგების მიზნით.

თავი 3

პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენება

სასწავლო პაკეტის ერთ-ერთი მიზანია, დაეხმაროს მონაწილეებს უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაში და თავიანთი პრობლემების მოგვარების გზის პოვნაში. ამისათვის მნიშვნელოვანია პრობლემების მოგვარების ხერხების ძიება და არა ისეთი კითხვების დასმა, რომლებიც ზედმეტ კონცენტრირებას მოახდენს პრობლემაზე. ამ მიდგომის მიზანია გაუმჯობესების მიღწევა იმ მეთოდებზე დაყრდნობით, რომლებიც უკვე დანერგილია და კარგად მუშაობს, ასევე იმის გარკვევა, თუ რატომ არის ესა თუ ის მეთოდი წარმატებული და შემდეგ მსგავსი პროცესის გამოყენება პრობლემურ სფეროში.

ქვემოთ პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული შეკითხვების რამდენიმე მაგალითია მოცემული.

პრობლემაზე კონცენტრირება	პრობლემის მოგვარებაზე კონცენტრირება
რით შემიძლია დაგეხმაროთ?	როგორ გაიგებთ, რომ საქმე გაუმჯობესებისკენ მიდის?
შეგიძლიათ მიამბოთ პრობლემის შესახებ?	რისი შეცვლა გსურთ?
მეტს ხომ არ მიამბობდით პრობლემის შესახებ?	რა არის ის ძირითადი საკითხი, რომელზეც ყურადღების გამახვილება გსურთ?
როგორ უნდა განვიხილოთ ეს პრობლემა წარსულის ჭრილში? რა წინააღმდეგობებია გაუმჯობესების გზაზე?	შეგვიძლია თუ არა, რომ მოვძებნოთ გამონაკლისები ამ პრობლემიდან? როგორი იქნება მომავალი ამ პრობლემის გარეშე?
რამდენად სერიოზულია პრობლემა?	როგორ შეგვიძლია ადამიანის უნარ-ჩვევების და თვისებების გამოყენება?
რა გავლენას ახდენს პრობლემა ადამიანებზე?	შეგვიძლია თუ არა, რომ მიღწეულით დავკმაყოფილდეთ?

3.1 საუბარი, რომელიც პრობლემის მოგვარების გზებს იხილავს

პრობლემის მოგვარების გზების განხილვა ცვლილების ხელშეწყობის საშუალებას გვაძლევს. ამ დროს კონცენტრაცია ხდება უფრო ახლანდელ და მომავალ სიტუაციებზე და არა წარსულზე; ეს საუბარი ორიენტირებულია უფრო პრობლემის მოგვარებაზე, ვიდრე თავად პრობლემაზე.

იდეა გულისხმობს არა უშუალოდ პრობლემაზე ლაპარაკს, არამედ იმ ცვლილებებზე, რომლებიც გაუმჯობესებას მოიტანს და დაეხმარება ადამიანებს ამ ცვლილებების პრაქტიკულ განხორციელებაში.

ჩვენ გვინდა გადავიდეთ:

პრობლემიდან ადამიანზე	-	დაკავება ადამიანით და არა მხოლოდ პრობლემით.
დეფიციტიდან რესურსზე	-	ყურადღების გამახვილება იმაზე, თუ რისი გაკეთება შეუძლია ადამიანს და არა იმაზე, თუ რა არ შეუძლია.
მცდარიდან სწორზე	-	იმის გარკვევა, თუ რას აკეთებს ან რას აკეთებდა ადამიანი სწორად.
ჩივილიდან სასურველი მომავლისკენ	-	მიზნების განსაზღვრა; როგორ გავიგებთ, რომ მათი მიღწევის გზაზე ვართ?

ერთი ადგილის ტკეპნიდან მოძ- - რაობისკენ	ცვლილების წარმოჩენა, რომ ის თვალსაჩინო იყოს ადამიანისთვის.
მსხვერპლიდან გადარჩენილზე -	ადამიანებისთვის დახმარების გაწევა, რომ ისინი მიხვდნენ, თუ რა ეხმარებათ სიძნელეების დაძლევაში.

დაბოლოს, შეგიძლიათ თქვათ, რომ ჩვენ გვსურს ვიაროთ ცვლილების მოლოდინისკენ.

3.2 პრობლემის მოგვარების გზებზე ორიენტირებული პოზიტიური ენა

მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ ადამიანზე ვიფიქროთ, როგორც რესურსზე და დავეხმაროთ მას, რომ კონსტრუქციულად იაზროვნოს, როდესაც პრობლემის მოგვარების გზის მოძიებაში ვეხმარებით. ენა, რომელსაც ამ დროს ვიყენებთ, აჩვენებს, რომ პრობლემის მოგვარებისას ამ რესურსს ვიყენებთ. მაგალითად, შეგვიძლია ვთქვათ შემდეგი:

- „აქამდე ვერ მოვახერხეთ, რომ . . . მაგრამ მალე შევძლებთ, რომ . . .“
- „მართალია, არ გაგვიკეთებია . . . სამაგიეროდ, გავაკეთეთ . . .“
- „აქამდე ბევრი არ გვილაპარაკია ამის თაობაზე . . . მაგრამ ახლა მზად ვართ . . .“
- პრობლემა წარსულ დროში მოვიხსენიოთ და არა აწმყოში, და უნდა ვთქვათ: „თქვენ ცდილობთ, გააკეთოთ ესა და ეს“ კი არა, არამედ — „თქვენ ცდილობდით, გაგეკეთებინათ ესა და ეს“;
- გაუმჯობესებებზე საუბრისას იხმარეთ პოზიტიური ენა და თქვით „როდესაც“ და არა „თუ“;
- პრობლემებს უფრო პოზიტიური ელფერი მიანიჭეთ და ნაცვლად იმისა, რომ თქვათ: „ძალიან დაკავებულები ვართ, რომ გავაკეთოთ ესა და ეს“, თქვით: „ზოგიერთი რამის გაკეთება შეგვიძლია“; ნაცვლად ფრაზისა — „ის არ უსმენს. . .“, თქვით: „ის უსმენს მაშინ, როდესაც. . .“; ნაცვლად სიტყვებისა — „ყველაფერი ცუდად არის. . .“, თქვით: „ზოგიერთი რამ კარგად არის. . .“
- ფაქტი ან რეალობა აქციეთ აღქმად – მაგალითად, იმის ნაცვლად, რომ თქვათ: „ყველაფერი ინგრევა“, თქვით: „არ გეჩვენებათ, რომ ბევრი რამ იცვლება?“; ნაცვლად იმისა, რომ თქვათ: „საკმარისი დრო არ გვაქვს,“ თქვით: „ზოგჯერ ძნელია ყველაფრის მოსწრება.“
- შესთავაზეთ ექსპერიმენტის ჩატარება – მაგალითად: „მოდი, ვცადოთ ამის გაკეთება კვირაში ერთი დღე და ვნახოთ, თუ შეიცვლება რამე.“

მოკლედ, ჩვენ უნდა შევეცადოთ, დავეხმაროთ ადამიანებს:

- ისე განსაზღვრონ პრობლემა, რომ ის მოგვარებას ექვემდებარებოდეს;
- დასახონ მარტივი მიზნები, რომელთა მიღწევაც შესაძლებელია.

შენიშვნა: უმჯობესია ვიხმაროთ „ჩვენ“ და არა „თქვენ.“ მაგალითად:

სასურველ მომავალზე საუბრისას უფრო მეტად წამახალისებელი და მეგობრული ფრაზებია „ახლა ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ . . .“ ან „თუ დავფიქრდებით იმაზე. . .“, ვიდრე „ახლა თქვენ უნდა. . .“ ანდა „ხომ არ დაფიქრდებით იმაზე . . .“

3.3 სწორად დასახული ამოცანები და მიზნები

ამოცანები და მიზნები არის სტიმული და მოტივაცია ცვლილების მისაღწევად, რაც გვეხმარება ცვლილებების განხორციელების დროს სიმტკიცის შენარჩუნებაში. ტრენინგის ყველა მასალას აქვს მკაფიო მიზანი — დაეხმაროს მის მონაწილეებს მისაღწევი ამოცანებისა და მიზნების დასახვასა და შესრულებაში.

ადამიანები ხშირად ვერ ერკვევიან თავიანთ პრობლემებში და იმაში, თუ როგორი უნდა იყოს კარგი შედეგი.

ამოცანები და მიზნები:

- უნდა იყოს პოზიტიური – რას გავაკეთებთ?
- უნდა იყოს შესაბამისი – მათი მეშვეობით როგორ მივაღწევთ გაუმჯობესებას?
- უნდა იზომებოდეს– როგორ მივხვდებით, რომ შევასრულეთ?
- უნდა გულისხმობდეს გარკვეულ მოქმედებას – რას შევნიშნავთ სხვაგვარად გაკეთებულს?
- უნდა იყოს რეალისტური და უნდა არსებობდეს მათი მიღწევის შესაძლებლობა – როგორ მივაღწევთ მცირედ გაუმჯობესებას?
- უნდა იყოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული – ყველამ გავიგეთ და შევთანხმდით, რა უნდა გავაკეთოთ?

მიზნების ვრცელი ჩამონათვალის შედგენა შესაძლოა პრობლემური აღმოჩნდეს პრობ-ლემის მოგვარებაზე ორიენტირებული მიდგომისთვის, რადგან უფრო ხშირად მიზნები ამბიციურია და ყველა მიზნის მიღწევა რთული იქნება.

გირჩევთ, თავდაპირველად ყველაზე რთული მიზნების მიღწევაზე იზრუნოთ, რადგან პრობლემების უმრავლესობას აქ წააწყდებით და ეს ყველაზე შესაფერისი იქნება პრობ-ლემის მოგვარებაზე ორიენტირებული მიდგომის დროს. ყოველი პრობლემის მოგვარება აადვილებს მომდევნო პრობლემაზე მუშაობას.

სხვა მიზნების მიღწევა უფრო ადვილი იქნება და თავდაჯერებაც გაიზრდება, რადგან უფრო გაადვილდება იმის წარმოდგენა, თუ როგორ შეიცვლება ცხოვრება მიზნის მიღწ-ევის შემდეგ.

3.4 პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული ტექნიკური მეთოდები

შეიძლება აღნიშნული ტექნიკური მეთოდების ადაპტირება და გამოყენება ტრენინგების ფარგლებში ვარჯიშის დროს, რათა დავეხმაროთ ადამიანებს, იფიქრონ პრობლემების მოგვარების გზებზე და არა თავად პრობლემაზე.

3.4.1. ჯადოსნური შეკითხვა

ჯადოსნური შეკითხვა სასარგებლო ინსტრუმენტია სასურველი მომავლის შესახებ მსჯელობის დროს – რა იქნება მაშინ, როდესაც პრობლემა აღარ იარსებებს, აგრეთვე, რა უნდა გაკეთდეს ასეთი მომავლის მისაღწევად.

„ამაღამ რომ დაწვებით, სასწაული მოხდება და პრობლემა მთლიანად გადაიჭრება, მა-გრამ თქვენ გეძინებათ და არ გეცოდინებათ, რომ სასწაული მოხდა.

ხვალ რომ გაიღვიძებთ, რა იქნება შეცვლილი, რაც მიგანიშნებთ, რომ სასწაული მოხდა?

რას გააკეთებთ სხვაგვარად?

სხვები რას გააკეთებენ განსხვავებულად?“

ჯადოსნური შეკითხვის კომპონენტებია:

რა განსხვავებას შეამჩნევთ?	რა შეიძლება მოხდეს?
როგორ მიხვდებით?	უკვე რა მცირე ნიშნები შეამჩნიეთ?
რა იქნება ამის პირველი ნიშანი?	კიდევ ვინ შეამჩნევს?
პირველი ვინ შეამჩნევს?	კიდევ რას. . . კიდევ რას. . .?

შენიშვნა: კარგი იქნება, თუ ტრენინგის მონაწილეებს სთხოვთ:

- რაც შეიძლება მეტი დეტალი ეძებონ;
- ზუსტად აღწერონ ყველაფერი;
- წყნარად ისაუბრონ;
- სასურველ მომავალზე პოზიტიურად იფიქრონ.

დასკვნის სახით შეგიძლიათ თქვათ, რომ იმის თვალნათლივ წარმოდგენით, თუ რას გავაკეთებთ მომავალში, როდესაც პრობლემა აღარ იარსებებს, ჩვენ კონცენტრირებას ვახდენთ იმაზე, თუ როგორ უნდა შევცვალოთ საკუთარი ქცევა, რომ პრობლემა გადავჭრათ.

3.4.2. გამონაკლისების ძიება

არსებობს გამონაკლისები, რომლებიც ყველაზე რთულ პრობლემებსაც შეიძლება ეხებოდეს. სწორედ ეს გამონაკლისები გვეხმარება პრობლემის მოგვარების გზის მოძებნაში.

გამონაკლისი ადამიანს იმაზე მიანიშნებს, რომ პრობლემა ყოველთვის არ წამოიჭრება და თუ წამოიჭრა, გარკვეულწილად მისი გაკონტროლებაც შეიძლება.

შეკითხვები, რომლებიც გვეხმარება გამონაკლისების იდენტიფიცირებაში:

- რას იტყვით იმ დროზე, როდესაც ეს არ ხდება?
- რას იტყვით იმ დროზე, როდესაც ეს ნაკლებად ხდება?
- რა დროს გაწუხებთ ეს ყველაზე ნაკლებად?
- როდის გიხდებათ ცდუნების დაძლევა, რომ. . .?
- როგორი იყო ცხოვრება მანამდე?
- ასეთ დროს რას აკეთებთ განსხვავებულად?
- თუ არის ვინმე, ვინც გეხმარებათ ან სხვებზე უკეთესად აგვარებს პრობლემას?
- თუ არის ვინმე, ვინც აფასებს იმას, რასაც თქვენ აკეთებთ?

შენიშვნა: უნდა გადახვიდეთ გამონაკლისის ძიების შესახებ დისკუსიის მომდევნო საფეხურზე:

დასვით ასეთი შეკითხვა: „ ასეთი გამონაკლისების შემთხვევაში ან თქვენ რას აკეთებთ განსხვავებულად, ან სხვები რას აკეთებენ განსხვავებულად?“

თუ პრობლემა განსაკუთრებულ მომენტებში იჩენს თავს, ამ დროს მოიძიეთ გამონაკლისები.

თუ პრობლემა განსაკუთრებულ ადგილებში იჩენს თავს, ამ ადგილებში მოიძიეთ გამონაკლისები.

დასკვნის სახით შეგიძლიათ თქვათ, რომ პრობლემის მოგვარების გზის მოსაძებნად საუკეთესოა იმის გარკვევა, თუ რას მოაქვს საუკეთესო შედეგი და იგივე პროცესი მიუსადაგოთ იმას, რაც არცთუ ისე კარგად მუშაობს — „თუ აქ კარგად მუშაობს, ყველგან კარგად იმუშავებს.“

3.4.3. სკალის შედგენა

ცვლილების გაზომვა საუკეთესო იარაღია ახალი ცვლილებების სტიმულირებისთვის. რაც უფრო მეტია ცვლილების შეგრძნება, მით უკეთესად ვხვდებით, რომ წინ მივდივართ, ვგრძნობთ, რომ შეგვიძლია პრობლემის გაკონტროლება და უფრო მოსალოდნელია, რომ გადავწყვეტთ მას.

სკალის შედგენა ალბათ ყველაზე მოქნილი იარაღია პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული მეთოდებიდან. მათი გამოყენება მრავალნაირად შეიძლება.

მთავარი შეკითხვა, რომელიც სკალის შედგენის დროს ჩნდება, არის შემდეგი:

„თუ ავიღებთ სკალას 0-დან 10-მდე, სადაც 0 ყველაზე უარესი შედეგია თქვენს ცხოვრებაში, ხოლო 10 — საუკეთესო, რომელსაც ესწრაფით, რა ადგილას ხართ დღეს?



ცოტა ადამიანი პასუხობს ამ კითხვაზე 0-ს. ეს მომენტალურად აძლევს ინსტრუქტორს შესაძლებლობას, დასვას ასეთი კითხვა:

„რას აკეთებთ ისეთს, რაც გულისხმობს, რომ ხართ X პოზიციაში და არა X-1 პოზიციაში?

ეს შეკითხვა გამონაკლისების იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, ის გეხმარებათ დასვათ შეკითხვა მიზნების შესახებ:

„როგორ იქნება საქმე, როდესაც იქნებით მე-8, მე-9 ან თუნდაც მე-10 პოზიციაზე?

გარდა ამისა, ეს არის „პირველი მცირე მაჩვენებელი“ იმისა, რომ ცვლილება ხდება:

„X პოზიციაში რომ იყოთ და X+1 პოზიციაში რომ გადაინაცვლოთ, რა ცვლილებას შენიშნავდით?“

კონტექსტიდან და მიზნიდან გამომდინარე შესაძლებელია სხვადასხვა ვერსიის გამოყენება:

„0-10-მდე სკალის ფარგლებში. . . რამდენად დარწმუნებული ხართ, რომ ეს მოხდება?

„0-10-მდე სკალის ფარგლებში. . . რამდენად მოისურვებენ სხვა ადამიანები, რომ დაგეხმარონ ცვლილების განხორციელებაში?“

შენიშვნა: ამ მეთოდს როცა იყენებთ, კარგი იქნება, თუ სკალას დახატავთ დაფაზე, დიაგრამაზე ან PowerPoint-ის სლაიდზე და დასვამთ ასეთ კითხვას: „ამ აქტივობის დაწყებამდე იფიქრეთ საკუთარ უნარ-ჩვევებზე. როგორ შეაფასებდით მათ 0-დან 10-მდე?“ თუ საჭიროა, დაუბრუნდით ამ კითხვას მეცადინეობის ბოლოს ან მომდევნო მეცადინეობის დასაწყისში და ჰკითხეთ მონაწილეებს, იმ მომენტისთვის რა პოზიციაშია მათი უნარ-ჩვევები სკალაზე და რა გაუმჯობესება შეინიშნება.

დასკვნის სახით შეგიძლიათ უთხრათ მონაწილეებს, რომ იმის შესახებ პოზიტიური ფიქრით, თუ რომელ ადგილას ვართ ამჟამად სკალაზე, ვაცნობიერებთ, თუ რას მივაღწიეთ და რა იქნება მომდევნო პატარა ნაბიჯი.

ზოგადი დასკვნა. შეგიძლიათ გამოიყენოთ:

- ჯადოსნური შეკითხვა პოტენციალის განსაზღვრის მიზნით;
- გამონაკლისების შესახებ შეკითხვები მიმდინარე მიღწევების განსაზღვრისთვის;
- სკალის შედგენასთან დაკავშირებული შეკითხვები მიზნისკენ მიმავალი თითოეული ნაბიჯის განსაზღვრისთვის.

3.4.4. პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული ზოგიერთი სხვა მიდგომა

ეს შეიძლება იყოს ჯგუფთან საუბრის ქმედითი ფორმები.

საუბარი პრობლემების მოუხსენიებლად

რას ვაკეთებთ კარგად?

რა რესურსები გვაქვს?

ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ რა შეიცვალა?

მიზნების დასახვა

რისი მიღება გინდათ ტრენინგის მეშვეობით?

როგორ მიხვდებიან თქვენი კოლეგები და მეგობრები, რომ ტრენინგი „სკოლაში ძალადობის აღმოფხვრა“ ეფექტიანი აღმოჩნდა?

რას გააკეთებთ ისეთს, რასაც თქვენი კოლეგები და მეგობრები დაინახავენ, თუ ტრენინგი „სკოლაში ძალადობის აღმოფხვრა“ ეფექტიანი აღმოჩნდება?

რას გააკეთებთ იმის ნაცვლად, რასაც აქამდე აკეთებდით? (ქცევის შეცვლა)

რა უნდა გავაკეთოთ, რომ თქვენ ნაკლებად ინერვიულოთ?

მძიმე შრომის აღიარება

როგორ მივხვდებით ტრენინგის ბოლოს, რომ ღირდა მასზე დასწრება?

როგორ მიხვდებიან თქვენი კოლეგები და მეგობრები, რომ ტრენინგი, რომელსაც თქვენ დაესწარით, სასარგებლო გამოდგა?

რას დაინახავენ ისინი, რასაც განსხვავებულად გააკეთებთ?

კარგი დღე

როგორ მიხვდებით, რომ კარგი დღეა?

როდესაც საუკეთესო დღე გაქვთ, როგორ ხვდებით ამას?

რას გააკეთებდით?

რას იტყოდით?

როგორ მიხვდებიან თქვენი კოლეგები, რომ კარგი დღე გქონდათ?

რა ძირითადმა საკითხებმა აქცია თქვენი დღე კარგ დღედ?

როგორ მოემზადებით კარგი ღამის ძილისთვის?

რა მოხდებოდა იმ დღეს, როდესაც პრობლემა წამოიჭრებოდა, მაგრამ ის თქვენ არ შეგაწუხებდათ?

ძლიერი მხარეების გამოყენება

როდესაც ამგვარ პრობლემას წავაწყდით წარსულში, როგორ გადავჭერით ის?

როგორ შეგვიძლია ამის გაკეთება კვლავ?

რა უნდა მოხდეს, რომ კვლავ ეს გავაკეთოთ?

კიდევ რა რთული სიტუაციები მოგვიგვარებია?

როგორია მიდგომა რთული სიტუაციების მოგვარებისადმი?

ძლიერი დაინტერესება

რა დაგვაკმაყოფილებს?

რამდენად დარწმუნებული ვართ, რომ წინ მივდივართ?

რა უნდა იგრძნოთ, რომ უფრო დარწმუნებული იყოთ თქვენი ქმედების გაგრძელებისას?

ამოცანისთვის თავის გართმევა

როგორ ართმევთ თავს ამოცანას?

სიტუაცია გადაულახავი ჩანს. როგორ მოახერხეთ მისთვის თავის გართმევა?

რას აკეთებთ ისეთს, რაც გეხმარებათ ამოცანისთვის თავის გართმევაში?

რას აკეთებთ იმისთვის, რომ არ იყოს გაუარესება?

რას გააკეთებთ, თუ არაფერი შეიცვლება?

(თუ ადამიანს არ უნდა, რომ შეიცვალოს) როგორი იქნება მომავალი?

„სწორ გზაზე“ სიარული

როგორ მოახერხეთ პრობლემის აღმოფხვრა?

როგორ შეცვალეთ საქმის ვითარება?

როგორ მოხდა, რომ დღეს ისევ აქ ხართ?

როგორ მოხდა, რომ ... არ ხართ?

საკუთარი თავის ხედვა

რას გვასწავლის ეს ყოველივე საკუთარი თავის შესახებ?

რა ვიცით ჩვენ შესახებ ახლა, რაც ერთი კვირის წინ არ ვიცოდით?

გაგვაკვირვა თუ არა საკუთარმა თავმა?

რა გავიგეთ ამ გამოცდილებიდან?

რა იქნება სასარგებლო მომავალში?

(თუ არ გვინდა, რომ შევიცვალოთ) როგორ ვფიქრობთ, რა იქნება მომავალში, თუ გავაგრ-ძელებთ ამის კეთებას?

სხვადასხვაგვარი აღქმა

რას იტყოდნენ თქვენი კოლეგები, რა გააკეთეთ თქვენ მაშინ, რომ გაგეადვილებინათ საქმე?

რას იტყოდა თქვენი მეგობარი თქვენ მიერ მიღწეული პროგრესის შესახებ დღეს?

რამდენად დარწმუნებული იქნებოდა თქვენი მეგობარი, რომ თქვენ სკალის 10 ნიშნულს მიაღწევთ?

დასასრული

რა უნდა გავაკეთოთ, რომ თქვენ დარწმუნებული იყოთ იმაში, რომ თავად გაართმევთ თავს საქმეს კოლეგებთან, მეგობრებთან და საზოგადოებასთან ერთად?

რა უნდა გააკეთოთ, რომ თქვენთვის სასურველი ცვლილებები მოხდეს?

თავი 4

ზრდასრულ მოსწავლეთა მოტივირება

4.1 როგორ სწავლობენ მოზრდილები

როგორც უკვე ნაჩვენები იყო, მონაფეების როლში მოზრდილები:

- არიან დამოუკიდებელი — ისინი თვითონ წყვეტენ, თუ რისი შესწავლა სურთ;
- იყენებენ წარსულში მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას მიმდინარე სასწავლო პროცესის დასაგეგმად;
- სწავლობენ საგანგებო მიზნით და საჭიროებენ მოტივაციას, სწავლის სურვილი რომ გაუჩნდეთ;
- სურვილი აქვთ, გამოიყენონ მიღებული ცოდნა პრობლემების მოსაგვარებლად.

4.2. სწავლის ხელშეწყობა ტრენინგზე „ძალადობის აღმოფხვრა სკოლებში "

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ პროგრამა „ძალადობის აღმოფხვრა სკოლებში" ფოკუსირებული იყოს იმ პრობლემათა გადაჭრაზე, რომლებიც მონაწილეებმა გამოავლინეს, და, აგრეთვე, უქმნიდეს მათ მოტივაციას მომავალში სწავლის გასაგრძელებლად.

იმისათვის, რომ მაქსიმალურად უზრუნველყოფილ იქნეს მონაწილის მოტივაცია და ჩართულობა, ფასილიტატორებს მართებთ:

- წაახალისონ მონაწილეები, რომ მათ თავი პიროვნულ დონეზე ჩართულებად იგრძნონ, რაც უნდა მოხდეს მათ მიმართ ინდივიდუალური მიდგომით. ფასილიტატორები ახლოს უნდა გაეცნონ მონაწილეებს, გამოიჩინონ დაინტერესება მათი მუშაობის მიმართ და ხალისით უპასუხონ მათ მიერ დასმულ შეკითხვებს;
- გამოიყენონ პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული მიდგომა, რათა ჯგუფში დამკვიდრდეს დადებითი ატმოსფერო და მოხდეს პრობლემების გაზიარება პოზიტიური კუთხით;
- უზრუნველყონ პროგრესის მიღწევა ჯგუფში, მისდიონ სასწავლო მეცადინეობის წარმართვის ინსტრუქციებს და თავი აარიდონ თემიდან გადახვევას; ფასილიტატორებმა პასუხი უნდა გასცენ დასმულ შეკითხვებს და გამოეხმაურონ ინტერესის გამომჟღავნებას მოსწავლეთა მხრიდან, მაგრამ, ამავე დროს არ უნდა გასცდნენ მეცადინეობის მთავარ საგანს და მუდმივად კონცენტრირებული უნდა იყვნენ მასზე;
- გარკვევით უნდა ჩამოაყალიბონ მიმდინარე სავარჯიშოების მიზნები და სასწავლო მეცადინეობის შინაარსი, რის შესახებაც განმარტებები უნდა მიაწოდონ მონაწილეებს, რათა მათ გაიგონ, თუ რა მიზნით მოხდა სასწავლო საგნის არჩევა;
- უნდა შესთავაზონ მონაწილეებს სასწავლო კონტრაქტი და შეათანხმონ ძირითადი წესები ჯგუფებთან — იმ მიზნით, რომ ყველამ გაიგოს, თუ რას მოელიან მათგან;
- გამოავლინონ პიროვნული დაინტერესება, ენთუზიაზმი და ჩართულობა სასწავლო მეცადინეობებისა და მათი შინაარსის მიმართ;
- სასწავლო პროცესში ჩააბან ჯგუფის ყველა წევრი, რასაც შეძლებენ იმით, რომ ბუნებრივად წაახალისონ ისინი, ვინც უკან იხევს, და, პირიქით, უკან დახიონ ისინი, ვინც დომინანტად გამოდის დისკუსიის წარმართვის პროცესში. თითოეულ მონაწილეს უნდა მიენიჭოს როლები, რათა თითოეულმა მათგანმა შეძლოს საკუთარი წვლილის შეტანა ჯგუფის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე;
- განუხრელად უნდა გაზარდონ მონაწილეთა ჩართულობისა და ერთმანეთზე დამოკიდებულების ხარისხი პროგრამის განხორციელებისმთელი პერიოდის განმავლობაში, რათა ამით უბიძგონ თვითმოტივირებული ჯგუფური სწავლებისაკენ;
- და, ყველაფერთან ერთად, ხშირად და ღიად აღნიშნონ სწავლისა და წარმატების შესახებ, რათა მონაწილეებს აუმაღლონ საკუთარი თავის რწმენის შეგრძნება და წაახალისონ მათში სწავლის შემდგომი გაგრძელების სურვილი.

4.3. სასწავლო მეცადინეობაში მონაწილის მიერ შეტანილი წვლილის შეფასება

4.3.1 აქტიური მოსმენა

დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ ტრენინგის წარმმართველმა ფასილიტატორმა გამოიყენოს აქტიური მოსმენის უნარი სასწავლო მეცადინეობის როგორც ოფიციალურ, ისე არაოფიციალურ ნაწილებში, რისთვისაც:

- უნდა წარიმართოს მსჯელობა ინდივიდებისათვის იმის საჩვენებლად, რომ მათი წვლილი აღქმული და გაზიარებულია;
- იდეების გასამყარებლად მიზანშეწონილია ჯგუფის წევრების მიერ დისკუსიებში გამოყენებული გამონათქვამების ციტირება;
- ხაზი უნდა გაესვას კავშირს სასწავლო მეცადინეობის შინაარსსა და იმას შორის, რაც ჯგუფში ითქვა ამ საგანთან დაკავშირებით;
- უნდა მოხდეს კომენტარებისა და საკვანძო მოსაზრებების ჩაწერა ან ჩანიშვნა;
- ხაზი უნდა გაესვას ძირითად სასწავლო საკითხებსა და მნიშვნელოვან ასპექტებს;
- უნდა მოხდეს იმის გათვითცნობიერება, თუ აქტიური მოსმენის პროცესში რა ხარისხით არის ჩართულობის გამომხატველი ჟესტიკულაცია და მიმიკა, განსაკუთრებით კი — მზერითი კონტაქტი.

სასარგებლოა შეკითხვებსა და წინადადებებზე პოზიტიური შინაარსის რიგი საპასუხო გამონათქვამების შემუშავება, მაგალითად:

- „დიახ, და...“ (უფრო მიზანშეწონილია, ვიდრე — „არა, მაგრამ...“)
- „ეს საინტერესოა, გვითხარით უფრო მეტი ამის შესახებ.“
- „თქვენი აზრით, როგორ უნდა განვავითაროთ ეს საკითხი?“
- „რას ფიქრობენ დანარჩენები ამის შესახებ?“
- „კარგია, რომ ეს საკითხი წამოჭერით.“
- „სწორედ მაგას ვფიქრობდი, როგორ უნდა მივუდგეთ მაგ საკითხს-მეთქი.“

4.3.2 შეკითხვების დასმა

შეკიხვები მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომლის გამოყენება ფასილიტატორებს შეუძლიათ სწავლების პროცესის მიმდინარეობისას. არსებობს ზოგადი შეკითხვების ორი ტიპი: ღია და დახურული.

ღია შეკითხვები ის შეკითხვებია, რომლებიც იძლევა საშუალებას, მოხდეს საკითხის შესწავლის მიზნით მისი განხილვა, და ბიძგს აძლევს მსჯელობის პროცესს. ასეთი შეკითხვაა, მაგალითად: „მაშ, როგორი იქნება შემდგომი ნაბიჯი?“

დახურული შეკითხვები ეწოდება ისეთ შეკითხვებს, რომლებიც ერთ მოკლე პასუხს მოითხოვს და შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმწუთიერი საპასუხო რეაქციის მისაღებად. მაგალითად: „ყველამ გაიგო ეს საკითხი?“

ორივე სახის შეკითხვას თავისი ადგილი ენიჭება სასწავლო პროცესის წარმართვაში.

პროცესში იმ ადამიანების ჩასაბმელად, რომლებსაც ჯგუფისგან განზე უჭირავთ თავი (განზრახ თუ უნებურად), შეიძლება პოზიტიური შეკითხვების გამოყენება. ღია შეკითხვა საშუალებას აძლევს ჯგუფს, ჩაებას დისკუსიაში მთელი რიგი მოსაზრებების განსახილველად და ხელს უწყობს მონაწილეობის პროცესს.

ღია შეკითხვების მაგალითებია:

- „რატომ არის ეს იმის მაგალითი, რასაც ახლახან განვიხილავდით?“
- „როგორ უკავშირდება ეს იმას, რაც ჩვენ ბოლო სავარჯიშოს მსვლელობისას შევისწავლეთ?“
- „რატომ არის ეს საკითხი მნიშვნელოვანი მოცემულ სიტუაციაში?“
- „ამ საკითხის მოგვარების რომელი გზების შემოთავაზება შეუძლია ჯგუფს?“
- „კონკრეტულად რა გვაქვს მხედველობაში, როცა ვამბობთ...?“
- „რა არის ამგვრი მიდგომის დადებითი და უარყოფითი მხარეები?“

კითხვების დასმა სასარგებლოა, ვინაიდან ადამიანებში აზროვნების სტიმულირებას უწყობს ხელს. რეფლექსიური ხასიათის შეკითხვებია, მაგალითად:

- შეგიძლიათ დაასახელოთ ამის მაგალითი?
- რა უმთავრესი საკითხები ისწავლეთ დღევანდელ მეცადინეობაზე?
- მოდი, შევადაროთ ეს თვალსაზრისი ჩვენს წინა მეცადინეობაზე გამოთქმულ შენიშვნებს.
- კონკრეტულად რისი შეცვლა შეგიძლიათ იმისათვის, რომ მიაღწიოთ იმ შედეგებს, რომლებსაც მიზნად ისახავთ?
- როგორ შეადარებდით ამას თქვენს საკუთარ გამოცდილებას?
- რა საკითხებს წამოჭრის ეს თქვენ, როგორც მონაწილის, წინაშე?

ყველა სახის შეკითხვების დასმისას მნიშვნელოვანია, მონაწილეებს მიეცეს დრო საიმისოდ, რომ კარგად მოიფიქრონ თავიანთი პასუხები. არ არის სასურველი შემდეგ შეკითხვაზე ან სავარაუდო პასუხზე სწრაფად გადახტომა.

4.3.3. მონაწილეთა შენიშვნებზე პასუხის გაცემა

ფასილიტატორებმა უნდა იცოდნენ, რა პასუხი უნდა გასცენ მონაწილეებს. მათ პასუხებს, ვერბალურსა თუ არავერბალურს, დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია დისკუსიის შედეგებზე.

ვერბალური პასუხები შეიძლება იყოს სუბიექტური ან ობიექტური, კრიტიკული ან კონსტრუქციული. მოუმზადებელი, დაუფიქრებელი პასუხები შესაძლოა არც იყოს განზრახ დესტრუქციული, მაგრამ არსებობს იმის საფრთხე, რომ ისინი სწორედ ასეთად იქნეს აღქმული.

ობიექტური, ანუ კონსტრუქციული პასუხი ფასილიტატორის მოსაზრებას არ მოაქცევს დისკუსიის ცენტრში, თუმცა სტიმულს აძლევს მონაწილეებს, განაგრძონ საკითხის შემდგომი განხილვა.

რეფლექსიური პასუხი ფასილიტატორის მხრიდან სტიმულს აძლევს ჯგუფის წევრებს, გადახედონ საკუთარ წარსულ გამოცდილებასა და პრაქტიკას იმისათვის, რომ მოძებნონ შესაძლო გადაწყვეტილებები.

4.3.4 განხილვა და შეჯამება

თითოეული მეცადინეობის დასასრულს ფასილიტატორმა უნდა განიხილოს სწავლება. ეს განხილვა უნდა მოიცავდეს მეცადინეობის დროს წამოჭრილ საკვანძო საკითხებს და ნიადაგს ამზადებდეს ყოველი შემდეგი ნაბიჯისთვის.

შეჯამება საშუალებას აძლევს ჯგუფის წევრებს, გაიაზრონ სხვადასხვა თვალსაზრისი და შეხედულება, რომლებიც დაიბადება მუშაობის პროცესში; განიხილონ მოულოდნელად წამოჭრილი საკითხები; გამოიკვლიონ და განავითარონ ძირითადი სფეროები ან შემოიტანონ ის ელემენტები, რომელთა ნაკლებობაც მანამდე არსებობდა.

თავი 5

ჯგუფური მუშაობის წარმატებით წარმართვა

5.1 სასწავლო საზოგადოების შექმნა

ფასილიტატორები შეიძლება მოელოდნენ, რომ მონაწილეთა თითოეულ ჯგუფს ისევე, როგორც სკოლის ნებისმიერ კლასს, ექნება განსხვავებული ხასიათი, რადგან თითოეული ჯგუფი შედგება მონაწილეთაგან, რომელთაც აქვთ თავიანთი პიროვნული თვისებებისა და გამოცდილებების უნიკალური კომბინაცია. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეებთან შედარებით პროგრამის — „სკოლაში ძალადობის აღმოფხვრა“ — მონაწილეები მოდიან ბევრად უფრო ფართო გამოცდილებით, უფრო დაღვინებულები; სოციალური და ემოციური უნარებიც უფრო განვითარებული აქვთ და უფრო ჩამოყალიბებული დამოკიდებულებებით გამოირჩევიან (იხ. ნაწილი 4.1).

ეტაპობრივი ტრენინგის სხვადასხვა დონეზე მონაწილეებს აგრეთვე ექნებათ სხვადასხვა კომპეტენცია, გაგება და უნარი. ზოგიერთებს რთულად მოეჩვენებათ გარკვეული კონცეფციები. სხვებისთვის კი ეს კონცეფციები უკვე ნაცნობი აღმოჩნდება, რადგან უკვე გავლილი ექნებათ სხვა კურსები ან წაკითხული ექნებათ წიგნები და სამეცნიერო ნაშრომები. ზოგიერთები იქნებიან მოსწავლეები და მათთვის ტრენინგის პროგრამა — „ძალადობის აღმოფხვრა სკოლებში“ — იქნება სკოლამდელი ტრენინგის ნაწილი. სხვები იქნებიან გამოცდილი პრაქტიკოსები, რომლებმაც შეიძლება დიდი წვლილი შეიტანონ საერთო სასწავლო პროცესში ან შეიძლება აღარ სურდეთ და ეწინააღმდეგებოდნენ სიახლეების მიღებას, ვინაიდან მყარად მისდევენ საკუთარ გაკაფულ გზებს.

ფასილიტატორები კარგად უნდა იცნობდნენ მეორე თავს სწავლის სხვადასხვა სტილის შესახებ და მეოთხე თავს მოზრდილი მოსწავლეების მოტივირების შესახებ, რათა ადრეულ სტადიაზევე შეძლონ იდენტიფიცირება იმ სასწავლო პროცესებისა, რომლებიც ყველაზე მეტად მოუხდება სწავლის განსხვავებულ სტილს და ჯგუფის ინტერესებს.

ფასილიტატორებს უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი აყალიბებენ სასწავლო საზოგადოებას და არა საზოგადოებრივ კლუბს. ფასილიტატორები თავიდანვე უნდა დაეხმარონ ჯგუფს იმაში, რომ კონცენტრირება მოახდინოს ტრენინგის მიზანზე — სკოლაში ძალადობის აღმფხვრასთან დაკავშირებით ბავშვების ცოდნის გაუმჯობესებაზე.

მიუხედვად იმისა, რომ ქვემოთ მოტანილი ყველა წინადადება დაეხმარება ფასილიტატორებს პოზიტიური სასწავლო საზოგადოების შექმნაში, მათ არ სჭირდებათ ყველა ამ წინადადების ყოველ სასწავლო მეცადინეობაზე გამოყენება. მათ ჩამონათვალიდან უნდა აარჩიონ ისინი, რომლებიც თითოეული ჯგუფის ხასიათს შეესაბამება და უხდება მის სტილს.

5.1.1 ურთიერთობების აგება

ეს ეხება მონაწილეების გაცნობას და მათგან მათი გამოცდილებისა და სწავლის პრიორიტეტების შესახებ გაგებას. ამის მიღწევა შესაძლებელია შემდეგნაირად:

- დავხვდეთ და მივესალმოთ ჯგუფის წევრებს, როცა მოვლენ, შევუქმნათ კომფორტი, თავისუფალი გარემო, და დავინტერესდეთ თითოეული მათგანით, როგორც პიროვნებით და როგორც მონაწილით;
- ვთხოვოთ ჯგუფის წევრებს, მოიტანონ მაგალითები თავიანთი სამუშაო გამოცდილებიდან;
- ჩავიწეროთ მონაწილეთა სახელები და ხშირად გამოვიყენოთ კიდეც;
- მივმართოთ აქტიურ მოსმენას (იხ. ნაწილი 4.3.1).

5.1.2 სასწავლო მეცადინეობაზე ფიქრი

მნიშვნელოვანია, რომ დავეხმაროთ ჯგუფს, შეუდგეს ფიქრს სასწავლო მეცადინეობის შესახებ. ამის მიღწევა შეიძლება შემდეგნაირად:

- დავიწყოთ თითოეული მეცადინეობა „მოთელვის“ სავარჯიშოთი (იხ. ნაწილი 10.1).
- გამოვიკითხოთ ამ საკითხთან დაკავშირებულ პირად გამოცდილებაზე და წავახალისოთ დისკუსია მონაწილეთა შორის, როცა ისინი მუშაობას შეუდგებიან.
- მეცადინეობის დაწყებისთვის ოთახში გამზადებული გვქონდეს რამდენიმე მასტიმულირებელი შეკითხვა, ფოტოსურათი, პლაკატები და ნივთები.

5.1.3 მოლოდინის მართვა

მნიშვნელოვანია, რომ ცხადად გვქონდეს წარმოდგენილი მოლოდინთან დაკავშირებული საკითხები. ამის მიღწევა შეიძლება ჯგუფის წევრებთან ძირითადი წესების შეთანხმებით. ქვემოთ ჩამოთვლილია რამდენიმე ძირითადი წესი, რომლებიც ფასილიტატორმა შეიძლება შესთავაზოს მონაწილეებს, რათა დაეხმაროს ჯგუფის წევრებს, მიიღონ გადაწყვეტილება, თუ როგორ შეადგინონ მათი საკუთარი ჩამონათვალი.

ჩვენ უნდა შევთანხმდით იმაზე, რომ:

- დავიწყებთ და დავამთავრებთ დათქმულ დროს;
- მოვუსმენთ და შევაფასებთ სხვათა კომენტარებს — მონაწილეები რიგრიგობით ილაპარაკებენ, თითო ერთ ჯერზე;
- პატივს ვცემთ სხვების აზრს მაშინაც, თუ ის ჩვენი აზრებისგან განსხვავდება;
- ჩვენ მიერ ნასწავლს გავუზიარებთ ჩვენს კოლეგებს;
- როცა გვთხოვენ, პატივი ვცეთ კონფიდენციალურობას;
- უხერხულობის გარეშე დავეხმარებით ერთმანეთს, როცა რაიმეს გაგება რთული აღმოჩნდება;
- ვითანამშრომლებთ, რათა ჯგუფს მიზნის მიღწევაში დავეხმაროთ;
- მივიღებთ აქტიურ მონაწილეობას სასწავლო მეცადინეობის ორგანიზებაში, თუკი გვაქვს ათანადო უნარები.

5.1.4 სასწავლო კონტრაქტის შეთანხმება

სწავლაზე ფოკუსირება შეიძლება გაძლიერდეს იმით, რომ:

- სასწავლო მეცადინეობის დასაწყისში ვთხოვოთ თითოეულ მონაწილეს, თქვას, რისი სწავლის იმედი აქვს მეცადინეობის დროს და შემოწმების გზით დავრწმუნდეთ, რომ ეს მოლოდინი რეალიზდა მეცადინეობის ბოლოსთვის;
- შევთანხმდეთ სასწავლო კონტრაქტზე პირველი მეცადინეობის დასაწყისში და სხვა მეცადინეობისას რეგულარულად მივმართოთ მას.

სასწავლო კონტაქტი არის შეთანხმება, რომელიც ადგენს, თუ რის შესწავლას შეიძლება მოელოდეს მონაწილე და რა გზით. თავის მხრივ, მონაწილეებმა უნდა შეასრულონ მათზე დაკისრებული ამოცანები და დაეხმარონ, მხარი დაუჭირონ სხვების სწავლას. სასწავლო კონტრაქტები განსაკუთრებით სასარგებლო შეიძლება იყოს პროგრამაში „ძალადობის აღმოფხვრა სკოლებში“, თუკი შეთანხმებულია მონაწილის სკოლასთან ან დაწესებულებასთან, რომ:

- ადამიანმა, რომელიც ტრენინგში მონაწილეობს, იცოდეს, რომ მას სკოლაში ექნება მხარდაჭერა მეცადინეობებში მონაწილეობიდან გამომდინარე შემდგომი ამოცანების შესრულებისას სასწავლო მეცადინეობებს შორის პერიოდში;
- კოლეგები უნდა გრძნობდნენ, რომ ისინი სარგებელს ნახავენ ტრენინგში მონაწილის მიერ შეძენილი ცოდნიდან.

5.2 ჯგუფის უნარებისა და ადრე მიღებული ცოდნისა და გამოცდილების განსაზღვრა

ეს, უპირველეს ყოვლისა, შესაძლებელია სასწავლო მეცადინეობის დასაწყისში უნარების აუდიტის ჩატარებით; მაგალითად, თუ პროგრამაში გათვალისწინებულია რეგისტრაციის ფორმა, მასში შეიძლება რამდენიმე შეკითხვის ჩართვა წარსულში მიღებული გამოცდილების თაობაზე. ამით მონაწილეებს მიეცემათ შესაძლებლობა, რომ მიუთითონ, თუკი აქვთ რაიმე განსაკუთრებული უნარები, რომელთა შემოთავაზებაც სურთ.

შენიშვნა: ეს შეიძლება ნაკლებად ფორმალური გზით გაკეთდეს, მაგალითად, ფასილიტატორმა მოითხოვოს ხელების აწევით პასუხი, მაგრამ ფასილიტატორები მზად უნდა იყვნენ, რომ ჩაინიშნონ პასუხები მომავალში გამოსაყენებლად. ზოგიერთი ჯგუფისათვის შეიძლება ბევრად უკეთესი იყოს, რომ მათთვის ასეთი ტიპის შეკითხვების დასმა სასწავლო მეცადინეობის შედარებით უფრო გვიანდელ ეტაპზე მოხდეს, რადგან ზოგი მონაწილე შეიძლება ცოტა მორიდებული იყოს და არ მოუნდეს პროგრამის დასაწყისში თავისი გამოცდილების გაზიარება.

ქვემოთ მოტანილია იმ კითხვების მაგალითები, რომლებზე პასუხის გაცემა უნდა მოხდეს "v" ნიშნის დასმით ან ხელის აწევით:

- „შეგისწავლიათ თუ არა უწინ მომავალი სასწავლო მეცადინეობის რომელიმე საკითხი?" (ჩამოთვალეთ ტრენინგის კურსები)
- „იცნობთ თუ არა...?" (ჩამოთვალეთ სწავლების მეთოდიკის ტექნიკური ხერხები, მაგალითად, პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული მიდგომები)
- „ოდესმე თუ გისწავლიათ...?" (ჩამოთვალეთ თემები, მაგალითად, გენდერული თანასწორობა)
- „ხომ არ შეგიძლიათ, დაგვეხმაროთ...?" (ჩამოთვალეთ ჯგუფური ამოცანები, მაგალითად, კომენტარების ჩანიშვნა)
- „ოდესმე თუ დახმარებიხართ კოლეგას იმაში, რომ...?" (ჩამოთვალეთ უნარები)
- „ხომ არ გსურთ, დაეხმაროთ ჯგუფის სხვა წევრს, რომელსაც ნაკლები გამოცდილება აქვს იმაში, რომ...?" (ჩამოთვალეთ ტრენინგის სასწავლო შედეგები)

ეს შეკითხვები შეგნებულად არის დახურული ტიპისა, რათა გამარტივდეს პასუხების კრიტიკულად განხილვა; მაგრამ სასურველია, რომ აგრეთვე გამოვიყენოთ ზოგიერთი ღია ტიპის შეკითხვაც. მაგალითად:

- „სხვა ჯგუფებთან მუშაობის რა სასწავლო გამოცდილება გაქვთ, რა სამუშაო ჩაგიტარებიათ და რა შეგიძლიათ შემოგვთავაზოთ თქვენი გამოცდილებიდან იმისთვის, რომ ჯგუფს დაეხმაროთ წარმატების მიღწევაში?"

მეორე მნიშვნელოვანი ასპექტია იმის ჩვენება, რომ თქვენ აფასებთ მონაწილეების აზრებს და გამოცდილებას. კარგი ფასილიტატორი ყოველთვის გამოხატავს თავის პატივისცემას მონაწილეების აზრებისა და გამოცდილების მიმართ, რადგან ყველას აქვს ფასეული გამოცდილება, რომლის გაზიარებითაც შეუძლია წვლილი შეიტანოს სასწავლო მეცადინეობაში.

ფასილიტატორებს თავიანთი პატივისცემის გამოხატვა შეუძლიათ არა მარტო იმის მეშვეობით, თუ როგორ უსმენენ და სიტყვიერად როგორ პასუხობენ ადამიანებს, რომლებსაც დისკუსიაში მონაწილეობით თავიანთი წვლილი შემოაქვთ, არამედ რეაგირება აგრეთვე საკუთარი სხეულის ენით შეუძლიათ, მაგალითად, ღიმილით და მოლაპარაკესთან მზერითი კონტაქტით. ფასილიტატორებს უნდა ჰქონდეთ მოთმინების უნარი და საკმარისი დრო უნდა დაუთმონ მონაწილის წვლილის კომენტირებასა და შეფასებას. მონაწილეების წვლილის იგნორირება აუცილებლად დაუკმაყოფილებლობის გრძნობას გაუჩენს ცალ-

კეულ მონაწილეებსა და მთლიანად ჯგუფს. ეს შედეგად გამოიწვევს იმას, რომ მონაწილეების აქტიურობა შემცირდება, დააზარალებს მათ თვითრწმენას, რის გამოც სასწავლო მეცადინეობა ბევრად უფრო ნაკლებად წარმატებული იქნება.

5.3 ჯგუფის დინამიკის გაგება და გათვალისწინება

ამას მივაღწევთ, თუკი დავეხმარებით ჯგუფის ყველა წევრს, პოზიტიური წვლილი შეიტანოს პროგრესის მისაღწევად.

ჯგუფის დინამიკა, რაშიც ვგულისხმობთ იმას, თუ რა გზით ურთიერთობენ ჯგუფის წევრები და როგორ იქცევიან ერთმანეთის მიმართ პიროვნულად და ჯგუფურ დონეზე, შეიძლება იყოს რთული. მაგრამ კარგი ფასილიტატორი ყველაზე მეტად დაინტერესებული იქნება ჯგუფის ურთიერთქმედების ერთი ასპექტით — როგორ ეხმარებიან მონაწილეები ერთმანეთს იმაში, რომ ჯგუფი მუშაობდეს კარგად და სასწავლო მეცადინეობის მიზნებს აღწევდეს.

ჯგუფების უმეტესობაში ჯგუფის წინსვლასთან დაკავშირებით მონაწილეების სამი კატეგორია გვხვდება:

1. წინამძღოლები — ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც აქტიურ როლს თამაშობენ მეცადინეობაში, აქვთ სწავლის მაღალი მოტივაცია, სასწავლო მეცადინეობის მიმართ ამჟღავნებენ ინტერესს, შემოაქვთ ახალი იდეები, სხვებს ეხმარებიან გაგებაში, ფასილიტატორს პასუხობენ დადებითი საპასუხო რეაგირებით და მოწადინებული არიან, რომ ჯგუფის პროგრესს შეუწყონ ხელი.

2. მიმდევრები — ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც იოლად ექვემდებარებიან სხვების გავლენას, არ არიან დარწმუნებული საკუთარ შესაძლებლობებში და არც ის იციან დაბეჯითებით, აინტერესებთ თუ არა სასწავლო მეცადინეობა. მათ სურთ სწავლა, თუმცა არ არიან დარწმუნებული, რომელია საუკეთესო გზა, რომელსაც უნდა დაადგნენ ცოდნის მისაღებად; მათ სურთ, რომ ჯგუფმა პროგრესს მიაღწიოს, თუმცა ვერ გადაუწყვეტიათ, თუ თავად რა წვლილის შეტანა შეუძლიათ ამ საქმის ხელშესაწყობად.

3. პასიური შემსწავლელები — ეს ის ადამიანები არიან, რომლებსაც რთულად ეჩვენებათ პოზიტიური წვლილის შეტანა, დიდად არ ეხალისებათ სასწავლო მეცადინეობაზე დასწრება და საჭიროებენ ბიძგს სხვებისაგან, რათა აიმაღლონ სწავლის მოტივაცია; მათ შეიძლება კიდევაც ჰქონდეთ სწავლის სურვილი, მაგრამ სჭირდებათ, რომ ვინმემ აჩვენოს, როგორ უნდა ისწავლონ და ვინმემ დაარწმუნოს, რომ მათ ეს შეუძლიათ; მათ უფრო საკუთარი თავი აღელვებთ, ვიდრე ჯგუფის პროგრესი.

ამ ქვეჯგუფების გავლენა სწავლის მიმდინარეობაზე, თავის მხრივ, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მთლიანი ჯგუფის წინსვლის პროცესზე.

პოზიტიური მონაწილეობა — იმ ჯგუფებში, რომლებიც შესამჩნევ პროგრესს აღწევენ, წინამძღოლებს შეუძლიათ დაეხმარონ ფასილიტატორს და გავლენა მოახდინონ მიმდევრებზე, რათა ისინიც გახდნენ წარმმართველები და ჯგუფის მეცადინეობაში უფრო აქტიური როლი ითამაშონ და უფრო პოზიტიური წვლილი შეიტანონ. თავის მხრივ, ეს აჩვენებს პასიურ შემსწავლელებს, როგორ მისდიონ სხვების მიერ მოცემულ მაგალითს ჯგუფში.

ფასილიტატორის როლი — დასახმარებლად ფასილიტატორმა კონცენტრირება უნდა მოახდინოს მიმდევრების მოტივირებაზე, რომ გახდნენ წინამძღოლები. ამისთვის ფასილიტატორმა უნდა წაახალისოს ისინი და ყურადღება უნდა მიაქციოს მათ ინტერესებსა და მოთხოვნილებებს, რადგან ეს იქნება კატალიზატორი, რომელიც, სავარაუდოდ, გავლენას მოახდენს მთელ ჯგუფზე.

ნეგატიური მონაწილეობა — იმ ჯგუფებში, სადაც პროგრესი მდორედ მიმდინარეობს, პასიურმა შემსწავლელებმა შეიძლება გავლენა მოახდინონ მიმდევრებზე, გააუარესონ მათი მონაწილეობის ხარისხი და შემდეგ შეიძლება აქტიურადაც დაიწყონ ჯგუფის დაშლა

ნეგატიური წვლილის შეტანითა და დესტრუქციული ქცევით. პასიური შემსწავლელების ნაწილი შეიძლება გამოეყოს ჯგუფს და აღარ დაესწროს მეცადინეობებს ან შეწყვიტოს სწავლა.

ფასილიტატორის როლი — სწავლის სწორი იმპულსის შესანარჩუნებლად ფასილიტატორი უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ ჯგუფის ორგანიზაცია და სასწავლო მეცადინეობის ტემპი ისეთია, რომ მიმდევრებზე ახდენს პოზიტიურ გავლენას, პასიური შემსწავლელების უარყოფითი ეფექტი ნეიტრალიზებულია და წინამძღოლების გავლენას დადებითი ეფექტი მოაქვს.

თუ ზოგიერთი მოსწავლე გამოთიშულია სამუშაო სიტუაციიდან და არსებობს საფრთხე, რომ ისინი არ ისწავლიან სათანადოდ, მათ ინდივიდუალურად, ჯგუფის გარეთ უნდა გაეწიოთ კონსულტაცია, რათა აღდგეს მათი სწავლის მოტივაცია.

ჯგუფის შიგნით არსებული ამ ურთიერთქმედებების წარმოდგენა შეიძლება შემდეგი სქემით:

სასწავლო ჯგუფის დინამიკა



წყარო: სწავლისათვის შესაფერისი ქცევის ცენტრი.

5.4 დროის ფაქტორის გათვითცნობიერება

მნიშვნელოვანია იმის გათვითცნობიერება, რომ ჯგუფების ჩამოყალიბებას ქმედით პარტნიორულ სამუშაო საზოგადოებად, რომელშიც წინამძღოლებს, მიმდევრებსა და პასიურ შემსწავლელებს ერთად შეაქვთ პოზიტიური წვლილი ჯგუფის პროგრესში, დრო სჭირდება.

ბრიუს ტაკმენმა (1965) შემოგვთავაზა იმ გზის მოდელი, რა გზითაც ჯგუფმა უნდა განავითაროს ქმედითი მუშაობა. ტაკმენის მოდელის მიხედვით, ჯგუფის განვითარების იდეალური პროცესი ოთხ საფეხურად გვევლინება:

1. *ფორმირება* (ერთმანეთის გაცნობა და გააზრება, რისი გაკეთება შეიძლება ერთად);

2. *შეტევა* (საკითხის უშუალო განხილვაზე გადასვლა და ზრდილობის ბარიერის გადალახვით მოსაზრებათა კვლევა);
3. *გაწონასწორება* (ერთმანეთის მიჩვევა და ნდობისა და პროდუქტიულობის განვითარება);
4. *განხორციელება* (ჯგუფში მუშაობა საერთო მიზნის მისაღწევად ეფექტიანობისა და თანამშრომლობის საფუძველზე).

ფასილიტატორებმა ისე უნდა მოაწყონ ჯგუფური სავარჯიშოების ორგანიზება, რომ ადრეულ სტადიაზე ჯგუფს მიეცეს ჯერ „ფორმირების“ და „შეტევის“ საშუალება, სანამ ისინი გადავლენ სავარჯიშოებზე, რომლებიც დაეხმარება „გაწონასწორებას“ და „განხორციელებას“.

ეს არის ერთ-ერთი იმ მრავალ მიზეზთაგან, რის გამოც მოთელვის სავარჯიშოები სასარგებლოა სასწავლო მეცადინეობის დასაწყის სტადიაში (იხ. ნაწილი 10.1)

შენიშვნა: ფასილიტატორებს სურვილი აქვთ, რომ ტრენინგის — „სკოლაში ძალადობის აღმოფხვრა“ — შედეგად რაც შეიძლება მეტი ჯგუფი ჩამოყალიბდეს თვითკმარ სასწავლო ჯგუფებად და რომ მათ ერთად სწავლის გაგრძელება მას შემდეგაც მოუნდეთ, რაც დასრულდება მეცადინეობები. ფასილიტატორის მიზანი უნდა იყოს ის, რომ ჯგუფს „განხორციელების“ საფეხურის რაც შეიძლება მალე მიღწევაში ჯგუფის დინამიკის განვითარებით დაეხმაროს.

5.5 ჯგუფის წევრებთან შესაბამისი როლების შეთანხმება

ჯგუფის შიგნით ზოგიერთი წევრი მოისურვებს ლიდერის როლის აღებას, რათა მიიღოს გადაწყვეტილებები და ჩაატაროს სავარჯიშოები. სხვები დაეხმარებიან სამუშაო პროცესის წინსვლას იმით, რომ მრავალ მოსაზრებასა და წინადადებას მოგვაწვდიან. დანარჩენები კი დამკვირვებლის პოზიციას დაიკავებენ და მხოლოდ მაშინ შეიტანენ რაიმე სახის წვლილს, როცა პროგრესის ტემპი ნელი იქნება ან საჭირო გახდება განვითარების ახალი მიმართულება. ყველამ უნდა შეარულოს თავისი როლი საერთო ჯგუფში, რომელთან ერთადაც მეცადინეობს.

მცირე ჯგუფების ორგანიზებისას ფასილიტატორი, რომელიც ცოტათი მაინც იცნობს თავის ჯგუფს, შეძლებს, რომ მიაღწიოს პიროვნებების ბალანსს და თავიდან აირიდოს ზედმეტად ბევრი ლიდერისა და იდეებიანი ადამიანების კონცენტრაცია ცალკეულ ჯგუფებში, რათა არ მოხდეს მათი „დაჯახება“. იმ ეტაპზე, როცა მონაწილეები უკვე კარგად გაიცნობენ ერთმანეთს, ჯგუფები, რომლებიც თვითარჩევითაა დაკომპლექტებული, ხშირად თვითონვე ახდენენ ხასიათთა დაბალანსებას, მაგრამ ჯგუფური მუშაობის ადრეულ სტადიაზე შესაძლოა ფასილიტატორს დასჭირდეს რეკომენდაციების გაწევა ჯუფების შემადგენლობის დასაბალანსებლად.

მაინცდამაინც არ იქნება გამართლებული, თუ უფლებას მივცემთ ერთი და იმავე შემადგენლობის მცირე ჯგუფებს, ერთად იმუშაონ მთელი დროის განმავლობაში. უმჯობესი იქნება, თუ ჯგუფები იმგვარად შედგება, რომ მივაღწიოთ განსხვავებულ ბალანსს განსხვავებულ სავარჯიშოებზე მუშაობისას იმ ადამიანების თვისებათა გათვალისწინებით, რომლებიც დაკავებული არიან ამ სამუშაოთი. სხვადასხვა ჯგუფში მუშაობა მონაწილეებს აძლევს შესაძლებლობას, გაიცნონ ადამიანთა უფრო ფართო სპექტრი და ისწავლონ მათგან.

ტრენინგის მეთოდოლოგია რეკომენდაციას იძლევა იმის შესახებ, რომ მონაწილეები ხან უნდა მუშაობდნენ წყვილებად, ხან — სამი, ოთხი ან მეტი ადამიანისგან შემდგარ ჯფუფებად. ეს აძლევს ფასილიტატორებსა და მონაწილეებს იმის შესაძლებლობას, რომ ექსპერიმენტი აწარმოონ სხვადასხვა დაჯგუფებებში იმ მიზნით, რომ მაქსიმალურად ქმედითად მიაღწიონ ტრენინგის სასწავლო შედეგებს.

5.6 სასწავლო გარემოს გაუმჯობესება

სასწავლო გარემოს გაუმჯობესება შემდეგნაირად შეიძლება:

- ისე უნდა მოეწყოს ოთახი, რომ შეესაბამებოდეს ტრენინგით გათვალისწინებულ სავარჯიშოებს და სხვა სასწავლო საშუალებებს; ავეჯი უნდა განვალაგოთ ისე, რომ საკმარისი ადგილი დარჩეს და მონაწილეებს შეეძლოთ მუშაობა როგორც მთლიან ჯგუფში, ისე მცირე ჯგუფებში.
- უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მაქსიმალური კომფორტი და სამუშაო პირობები ყველასათვის, რისთვისაც საჭიროა, რომ:
- ოთახში იყოს სითბო, მაგრამ არა სიცხე; კარგი განათება, მაგრამ არა თვალისმომჭრელი;
- ადამიანები ახლოს იყვნენ ერთმანეთთან, მაგრამ ოთახი არ უნდა იყოს გადავსებული;
- მონაწილეებს უნდა შეეძლოთ იმის დანახვა, რაც გამოფენილია, ასევე — ფასილიტატორის დანახვა და გაგონება;
- ფასილიტატორს უნდა შეეძლოს მონაწილის იოლად დანახვა, გაგონება და მასთან კონტაქტის დამყარება.
- ხელთ უნდა გვქონდეს საინტერესო და ხარისხიანად დამზადებული თვალსაჩინო მასალა, რომელიც ბიძგს მისცემს დისკუსიას.
- თავიდან უნდა იქნეს არიდებული არასასურველი ხელისშემშლელი ფაქტორები: გარედან მომდინარე ხმაური, მობილური ტელეფონები, არასასურველი სტუმრები და ა.შ.
- უნდა მოეწყოს შესვენებები, შესაძლებელი უნდა იყოს წახემსება და ა.შ. ისეთ დროს, როცა გაჩნდება ამის საჭიროება ჯგუფის წევრების ძალების აღსადგენად, რათა ყველა იყოს მხნე და მიზანმიმართული ამოცანის შესასრულებლად.

5.7 ჯგუფის ერთიანობის გრძნობის გამომუშავება

ამ ამოცანის მიღწევა შემდეგნაირად შეიძლება:

- როცა ჯგუფი ერთობლივი მუშაობით რაიმე წარმატებას მიაღწევს, იგი უნდა წავახალისოთ შექებითა და მილოცვით.
- უნდა გამოვიყენოთ სათანადო ენა (იხ. ნაწილი 3.3 პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული მიდგომების შესახებ და ნაწილი 4.3.2 შეკითხვების დასმასთან დაკავშირებით).
- ტრენინგის მუშაობა ისე უნდა წარვმართოთ, რომ:
    - წავახალისოთ ყველა მონაწილე, რათა მოხდეს მათი მხრიდან რესურსებისა და იდეების მოწოდება მეცადინეობის განვითარებისათვის;
    - ვთხოვოთ ერთ ან ორ მონაწილეს, რომ იმოქმედონ, როგორც კოორდინატორებმა, და წავახალისოთ ჯგუფის ყველა წევრი, რათა მათ თავიანთი წვლილი შემოიტანონ;
    - ხშირად მივმართოთ ჯგუფის მიერ მოწოდებულ მოსაზრებებს და ილუსტრირებისათვის გამოვიყენოთ მათი იდეები, რათა ყველას შეექმნას „საკუთრების“ შეგრძნება;
- ურთიერთობისათვის დრო დავგეგმოთ ან სასწავლო მეცადინეობათა დაწყებამდე, ან მათი მიმდინარეობისას, ან მათ შორის იმგვარად, რომ მონაწილეებმა დაისვენონ და ისიამოვნონ ერთმანეთთან ურთიერთობით.

თავი 6

ჯგუფების ორგანიზება

ჯგუფური მუშაობის ორგანიზების სხვადასხვა გზა არსებობს და ფასილიტატორები, სავარაუდოდ, სასარგებლოდ ჩათვლიან სასწავლო მეცადინეობისას ჯგუფების რაოდენობისა და შემადგენლობის ცვლას სავარჯიშოს ხასიათის შესაბამისად, ასევე იმის მიხედვით, თუ რა გზით მუშაობენ მონაწილეები ერთმანეთთან უკეთესად.

6.1 წყვილები

წყვილად მუშაობა მაშინ არის მიზანშეწონილი, როცა მონაწილეები პირველად ხვდებიან ერთმანეთს ან როცა ჩაბმული არიან ისეთ სავარჯიშოში, რომელიც მოითხოვს გამოცდილებას ან შეიცავს აღმოჩენის ელემენტს. სავარჯიშოზე წყვილად მუშაობა სასარგებლოა, აგრეთვე, იმ შემთხვევებში, როდესაც ფასილიტატორი აცნობიერებს, რომ ზოგიერთი ინდივიდუალურ მონაწილეს გაუჭირდება ჯგუფურ დისკუსიაში თავისი წვლილის შეტანა. დასაშვებია, აგრეთვე, ის ვარიანტიც, როდესაც, მაგალითად, ფასილიტატორი წარადგენს თემას და გამოთქვამს სურვილს, რომ მონაწილეებმა განმარტონ, თუ რა მოსაზრება აქვთ ამ თემასთან დაკავშირებით.

იმ შემთხვევებში, როდესაც გამოიყენება წყვილთა სავარჯიშოები, მნიშვნელოვანია, ჯგუფთან შეთანხმება იმის შესახებ, რომ მათ პატივი სცენ კონფიდენციალურობას, რათა მონაწილეებმა კომფორტულად იგრძნონ თავი იმ შეხედულებებისა და აზრების გაზიარებისას, რომელთა უფრო ფართოდ გაზიარების სურვილი მათ არ გააჩნიათ.

ჯგუფში წყვილთა მუშაობის მომზადებისას ინსტრუქტორი უნდა დარწმუნდეს, რომ ყველა წყვილს აქვს ადგილი, სადაც შეუძლიათ იმუშაონ განკერძოებით, იქ, სადაც მათ არავინ შეაწუხებს, მაგალითად, ოთახის კუთხეებში ან სადმე გარეთ.

6.2 სამეულები

სამი ადამიანის ერთობლივი მუშაობა შეიძლება სასარგებლო გამოდგეს მაშინ, როცა სავარჯიშოზე მუშაობას დამკვირვებელი ესაჭიროება. ორი მონაწილე ჩართულია სავარჯიშოში, მაგალითად, მუშაობს აქტიურ მოსმენაზე, მესამე კი თვალს ადევნებს მუშაობის მიმდინარეობას, აკვირდება და ამზადებს თავის შენიშვნებს. სამეულების გამოყენებისას ასევე მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება კონფიდენციალურობის პატივისცემის აუცილებლობაზე.

6.3 მცირე ჯგუფები

მცირე ჯგუფებს ჩვეულებრივ რიცხობრივად შეადგენს ოთხიდან ექვსამდე ადამიანი, იმისდა მიხედვით, თუ რა რაოდენობისაა მთლიანად ჯგუფი. ჯგუფები შესაძლოა დაკომპლექტდეს თვითშერჩევის ან ფასილიტატორის არჩევანის საფუძველზე. ჯგუფის შიგნით ხშირად ხდება თავმჯდომარის არჩევა, ანუ იმ პირისა, ვინც იწერს შენიშვნებს და ამზადებს გამოხმაურებას მთლიანი ჯგუფისთვის.

იმ დროს, როდესაც ეწყობა სავარჯიშო მცირე ჯგუფისთვის, ფასილიტატორებმა თავიდანვე უნდა უზრუნველყონ, რომ საჭიროების შემთხვევაში საკმარისი დრო გამოიყოს მონაწილეთა ურთიერთგაცნობისათვის.

ზოგ შემთხვევაში ფრიად სასარგებლოა, რომ მონაწილეს, რომელიც თავმჯდომარის ფუნქციებს ასრულებს, მივაწოდოთ მოკლე ჩანაწერები იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ეს სავარჯიშო, რა მიზანს ისახავს, რა შედეგი უნდა გამოიღოს და რა დროა მოცემული მის განხორციელებაზე. თუ სავარჯიშო რამდენიმე ნაწილად არის დაყოფილი, ფასილიტატორი უნდა დარწმუნდეს, რომ ყველა ნაწილისთვის შესაბამისი დროა განსაზღვრული. ფასილიტატორი უნდა მოქმედებდეს, როგორც დროზე დამკვირვებელი

და შეახსენოს ჯგუფებს, თუ როდის უნდა გადავიდნენ მისი წევრები სავარჯიშოს შემდეგ ნაწილზე.

მცირე ჯგუფური სავარჯიშოები მაშინაა სასარგებლო, როცა ფასილიტატორს ესაჭიროება მოსაზრებების მოსმენა ყველა მონაწილისგან.

6.4 არჩევითი ჯგუფები

არჩევითი ჯგუფების გამოყენება იმ შემთხვევებში ხდება, როცა მოცემულია სავარჯიშოების რიგი და მონაწილეებს საშუალება აქვთ, აირჩიონ ის სავარჯიშოები, რომლებიც, მათი აზრით, უფრო შეესაბამება მათ საჭიროებებს. სავარჯიშოს არჩევა შეიძლება მოხდეს სასწავლო მეცადინეობის წინ ან მისი მიმდინარეობის დროს.

მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ არჩევით ჯგუფებში მონაწილეების შერევის შესაძლებლობა; მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ რამდენიმე მონაწილე ერთმანეთის კოლეგები არიან სამსახურში, ალბათ, უმჯობესი იქნება, თუ ისინი სამუშაოდ სხვადასხვა არჩევით ჯგუფში განაწილდებიან.

6.5 წრიული სისტემა

მთლიანი ჯგუფი იყოფა რამდენიმე მცირე ჯგუფად, რომელთა როდენობა შეესაბამება არსებული სავარჯიშოების რაოდენობას. თითოეულ მცირე ჯგუფს დასაწყისისთვის ეძლევა ერთი რომელიმე სავარჯიშო, თუმცა ღონისძიების მიმდინარეობის პროცესში ის რიგრიგობით ყველა სავარჯიშოში იღებს მონაწილეობას. ფასილიტატორი მოქმედებს, როგორც ქრონომეტრი და მიუთითებს ჯგუფს, თუ როდის უნდა შეცვალონ სავარჯიშო.

ეს მეთოდი ხშირად მონაწილეების მოწონებით სარგებლობს, ვინაიდან ამგვარად ყველას ეძლევა შესაძლებლობა, ყველა სავარჯიშოში მიიღოს მონაწილეობა.

ჯგუფის შიგნით ხშირად ირჩევენ თავმჯდომარეს, რომელიც აკეთებს ჩანაწერებს და ამზადებს გამოხმაურებას მთლიანი ჯგუფისთვის. თუ სავარჯიშო ნაწილებად არის დაყოფილი, ფასილიტატორები უნდა დარწმუნდნენ, რომ ყველა ნაწილისთვის შესაბამისი დროა განსაზღვრული.

შესაძლოა, ფასილიტატორმა მიზანშეწონილად ჩათვალოს თითოეული ჯგუფისგან ჩანაწერების შეგროვება მანამდე, სანამ ისინი შემდგომ სავარჯიშოს შეუდგებიან. ეს ჩანაწერები შეიძლება შეფასდეს შემდგომში, სავარჯიშოების რეალურად მიმდინარეობის პროცესში, როცა ფასილიტატორი მოამზადებს გამოხმაურებას სწავლების საკვანძო პუნქტების შესახებ და წარუდგენს ჯგუფს სასწავლო მეცადინეობის დასასრულს. მაშინ ფასილიტატორმა შეიძლება მოითხოვოს დამატებითი კომენტარები და გამოხმაურება.

6.6 მთლიანი ჯგუფი

ფასილიტატორმა ყოველთვის უნდა მისცეს მთლიან ჯგუფს შეხვედრისა და ერთობლივი მუშაობის შესაძლებლობა სასწავლო მეცადინეობის საკვანძო მომენტებში, კერძოდ, მის დასაწყის და ბოლო ფაზებში. ამგვარად შეიძლება ძირითადი წესები დადგინდეს დასაწყისში, გაკეთდეს გამოხმაურება მცირე ჯგუფებში ჩატარებული სასწავლო მეცადინეობის შესახებ, მოუსმინონ მომხსენებლის შეკითხვებს და მასაც დაუსვან კითხვები და დასასრულს მოხდეს სასწავლო მეცადინეობის განხილვა/კრიტიკული შეფასება.

თავი 7

სასწავლო მეცადინეობისთვის მომზადება

ფასილიტატორებმა უნდა შეიმუშაონ საკუთარი გეგმა თითოეული სასწავლო მეცადინეობისათვის. მათ მიერ ჩატარებულ ტრენინგს არ ექნება პიროვნული ხასიათი, თუკი ისინი მთლიანად ფასილიტატორის სახელმძღვანელოს დაეყრდნობიან. ამას გარდა, ფასილიტატორებმა მხედველობაში უნდა იქონიონ ურთიერთდამოკიდებულება პროგრამის „ძალადობის აღმოფხვრა სკოლებში“ ყველა მეცადინეობას შორის და გაიაზრონ, თუ როგორ ურთიერთქმედებს ეს საკითხი სხვა თემებთან, რომლებთანაც ის სასწავლო მეცადინეობის მიმდინარეობისას გადაიკვეთება.

7.1 მიზნის სიცხადე

პირველი, რაც ფასილიტატორებმა უნდა გააკეთონ, როცა სასწავლო მეცადინეობისთვის ემზადებიან, თავისთვის ცხადად უნდა ჩამოაყალიბონ მეცადინეობის მიზანი. ამისათვის თითოეული მეცადინეობის დაწყებისას უნდა ჩამოითვალოს როგორც საკვანძო იდეები და კონცეფციები, ისე — სწავლის ძირითადი შედეგები.

დროთა განმავლობაში, გამოცდილების დაგროვების შესაბამისად, ფასილიტატორებს შეეძლებათ წაიკითხონ და მიუსადაგონ ეს საკვანძო ასპექტები სასწავლო მეცადინეობის მიზანს, რომელსაც ისინი თავისთვის ისახავენ ჯგუფის ბუნების, მონაწილეთა სწავლის სხვადასხვა სტილის, ინტერესების, მოცემულ დრომდე უკვე შეძენილი ცოდნისა და პროგრესის ტემპის გათვალისწინებით.

სასწავლო მეცადინეობისას ფასილიტატორის მიზანი უნდა ესადაგებოდეს სასწავლო პროცესის ხუთ საფეხურს (იხ. ნაწილი 1.1) და აგრეთვე ჯგუფის ცოდნისა და გაგების პროგრესის ხარისხს.

7.2 პრაქტიკული მომზადება — ოთახის მოწყობა და დამხმარე საშუალებები

მნიშვნელოვანია, რომ ფასილიტატორებმა:

- შეამოწმონ, რომ სამუშაო ოთახი დაჯავშნილია და ყველაფერი, რაც კი დამხმარე საშუალებების ჩამონათვალშია, გამართულად მუშაობს.
- ისე დაგეგმონ მუშაობა, რომ წინასწარ იქონიონ ყველა დამხმარე საშუალება, რაც კი შეიძლება დასჭირდეთ, თუ წარმოიშვა პრობლემები მოწყობილობებთან დაკავშირებით. მათ წინასწარ უნდა შეამოწმონ, რომ ყველა მოწყობილობა კარგად მუშაობდეს და უნდა იცოდნენ, რა უნდა გაკეთდეს მათი გაფუჭების შემთხვევაში.
- ისე დაგეგმონ საკუთარი განრიგი, რომ შეძლონ ღონისძიებაზე დროულად მისვლა და მეცადინეობის წარმართვა ყოველგვარი შეფერხების გარეშე.

შესამოწმებელ საკითხთა ზოგადი სია:

- არის თუ არა ოთახი მზად — დასუფთავებული და მოწესრიგებული; არის თუ არა მასში სათანადო ტემპერატურა, კარგი განათება; ხომ არ არის ხელისშემშლელი ხმაური?
- განთავსებულია თუ არა სადემონსტრაციო დაფა, ეკრანი და სხვა ამგვარი მოწყობილობები ოთახში ისე, რომ ყველა მონაწილეს თავისი ადგილიდან, დამჯდარ მდგომარეობაში შეეძლოს მათი დანახვა (მაგალითად, ძირითადი წესების ამსახველი პლაკატი, თუკი შეთანხმებული ხართ ამ წესებზე)?
- არის თუ არა მასალა და ხელსაწყოები ხელმისაწვდომი და თუ არის მზად გამოსაყენებლად?
- არის თუ არა მზად საუზმეული და გამაგრილებელი სასმელები?
- შეუძლიათ თუ არა მონაწილეებს, ადვილად მიაგნონ თავიანთ სამუშაო ოთახს — ადგილზეა თუ არა მიმართულების მაჩვენებლები და ღიაა თუ არა კარები?
- არის თუ არა ყველაფერი უსაფრთხო და დაცული — მაგალითად, განსაზღვრულია თუ არა უსაფრთხოების ზომები ხანძრის შემთხვევაში და გამოყოფილია თუ არა სპეციალური უსაფრთხო ადგილი პირადი ნივთებისათვის?

7.3 ზოგადი ინფორმაციის გაცნობა

ფასილიტატორმა უნდა გააგრძელოს მზადება და სიღრმისეულად გაეცნოს სახელმძღვანელოს თავებში მოცემულ ზოგად ინფორმაციას. ეს არის შეჯამება მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული საკითხებისა, რომელიც შეესაბამება სასწავლო მეცადინეობის შინაარსს.

ზოგადი ინფორმაცია არ უნდა გამოიყენებოდეს პირდაპირი სწავლების საშუალებად — „ძალადობის აღმოფხვრა სკოლებში“ ეფუძნება აქტიური სწავლის მეთოდოლოგიას და ფასილიტატორები ლექციის ფორმით არ უნდა ასწავლიდნენ მონაწილეებს. ამგვარად, ისინი მიმართავენ ამ ინფორმაციას, რომ მათ:

- საგნის ცოდნაში დარწმუნებულად იგრძნონ თავი;
- გადაწყვიტონ, თუ რა თქვან, როდესაც წარდგებიან მონაწილეების წინაშე სასწავლო მეცადინეობის ჩასატარებლად;
- ყურადღება გაამახვილონ მნიშვნელოვან საკითხებსა და კონცეფციებზე;
- უპასუხონ შეკითხვებს და ინფორმაციული წვლილი შეიტანონ დისკუსიაში, რომელიც სასწავლო მეცადინეობის დროს დაიბადება;
- გამოიმუშაონ პირადი დაინტერესება სასწავლო მეცადინეობის თეორიისა და ძირითადი მიზეზის დასაბუთებაში;
- ისე დაგეგმონ სასწავლო მეცადინეობა, რომ მიაღწიონ ყველაზე შესაფერისი ცოდნისა და უნარების ჩართვას.

7.4 სასწავლო მეცადინეობის გეგმის მოხაზვა

ქვემოთ მოცემული ცხრილი შეიძლება დაეხმაროს ფასილიტატორს სასწავლო მეცადინეობის გეგმის მოხაზვაში. ის იქნება სამახსოვრო ჩანაწერი და ააცილებს ფასილიტატორს საჭიროებას, ჩაიხედოს სახელმძღვანელოში ან ფასილიტატორის სახელმძღვანელოში სასწავლო მეცადინეობის დროს.

„თანმიმდევრობის“ სვეტი ისე უნდა შეივსოს, რომ შესწავლილი იყოს სწავლის თანმიმდევრობა სასწავლო მეცადინეობისას და შემახსენებლები და მოსალოდნელი დროები შესაბამის გრაფებში აღინიშნოს.

ფასილიტატორების შენიშვნები შეიძლება დამატებული იყოს დამამთავრებელ სვეტში (და დაიხვეწოს შემდგომი სასწავლო მეცადინეობებისას) ისე, რომ სასწავლო გეგმა პერსონიფიცირებული გახდეს და მიიღოს ისეთი ფორმა, რომ თუკი მეცადინეობისას ფასილიტატორს დასჭირდება შეხსენება, ადვილი იყოს მასში ჩახედვა.

მეცადინეობის შემდეგ ფასილიტატორმა სასწავლო მეცადინეობის გეგმას უნდა დაამატოს შემდგომი ჩანაწერები, მაგალითად, ჩანაწერი იმის თაობაზე, თუ რეალურად რამდენი დრო დასჭირდა სავარჯიშოებს, რა ჩატარდა კარგად, რა უნდა გაკეთდეს მომავალში განსხვავებულად. ეს სასარგებლო იქნება მომავლისათვის, როდესაც ისევ ჩატარდება სასწავლო მეცადინეობა, რადგან ეს შეამცირებს მოსამზადებელ დროს.

ნაწილი	დრო	რესურსები	თანმიმდევრობა (რა არის გასაკეთებელი)	ფასილიტატორის ჩანაწერები
მისალმება და შესავალი				
სწავლების მიზანი და ინფორმაციის მიწოდება				
სავარჯიშო 1				
სავარჯიშო2				
მეცადინეობის შემდგომი სავარჯიშო				

თავი 8

სასწავლო რესურსები

8.1 რესურსების გავრცობა

რაც უფრო ღრმად გაეცნობიან ფასილიტატორები სასწავლო მეთოდოლოგიას და სასწავლო პაკეტს „ძალადობის აღმოფხვრა სკოლებში“, მით მეტად მოსალოდნელია, რომ ისინი მოახდენენ პროგრამის მოდიფიცირებას, მიუსადაგებენ მას თითოეული ჯგუფის საჭიროებას ისე, რომ უფრო მეტად გათვალისწინებული იქნება განვლილი სწავლის შედეგები, ჯგუფის ინტერესები, განსაკუთრებით — რა სჭირდებათ მონაწილეებს ქვეყნის ამა თუ იმ რეგიონში. ფასილიტატორებმა უნდა განავრცონ რესურსები და გამოიყენონ სხვა მასალებიც, რათა მოახდინონ საკითხის ილუსტრირება და გამოაცოცხლონ სწავლება. დროთა განმავლობაში შეიძლება მოველოდეთ, რომ წარმოიქმნება ახალი პრიორიტეტები, რადგან საზოგადოება და სკოლის პრიორიტეტები შეიცვლება და მოსწავლეებისათვის ახალი საკითხები წამოიჭრება.

შესაბამისად, გამოცდილმა ფასილიტატორებმა უფრო ფართოდ უნდა გამოიყენონ დამატებითი რესურსები და დამატებითი სასწავლო მასალა ძირითადი პაკეტის გასამდიდრებლად.

ფასილიტატორთა ქსელი გადაიქცევა ფორუმად დადებითი გამოცდილების ურთიერთგასაცვლელად, ახალი მიდგომების ურთიერთგასაზიარებლად და სასწავლო პრიორიტეტების შესაცვლელად. ეს აგრეთვე იქნება ადგილი ფასილიტატორების დახმარების მიზნით ახალი რესურსების დასამატებლად. მოსალოდნელია, რომ ყველა მათგანი ერთმანეთს გაუზიარებს თავის აღმოჩენებს ახალი ან გაუმჯობესებული გზების შესახებ მონაწილეების დასახმარებლად, რათა მათ ისწავლონ და სკოლის დონეზე გამოიყენონ მიღებული ცოდნა.

8.2 ადგილობრივი რესურსების ბანკის განვითარება

ბევრი „რესურსი“, რომელიც ფასილიტატორებს შეიძლება დაეხმაროს, არსებობს ადგილობრივ დონეზე. ყველაზე სასარგებლო, სწავლების პროცესზე ზეგავლენის მქონე და დამხმარე ადამიანები ჩვეულებრივ არიან ხოლმე პროფესიონალი კოლეგები, რომლებსაც ანალოგიურ თემაზე აქვთ დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება.

სკოლაში ძალადობის წინააღმდეგ მეცადინეობის მხარდაჭერის მოძებნა ბევრი სხვადასხვა ადგილიდან შეიძლება. ფასილიტატორებმა უნდა შექმნან რესურსების ადგილობრივი საძიებელი, რაც დაეხმარება შემდეგი ორი ამოცანის გადაწყვეტას: მონაწილეების შემდგომ მხარდაჭერასა და გაძღოლას და ასევე ინფორმაციის გაზიარებას პროგრამის პრაქტიკული მხარდაჭერის მიზნით სასწავლო მეცადინეობის დაწყებამდე, მისი მიმდინარეობისას და დასრულების შემდეგ.

ადგილობრივი რესურსების საძიებელი შეიძლება გამოქვეყნდეს ფასილიტატორის ქსელის ვებგვერდზე და პაკეტის განვითარებასთან ერთად რეგულარულად განახლდეს ან გაფართოვდეს.

თავი 9

ტრენინგის სხვადასხვა სტილი

ფასილიტატორმა უნდა შეარჩიოს ტრენინგის ის სტილი, რომელიც მოსახერხებელი იქნება როგორც ფასილიტატორის, ისე ჯგუფის წევრებისათვის.

ნაკლებად სავარაუდოა, რომ ერთი და იგივე სტილი მოუხდეს ყველა სიტუაციას და ფასილიტატორმა უნდა განსაზღვროს, თუ როდის და როგორ შეცვალოს სწავლების სტილი გარემოებებიდან გამომდინარე.

ამ თვალსაზრისით ფასილიტატორი არის ჯგუფის ლიდერი და იმის განსაზღვრისათვის, თუ როგორ უნდა იქცეოდეს, მიზანშეწონილი იქნება, შევხედოთ დანიელ გოლმანის ნამუშევარს, სადაც ის განსაზღვრავს ლიდერობის იმ სხვადასხვა სტილის ნაირგვარობას, რომლებიც უნდა მიესადაგოს სხვადასხვა ამოცანებსა და გარემოებებს (დანიელ გოლმანი: „ლიდერობა, რომელსაც მოაქვს შედეგი“, Harward Business Review, მარტი-აპრილი, 2000).

ფასილიტატორის ქცევა — ტრენინგის სტილი — იმოქმედებს იმაზე, თუ როგორ იგრძნობენ თავს მონაწილეები და რა ხარისხით იქნებიან მოტივირებული სწავლისათვის. კარგი ფასილიტატორები იყენებენ სხვადასხვაგვარ სტილს სიტუაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე. გოლმანმა განსაზღვრა ექვსი სტილი:

- იძულებითი
- ავტორიტარული
- მზრუნველი
- დემოკრატიული
- ტემპის განმსაზღვრელი
- დამრიგებლური

9.1 იძულებითი

მიზანს წარმოდგენს სასწრაფო შესაბამისობის ძიება. ფასილიტატორი უფრო მეტად მითითებებს მიმართავს, ვიდრე განკარგულებებს; მოელის თანხმობას, აწესებს მკაცრ კონტროლსა და ბევრ სანქციას და იშვიათად წაახალისებს მონაწილეებს ქებით.

ეს სტილი ერთი ფრაზით შეიძლება დახასიათდეს, როგორც „გააკეთე, რასაც გეუბნები!“

როდის არის ეს სტილი ყველაზე ქმედითი: მარტივი პირდაპირი ამოცანებისას, მაგალითად, როცა ვუსწორებთ მონაწილეს, რომელიც შეგნებულად უგულებელყოფს შეთანხმებულ, ძირითად ჯგუფურ წესებს ან როდესაც ჯგუფს უფრო მცირე ჯგუფებად ვყოფთ.

მთლიანობაში ამგვარი სტილის ზემოქმედება ჯგუფის სამუშაო ატმოსფეროზე შეიძლება დახასიათდეს, როგორც უარყოფითი და ამდენად, იშვიათადაც უნდა გამოიყენებოდეს, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა ფასილიტატორს ესაჭიროება კონტროლის თავიდან დამყარება.

9.2 ავტორიტარული

მიზანს წარმოადგენს მონაწილეთათვის ხანგრძლივი მართვისა და გაგების უზრუნველყოფა. ფასილიტატორი გამოიმუშავებს და წარმოადგენს მომავლის ხედვას, მნიშვნელოვნად მიიჩნევს ხანგრძლივ ხედვას, არწმუნებს მონაწილეებს იმით, რომ ხსნის ყველანაირ „რატომს“ და იყენებს პოზიტიურ და ნეგატიურ გამოხმაურებასა და შენიშვნებს, რათა დაეხმაროს მათ ხედვის გაზიარებაში.

ერთი ფრაზით ეს სტილი შეიძლება დახასიათდეს, როგორც: „გამომყევით მე!“

როდის არის ეს სტილი ყველაზე ქმედითი: როცა ცვლილებები მოითხოვს ახალ ხედვას ან როცა საჭიროა პირდაპირი მითითება, მაგალითად, როცა ხდება ისეთი ახალი პრინციპების წარმოდგენა, რომლებიც დაეხმარება მონაწილეებს მათი მოსწავლეების ქცევის გამოსწორებაში.

მთლიანობაში ამგვარი სტილის ზემოქმედება ჯგუფის სამუშაო ატმოსფეროზე შეიძლება დახასიათდეს, როგორც ძალზე პოზიტიური და ამდენად, ის უნდა გამოყენებოდეს ხშირად, განსაკუთრებით — სასწავლო მეცადინეობის დასაწყისში.

9.3 მზრუნველი

მიზანს წარმოადგენს ჰარმონიის შექმნა და ურთიერთობების აგება ჯგუფში, ასევე ჯგუფსა და ფასილიტატორს შორის. ფასილიტატორი განსაკუთრებით ზრუნავს იმაზე, რომ დაამკვიდროს მეგობრული ურთიერთქმედებები, ის აქცენტს აკეთებს უფრო მონაწილეების პიროვნულ საჭიროებებზე, ვიდრე მიზნებზე/სტანდარტებზე, ზრუნავს პიროვნებაზე და მიზნად აქვს გაუგებრობის თავიდან აცილებას.

ერთი ფრაზით ეს სტილი შეიძლება დახასიათდეს, როგორც: „პირველ ადგილზე ადამიანები დგანან“.

როდის არის ეს სტილი ყველაზე ქმედითი: როცა საჭიროა ჯგუფში ატეხილი კამათის ჩაწყნარება ან მონაწილეების მოტივირება სტრესულ გარემოებებში, მაგალითად, თუ ჯგუფის წევრმა დანაკარგი განიცადა ან თუ თემამ მონაწილეში მისი სასწავლო გამოცდილების ემოციური მოგონებები გამოაღვიძა.

მთლიანობაში ამგვარი სტილის ზემოქმედება ჯგუფის სამუშაო ატმოსფეროზე შეიძლება დახასიათდეს, როგორც დადებითი — ის სასწავლო მეცადინეობისას ხშირად უნდა გამოიყენებოდეს მთლიანად ჯგუფისა და ცალკეული მონაწილეების კეთილდღეობაზე ზრუნვის გამოსახატავად.

9.4 დემოკრატიული

მიზანს წარმოადგენს პროგრამის „ძალადობის აღმოფხვრა სკოლებში“ იდეებისადმი მხარდაჭერის დამკვიდრება და თვითონ მონაწილეებისაგან მომდინარე ახალი იდეები. ლიდერი წაახალისებს თანამონაწილეობას, ესწრაფვის თანხმობის მიღწევას და მიზნად ისახავს, მოიპოვოს იდეისადმი ერთგულება „საკუთრების“ განცდის ჩანერგვის მეშვეობით.

ერთი ფრაზით ეს სტილი შეიძლება დახასიათდეს, როგორც: „რას ფიქრობ შენ?“

როდის არის ეს სტილი ყველაზე ქმედითი: იმ დროს, როცა მიზანს წარმოადგენს ჩართულობა ან კონსენსუსი, ანდა გვინდა, რომ მონაწილეებმა, საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, ახალი იდეები შემოიტანონ სასწავლო მეცადინეობაში; შეიძლება გამოვიყენოთ, აგრეთვე, როცა მიზანი ნათლად ჩანს, თუმცა ცხადად არ იკვეთება, თუ რა მოქმედებები უნდა ჩატარდეს ამ მიზნის მისაღწევად, ანდა საჭიროა „საკუთრების“ მეტი განცდა მონაწილეების მხრიდან. მაგალითად, როცა მიმდინარეობს ახსნა-განმარტება, თუ რა შედეგებს უნდა ველოდეთ სწავლებიდან, ანდა როცა სასწავლო მეცადინეობის დასაწყისში მონაწილეებს ეკითხებიან, თუ რა აინტერესებთ, რისი შესწავლა სურთ.

მთლიანობაში ამგვარი სტილის ზემოქმედება ჯგუფის სამუშაო ატმოსფეროზე შეიძლება დახასიათდეს, როგორც დადებითი — ყველაზე შესაფერისია მისი გამოყენება იმ დროს, როცა იგეგმება ჯგუფური სავარჯიშოები და როცა მონაწილეებს წაახალისებენ, რომ სრულად ჩაერთონ სასკოლო საქმიანობაში.

9.5 ტემპის განმსაზღვრელი

მიზანს წარმოადგენს ამოცანების შესრულება სრულყოფილების მაღალი სტანდარტების შესაბამისად. ფასილიტატორი უძღვება მეცადინეობას მაგალითის მეშვეობით, ამკვიდრებს მაღალ სტანდარტს, მოელის, რომ სხვებმა იცოდნენ ძირითადი აზრი იმისა, თუ რა ხორციელდება, სიფრთხილით ეკიდება პასუხისმგებლობის გადაცემას, ნაკლებად უთანაგრძნობს მათ, ვინც უხალისოდ სწავლობს, და მშველელად ევლინება სიტუაციას, როცა ჯგუფში სირთულეები წარმოიქმნება.

ერთი ფრაზით ეს სტილი შეიძლება დახასიათდეს, როგორც: „გააკეთე ისე, როგორც მე ვაკეთებ და გააკეთე ეს ახლა!“

როდის არის ეს სტილი ყველაზე ქმედითი: როცა გვსურს, რომ მივიღოთ სწრაფი შედეგები ძალიან მოტივირებული და კომპეტენტური ჯგუფისგან, მაგალითად, ისეთი ჯგუფისგან, რომელსაც მოსწონს პროგრამა „ძალადობის აღმოფხვრა სკოლებში“, მაგრამ სრულად ვერ აღწევს თავის პოტენციალს. ასეთი ჯგუფისთვის სასარგებლო იქნება, მიზნად დავუსახოთ სასწავლო მეცადინეობების დროს უფრო მეტი ცოდნის შეძენა, რათა შემდგომში ერთად გააგრძელონ მუშაობა.

მთლიანობაში ამგვარი სტილის ზემოქმედება ჯგუფის სამუშაო ატმოსფეროზე შეიძლება დახასიათდეს, როგორც უარყოფითი. ყველაზე სასარგებლოა მისი გამოყენება მოკლე დროის მანძილზე ჯგუფის მოტივირების ასამაღლებლად. აუცილებელია, ვიზრუნოთ იმაზე, რომ არ მიეცეს ჯგუფს უფლება, დამოკიდებული გახდეს ფასილიტატორის მხრიდან ზეწოლაზე.

9.6 დამრიგებლური

მიზანს წარმოადგენს მონაწილეების განვითარების ხანგრძლივი მხარდაჭერა. ფასილიტატორი ეხმარება ჯგუფის წევრებს, რომ მათ გამოავლინონ მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ძლიერი და სუსტი მხარეები, წაახალისებს მათ, რათა დაგეგმონ პროგრამის „სკოლაში ძალადობის აღმოფხვრა“ შემდგომი განვითარება, აღწევს შეთანხმებას იმის შესახებ, თუ შემდგომში რა გზა აირჩიონ, უზრუნველყოფს უწყვეტი რჩევით და შენიშვნებით და შეიძლება დაამკვიდროს ხანგრძლივი განვითარებისთვის საჭირო მუშაობის მიმდინარე ნორმები.

ერთი ფრაზით ეს სტილი შეიძლება დახასიათდეს, როგორც: „მოსინჯე!“

როდის არის ეს სტილი ყველაზე ქმედითი: როცა გვსურს, რომ დავეხმაროთ მონაწილეებს, გააუმჯობესონ ის, რასაც სკოლაში აკეთებენ, და განავითარონ ხანგრძლივად მოქმედი ძლიერი მხარეები, მაგალითად, გამოავლინონ მეტი თავდაჯერება, როცა სკოლაში ახალ ნორმებს ამკვიდრებენ, ანდა წინ აღუდგებიან ძალაუფლების მოყვარულ კოლეგას.

მთლიანობაში ამგვარი სტილის ზემოქმედება ჯგუფის სამუშაო ატმოსფეროზე შეიძლება დახასიათდეს, როგორც პოზიტიური — მუშაობის ეს სტილი განსაკუთრებით შესაფერისია, როცა მონაწილეებთან ვმუშაობთ სასკოლო საქმეების ირგვლივ და, ზოგადად, სკოლაში ნებისმიერი ვიზიტის დროს.

9.7 შეჯამება

ეს სხვადასხვა სტილი შეიძლება სხვა სიტყვებითაც აღიწეროს. მნიშვნელოვანია იმის გამორკვევა, თუ რომელი სტილი უნდა გამოვიყენოთ ამა თუ იმ სიტუაციაში და რომელი სტილი უხდება მონაწილეთა ჯგუფში ინდივიდთა მოცემულ შემადგენლობას. ასევე მნიშვნელოვანია სტილის შერჩევა იმის გათვალისწინებით, თუ რა კონკრეტული მიზნის მიღწევას ვისახავთ. მნიშვნელოვანია, ჩვენს განკარგულებაში გვქონდეს სხვადასხვა სტილის ფართო არჩევანი, რათა ბევრ განსხვავებულ სიტუაციას მივუსადაგოთ.

მიაქციეთ ყურადღება, რომ:

- ეს ჩამონათვალი არ არის იერარქიული; ყველა სტილი შეიძლება იქნეს გამოყენებული.
- არ არსებობს სწორი და მცდარი სტილი.
- არ არის საჭირო, ფასილიტატორებმა მიმართონ რომელიმე სტილს, თუ ის მათ უხერხულად აგრძნობინებს თავს.
- სავარაუდოა, რომ იმ ფასილიტატორების მუშაობა, რომლებიც პროგრამის „ძალადობის აღმოფხვრა სკოლებში“ რომელიმე საფეხურზე ექვსივე სტილს იყენებენ, უფრო ქმედითი გამოდგება.

ეს არის მარტივი, უშუალო შეხედულება იმაზე, თუ როგორ უნდა წარიმართოს ტრენინგი და როგორ შეიძლება პირდაპირ მიესადაგოს სასწავლო მეცადინეობებს.

თავი 10

ტრენინგის წარმართვის სხვადასხვა ტექნიკა

10.1 „მოთელვის“ სავარჯიშოები

„მოთელვის“ სავარჯიშო ხშირად გამოიყენება მეცადინეობის დასაწყისში. ეს სავარჯიშოები ეხმარება ადამიანებს ერთმანეთთან შეხვედრასა და საუბარში ან გამოიყენება მეცადინეობის შინაარსის წარმოსაჩენად. ისინი ასევე შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც „ენერგიის მომცემი სავარჯიშოები“ იმ სიტუაციებში, როცა მონაწილეები კარგავენ კონცენტრაციას და ესაჭიროებათ ყურადღების თავიდან მოკრება ან ხანმოკლე შესვენება მეცადინეობის მიმდინარეობისას.

ქვემოთ მოცემულია მოთელვის, ანუ ენერგიის მომცემი სავარჯიშოების რამდენიმე მაგალითი.

10.1.1 ვინ არის, ვისაც/ვინც...

მიზანი:

- ადამიანებმა წარადგინონ საკუთარი თავი და უკეთ გაიცნონ ერთმანეთი.

ფასილიტატორი ამზადებს იმგვარ სიას, როგორიც ქვემოთაა მოცემული და სთავაზობს ჯგუფის წევრებს, იპოვონ სხვადასხვა ადამიანი, რომლებიც მიესადაგებიან თითოეულ მოცემულობას.

უყვარს მცენარეების გახარება სახელი.....	უყვარს შოკოლადის ჭამა სახელი.....
იცის რამდენიმე ენა სახელი.....	უყვარს ტელევიზორის ყურება სახელი.....
ჰყავს და-ძმა სახელი.....	უყვარს მეგობრებთან ერთად გართობა სახელი.....
უყვარს საჭმლის მზადება სახელი.....	ისვენებდა ზღვაზე სახელი.....
წელს ქალაქგარეთ დაისვენებს სახელი.....	სხვა ქალაქშია დაბადებული სახელი.....
უყვარს მეგობრების სადილად დაპატიჟება სახელი.....	ვარჯიშობს სახელი.....
ჰყავს შვილიშვილი სახელი.....	ჰყავს ორზე მეტი შვილი სახელი.....
უყვარს გაზეთების კითხვა სახელი.....	ეხერხება ხელოსნობა სახელი.....

„ვინ არის, ვისაც/ვინც..“ გამოკითხვის შეკითხვების რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს მონაწილეთა რიცხვს, რათა ყველას მოუწიოს საუბარი თითოეულ სხვა მონაწილესთან. კარგი იქნება, თუ სიის შედგენისას გამოყენებული იქნება ნებისმიერი ინფორმაცია, რაც კი მონაწილეების შესახებ არის ცნობილი.

10.1.2 შეხვედრა და წარდგენა

მიზანი:

- ჯგუფის წევრებს გაეწიოთ დახმარება ერთმანეთის უკეთ გაცნობაში;
- მოსმენის უნარის გავარჯიშება და გაუმჯობესება.

მონაწილეები წყვილ-წყვილად მუშაობენ. ერთ-ერთი მათგანი მოქმედებს, როგორც მსმე-

ნელი. მსმენელმა არაფერი არ უნდა ჩაინიშნოს. მეორე მონაწილე წარუდგენს თავს მსმენელს და მას საკუთარი თავის შესახებ თავისთვის უსაფრთხო ინფორმაციას (ინფორმაციას, რომელსაც მონაწილეები სრულიად დაუძაბავად გაანდობენ სხვებს) მიაწვდის. რამდენიმე წუთში წყვილი ცვლის როლებს. მას შემდეგ, რაც მეორე მონაწილეც დაამთავრებს, თითოეული წყვილი ჯგუფს თავის მეწყვილეს წარუდგენს.

10.1.3 ამჟამად როგორ ვგრძნობ თავს? რა იმედებს ვამყარებ და რისი მეშინია ამ მეცადინეობასთან დაკავშირებით?

მიზანი:

- წავახალისოთ ადამიანები, გამოხატონ თავიანთი გრძნობები მეცადინეობასთან დაკავშირებით;
- წავახალისოთ სიმპათიები ჯგუფს შიგნით;
- შევიქმნათ წარმოდგენა მეცადინეობასთან დაკავშირებული ერთმანეთის პიროვნული შეგრძნებების შესახებ.

თითოეული მონაწილე სწრაფად იწერს ფურცელზე საკუთარ აზრებს მეცადინეობასთან დაკავშირებით (თუ რა იმედები აქვს და რისი ეშინია). დაკეცეთ ფურცლები და ყველა ეს კომენტარი დადეთ ჯგუფის წინ. სთხოვეთ მონაწილეებს ერთ ჯერზე ერთი კომენტარის წაკითხვა. მნიშვნელოვანია, ამ სავარჯიშოსათვის შემოვიღოთ ძირითადი წესები, მაგალითად, რომ არავის მოეთხოვება განაცხადოს, თუ რომელია მისი კომენტარი, თუკი ამის სურვილი არა აქვს. ყველა კომენტარი ფასეულია და სერიოზულად უნდა იქნეს მიღებული. თითოეული მოსაზრება, რომელშიც გამოხატულია რაიმე სახის შიში, ხმამაღლა უნდა იქნეს წაკითხული; ჯგუფი დაიწყებს მსჯელობას იმის შესახებ, თუ როგორაა შესაძლებელი ამ შიშის ხარისხის შემცირება. ასევე, მონაწილეებმა ერთმანეთს უნდა გაუზიარონ მოსაზრებები იმის შესხებ, თუ რისი იმედი აქვთ, რასაც მეცადინეობის ბოლოს კვლავ უნდა მიუბრუნდნენ.

10.1.4 დათანხმება-არდათანხმების მონაცვლეობა (ზოგჯერ მოიხსენიება როგორც „ცოცხალი დიაგრამა“)

მიზანი:

- მეცადინეობის შინაარსის გაძლიერება;
- ფასილიტატორისთვის დახმარების გაწევა, რათა მან უფრო სრულად მოახერხოს მონაწილეთა ძირითად თემასთან დაკავშირებული ინდივიდუალური შეხედულებების, თვალსზრისებისა და გრძნობების გაგება.

1. შესთავაზეთ ჯგუფს, შეაფასოს სკალით ერთიდან ათამდე (სადაც ერთი არის დაბალი შეფასება, ათი კი მაღალი), თუ რამდენად ეთანახმებიან მისი წევრები ფასილიტატორის მიერ შემუშავებულ ფორმულირებას, რომელიც მან მეცადინეობის დაწყებამდე წინასწარ მოამზადა. ეს შეიძლება იყოს სახალისო ფრაზები, როგორიცაა, მაგალითად, „ცხიმიანი დიეტა არ ახდუნებს“ ან უფრო სერიოზული შინაარსისა, მაგალითად, „გოგონებისთვის ნაკლებად დამახასიათებელია ძალადობა, ვიდრე ბიჭებისთვის“, რომლებიც დაკავშირებულია მეცადინეობის შინაარსთან. ზედმეტი არ იქნება, გამოითქვას რამდენიმე განცხადება იმის თაობაზე, თუ რამდენად კარგად მოქმედებს ჯგუფში შემუშავებული ძირითადი წესები, მაგალითად, „ჩვენ ყოველთვის პატივს ვცემთ ერთმანეთის აზრს“.

2. მონაწილეები გადაინაცვლებენ ოთახის იმ წინასწარ შეთანხმებულ კუთხეებში, რომლებშიც უნდა დაჯგუფდნენ ისინი, რომელთა პასუხი, შესაბამისად, არის: „მე ვეთანხმები ამ მოსაზრებას“, „მე არ ვეთანხმები ამ მოსაზრებას“ და „არ ვარ დარწმუნებული“. ფასილიტატორმა უნდა შესთავაზოს ჯგუფის წევრებს, უფრო ვრცლად ისაუბრონ თავიანთი პოზიციების შესახებ და უპასუხონ განსხვავებული თვალსაზრისის მქონე ადამიანების შეკითხვებს.

10.1.5 შეცვალეთ სკამები, თუ...

მიზანი:

- ჯგუფის წევრებს მიეცეთ შესაძლებლობა, რომ არავერბალური გზით გამოხატონ თავიანთი გრძნობები ან ფიქრები;

- ფასილიტატორს გაუჩნდეს წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რას გრძნობენ ჯგუფის წევრები.

შესთავაზეთ ჯგუფის წევრებს, გაუცვალონ სკამები ვინმეს, ვინც:

- თავს დაღლილად გრძნობს;
- ურჩევნია სახლში იყოს;
- მოუთმენლად ელის დღევანდელ მეცადინეობას;
- გრძნობს, რომ მეცადინეობაში რაღაც წვლილის შეტანა შეუძლია;
- ნერვიულობს;
- სიამოვნებს ამ ჯგუფთან მუშაობა;
- გუშინ კარგი დღე ჰქონდა;
- გუშინ რთული დღე ჰქონდა;

10.1.6 მატარებელი

მიზანი:

- გაიზარდოს თავდაჯერება, შეიქმნას ხალისიანი განწყობილება და ერთმანეთისთვის იდეების გაზიარების ატმოსფერო.

სკამები დააწყვეთ ორ რიგად, ერთმანეთის საპირისპიროდ. დარწმუნდით, რომ თითოეული მონაწილისთვის არის ცალკე სკამი. თუ მონაწილეთა რიცხვი კენტი აღმოჩნდება, მაშინ ფასილიტატორსაც მართებს მონაწილეობის მიღება.

ფასილიტატორმა უნდა განსაზღვროს მსჯელობის თემა, მაგალითად: „მოგვიყევი შენი საუკეთესო კულინარიული რეცეპტის შესახებ“, ან, უფრო სერიოზულად: „მოგვიყევი „ბულინგის“ შემთხვევის შესახებ, რომელსაც შეესწარი“. ჯგუფის თითოეული წევრი ერთი წუთის განმავლობაში ესაუბრება მის პირდაპირ მჯდომს. ორი წუთის შემდეგ ჯგუფის თითოეული წევრი გადაინაცვლებს პირველ რიგში, ერთი ადგილით მარჯვნივ ისე, რომ ახლა სხვა მონაწილის პირისპირ აღმოჩნდეს. ამის შემდეგ შეიძლება წამოიჭრას სხვა თემა მსჯელობისათვის.

10.1.7 რთული სიტუაცია

მიზანი:

- დავეხმაროთ ჯგუფს ურთიერთობების ჩამოყალიბებაში, რათა მათი ერთობლივი მუშაობა ყველასთვის სასიამოვნო იყოს და მონაწილეებმა მეტი რამ შეიტყონ ერთმანეთის შესახებ.

მონაწილეები სხდებიან წრეში — შუაში მჯდომი წამოიძახებს: „მიშველეთ, მიშველეთ!“. სხვები პასუხობენ: „რა ხდება?“ მონაწილე, რომელიც შველას ითხოვდა, წარმოიდგენს რთულ სიტუაციას, მაგალითად: „მისადგმელ კიბეზე ავედი და უკან ვეღარ ჩამოვდივარ“, „მანქანაში ვარ გამომწყვდეული“, „ფუტკრების გუნდი დამესია“. დანარჩენები პასუხობენ: „ვის შეუძლია დაგეხმაროს?“

მონაწილე, რომელიც შველას ითხოვდა, იძლევა ნებისმიერ პასუხს:

- ადამიანს, რომელმაც იცის ცურვა;
- ადამიანს, რომელიც ყველაზე მაღალია;
- ადამიანს, რომელიც ყველაზე გემრიელ ჩაშუშულ ხორცს ამზადებს;
- ყველაზე კეთილ ადამიანს;
- ყველაზე უფროსს;
- ვისაც შეუძლია ყირის გაჭიმვა.

ჯგუფი ადგენს, ვინ უნდა დაეხმაროს გაჭირვებულს და ამის შემდეგ დგება იმ ადამიანის ჯერი, რომ შექმნას თავისი საკუთარი „რთული სიტუაცია.“

10.1.8 გრძნობების მიხედვით

მიზანი:

- ჯგუფში თავდაჯერების გაზრდა და ერთობის გრძნობის შექმნა;

- გრძნობების გამომხატველი ტერმინოლოგიის გამდიდრება.

თითოეული მონაწილე წერს პატარა ფურცელზე იმის შესახებ, თუ რა გრძნობებს განიცდის ან ირჩევს სიტყვას იმ ჩამონათვალიდან, რომელსაც ფასილიტატორი სთავაზობს. ეს ჩანაწერები უნდა მოვათავსოთ ქუდში. შემდეგ თითოეული მონაწილე რიგრიგობით იღებს სიტყვას ქუდიდან. ამით გამოხატავენ თავიანთ გრძნობას თამაშის მიმართ. მონაწილეები განლაგდებიან წრეზე წყვილ-წყვილად, ორ რიგად, ერთმანეთის საპირისპიროდ. გარეთა წრეში მყოფი მონაწილეები სთავაზობენ ისეთ ქმედებას, როგორიც არის:

- დილით ადგომა.
- სადილის მომზადება.
- სამსახურში წასვლა.
- სახლის დალაგება.
- საჩუქრის გახსნა.

მონაწილეებმა, რომლებიც გარეთა წრეში დგანან, მიმიკით უნდა განასახიერონ ეს მოქმედებები იმის შესაბამისად, თუ რა გრძნობებს განიცდიან. აქცენტირება უნდა გაკეთდეს სახის გამომეტყველებაზე, სხეულის მდგომარეობაზე და, აგრეთვე, მათი მოძრაობის ემოციურ ხასიათზე. ფასილიტატორმა უნდა დაიყვიროს „გაქვავდი!“ და შიდა წრეში მყოფი მონაწილეები ერთ ადგილას უნდა გაქვავდნენ. მონაწილეებმა გარეთა წრიდან უნდა სცადონ იმის გამოცნობა, თუ რა გრძნობა იქნა განსახიერებული. ეს თამაში უნდა განმეორდეს შეცვლილი როლებით.

10.1.9 გამოიცანი წესი

მიზანი:

- ხელი შევუწყოთ ჯგუფის დაკვირვების უნარის გაუმჯობესებას, ავამაღლოთ თვითდაჯერება და წავახალისოთ ურთიერთობების განვითარება.

გამოიწვიეთ მოხალისე, რომელიმე ერთი მონაწილე, რომელსაც შესთავაზებთ, რომ დროებით დატოვოს ოთახი. უთხარით, რომ სანამ ის გასული იქნება, ჯგუფმა უნდა მოილაპარაკოს რაიმე წესის შესახებ და როცა მოხალისე ოთახში დაბრუნდება, მან უნდა სცადოს იმის გამოცნობა, თუ რა წესზე იყო საუბარი. შემდეგ სთხოვეთ ამ ადამიანს, დატოვოს ოთახი.

დასვით ჯგუფი წრეზე და მოილაპარაკეთ მათთან „წესის“ შესახებ. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად:

- ყველა უნდა იჯდეს ფეხებგადაჯვარედინებული (ან თავდახრილი, ან მკლავებგადაჯვარედინებული).
- სანამ დილაპარაკებდეს, ყველამ პირველ რიგში უნდა წარმოთქვას სიტყვა „cheese“ (ყველი — ამ სიტყვის წარმოთქმისას სახე ძალაუნებურად მომღიმარ გამომეტყველებას იღებს).
- ნახევარ წუთში ერთხელ ყველამ ხელი უნდა ჩამოართვას გვერდზე მჯდომს.

შემოიპატიჟეთ მოხალისე უკან ოთახში. მას აქვს რამდენიმე წუთი, რომ სცადოს ამოიცნოს ის წესი, რომელზეც შეთანხმდნენ. თუ მოხალისე სწორად ამოიცნობს წესს, მას შეუძლია აირჩიოს ახალი წესი, რომელსაც ჯგუფმა უნდა მისდიოს მეცადინეობის შემდგომი ხუთი წუთის განმავლობაში.

10.2 ჯგუფური სავარჯიშოები

10.2.1 „დრო წრეში“

„დრო წრეში“ მოიცავს ყველა მონაწილეს. ისინი სხედან წრეში და უზიარებენ ერთმანეთს იდეებს, გრძნობებს და ფიქრებს მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. ეს აძლიერებს სოციალურ და ემოციურ უნარებს და ეხმარება პრობლემის გადაჭრას.

წრეში ჯდომა ხაზს უსვამს ერთობისა და თანასწორობის იდეას და სიმბოლურად წინა პლანზე გამოაქვს თანასწორი ღირებულებისა და თანაბარი პასუხიმგებლობის ცნებები.

წამყვანი იღებს ფასილიტატორის როლს, რათა წაახალისოს მონაწილეები, რომ მათ იგრძნონ, რომ აქვთ უფლებამოსილება და უჭირავთ სადავეები, რომელთა მეშვეობითაც შეუძლიათ გადაწყვიტონ მათ წინაშე წამოჭრილი სწავლისა თუ ურთიერთობის პრობლემები.

ქმედითი ფასილიტატორები შემდეგ უნარებს წარმოაჩენენ:

- ენთუზიაზმი — ადამიანებისა და სამუშაოსადმი პოზიტიური მიდგომა;
- კარგი მზერითი კონტაქტის დამყარება — ემოციური სითბოს გამოხატვის უნარი;
- გულისყურით მოსმენის უნარი;
- შეჯამების და უკვე გამოთქმული მოსაზრებების კვლავ გააზრების უნარი;
- ცოცხალი ტემპის შენარჩუნების უნარი სავარჯიშოს „დრო წრეში“ მსვლელობისას;
- ქმედითი წახალისების უნარი;
- ნეგატიურ ქცევებზე პროაქტიული რეაგირების უნარი;
- ხალისიანი განწყობილების შექმნის უნარი მეცადინეობის განმავლობაში შემოქმედებითი რესურსების შექმნის მეშვეობით.

„დრო წრეში“ მოქმედებს შეთანხმებული რეგლამენტით. მონაწილეები რიგრიგობით ლაპარაკობენ და უსმენენ ერთმანეთს, შემოაქვთ განსახილველი საკითხები და უზიარებენ თავიანთ წუხილს წრეში მსხდომებს. თითოეულ ადამიანს ეძლევა დრო საიმისოდ, რომ გამოხატოს დაინტერესება ჯგუფის დასახმარებლად; მხარი დაუჭიროს, გაამხნევოს და ამგვარად დაეხმაროს პრობლემების გადაჭრაში ჯგუფის სხვა წევრებს.

სავარჯიშოსათვის „დრო წრეში“ ფასილიტატორმა:

- სკამები წრიულად ისე უნდა მოაწყოს, რომ ყველა მონაწილეს შეეძლოს ერთმანეთთან მზერითი კონტაქტის დამყარება;
- უნდა გამოიყენოს მეცადინეობა ჯგუფის სასწავლო მოთხოვნების მიხედვით ან რაიმე კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად;
- უნდა შეინარჩუნოს ცოცხალი ტემპი;
- უნდა გამოიყენოს „სალაპარაკო საგანი“ (როგორიცაა, მაგალითად, შუშის ბურთულა, მიმზიდველი სათამაშო ან რაიმე სხვა საინტერესო ან ძვირფასი ნივთი) წრეში დასატრიალებლად. მხოლოდ იმ ადამიანს შეუძლია ილაპარაკოს, რომელსაც ეს საგანი უჭირავს. ეს საშუალებას აძლევს მონაწილეებს, თავიანთი თვალსაზრისი გამოხატონ თავისუფლად, სხვების ჩაურევლად;
- უნდა დაადგინოს წესი, რომ ყველას აქვს უფლება, დუმილი შეინარჩუნოს;
- პატივი უნდა სცეს კონფიდენციალურობის პრონციპს — საშუალება მისცეს მონაწილეებს, წრის გარეთაც იმსჯელონ კერძო საწუხარსა და პრობლემებზე;
- სავარჯიშო ყოველთვის მაჟორულ ნოტზე უნდა დაასრულოს.

მონაწილეებმა:

- ნიშანი უნდა მისცენ, როცა სურთ რაიმეს თქმა და მხოლოდ მაშინ ილაპარაკონ, როცა სალაპარაკო საგანი უჭირავთ ხელში;
- პოზიტიურად უნდა ელაპარაკონ ერთმანეთს — დაუშვებელია სარკასტული გამონათქვამები ან უსიამოვნო კომენტარები;
- უნდა მოუსმინონ, როცა სხვა ლაპარაკობს.

ფასილიტატორებმა:

- თანაბრად უნდა სცენ პატივი ყველას აზრს;
- პოზიტიურად უნდა დაუპირისპირდნენ მიუღებელ თვალსაზრისს (მაგალითად, რასიზმს).

10.2.2 „აზრების წვიმა“

„აზრების წვიმა“ გამოიყენება იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი იდეა მოვისმინოთ ჯგუფისგან დროის მოკლე მონაკვეთში. ეს სავარჯიშო ხშირად მცირე ჯგუფებშია ყველაზე ქმედითი.

ჯგუფებს ეძლევათ გარკვეული რაოდენობის დრო, რათა მოიფიქრონ ან ჩამოწერონ ძირითად საკითხთან დაკავშირებული ყველა იდეა. იდეებზე დისკუსია არ უნდა გაიმართოს და ყველა იდეა უნდა იქნეს მიღებული. როდესაც მოცემული დრო ამოიწურება, ჯგუფებს შეიძლება მიეცეთ დამატებითი დრო იდეების ირგვლივ შემდგომი კამათისათვის. ალტერნატიული ვარიანტის სახით, თითოეულმა ჯგუფმა მთლიანი ჯგუფის წინაშე შეიძლება წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები იდეების შესახებ დისკუსიის მიზნით.

10.2.3 ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი

ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი (SWOT) გამოიყენება ყოველ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, მაგალითად, იმაზე შესათანხმებლად, თუ როგორ წარმოვადგინოთ სკოლებში პროგრამა „ძალადობის აღმოფხვრა სკოლებში“.

თითოეულ ჯგუფს ეძლევა დიდი ქაღალდის ფურცელი, ისინი კი ამ ფურცელს ოთხ ნაწილად ყოფენ:

ძლიერი მხარეები	შესაძლებლობები
სუსტი მხარეები	საფრთხეები

გამოიყოფა დრო იმის გასარკვევად და განსახილველად, თუ რა უნდა ჩაიწეროს თითოეულ ნაწილში. შემდეგ თითოეული ჯგუფის წევრი წარმოადგენს შენიშვნებს და გამოხმაურებას მთელი ჯგუფისათვის და დგინდება ის, რაც საერთოა.

ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმის დასადგენად, თუ რას გრძნობენ მონაწილეები კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, რასაც შეიძლება დაეფუძნოს შემდგომი ნაბიჯები, მაგალითად: „როგორ შეგვიძლია გამოვიყენოთ იდენტიფიცირებული ძლიერი მხარეები სისუსტეების დასაძლევად მიმართულ მუშაობაში?“

10.2.4 კონკრეტულ შემთხვევათა განხილვა

„კონკრეტულ შემთხვევათა განხილვა“ აღწერს სიტუაციას, ნამდვილს თუ წარმოსახვითს, რომელიც საკითხის მოდელირებას ახდენს. ჯგუფები კითხულობენ შემთხვევათა აღწერას, მსჯელობენ და პასუხობენ კითხვებზე თემის ირგვლივ. თითოეული ჯგუფი გამოყოფს ძირითად საკითხებს, რათა შემდეგ შენიშვნები და გამოხმაურება წარადგინოს მთელი ჯგუფისთვის. მას მერე, რაც თითოეული ჯგუფი გააკეთებს მოხსენებას, ფასილიტატორი აჯამებს სწავლების უმთავრეს შედეგებს. ამას მოჰყვება მთლიანი ჯგუფის დისკუსია.

კონკრეტულ შემთხვევათა განხილვა შეიძლება სხვადასხვაგვარად გამოვიყენოთ. მაგალითად, თითოეულ ჯგუფს შეიძლება მიეცეს სხვადასხვა კონკრეტული შემთხვევა ან ერთი და იმავე შემთხვევის სხვადასხვა ასპექტი გულდასმითი ანალიზისთვის.

10.2.5 როლების გათამაშება

როლების გათამაშება შეიძლება გამოვიყენოთ სიტუაციის მოდელირებისათვის. მონაწილეებს შეიძლება მიეცეთ სცენარი განსახილველად და გასათამაშებლად. ეს შეიძლება შეეხებოდეს, მაგალითად, შეკამათებას სკოლაში ან ისეთ სიტუაციას, სადაც მოსწავლე ცუდად იქცევა. მონაწილეებს ეძლევათ დრო საიმისოდ, რომ იმსჯელონ სცენარზე და გადაწყვიტონ, თუ რა პოზიციას დაიკავებს თითოეული მონაწილე. შემდეგ ხდება როლების გათამაშება ჯგუფის წინ.

მნიშვნელოვანია, რომ ფასილიტატორი დარწმუნდეს, რომ სცენარი ყველასათვის გასაგებია და მონაწილეებს აქვთ შესაძლებლობა, დასვან შეკითხვები.

ფასილიტატორებმა უნდა იცოდნენ, რომ ზოგ მონაწილეს არ მოსწონს როლების გათამაშებაში მონაწილეობა, ამიტომ ხშირად საუკეთესო გამოსავალია, რომ ასეთი სავარჯიშოსათვის მოხალისეები გამოიძახონ. გადაწყვეტილება ალტერნატიული იქნება, თუ მონაწილეებს შემდეგნაირ შეკითხვებს დავუსვამთ: „როგორ იგრძნობდით თავს ამ როლში და ამ სიტუაციაში? რას იტყოდით?“

10.3 ჯგუფებში ინფორმაციის ჩაწერა

არსებობს ბევრი განსხვავებული და საინტერესო გზა იმისა, თუ როგორ უნდა ვასწავლოთ ჯგუფს ინფორმაციის ჩაწერა და გამომზეურება.

10.3.1 „აგურის კედელი“

მონაწილეებს ეძლევათ აგურის ფორმაზე გამოჭრილი ქაღალდის ფურცლები. ფასილიტატორს შეუძლია ან აგურებზე მოათვასოს საკვანძო სიტყვები თუ სურათები, ან შესთავაზოს ჯგუფის წევრებს, წარმოადგინონ მოსაზრებები „აზრების წვიმის“ სახით, და შემდეგ საკუთარი სათაურები შექმნან. ამის შემდგომ მონაწილეებს წინადადება ეძლევათ, რომ იდეებიდან ააშენონ კედელი. ფასილიტატორს შეუძლია ამ მეთოდის გამოყენება იმისათვის, რომ დადგინდეს იდეების პრიორიტეტულობა, როგორც ქვემოთ მოტანილ მაგალითშია ნაჩვენები.



10.3.2 ქაღალდის დაფები

იდეების ჩასაწერად ძალიან სასარგებლოა ქაღალდის დაფები, რისი ნახვაც შემდეგ ყველას შეუძლია.

გარდა ამისა, ფასილიტატორს შეუძლია მოათავსოს თითოეული საკითხი, რომელიც უნდა, რომ ჯგუფმა განიხილოს, ნახატის ან წინადადების სახით ქაღალდის დაფის სხვადასხვა ფურცლების შუა ნაწილში. შემდეგ ფასილიტატორი ფურცლებს ოთახის გარშემო გამოფენს და თითოეულ მცირე ჯგუფს აძლევს საწერ კალამს. იგი სთავაზობს ჯგუფებს, რიგრიგობით მივიდნენ ფურცლებთან და ჩაწერონ თავიანთი მოსაზრებანი, სანამ შემდეგზე გადაინაცვლებენ.

10.3.3 წებოვანი მისაკრავი ქაღალდები

მისაკრავი ქაღალდები სასარგებლოა, როცა ფასილიტატორს სურს, სწრაფად შეკრიბოს იდეები ყველა მონაწილისაგან.

კარგი იქნება, რომ ხელმისაწვდომი იყოს სხვადასხვა ფერის მისაკრავი ქაღალდები და თითოეული ფერი განისაზღვროს კონკრეტული მიზნისათვის, მაგალითად, ვარდისფერი შეიძლება აღნიშნავდეს, რისი გაკეთება შეუძლიათ სკოლის თანამშრომლებს; ყვითელი — რისი გაკეთება შეუძლიათ მშობლებს; მწვანე — რისი გაკეთება შეუძლიათ მოსწავლეებს. მონაწილეები წერენ თავიანთ აზრებს შესაბამის მისაკრავ ქაღალდებზე, ფასილიტატორი კი მიამაგრებს სამ დიდ ქაღალდის ფურცელს კედელზე, თითოს თითოეული ფერისათვის. მონაწილეები მიაკრავენ თავიანთ ქაღალდებს შესაბამის ქაღალდის ფურცლებზე და შემდეგ მათ წინადადება ეძლევათ, რომ მივიდნენ და შეხედონ თითოეულ ფურცელს, რათა გაეცნონ შეკრებილ აზრებს. მას მერე, რაც მოხდება აზრების გაცნობა, შესაძლებელი გახდება დისკუსიის გამართვა. ეს კარგი სავარჯიშოა, რომელიც, სასურველია, შესვენებამდე გაკეთდეს, ვინაიდან შესვენებაზე მონაწილეებმა შეიძლება ნახონ ჩანაწერები.

10.3.4 „სალაპარაკო ბუშტუკები“

„სალაპარაკო ბუშტუკები“ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფიქრებისა და გრძნობების ჩაწერის საშუალებად.

„სალაპარაკო ბუშტუკების“ ფორმები შეიძლება გამოიჭრას წინასწარ გამზადებული ქაღალდიდან. ქაღალდის დიდ ფურცელზე დახატეთ ერთი ან რამდენიმე ადამიანის (მაგ., მოსწავლის, მონაწილის ან კოლეგის) კონტურული გამოსახულება რაიმე სიტუაციაში (ანდა ფასილიტატორს შეუძლია გამოიყენოს ფოტოები ან სურათები ჟურნალიდან). შესთავაზეთ ჯგუფს, ჩაწერონ ადამიანების შესაძლო ფიქრები ან გრძნობები „სალაპარაკო

ბუშტუკებში“ და მოათავსეთ ისინი სურათზე. ამის შემდეგ მონაწილეებს შეუძლიათ გამართონ მსჯელობა ამ თემაზე.

10.3.5 ნაკადური გრაფიკები, სამახსოვრო რუკები და „ობობა“ დიაგრამები

ნაკადური გრაფიკები, სამახსოვრო რუკები და „ობობა“ დიაგრამები სასარგებლოა მოსაზრებათა ორგანიზებისთვის და ჩასატარებელი მოქმედებების დაგეგმვისთვის.

საკითხის შინაარსიდან გამომდინარე, ნაკადური გრაფიკები შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმის საჩვენებლად, თუ როგორ შეიძლება იდეები ან მოქმედებები მოედინებოდეს ლოგიკური თანამიმდევრობით, ხოლო სამახსოვრო რუკები ან „ობობა“ დიაგრამები შეიძლება გამოიყენებოდეს მაშინ, როდესაც საკითხი მოთავსებულია ცენტრში, ხოლო აზრები ან მოქმედებები თავს იყრიან მის გარშემო.

10.3.6 ნახატები

იდეების სიტყვებით გამოხატვის ნაცვლად ფასილიტატორმა შეიძლება გამოიყენოს ნახატები. მან შეიძლება შესთავაზოს მონაწილეებს, გამოსახულების სახით ჩაინიშნონ თავიანთი იდეები, მაგალითად, პასუხად შეკითხვაზე — „როგორი გახდება თქვენი სკოლა, როცა ყველა თანამშრომელი დანერგავს ამ გაუმჯობესებულ მეთოდს?“ — ჯგუფს შესთავაზებენ, რომ წარმოადგინონ ნახატები, რომლებიც ასახავს რომელიმე საკითხს, მაგალითად, პრიზი შეიძლება ასახავდეს რაიმე მიღწევას, ორი მოსწავლე, რომლებიც ხელს ართმევენ ერთმანეთს, — მეგობრობას და ა.შ. თითოეული მონაწილე შემდეგ ჯგუფს წარუდგენს თავის ნახატს და ხსნის, რა უნდა გააკეთონ მათ, რომ მიაღწიონ ამ შედეგს.

10.4 ჯგუფებისაგან საპასუხო რეაგირების მიღება

არსებობს სავარჯიშოს შესრულების შემდეგ საპასუხო რეაგირების მიღების რამდენიმე გზა, რათა მთლიანი ჯგუფის წევრებმა ისწავლონ ერთანეთისგან.

- უფრო მცირე ჯგუფებში ან წყვილებში მონაწილეები წერენ ან ხატავენ იდეას ქაღალდის დაფაზე და შემდეგ სახელდება ჯგუფის ერთი წევრი, რომელმაც მთლიან ჯგუფს უნდა წარუდგინოს მოსაზრებები.
- ცალკეული მონაწილეები ჩაიწერენ ან ჩაიხატავენ იდეებს მისაკრავ ქაღლდებზე და შემდეგ აკრავენ მათ ქაღალდის დაფაზე; შემდეგ ჯგუფის წევრებს შესთავაზებენ, დააკვირდნენ ქაღალდის დაფას და გამოავლინონ მსგავსება-განსხვავებანი ან კომენტარი გააკეთონ წარმოქმნილი საკითხების თაობაზე.
- ფასილიტატორი თავისუფალ არჩევანს ანიჭებს ჯგუფს, წყვილს ან სამეულს, რათა მათ საპასუხო რეაგირება გამოხატონ იმ გზით, რომელსაც ისინი ყველაზე შესაფერისად მიიჩნევენ, მაგალითად, სიტყვებით, სურათებით, გრაფიკებით, როლების გათამაშებით, ლექსებით, სიმღერებითა და ა.შ.
- მონაწილეები წყვილებად მუშაობენ, რათა ჩამოაყალიბონ იდეები; შემდეგ ისინი უერთდებიან მეორე წყვილს, რათა მათთან ერთად იმსჯელონ ამ იდეებზე; შემდეგ ეს ოთხი უერთდება სხვა ოთხს და ა.შ.;
- ფასილიტატორმა შეიძლება გამოიძახოს მოხალისეები „ცხელ ადგილას“ დასაჯდომად — საკუთარი თავის ან ვინმე სხვის როლში — დანარჩენი მონაწილეები კი კითხვებს უსვამენ კონკრეტული საკითხების ან თვალსაზრისის გამოსაკვლევად.
- რიცხობრივად თანაბარი მცირე ჯგუფები ქაღალდის დაფაზე ჩამოწერენ საკითხთან დაკავშირებულ რამდენიმე მოსაზრებას, რომელთა რაოდენობა წინასწარ იქნება შეთანხმებული (შეიძლება იყოს ორიდან ოთხამდე); ერთი მონაწილე თითოეული ჯგუფიდან ესტუმრება სხვა ჯგუფს იდეების გასაზიარებლად და მათზე სამსჯელოდ.
- როცა დრო შეზღუდულია, მიზანშეწონილია, ოთახში გამოვფინოთ ფურცლები/გრაფიკები და სხვ. საპასუხო რეაგირებით და შევთავაზოთ მონაწილეებს, იმოძრაონ და დაათვალიერონ ისინი შესვენების დროს ყავის სმისას; ამას გარდა, ფასილიტატორებმა შეიძლება შესთავაზონ მონაწილეებს, მოაგროვონ საპასუხო რეაგირების მოკლე შეჯამებები და გაამრავლონ ისინი, რათა მოხდეს მათი ცირკულირება შესვენებისას ან სასწავლო მეცადინეობის დახურვამდე.

თავი 11

ტრენინგის დროს გამოსაყენებელი სხვა სასარგებლო რჩევები

11.1 დროის რეგლამენტის დაცვა და თან მოქნილობის შენარჩუნება

მნიშვნელოვანია სასწავლო მეცადინეობის დროს სწავლის მიმდინარეობის მუდმივი ტემპის შენარჩუნება, მაგრამ არა მონაწილის აქტიურ სწავლაში ჩართულობის დათრგუნვის ხარჯზე. ტემპის განსაზღვრის სტილისა და „მზრუნველი“ სტილის (იხ. თავი 9) კომბინირებამ შეიძლება საუკეთესო შედეგი მოიტანოს — „მე ვიცი თქვენი საჭიროებების შესახებ, მაგრამ ჩვენ ამოცანა გვაქვს შესასრულებელი, ამიტომ მოდი, გამოვნახოთ დრო ამის გადასაწყვეტად მას შემდეგ, რაც ჩვენს შესასრულებელ საქმეს დავამთავრებთ.“

მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ სიტყვის შეწყვეტინების საკითხი. სიტყვის შეწყვეტინება მართებულია, როცა მონაწილეებს სჭირდებათ დახმარება დავალების გაგებასა თუ შესრულებაში. მაგრამ თუ შეწყვეტინება არასწორ დროს ხდება და სხვა მიმართულებით გადააქვს ყურადღება, ფასილიტატორს, იმის ნაცვლად, რომ თქვას: „უკაცრავად, ჩვენ არ გვაქვს საკმარისი დრო ამის განსახილველად“, შეუძლია შემდეგნაირად მიმართოს მონაწილეს: „ეს ძალიან საინტერესო საკითხია/აზრია, ჩვენ აუცილებლად უნდა ვიმსჯელოთ ამაზე მას მერე, რაც დავამთავრებთ ჩვენს სავარჯიშოს. შემახსენეთ, თუ შეიძლება, თუ მე არ გამახსენდება.“

11.2 ამბებისა და პირადი ცხოვრების ეპიზოდების მოყოლა

ამბების მოყოლა ილუსტრირებისა და მოდელირების ერთ-ერთი საუკეთესო გზაა პრეზენტაციის ან ინფორმაციის მიწოდების დროს. ეს ამბები გრძელი არ უნდა იყოს — მათ სწრაფად უნდა მიგვიყვანონ მთავარ აზრამდე; კიდევ უკეთესი იქნება, თუ მათ იუმორისტული ხასიათი ექნება. ფასილიტატორებმა არ უნდა მოაბეზრონ თავი მონაწილეებს თავიანთი პირადი ცხოვრების ეპიზოდებით, არამედ უნდა გამოიყენონ ისინი დისკუსიების გამოსაცოცხლებლად.

ამბების თხრობის ტრადიცია თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს და იმ ამბების მოყოლა, რომლებსაც აქვთ მორალურ-ეთიკური ან სხვა მსგავსი შინაარსი, შეიძლება ძალიან ქმედითი დამხმარე საშუალება გამოდგეს კონცეფციის ჩამოყალიბებისა თუ აზრის გადმოცემის საქმეში. ფასილიტატორებს შეუძლიათ გაამდიდრონ მონათხრობი იმით, რომ დაამატონ საკუთარი მაგალითები წაკითხული მასალიდან ან ეროვნული თუ კუთხური ფოლკლორიდან და კულტურიდან.

ეს ამბები საგანგებოდ ისეა შედგენილი, რომ მონაწილეებმა, სავარაუდოდ, იოლად დაიმახსოვრონ და შემდეგ თავად მოყვნენ სკოლაში. ეს მათთვის იქნება პრაქტიკის ერთგვარი ფორმა, რომელიც შეიძლება გახდეს ძალიან ქმედითი სამეცადინო იარაღი სკოლაში პრაქტიკული მუშაობის დასაგეგმავად და განსახორციელებლად, რაც ხუთსაფეხურიანი სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია.

ფასილიტატორებმა მონაწილეებიც უნდა წაახალისონ ამბებისა და პირადი ცხოვრების ეპიზოდების მოსაყოლად. „ასეთი რამ ვინმეს ოდესმე ხომ არ გადაგხდენიათ? გთხოვთ, მიამბოთ ამის შესახებ“, ან „დარწმუნებული ვარ, ჩვენ ყველას გვინახავს მსგავსი შემთხვევები. ხომ არ გსურთ კიდევ ერთხელ მიამბოთ, რასაც ამ დილით მიყვებოდით, როცა აქ მოხვედით?“

11.3 სწავლის დაფასება და წახალისება

მონაწილეების უმრავლესობას არ სჯერა საკუთარი შესაძლებლობისა, შიშობს, რომ ვერ გაართმევს თავს ყველა იმ საპასუხიმგებლო საქმეს, რაც მოსდევს სწავლებისა და ტრენინგის მრავალსაფეხურიან (კასკადურ) მეცადინეობებს. ისინი მრავალნაირად ცდილობენ თვითდაჯერებულობის დემონსტრირებას, ზოგჯერ მაშინაც კი, როცა ყველაზე ნაკლებად გრძნობენ თავს დაჯერებულად. მაგალითად, ზოგიერთი საკუთარ თავში დაურწმუნებელი ადამიანი იქცევა აგრესიულად ან ცდილობს, აჩვენოს თავისი უპირატესობა.

მონაწილეების თვითრწმენის ამაღლებისათვის, მათ დასახმარებლად იმაში, რომ სრულფასოვნად ჩაებან „სკოლაში ძალადობის აღმოფხვრის“ სასწავლო მეცადინეობებში და ცხოვრებაში გაატარონ ის, რაც შეისწავლეს, საუკეთესო წამახალისებელი საშუალება იქნება ხშირი და გულწრფელი შექება და გამხნევება იმაში, რასაც მოსწავლეები აკეთებენ და ამბობენ. ზოგჯერ შექებას უწოდებენ ხოლმე „ხელის გადასმას“, ალერსს იმ დადებითი ეფექტის გამო, რომლის მოხდენაც მას ჩვენს ემოციებზე შეუძლია.

წარმატების საგანგებოდ აღნიშვნამ მრავალი ფორმა შეიძლება მიიღოს. ფასილიტატორი უნდა იყოს გულწრფელი და ღია, როცა ამხნევებს და აქებს ტრენინგის მონაწილეს მიღწეული პროგრესისათვის.

მონაწილეთა წასახალისებლად ფასილიტატორებს შეუძლიათ გამოიყენონ შემდეგი საშუალებები:

- პოზიტიური ჟესტები და ღიმილი;
- გამამხნევებელი და საქებარი სიტყვები დისკუსიის პროცესში;
- აპლოდისმენტები ჯგუფისგან;
- მცირე საჩუქრები და პრიზები სასწავლო მეცადინეობაში შეტანილი გამორჩეული წვლილისათვის. საპრიზო ობიექტი ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ ყველას მიუწვდებოდეს ხელი პრიზზე;
- სახალისო საჩუქრები, მაგალითად, ყველაზე მომთმენი ან ყველაზე მხიარული მონაწილისათვის, რომელსაც ჯგუფი ხმას მისცემს; სერტიფიკატები და რეკომენდაციები ან მისალოცი წერილები;
- ექსკურსიები და სოციალური ღონისძიებები ან, მაგალითად, ტრენინგის დასრულების აღსანიშნავად გამართული საზეიმო ვახშამი, რომელზეც სასმელი და საჭმელი ყველას მოაქვს.

ფასილიტატორებს კიდევ ბევრი სხვა მაგალითი ეცოდინებათ. ყველა შემთხვევაში, პრიზები და საჩუქრები ჯგუფში თვითრწმენისა და სიამაყის გრძნობის დასამკვიდრებლად არის გამიზნული. ფასილიტატორს მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა ენიჭება, რომ დარწმუნდეს, რომ სწავლის დაფასება და წარმატების საგანგებოდ აღნიშვნა ხდება ხშირად და ღიად, ისე, რომ მთელმა ჯგუფმა გაათვითცნობიეროს მიღწეული პროგრესი და იგრძნოს თავი მოტივირებულად საიმისოდ, რომ ერთად გააგრძელოს მუშაობა მას შემდეგ, რაც დასრულდება ტრენინგის მეცადინეობები.

თავი 12

ერთობლივი ტრენინგი — ორი ფასილიტატორის ერთად მუშაობა

ხუთსაფეხურიანი სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საჭიროა, რომ ტრენინგი „ძალადობის აღმოფხვრა სკოლებში“ იყოს სტრუქტურულად კარგად გამართული — სწავლა იყოს აქტიური, ფასილიტატორები იყვნენ ძალიან კარგად მომზადებული და ორგანიზებული — ისე, რომ მეცადინეობის მეთოდოლოგიამ მოიცვას სწავლის ხუთივე საფეხური.

ეს მეთოდი შეიძლება გამოიყენოს ერთმა ფასილიტატორმა, თუმცა ორი ფასილიტატორის ერთობლივი მუშაობა ბევრად უფრო ქმედითი შეიძლება გამოდგეს.

- შეიძლება ტრენინგი ჩაუტარდეს მონაწილეთა უფრო დიდ რაოდენობას და ამავე დროს სამუშაო ჯგუფის ზომა დარჩეს ადვილად სამართავი: ორ ფასილიტატორს შეუძლია ერთად გაუძღვეს ჯგუფურ სავარჯიშოებს. ჯგუფები შეიძლება იყოს უფრო მცირე, ხოლო სწავლა — ინდივიდუალური.
- სანამ ერთი ფასილიტატორი სავარჯიშოების ორგანიზებაზე მუშაობს, მეორემ შეიძლება ინდივიდუალური შეკითხვები ან წინადადებები განიხილოს. ამდენად, მეცადინეობის მიმდინარეობა უფრო ეფექტიანი იქნება.
- სანამ ერთი ფასილიტატორი პრეზენტაციას აკეთებს, მეორემ შეიძლება შეამოწმოს ჯგუფში გაგების ხარისხი და დაეხმაროს მოსწავლეებს კონცეფციის ჩამოყალიბებაში სურათების და ვიდეოკლიპების ჩვენებით ან ტექნიკური ხერხების აქტიური დემონსტრირებით.
- სანამ მონაწილეები სავარჯიშოზე მუშაობენ, უფრო ხელმისაწვდომია ინდივიდუალური საპასუხო რეაგირება მონაწილეებისათვის ან მონაწილეთა ჯგუფისათვის, რაც დაეხმარება მათ ნასწავლის დამახსოვრებაში.
- თუ გათვალისწინებულია სკოლაში ვიზიტებიც, ფასილიტატორები უფრო ხელმისაწვდომი იქნებიან ვიზიტებისა და მონაწილეთა მხარდაჭერისათვის სკოლაში პრაქტიკული მუშაობის მიმდინარეობის მნიშვნელოვან ეტაპზე. ამ პროცესში მათ სხვა კოლეგების ჩართვაც შეუძლიათ.
- როდესაც წარმოიშობა უთანხმოებები ან საქმე ისე არ მიდის, როგორც საჭიროა, ერთმა ფასილიტატორმა შეიძლება პრობლემის მოგვარებაზე იმუშაოს, მეორემ კი მეცადინეობა განაგრძოს.
- ერთად მომუშავე ფასილიტატორებმა შეიძლება ხუთსაფეხურიანი სასწავლო პროცესი თავიანთ საკუთარ განვითარებას მიუსადაგონ. კოლეგებისაგან მიღებულ საპასუხო რეაგირებას სასწავლო მეცადინეობის დაწყებამდე, მისი მსვლელობისას და დასრულების შემდგომ შედეგად მოაქვს ტრენინგის პროცესის გამოყენების მუდმივი გაუმჯობესება.
- ზოგჯერ ტრენინგი შეიძლება რთული აღმოჩნდეს და ფასილიტატორს მარტოობის გრძნობა გაუჩინოს. ასეთ დროს შეუფასებელი შეიძლება იყოს კოლეგის მხარდაჭერა.

თავი 13

კონფლიქტებისა და პრობლემების წინასწარ განჭვრეტა და მათი მოგვარება

13.1 კონფლიქტის თავიდან არიდება და მისი მოგვარება

საუკეთესოდ მიმდინარე სასწავლო მეცადინეობებშიც კი შეიძლება წარმოიშვას კონფლიქტები. ამგვარი სიტუაციების უმრავლესობა ტრენინგის მიმდინარეობისას შეიძლება სასიკეთოდ შემოტრიალდეს და კონფლიქტმა მიიღოს პოზიტიური და პროდუქტიული ხასიათი.

სადაც არ უნდა მოხდეს კონფლიქტი, მისი თავიდან არიდების ხერხები ძირითადად ერთი და იგივეა. მონაწილეებს შეუძლიათ შეიარაღდნენ გარკვეული ცოდნით სკოლაში კონფლიქტის შემცირების შესახებ იმ გამოცდილების ანალოგიით, რომელსაც მიიღებენ ტრენინგის მიმდინარეობისას წარმოქმნილი უთანხმოებისა თუ შეკამათების წარმატებით გადაჭრის შემდეგ, თუკი ფასილიტატორი მოახდენს კონფლიქტის მოგვარების ხერხების განზოგადებას.

კონფლიქტი არის ცხოვრების ბუნებრივი ნაწილი, ვინაიდან ადამიანებს აქვთ განსხვავებული რწმენა, გამოცდილება და ფასეულობები. თუ უთანხმოების მოგვარება სიფრთხილით არ მოხდა, კონფლიქტმა შეიძლება ზიანი მიაყენოს ურთიერთობებს და წყალში ჩაყაროს ფასილიტატორების მიერ მეგობრული სასწავლო გარემოს შესაქმნელად გაწეული მთელი სამუშაო.

ქვემოთ ჩამოთვლილი შვიდი რეკომენდაცია დაეხმარება მონაწილეებს კონფლიქტების მოგვარებაში. როდესაც კონფლიქტი ტრენინგის მიმდინარეობისას ხდება, არ არის შესაძლებელი მისი მოგვარების ხანგრძლივი პროცესის წამოწყება. თუმცა ის პრინციპები, რომლებსაც ამ დროს იყენებენ, საფუძვლად უდევს ამ შვიდივე ნაბიჯს და ის მიდგომა, რომელიც ამ პრინციპებს დაეყრდნობა, სავარაუდოდ ქმედითი აღმოჩნდება.

ფასილატატორებს ამ რჩევების გამოყენება მონაწილეებთან შექმნილი ნებისმიერი უთანხმოების მოსაგვარებლად შეუძლიათ, ასევე იმისათვის, რომ ასწავლონ მონაწილეებს, თუ როგორ გადაჭრან სკოლაში წარმოქმნილი ნებისმიერი კონფლიქტი.

1. მოექეცით მეორე ადამიანს პატივისცემით

მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ რთული ამოცანაა, შეინარჩუნო მეორე ადამიანის პატივისცემა კონფლიქტის დროს, ჩვენ მაინც უნდა ვეცადოთ. უპატივცემლო სიტყვები კომუნიკაციას გზას უღობავს და თან შეუძლია გააჩინოს ისეთი მორალური იარები, რომლებიც არასოდეს განიკურნება. მოიკრიბეთ მთელი თქვენი ნებისყოფა, რათა სხვა ადამიანს მოექცეთ, როგორც ღირსეულსა და თანასწორს.

2. დაუპირისპირდით პრობლემას

მოძებნეთ დრო და ადგილი კონლიქტზე სამსჯელოდ. აირჩიეთ ის დრო, როცა ადამიანები არ კამათობენ და არ ცხარობენ. შერჩეული ადგილი კომფორტული უნდა იყოს, შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს ნეიტრალური ტერიტორიის პოვნა, ანუ ისეთი ადგილისა, რომელიც არც ერთ დაპირისპირებულ მხარესთან არაა დაკავშირებული.

3. განსაზღვრეთ კონფლიქტის არსი

აღწერეთ კონფლიქტი გასაგები, კონკრეტული ტერმინოლოგიით. მოითხოვეთ გარკვეული პასუხები კითხვებზე, რომლებიც იწყება სიტყვებით „ვინ“, „რა“, „როდის“, „სად“ და „რატომ“.

აღწერეთ ქცევები, გრძნობები, შედეგები და სასურველი ცვლილებები. იყავით კონკრეტული და დაიწყეთ წინადადებები სიტყვებით „ჩვენ“ და არა „თქვენ“.

ყურადღება გაამახვილეთ საქციელზე ან პრობლემებზე და არა ადამიანებზე.

კონფლიქტი განსაზღვრეთ, როგორც ყველა თქვენგანის გადასაწყვეტი პრობლემა და არა ბრძოლა, რომელიც ამა თუ იმ მხარემ უნდა მოიგოს.

4. დაამკვიდრეთ ურთიერთგაგება

უნდა შეძლოთ მოსმენა, რათა რეალურად გაიგოთ ადამიანების გრძნობებისა და საჭიროებების შესახებ.

ეცადეთ, პირველ რიგში სხვების პოზიცია გაიგოთ, იმის მაგივრად, რომ საკუთარი გააგებინოთ.

უკან დახიეთ თქვენი პიროვნება და სცადეთ წარმოიდგინოთ, როგორია მეორე ადამიანის ხედვა.

მას შემდეგ, რაც პრობლემის შესახებ ილაპარაკებთ, ახსენით, თუ როგორია მისი მოგვარების თქვენი ხედვა. იმსჯელეთ ნებისმიერ ცვლილებაზე, რომელიც განახორციელეთ თქვენი შეხედულების ან გრძნობების შესაბამისად.

5. შეისწავლეთ კონფლიქტიდან გამოსავალი ალტერნატიული გზები

რიგრიგობით დაასახელეთ კონფლიქტიდან გამოსავალი ალტერნატიული გზები. ჩამოთვალეთ ყველა მათგანი.

ნუ განსჯით სხვის იდეებს.

შეისწავლეთ თითოეული გამოსავალი გზის შედეგები.

იფიქრეთ და ისაუბრეთ პოზიტიურად.

6. გამოიმუშავეთ ერთიანი თვალსაზრისი იმაზე, თუ რა მიგაჩნიათ ყველაზე ქმედით გამოსავალ გზად

შეთანხმდით იმ გამოსავალზე, რომელიც ორივეს გესმით და რასთან ერთად ცხოვრებაც ორივეს შეგიძლიათ.

გადადგით ნაბიჯები, რათა იპოვოთ გადაწყვეტილება — „გამარჯვებულია ორივე“.

იყავით მოწადინებული კონფლიქტის მოსაგვარებლად.

7. მიეცით შეფასება გარკვეული დროის გასვლის შემდეგ

გამოიმუშავეთ მეთოდი იმის შესამოწმებლად, თუ რაოდენ კარგად მუშაობს მოძებნილი გამოსავალი.

თუ საჭირო გახდება, კრიტიკულად გადახედეთ თქვენს გადაწყვეტილებას.

13.2 მოსწავლეებისთვის კონფლიქტის მოგვარების სწავლება

კონფლიქტის დარეგულირება არის მნიშვნელოვანი სტრატეგია, რომელიც პასუხობს ძალადობას, როცა ის წარმოიშობა ან როცა არსებობს მისი გაჩენის საფრთხე. ტრენინგის მეთოდოლოგია ამ პროგრამაში თვითონ წარმოადგენს იმ მიდგომებს, რომლებიც ამცირებენ ძალადობას. სწორედ ამიტომ არის ჩართული ჩვენს ნაშრომში ეს დასკვნითი ნაწილი, რომელშიც ნაჩვენებია, თუ როგორ შეიძლება ტრენინგის მეთოდოლოგია მიესადაგოს უშუალოდ საკლასო ოთახში სწავლებას.

სკოლის თანამშრომელთაგან ბევრს აქვს სასოწარკვეთისა და უმწეობის განცდა, როცა მოსწავლეები იწყებენ კამათს და ჩხუბს ან არ ემორჩილებიან მათდამი წაყენებულ მოთხოვნებს. ფასილიტატორებმა შეიძლება სასარგებლოდ მიიჩნიონ, რომ სკოლების ასეთ თანამშრომლებს შესთავაზონ ზემოთ მოყვანილი ნაბიჯების გამარტივებული ვერსიის გამოყენება კონფლიქტის მოსაგვარებლად და მოსწავლეების თანამშრომლობასთან მისაჩვევად.

თუ უფროსებს სურვილი აქვთ, რომ მოსწავლეებმა შეწყვიტონ ჩხუბი, მათ უნდა ჩაუნერგონ უთანხმოების გადალახვის ახალი უნარები. მოსწავლეებს ესაჭიროებათ პრობლემების მოგვარების უნარების შესწავლა და იმ მიდგომების გამომუშავება, რომლებიც სოციალურად მისაღებ ალტერნატიულ გზას აარჩევინებს სასურველის მისაღებად.

გამოკვლევამ გამოავლინა, რომ მოსწავლის შესაძლებლობა, მიიღოს მისთვის სასურველი რამ საზოგადოებისთვის მისაღები გზით, პირდაპირ არის დაკავშირებული იმ გადაწყვეტილებებისა თუ ალტერნატიული გზების რაოდენობასთან, რომლების მოფიქრებაც მოსწავლეს შეუძლია მოცემულ სიტუაციაში. მოსწავლე, რომელსაც შეუძლია მოიფიქროს ხუთი გზა იმის მისაღებად, რაც მას სურს, ჩვეულებრივ, სოციალურად უფრო მისაღებ ქცევას ავლენს, ვიდრე ის, რომელიც მხოლოდ ერთი ან ორი გზის მოფიქრებით შემოიფარგლება. ქვემოთ ჩამოთვლილია რამდენიმე ზოგადი ხასიათის ნაბიჯი, რომლებიც გააადვილებს მოსწავლეებისათვის პრობლემების მოგვარების უნარის სწავლების საქმეს.

1. განსაზღვრეთ ფაქტები და გაარკვიეთ გრძნობები

როდესაც მოსწავლეები არიან გაღიზიანებული, გულნატკენი, ბრაზობენ ან ჩხუბობენ, პირველ რიგში გამოარკვიეთ დეტალები. როდესაც მათ მშვიდად და მიუკერძოებლად უსვამენ კითხვას, „რა მოხდა?“, მოსწავლეები ჩვეულებრივ მშვიდდებიან და სათანადო პასუხსაც იძლევიან.

გარკვეული დრო დაუთმეთ გრძნობებზე ლაპარაკს. მოსწავლეები მოვლენებს უპირველესად საკუთარი პერსპექტივიდან ხედავენ. მათ შეიძლება წარმოდგენაც არ ჰქონდეთ, როგორ მოქმედებს მათი ქცევა სხვა ხალხზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სხვა ადამიანი ჩადგება მათსა და მათი სურვილის აღსრულებას შორის. სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღწევად მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, თუ რას გრძნობენ სხვები.

2. დაეხმარეთ მოსწავლეებს გამოსავალი გზების ძიებაში

მოსწავლეებისათვის ბევრად უფრო ადვილია გადაწყვეტილების მისაღებად იდეების გამოთქმა იმ შემთხვევაში, როცა მათ აქვთ ნათლად გამოკვეთილი მიზანი. დაეხმარეთ მოსწავლეებს პრობლემის განსაზღვრაში იმ პირობებზე, რაც ორივე ადამიანს აკმყოფილებს. მაგალითად: „რას გააკეთებდი იმისათვის, რომ შენ შენი გზით შეძლო მუშაობა, შენმა ამხანაგმა კი — თავისი გზით?“. როდესაც პრობლემური საკითხი ამგვარი ფრაზებით არის მოწოდებული, მოსწავლეებს უჩნდებათ აზრი, რომ ორივე მათგანის საჭიროება მნიშვნელოვანია.

3. ალტერნატიული გზების გამოძებნა

იმისათვის, რომ დაეხმარონ მოსწავლეებს კონფლიქტის მოგვარებაში, უფროსებმა ხელი უნდა შეუწყონ, რომ მათი ყურადღება მიმართული დარჩეს გადაწყვეტილების ძიებაზე. როდესაც მოსწავლეები გვთავაზობენ ალტერნატიულ გზებს, უფროსებს შეუძლიათ აიტაცონ გამოთქმული მოსაზრებები, შემდეგ კი შეეკითხონ, კიდევ რისი გაკეთება შეიძლება.

გაუძელით იდეების შეთავაზების ცდუნებას, რადგან მოსწავლეების უმრავლესობამ შეიძლება ჩათვალოს, რომ მათი იდეები არასაკმარისად მოსაწონია. თუ მოსწავლეს ახალი აზრის მიწოდება სჭირდება, მოგვიანებით შესთავაზეთ ის ან სთხოვეთ, წარმოიდგინოს, თუ როგორ გაუმკლავდებოდა ამ სიტუაციას ვინმე სხვა, ვისაც ის იცნობს.

4. შედეგების შეფასება

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გამოთქვამენ ყველა შესაძლო იდეას, შეუფასეთ შედეგები. ჰკითხეთ მათ, მაგალითად: „რა შეიძლება მოხდეს, თუ შენ...?“ ან „რა შეიძლება იგრძნოს შენმა მეგობარმა, თუ შენ...?“

ნუ აყვებით იდეების განსჯის ცდუნებას. მოსწავლეებს უფროსები ყოველთვის გვერდში არ ეყოლებიან, რათა მიუთითონ, სწორია თუ არა მათი თვალსაზრისი და შესთავაზონ სხვა არჩევანი. უფროსების დახმარება უფრო ქმედითი იქნება, თუ ისინი წაახალისებენ მოსწავლეებს საიმისოდ, რომ მათ თვითონ შეაფასონ საკუთარი იდეები და დაინახონ, რატომაა ისინი მიუღებელი.

5. მოითხოვეთ გადაწყვეტილების მიღება

იდეების მოფიქრების, წარმოდგენისა და შეფასების შემდეგ მოსწავლეებმა უნდა შეადგინონ გეგმა. თავიდან დასახეთ პრობლემა, შეაჯამეთ იდეები და მოსწავლეებს თვითონ გადააწყვეტინეთ, რომელ იდეას გაატარებენ. თუ ისინი აირჩევენ იმ ალტერნატივას, რომელიც, თქვენი აზრით, არ იმოქმედებს, დარწმუნდით, რომ მათ იციან, თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგან შემდეგ.

პრობლემის მოგვარების საფუძვლების სწავლების პროცესი ზოგჯერ შეიძლება მოსაწყენი მოგეჩვენოთ და მოზრდილებს შეიძლება გაუჩნდეთ ცდუნება, უბრალოდ უთხრან მოსწავლეს, თუ რა უნდა ქნას. ეს კი მოსწავლეს არ მისცემს საშუალებას, მიიღოს საკუთარი გამოცდილება და თვითონ აღმოაჩინოს, რა არის გასაკეთებელი.

„ავაშენოთ ევროპა ბავშვებისათვის და ბავშვებთან ერთად“ - პუბლიკაციები

International justice for children (2008)
ISBN 978-92-871-6534-3

Eradicating violence against children – Council of Europe actions (2008)
ISBN 978-92-871-6432-2

Off the books – Guidance for Europe's parliaments on law reform to eliminate corporal punishment of children (2008)

Eliminating corporal punishment – a human rights imperative for Europe's children
ISBN 978-92-871-6182-6 (ახალი გამოცემა)

Abolishing corporal punishment of children – Questions and answers (2007)
978-92-871-6310-3

Parenting in contemporary Europe – A positive approach
ISBN -92-871-6135-2

Highlights (Monaco Conference) 2007

The Internet literacy handbook (2006)
ISBN 978-92-871-5939-7
არსებობს რუსული ვერსიაც

Violence reduction in schools – How to make a difference (2006)
ISBN 978-92-871-5870-3

ISBN ნიშნის მქონე გამოცემების შეკვეთა შესაძლებელია ევროპის საბჭოს გამომცემლობაში, http://book.coe.int
ყველა სხვა გამოცემისათვის დაუკავშირდით: children@coe.int

ევროპის საბჭოს პროგრამის „ავაშენოთ ევროპა ბავშვებისათვის და ბავშვებთან ერთად“ მიზანი იყო ევროპის მასშტაბით ბავშვთა უფლებების პროპაგანდა და მათი პატივისცემის უზრუნველყოფა, ასევე ბავშვების დაცვა ყველანაირი ფორმის ძალადობისაგან. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ვებგვერდი: http://www.coe.int/children